

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული
Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers

ქრისტიანობა

და

ეკონომიკა

CHRISTIANITY
and

ECONOMICS

ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი

Kutaisi, 2016, 22-23 October



ქრისტიანობა და ეკონომიკა

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

(ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი)

თბილისი – ქუთაისი
2016

ქრისტიანობა და ეკონომიკა. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ქუთაისი, 2016.

კრებულში წარმოდგენილია 2016 წლის 22-23 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნააზრევი, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

ნაშრომი განკუთვნილია სასულიერო პირების, თეოლოგების, მეცნიერების, პროფესორების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

მოხსენების შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქტორები: პროფესორი რევაზ გოგობია

ასოც. პროფესორი გიორგი შიხაშვილი

ინგლისურენოვანი ტექსტების რედაქტორი: ნანა მაისურაძე

რეცენზენტები: ასოც. პროფესორი ინეზა გაგნიძე

ასოც. პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015

ISSN 2346-7932

ISBN 978-9941-13-540-8



CHRISTIANITY AND ECONOMICS

Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers

(Kutaisi, 22-23 October)

**Tbilisi - Kutaisi
2016**

Christianity and Economics. Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Kutaisi, 2016

The proceeding includes the papers presented at the 9th international scientific conference at Kutaisi Akaki Tsereteli State University. The papers represent results of foreign and Georgian researchers' scientific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms.

The proceeding is intended for clerics, theologians, scientists, professors, economists, businessmen, managers, students of all three educational level (bachelor, master, doctorate) and to other people interested in the issue.

The author is responsible for the content of the paper.

Editors: *Professor Revaz Gogokhia*

Associate Professor Giorgi Shikhashvili

Editor of English texts: *Nana Maisuradze*

Reviewers: *Associate Professor Ineza Gagnidze*

Associate Professor Nino Papachashvili

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2015

ISSN 2346-7932

ISBN 978-9941-13-540-8

ორბანიზატორებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საუნივერსიტეტო-სამეცნიერო ხელვათა სინერგიულ ჰარმონიზაციას. შემთხვევითი არ იყო, რომ მეფე დავით აღმაშენებელი გელათის აკადემიის დაარსებისას ოცნებობდა, რომ ის ყოფილიყო ახალი იერუსალიმი და ახალი ათინა, მართლმადიდებლობისა და ჭეშმარიტი აზრის სიმბოლო. საქართველოში უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი, არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ასევე ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა. ასევე ეკლესიაც, საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ერის სულიერი და მატერიალური (მათ შორის, ეკონომიკური) პოტენციალის სიმტკიცეს.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შესამეხვედელი ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-- განვითარება. სწორედ რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობის თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე იმსჯელებს 2016 წლის 22-23 ოქტომბერს, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ქუთაისი - 2016“, რომელიც გაიმართა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის და გელათის სასულიერო აკადემიის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ლექტორები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის „იდეა“ პროფესორები, დოქტორები და სტუდენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფერენციაში მონაწილეობდნენ პროფესორები უკრაინიდან (უჟგოროდის უნივერსიტეტი) და ბელარუსიდან (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი). კონფერენციაზე სულ 37 სამეცნიერო ნაშრომი იქნა წარმოდგენილი.

საკითხის სწორედ ასეთი გააზრების საფუძველზე ნაყოფიერად ვითარდება უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივითა და მონაწილეობით 2005 წლიდან დღემდე ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის საკითხებზე ცხრა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა:

- I სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2005“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);
- II სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“ (ბოლნისი, 2008 წლის 13 აპრილი);
- III სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);

- IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მესტია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
- V სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2010“ (თსუ მალღვივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);
- VI სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – საგარეჯო -2012“ (საგარეჯო, მანავი, 2012 წლის 22 ივლისი);
- VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი – 2013“ (გორი, 2013 წლის 30 ივლისი);
- VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - ბათუმი – 2015“ (ბათუმი, 2015 წლის 5-6 სექტემბერი);
- IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ქუთაისი – 2016“ (ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი);

ჩატარებული კონფერენციები და მათზე წარმოდგენილი თემები ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების დიდ აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის. განზრახულია ანალოგიური კონფერენციების ციკლის განგრძობა და მათი გამართვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

კრებულში წარმოდგენილია 2016 წლის 22-23 ოქტომბერს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა საქმიანობის შედეგები, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

*აკაკი ბაკურაძე
ნიკოლოზ ჩიხლაძე
გიორგი შიხაშვილი
ინეზა ვაგნიძე*

FROM ORGANIZERS

Realizing and evaluating Christian views about global processes, the study of interrelation of religion and economy arises the deep interest in the whole civilized world. Forming national conceptual basis of social-economic development of the country, in which the issues of interrelation of economics and moral have dominant importance, is especially important for true progress of the country.

Synergetic harmonization of views of church and university has a special importance for scientific researches of theological-economic nature and for setting up practical solutions. In Georgia the university was always called a temple of knowledge and this was so not only because of its scientific profile but also because of its devotion to the spiritual values, which have been introduced by Christian culture for many centuries.

Theoretical and practical issues of relationship between religion and economy were discussed at the 9th International Scientific Conference “**Christianity and Economics – Kutaisi - 2016**” held at the Faculty of State University.

The organizers of the scientific conference were: Faculty of Business, Law and Social Sciences of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Faculty of Social Sciences of Kutaisi University, Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Student Research and Project Center “Idea” at the Faculty of Economics and Business of TSU.

Scientists, professors and doctors of the following institutions took part in the international scientific conference: Belarus State University (Belarus), Uzhgorod National University (Ukraine, Uzhgorod), the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Kutaisi University, Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli State University, Tbilisi Theological Academy and Seminary, Gelati Clerical Academy, David Agmashenebeli University of Georgia, Tbilisi Humanitarian University, Georgian National University (GNU), Student Research and Project center “Idea” of the Faculty of Economics and Business of TSU. Overall, **37** scientific papers were presented at the conference.

On the base of this approach, cooperation is developing between the University and church. In the frames of this cooperation, 9 conferences were held at the faculty of Economics and Business, TSU on the issues of interrelation of Christianity and economics.

- **1st scientific conference “Christianity and Economics – TSU-2005”** (TSU Maglivi Building, 19 April, 2005);
- **2nd scientific conference “Christianity and Economics – Bolnisi-2005”** (Bolnisi, 13 April, 2008);
- **3rd scientific conference “Christianity and Economics – TSU-2008”** (TSU Building X, 30 May, 2008);
- **4th scientific conference “Christianity and Economics – Mestia-2008”** (Mestia, 25-30 July, 2008);
- **5th scientific conference “Christianity and Economics – TSU-2010”** (TSU Building X, 25 January, 2010);
- **6th scientific conference “Christianity and Economics – Sagarejo - 2012”** (Sagarejo, Manavi, 22 June, 2012);
- **7th scientific conference “Christianity and Economics – Gori - 2013”** (Gori, 30 June, 2013).
- **8th international scientific conference “Christianity and Economics – Batumi - 2015”** (Batumi, 5-6 September, 2015).
- **9th international scientific conference “Christianity and Economics – Kutaisi - 2016”** (Kutaisi 22-23 October, 2015).

These conferences and the papers that were presented clearly show high importance of the discussed problems for economic development. It is intended to continue the cycle of conferences on the same issue

and to hold it in different regions of Georgia. This will promote deepening creative collaboration between science and religion, the University and Church for social-economic development.

The proceeding includes the papers presented at the 9th international scientific conference at the Faculty of Business, Law and Social Sciences of Kutaisi Akaki Tsereteli State University. The papers represent results of foreign and Georgian researchers' scientific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms.

Akaki Bakuradze
Nikoloz Chikhladze
Giorgi Shikhashvili
Ineza Gagnidze

ხატი „წმიდა ოჯახის ფიზიკური შრომა“



ეს არის ძალიან უჩვეულო, თითქმის უნიკალური ხატი. მას ეწოდება „წმიდა ოჯახის ფიზიკური შრომა“. ხატი 1923 წელს რუსი ხატმწერის ბ. მუმრიკოვის მიერაა დაწერილი. ხატზე წმიდა ოჯახის თითოეული წევრი შრომითაა დაკავებული. უფლისმგმობელთა აღზევების პერიოდში ხატმწერს ასეთი ფორმით სურდა ბოლშევიკებისთვის ეჩვენებინა, რომ იესო და მისი მშობლები მშრომელები იყვნენ.

ამავე თემაზეა შექმნილი იტალიელი მხატვრის ა. კარაჩის (1557-1602) ნამუშევარი სახელწოდებით „წმ. იოსები ასწავლის იესოს დურგლობას“.¹



¹ <http://azbyka.ru/forum/blog.php?b=1214>

„ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იცინან, ...“ (ტიტიმ 1, 16)

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება და მსოფლალქმა მკვეთრად განსხვავდება ურწმუნო ადამიანის შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან. მართლმადიდებელი ადამიანის თვალსაწიერი ამქვეყნიურ, მიწიერ საზღვრებს სცილდება და დროში მარადისობას ჭვრეტს. მისი სულიერი ხედვა სამყაროს არსებობას ერთ მთლიანობაში მოიცავს, ანუ პერიოდს – ქვეყნიერების შექმნიდან, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, და მის შემდგომ – მარადიულ ცხოვრებასაც, რომელსაც უაღრესად ნათლად წარმოგვიჩენს მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) ბოლო ორი წევრი: **„მოველი აღდგომასა მკვდრებით. და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ“**.

რადიკალურად განსხვავებულია ამქვეყნიური საზრუნავით დამძიმებული, ოდენ ყოფით პრობლემებს გადაგებული ადამიანის ცნობიერება, რომელიც უკლებლივ აისახება მის ქმედებებსა თუ აზროვნებაში, მის სულიერ ფასეულობათა სისტემაზე, მთელ მის ცხოვრებაზე. ასეთი ადამიანი, გარეგნულად, შეიძლება მორწმუნედაც წარმოუჩნდეს სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი პიროვნების მზერას, რაზეც ასე შეგვაკონებს პავლე მოციქული: **„ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იცინან, ხოლო საქმით უარ-პყოფენ, საძაგელ არიან და ურჩნი, და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ“ (ტიტი 1, 16)**.

საუკუნეების განმავლობაში, ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ თავისი შედეგი ნაწილობრივ მაინც გამოიღო. თანამედროვე კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს ღვთის რწმენა უკვე დაკარგული აქვს და ფსევდოკულტურის, ფსევდოხელოვნებისა თუ ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით, მასში ბუნებითი მჯულის – **სინდისის** აღმოფხვრასაც ლამობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესების შესუსტება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ უნუგემოდ სრულიადაც არა ვართ, და თუ ჭეშმარიტი **რწმენით, სიყვარულითა და სასოებით** შევიმოსებით და მივენლობით უფალს, არაერთ პრობლემას დავძლევთ, რადგან ვუწყით – **„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, 11)**.

სახეზეა სულიერი ბრძოლის არნახული მამულები არა ერთი დესტრუქციული სექტისა თუ მიმდინარეობის დამღუპველი მოქმედებისა, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილის ინდიფერენტულობისა ამ პროცესების მიმართ, რაც უშუალო შედეგია ღვთის შეგონების შეუსმენლობისა: **„მოძღურებასა მრავალსახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ კეთილად მადლითა განმტკიცებულ ხართ გულითა...“ (ებრ. 13,9)**.

ამჟამინდელი მდგომარეობა, სექტების მოძალების თვალსაზრისით, ერთობ რთულია მთელ მსოფლიოში. განვითარებული მოვლენები არაერთ შეკითხვას ბადებს, რომლებზეც სწორი პასუხებია გასაცემი, და რის დროსაც, უცილობლად, უფლის შეგონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ: **„...უმეტარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თვისსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3)**.

აღნიშნავია ის გარემოება, რომ არასდროს წარმოჩენილა ასე ცხადად დაცემული ადამიანის სახე, როგორსაც ამჟამად ვხედავთ. მარტო XX საუკუნის გახსენება რად ღირს, როცა ყალბად გაგებულმა **თავისუფლებამ** კაცობრიობის ერთი ნაწილი ღვთისა და, აქედან გამომდინარე, **ზნეობის** უბერებელი კანონების უარყოფამდე მიიყვანა და მათგან „განთავისუფლებული“ ცოდვის მონებად აქცია.

ამგვარად, ჭეშმარიტად შემამოთებელია აგრესიულობისა და ძალადობის ზრდა მთელ მსოფლიოში. საგანგაშოა ის გარემოება, რომ აგრესია და ძალადობა მილიონობით ადამიანს ეხება და ვრცელდება მსოფლიოს ახალ რეგიონებზე. ბოროტება წარმოშობს აგრესიულ ფანატიზმს, ეთნორელიგიურ კონფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, რამაც შეიძლება გლობალური ხასიათი მიიღოს.

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას **აქტუალური საკითხი**: გარდაუვალია თუ არა ცივილიზაციათა დაპირისპირება და კონფლიქტი, რამაც შესაძლოა დაასრულოს კაცობრიობის ისტორია; თუ გონივრული ნაბი-

ჯებით შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ კეთილი ნების გამოვლენით სავსებით შესაძლებელია კონფლიქტების თავიდან აცილება.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობის მიზეზთა გარკვევა და გამოსავლის მოძიება, გულისყური ფსალმუნთა წიგნის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ: – „**უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი, რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი**“ (ფს.80,13-14). აქ, ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ზემომოხმობილ სიტყვებს: – „**უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი**“, რაც ფრიად საგულისხმო გახლავთ.

მშვიდობის გზით სვლა, კაცთა მოდემის საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევა, დიდი მიზნისკენ მისი მოქცევა **განწმენდით, სინანულით** უნდა დაიწყოს. უმძიმესი მდგომარეობიდან მსოფლიოს გამოყვანა უთუოდ **ადამიანის შინაგანი განწმენდისა და ამაღლების გზების ძიებასაც** გულისხმობს.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა ერთობ მნიშვნელოვნად გვესახება **ეკლესიის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევისათვის გამანადგურებელი კულტების პრობლემებთან დაკავშირებით.**

ზოგადად ვიტყვი.

გამანადგურებელი კულტები გასაოცარი ნაირგვარობით ხასიათდება. ნაირფეროვანია მათი გავრცელების დრო და არეალი. ზოგი მათგანი ისტორიის კუთვნილებაა, ზოგს ძალზე მცირერიცხოვანი მიმდევარი ჰყავს, ზოგიც მრავალმილიონიან არმიას ითვლის. ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი „დოგმატიკა“, საწესჩვეულებო თუ საკულტო პრაქტიკა, სოციალური დოქტრინა, თუმცა საერთო ნიშანთვისება, რომელიც მათ ქრისტიანული მოძღვრებისადმი დაპირისპირებულ მიმდინარეობებად წარმოაჩენს, არის მათი **წარმართული** ხასიათი.

წარმართობა ცოდვით დაცემული ადამიანის გაყალბებული რელიგიური ცნობიერების პროდუქტი და ჭეშმარიტი რელიგიის სუროგატია, რომელშიც ხშირად ძალზე დიდი და აშკარა დემონური ინსპირაციის კვალი, რაზეც ცხადად მოწმობს ფსალმუნის სიტყვები: „**ღმერთნი წარმართთანი, ეშმაკ არიან**“ (ფს. 95, 5).¹

იმის გასარკვევად, თუ რა უწყობს ხელს **სექტებისა** და მისი მსგავსი მიმდინარეობების გავრცელებას, ცნობილი ქართველი თეოლოგის, პროფესორ **ელიშერ ჭელიძის** ერთ-ერთ მოსაზრებას წარმოვადგენთ: „ჩვენის აზრით, დღეს მთელ მსოფლიოში და ასევე ჩვენს ქვეყანაშიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ყველაზე მეტად უპირისპირდება და საფრთხეს უქმნის **აგრესიული სეკულარიზმი**. ეს მსოფლმხედველობა სულ უფრო და უფრო ტოტალიტალურ ხასიათს იძენს და მიუხედავად იმისა, რომ თავს რელიგიისადმი ნეიტრალურ მოძღვრებად აცხადებს, რეალურად **საკაცობრიო რელიგიის** ადგილს იკავებს. იგი საკაცობრიო ღირებულებების მცნებებში (მშვიდობა, სიყვარული, თავისუფლება, სამართლიანობა, შემწყნარებლობა, სრულყოფილება და სხვა) დებს ახალ შინაარსს და ყოველივე განსხვავებულს მისი ხედვისაგან აცხადებს დრომოჭმულად და პროგრესის შემაფერხებლად.

თანამედროვე ქრისტიანის ცნობიერებაში ადგილი აქვს **ჭეშმარიტი** და **ფსევდო ღირებულებების** აღრევას. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ **ცხოვრების ფილოსოფია** და **ცხოვრების წესი** სულ უფრო სცილდება ერთმანეთს და იწვევს პიროვნების გაორებას. ჭეშმარიტი **ღვთისმეტყველების** მიზანია, დაეხმაროს თანამედროვე ადამიანს მის ცხოვრებაში არსებულ მოვლენებში გაარჩიოს ერთმანეთისაგან **ტყუილი** და **მართალი**, **კეთილი** და **ბოროტი**, რათა პიროვნებამ გააკეთოს სწორი არჩევანი“.²

ზემოთქმულის ფონზე, საჭიროდ მივიჩნევთ საერთო საკომუნიკაციო ენის გამოძებნას ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, ისეთი ენისა, რომელიც გარდა იურიდიული ტერმინებისა და შეხედულებებისა, საზოგადოების ზნეობრივ და სულიერ ასპექტებსაც წარმოაჩენს; რა თქმა უნდა, ყველასთვის მისაღებ, დასაშვებ, გონივრულ ფარგლებში.

ჩემი ქვეყნის - საქართველოს შესახებაც ვიტყვით, რომელიც, ვფიქრობთ, მრავალმხრივ იქნება საინტერესო.

¹ ეკალაძე, (აპოლოგეტიკური წერილები) სხვადასხვა რელიგიებისა და მიმდინარეობების განხილვა, წმ. გიორგის სახ. ეკლესია, თბ., 2001, გვ.3.

² ჭელიძე ე. გამოუქვეყნებელი წერილი, ელექტრონული დოკუმენტი, 12.04.2012. edisarchelidze@gmail.com.

არაერთი საუკუნეა ქართულ მიწაზე ქართველ ხალხთან ერთად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ **სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები**. ეთნიკურ სიჭრელეს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს **რელიგიური ნაირგვარობაც**. მიუხედავად ამისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეთნიკურ თუ რელიგიურ შუღლს, თუ არ ჩავთვლით ბოლოდროინდელ ლოკალურ ინციდენტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის არაკეთილმოსურნე პირთა მიერ არის ინსპირირებული და თავს მოხვეული.

ჩვენ **გაგებით** ვეკიდებით იმ საკითხს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს თავისი კულტურა, ადათ-წესები და ტრადიციული სარწმუნოება აქვს, და ეს ჩვენთვის გასაგებია, რადგან ჩვენ (ქართველები) ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ მსოფლიო ხალხთა შორის და მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაქვს.

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს დედაქალაქ **თბილისში**, კერძოდ, მის ერთ-ერთ უბანში, ფაქტობრივად ერთ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარი – სიონი, კათოლიკური სალოცავი, სომხური ტაძარი, ებრაული სინაგოგა და მეჩეთი. ჩვენ ყოველთვის შევიწყნარებდით ადამიანებს, ამა თუ იმ პიროვნებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ქრისტიანული სიყვარულით ვამხელდით მათ არასწორ რელიგიურ შეხედულებებს. ყოველივე ამის ფონზე, აქ ყველა აცნობიერებს იმას, რომ ერთად, ერთ ქვეყანაში – საქართველოში ვცხოვრობთ და მშვიდობიანი თანაცხოვრების გზით უნდა ვიაროთ.

ამგვარად, საქართველოში ჩვენ ყველანი საერთო პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეს პრობლემები რელიგიასაც ეხება. ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც **ტრადიციულ რელიგიებს ემუქრება – სექტების მოძალდება**, რომელნიც არად აგდებენ სარწმუნოებრივ, ეთნიკურ თუ კულტურულ ტრადიციებს და მათი ნიველირებისაკენ ისწრაფვიან. გარდა ამისა, ამგვარი დესტრუქციული სექტების საქმიანობა დამანგრეველად მოქმედებს ადამიანთა სულებზე, მათ ფსიქიკასა და ხშირად ფიზიკურ მდგომარეობაზეც კი. ჩვენი ვალაა ერთიანი ძალისხმევით წინ აღვუდგეთ ამ საფრთხეს.

სექტების მოძალადეობაზე გავლენას **გლობალიზაციის** პროცესიც ახდენს, რომელსაც გარკვეულწილად კულტურული ექსპანსიაც განაპირობებს. ყოველივე ზემოთქმული ძალზე აქტუალურია, რის გამოც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** პოზიციას წარმოვაჩინო.

თბილისში, 2004 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ფორუმზე - „**გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი**“, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ს მისასალმებელ სიტყვაში, ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: **“გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა.**

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს¹.

ყოველივე ამის ფონზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ბრძანებს, რომ... „**საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი**“, რასაც იგი ცივილიზაციათა შორის წარმატებული დიალოგისა და კონფლიქტებისა და დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტიან საშუალებად მიიჩნევს.

ვფიქრობთ, ზემოთქმულის გათვალისწინება ერთობ წაადგება საერთო საკომუნიკაციო ენის გამოხატვას ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ისეთი პოზიცია, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ცრუ ორიენტირებისა თუ მოსაზრებებისაგან, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძიება, გულისყური უფლის შემდეგ სიტყვებსაც უნდა მივაპყროთ: **„ეკრძალენით, ნუ ვინმე იყოს წარმტყუნველ თქუენდა**

¹ საერთაშორისო ფორუმი „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, მასალები, თბ., 2004, გვ.25.

სიბრძნისმოყვარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღვრებისა მისებრ კაცთასა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ“ (კოლ. 2,8).

დაბოლოს, მოციქულის სიტყვებით მივმართავთ სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს; მათ, ვინც კიდევ ჭოჭმანობს, ეკლესიასთან ერთად, მტკიცე ნაბიჯები გადადგან საზოგადოების ერთი ნაწილის დარღვეული ცნობიერების აღდგენისა და სულიერი გაჯანსაღების რთულ გზაზე: „განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაითა; შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ თქვენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა,... მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი... ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“ (ეფ. 6,10-17) ა მ ი ნ !

Archpriest Bidzina (Gunia)

“They profess that they know God...” (The Epistle of Saint Paul to Titus 1, 16)

Summary

Current situation from the point of flourishing of sects is very complicated all over the world. Ongoing events arise many questions requiring correct answers. While answering these questions we should take into consideration teaching of the church, as the Apostle states: -“... **Not recognizing God’s saving justice they have tried to establish their own, instead of submitting to the saving justice of God**” (Rm. 10, 3).

Despite the divine call a man often can’t understand God’s suggestions causing wrong decisions and actions which are not pleasing to God. In search of the ways out, a person’s mentality, tempted by evil, gets more deeply caught in a seducer's trap and forgets the words of God: “...**For cut off from me you can do nothing.**” (Jn.15, 5).

Following the royal path, revival of the best features of a man, his conversion to the great objective should be initiated with his internal cleansing, repentance. Finding the way out of the hardest situation implies looking for the ways of internal cleansing and ascension. All of us should think a lot about it.

We would like to wish each person who wants to follow the path of **unanimity and peace** spiritual thinking, prudence, patience and true faith which will be based on the following words from the Holy Writ: - “...**Then they cried unto the Lord in their trouble, and he saved them out of their distresses.**” (Ps. 107, 13), so that consequently to hear from almighty and just judge: -“**Well done, good and trustworthy servant, you have shown you are trustworthy in small things; I will trust you with greater; come and join in your master’s happiness**” (Mt. 25, 21), Amen!

ეკონომიკური საკითხები საქართველოს კატრიარქის გზავნილებში

(საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის
საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეების მიხედვით)

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ილია მეორე უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია არა მარტო სათავეში უდგას საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას, არამედ წარმოადგენს ქვეყნის უპირველეს მორალურ ავტორიტეტს, პიროვნებას, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ქართველი ხალხის მობილიზებაში, მისი ეროვნული ენერჯის სწორი, ღვთისთვის მისაღები გზით წარმართვაში. იგი დღეისათვის ერთადერთი პიროვნებაა მართლმადიდებლურ სამყაროში, რომელმაც არა მარტო გამოატარა, გამოარიდა საკუთარი ხალხი, სამწესო ტოტალურ ათეიზმს, შთაბერა და გააძლიერა მისი რწმენა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობასა და ამ ქვეყნის თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში. მის სიტყვას, ქადაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და არა მარტო ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებელი მრევლის, არამედ სხვა კონფესიების წარმომადგენლებისათვის, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებისა და ოფიციალური პირებისთვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეები, რომლებითაც საქართველოს პატრიარქი წელიწადში ორჯერ მიმართავს თავის მრევლს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულების დადგომასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ეპისტოლეებში საეკლესიო ცხოვრების საკითხებთან ერთად განხილულია საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, პრობლემები, რომლებიც აწუხებს საზოგადოებას და რომელთა გადაჭრის გზებს იგი თავისი სულიერი მოძღვრის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით ეძებს. მათზე საუბრისას და ქადაგებისას პატრიარქი ხშირად იშველიებს არა მარტო წმინდა წერილის (ბიბლიის) ცალკეულ ნაწილებს, საეკლესიო ავტორიტეტებისა და წმინდანების გამონათქვამებს, არამედ იმ ადამიანთა შეხედულებებსაც, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს მსოფლიო ცივილიზაციის, მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაში, ბიზნესის სფეროში (კონფუცი, პლატონი, სულხან-საბა ორბელიანი, ვაჟა-ფშაველა, ჰეგელი, ჰენრი ფორდი, ჯორჯ ვაშინგტონი, ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე და მრავალი სხვა).

ამ ეპისტოლეებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ერთდროულად **აქტუალურიცაა**, რადგან ეხმიანება მოცემული მომენტისათვის ქვეყნისათვის, „*ერისა და ბერისათვის*“ საჭირობოროტო საკითხებს, და **მარადიულიც**, რადგან ეხება ადამიანის რწმენისა და უფალთან დამოკიდებულების საკითხებს მისი ქმედების ნებისმიერი, მათ შორის ეკონომიკური ასპექტით განხილვისას. ისინი შეიცავს მკაფიო რეკომენდაციებს ადამიანის ადგილის, მისი უნარ-ჩვევების გამოვლენის რეალიზაციის თაობაზე ახალი, გლობალური ეკონომიკისა და ახალი ტექნოლოგიური და მეცნიერული მიღწევების პირობებში.

პატრიარქის ეპისტოლეებში საეკლესიო ცხოვრების საკითხებთან ერთად, ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცევა **ეკონომიკის, ეკონომიკური ურთიერთობების, შრომის, წარმოებისა და სიმდიდრის ურთიერთდამოკიდებულებისა და განპირობებულობის საკითხებს**, მათ მიმართებას სულიერებასა და რწმენასთან.

პატრიარქი განსაკუთრებით ხაზს უსვამს **დროის მნიშვნელობას, მის სწრაფწარმავლობას და მისი რაციონალურად, გონივრულად, სიკეთის საკეთებლად გამოყენების აუცილებლობას**. იგი იშველიებს სოლომონ ბრძენის ნათქვამს, „*ნუ იქადი ხუალისა დღისათვის, რამეთუ არა უწყვი, რასა შობს შემომსულელი დღე*“ (იგავ. 27, 1); ხაზს უსვამს, რომ *ადამიანმა არ უნდა დახარჯოს დრო წვრილმანებზე, არ უნდა მიეჯაჭვოს მატერიალურ სამყაროს* (საშობაო ეპისტოლე, 1985)¹, რომ „*მიწიერსა და ყოველ-*

¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II ეპისტოლენი. - თბილისი, 2016.

დღიურზე ზრუნვამ არ უნდა დაგვაიწყოს სული და სულიერი კულტურა, რადგან უსულოდ ნებისმიერმა მიღწევამ შეიძლება დაკარგოს ფასი და თვით ადამიანის საწინააღმდეგოდ მიიმართოს“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1986). იგი არაერთგზის უბრუნდება აღნიშნულ თემას, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ „უბედურია, ვინც დროს არ იყენებს და არ იცის მისი ფასი. დაკარგული ფული შეიძლება იპოვო, დარღვეული მეგობრობა განაახლო, შერყეული ჯანმრთელობა აღიდგინო, შევიძლია იყიდო, გაყიდო და კვლავ იყიდო სახლი, მიწა, ქონება, მაგრამ არ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ დაიბრუნო აკარგული დრო. ვერ დაიბრუნებ ვერც ერთ წუთს, სიკეთის ქმნის გარეშე უქმად ჩავლილს“ (საშობაო ეპისტოლე, 1991).

პატრიარქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **ეკონომიკას და ადამიანთა შრომას, შრომის კულტურის, ეთიკის მნიშვნელობას** არა მარტო კეთილდღეობისა და არსებობის უზრუნველყოფის, არამედ სულიერების კუთხითაც. **შრომას** იგი განიხილავს ადამიანური ბედნიერების პირობად - „როდესაც უფალმა აკურთხა ადამის მოდგმა ოფლით თვისით მოეპოვებინა პური არსობისა, ეს იყო არა დასჯა, არამედ - დალოცვა“ (საშობაო ეპისტოლე, 1994). ყველანაირი შრომა საპატიოა, რადგანაც „ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომა“ (საშობაო ეპისტოლე, 2010). „**სწორად რომ ვიცხოვროთ, ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი შრომა უნდა შევეუთავსოთ ერთმანეთს**“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2016). პატრიარქი შეაგონებს მრევლს, თუ „რაოდენ სასიამოვნოა შრომით დაღლა, თუ მისი ნაყოფი სიკეთის მომტანია და სიზარულს ანიჭებს სხვებს“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1997). იგი დაუფარავად აცხადებს, რომ მშობლები, რომლებიც არიდებენ, არ ასწავლიან შვილებს შრომას, შრომისადმი სიყვარულს, ამ უკანასკნელთ დათვურ სამსახურს უწევენ, დიდი ბოროტებას ჩადიან, რადგანაც მათ ცხოვრებისათვის მოუმზადებელს ტოვებენ (იქვე).

ის, რომ შრომის მიზანი და შედეგი მარტო კეთილდღეობის მიღწევა არ არის და რომ იგი სულიერ განვითარებასაც, სრულყოფასაც უწყობს ხელს, რომ *შრომის ყოველდღიურ წესად მიჩნევა* შემოქმედმა დაგვისახა, ხაზგასმულია პატრიარქის თითქმის ყოველ ეპისტოლეში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ **დასაქმება და შრომა** წარმოადგენს პატრიარქის ზრუნვის საგანს არა მარტო საზოგადოების რივითი წევრებისათვის, არამედ თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და პატიმრობიდან გათავისუფლებული ადამიანებისთვისაც. იგი პირდაპირ მიმართავს ხელისუფლებას: „*კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია*“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2012). იგი საერო ხელისუფლებას იმასაც მიუთითებს, რომ აუცილებელია მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედება იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ.

მრევლისადმი მოწოდება არ შემოიფარგლება მხოლოდ შრომის მნიშვნელობისა და სიქველის აღნიშვნით. პატრიარქის მკაფიოდ, ცალსახად მოუწოდებს მრევლს **ინიციატივის გამოჩენისაკენ**. ეხლანდელი თაობა აღარ ცხოვრობს ტოტალიტარულ საზოგადოებაში, რომელშიც ყველაფერს ხელისუფლება წყვეტდა, ხოლო ადამიანი ამ გადაწყვეტილების მხოლოდ მექანიკური აღმსრულებელი რჩებოდა. შესაბამისად, ახლა სხვა დროა და კერძო ინიციატივის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება (იხ. საშობაო ეპისტოლე, 1999).

განსაკუთრებულია მისი მოწოდება, მიმართვა ახალგაზრდებისადმი: *თუ თქვენ სრულად გამოავლენთ თქვენს ინტელექტს, თქვენს გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სიკეთის მომტანი იქნებით ქვეყნისათვისაც და საკუთარი თავისთვისაც* (საშობაო ეპისტოლე, 1996). მოწოდება ცალსახაა: **ღვთისგან ბოძებული ნიჭის გამოვლენით უზრუნველყავით დოვლათის წარმოება და გამოხატეთ მზაობა სხვების დახმარებისაკენ**.

პატრიარქი იძლევა **წარმატების ფორმულასაც**: არ შეუშინდეთ მარცხს. თუ ერთ საქმეში არ გაგიმართლათ, ხელი მოჰკიდეთ მეორეს. კარგად გააცნობიერეთ თქვენი შესაძლებლობები, შეისწავლეთ თქვენივე თავი, ნუ იქნებით სხვისი დახმარების მომლოდინე, გამოიჩინეთ საზრიანობა და წარმატებას

აუცილებლად მიაღწევთ (იხ. საშობაო ეპისტოლე, 1999). ამასთან, იგი აქცენტს აკეთებს წარმატებაში, ნებისმიერი პრობლემის დაძლევაში **საკუთარი ძალების რწმენაზე, შინაგან მობილიზაციაზე, შეუპოვრობაზე**. „*უშრომელად მიღებული თანხა ბარაქას ვერ გამოიღებს. დახმარება, ინვესტიციები, კრედიტები საჭიროა, მაგრამ მთავარი არ არის. მთავარია ჩვენ თვითონ დავიწყეთ შრომა...*“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2000). იგი იმოწმებს იოანე ოქროპირის ნათქვამს, რომ თავისი სიზარმაცით ზარმაცი არღვევს ღვთაებრივ წესრიგს და არარაობად აქცევს თავის ყოფას. ღოვლათის შექმნას და გაცემას აქვს მკაფიო პოზიტიური შედეგი - ღოვლათის შემქმნელი და გამცემი ხელი ცარიელი არ დარჩება, „*ზარმაცის ხელს სიღარიბე მოაქვს, მუყათისას კი - სიმდიდრე*“ (იგავ. 10, 4) (საშობაო ეპისტოლე, 1995).

პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს **სოფელი და სოფლის მეურნეობა**. აღნიშნულზე ცნობილია მისი მოსახრებები საქართველოს სასაზღვრო ზოლში სპეციალური დასახლებების ფორმირების თაობაზე. ასევე დიდი ყურადღებას უთმობს პატრიარქი *ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების* საკითხს და ზოგადად აგრარული სექტორის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას, როგორც ქვეყნის სიმდიდრის შენარჩუნებისა და მომავალი თაობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის პირობას (იხ. საშობაო ეპისტოლე, 2007; საშობაო ეპისტოლე, 2009; სააღდგომო ეპისტოლე, 2011, სააღდგომო ეპისტოლე, 2012 და სხვ.). პატრიარქი ხაზს უსვამს, რომ საქართველო ყოველთვის იყო და „*კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს*“ (საშობაო ეპისტოლე, 2009). ეს მოწოდება ნათქვამია იმ ხელისუფლების დროს, რომელმაც სცადა ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ მოეხდინა მოსახლეობის წახალისება ვაზის ასაჩენად. ამ ნათქვამს აქტუალობა არ დაუკარგავს დღეისთვისაც, როდესაც აგრარული სექტორი ხელისუფლების მხრიდან გაცილებით მეტი ყურადღებით სარგებლობს. გამოსასწორებელია ხორბლით თვითუზრუნველყოფის (ადგილობრივი წარმოების თანაფარდობა მოხმარებასთან) დონის (8%) ჩამორჩენა ყურძნის თვითუზრუნველყოფის დონესთან (141%). მდგომარეობის გამოსწორების გზებს პატრიარქი ხელს არა მარტო აგრარული სექტორის ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკაში (სახელმწიფო ღოტაციები, სარწყავი წყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფა, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედება...), არამედ მოსახლეობის აქტიურობაშიც - ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტიაზე უარის თქმაში, მიწის დამუშავებასა და მცირე საწარმოების შექმნაში. „*სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურებიან*“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2016).

პატრიარქი ფართო პროპაგანდას უწევს მოწინავე მსოფლიო გამოცდილებას სოფლის მეურნეობის ორგანიზებისა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. ყურადღების მიღმა არ რჩება ის საინტერესო გამოცდილება, რაც სასოფლო კოოპერატივების ფორმირების მხრივ გავრცელებულია ისრაელში კიბუცების სახით.

თავის ეპისტოლეებში პატრიარქი არაერთგზის უბრუნდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც, როგორცაა **განათლება და ამ სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება**. ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას მასწავლებლის შრომას, უწმინდესი პირდაპირ აცხადებს, რომ *ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი აყალიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ არსებობს ამზე მეტად საპასუხისმგებლო სხვა პროფესია...* აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, ისეთნი, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან არა მარტო ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენით, სიყვარულით, დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც შემდეგ ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ (იხ. სააღდგომო ეპისტოლე, 1991;

სააღდგომო ეპისტოლე, 2007, და სხვ.). ამასთან, იგი ხაზს უსვამს, რომ არ შეიძლება ამ სფეროში, პედაგოგად შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ.

უნდა ითქვას, რომ პატრიარქი არ შემოიფარგლება მხოლოდ საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულებისა და მათი უზრუნველყოფის საკითხებით. იგი პრობლემას კიდევ უფრო აფართოებს და იმავე კონტექსტით განიხილავს **მეცნიერების**, როგორც მოღვაწეობის სფეროსა და ამ საქმეში **ინტელიგენციის** როლის მნიშვნელობას და მათდამი შესაბამისი მოპყრობის აუცილებლობას. „*მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლებისა ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი (მეცნიერება და ინტელიგენცია. - ი.ა.; ლ.ქ.) წარმოადგენენ*“ (საშობაო ეპისტოლე, 2010).

ილია მეორე მოუწოდებს პედაგოგებს, რომ სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად ატარონ საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, რათა მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. „*სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით, საჭიროების შემთხვევაში, ირჩინოს თავისი თავიც და ოჯახიც*“ (სააღდგომო ეპისტოლე, 1991). აღნიშნულ საკითხს იგი თითქმის ყველა ეპისტოლეში ეხება. ამასთან, განათლებას იგი განიხილავს უფრო ფართოდ, ვიდრე სკოლის ინსტიტუტია, მას იგი უკავშირებს *გარემოს შეცნობის, გათავისებისა და ურთიერთობის, კავშირის დამყარების პროცესს.*

შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქის ამ მოწოდების პასუხს, თუმცა რამდენადმე დაგვიანებულს, წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2015-2016 სასწავლო წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 221 საჯარო სკოლაში სასწავლო საგნის „*მეწარმეობის საფუძვლები*“ დანერგვა. საგანი მოსწავლეებს დაეხმარება არჩევანის გაკეთებაში, თუ როგორ შეიძლება იდეა გადაიქცეს შემოსავლის მომტან, თვითგამოხატვის, თვითდასაქმებისა და სხვების დასაქმების კონკრეტულ საქმიანობად, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღების დამხმარე საშუალებად.

ილია მეორე ხაზგასმით აღნიშნავს განათლების, მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების მნიშვნელობას ეკონომიკური პროგრესისა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირებისათვის. უწმინდესის სიტყვებით, „*წარმატებით მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები ვითარდებოდნენ, რომლებიც აღიარებდნენ დროის მოთხოვნებს*“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2006).

ამასთან, პატრიარქის ეპისტოლეებში ხაზგასმულია, რომ განათლების, განსაკუთრებით **მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება შესაბამისი სულიერებისა და პასუხისმგებლობის გარეშე სერიოზული საფრთხეებისა და რისკების მატარებელია თვით ამ პიროვნებისა და მთელი საზოგადოებისათვის.** იგი აღნიშნავს, რომ „*ადამიანი ... სულიერად მოუმზადებელი შეხვდა მეცნიერულ აღმოჩენებს. პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი მეტად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს და რადგან ერთი მეორეს არ განაპირობებს, დაირღვა წონასწორობა; ამან კი წარმოშვა საშიშროება და ჩვენ წინაშე დააყენა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა*“ (საშობაო ეპისტოლე, 1993; იხ. აგრეთვე სააღდგომო ეპისტოლე, 2002). ილია მეორე ხაზს უსვამს, რომ „*მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი გზები და საშუალებები გამოავლინა ადამიანის განვითარებისათვის. მთელი უბედურება ისაა, რომ ამ მეცნიერულ მიღწევებს კაცობრიობა სულიერად და მორალურად მოუმზადებელი შეხვდა და სიკეთის ნაცვლად იგი ზოგიერთმა ბოროტების სათავედ აქცია*“ (საშობაო ეპისტოლე, 1984).

პატრიარქი მიმართვის ადრესატი მრევლთან ერთად, როგორც წესი, სახელმწიფო და ხელისუფლების ინსტიტუტებიცაა. ერთერთი ასეთი მიმართვა ხელისუფლებისადმი **საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობის** თაობაზეა (იხ. საშობაო ეპისტოლე, 1999; სააღდგომო ეპისტოლე, 2002 და სხვ.) **საშუალო ფენას** ილია მეორე სახელმწიფოს დასაყრდენად, ხოლო **მეწარმეობის განვითარებას** - დროის მოთხოვნად და ჩვენი გადარჩენის პირობად მიიჩნევს. იგი პირდაპირ მოუწოდებს ხელისუფლებას - *გათავისუფლოს დამწყები მეწარმენი დროებით გადასახადებისგან, რითაც მოუხსნას მათ წარუმატებლობის კომპლექსი და გაუღვივოს საქმის ინტერესი*

(საშობაო ეპისტოლე, 1999). შეღავათიანი და დოტაციური კრედიტების საკითხებს იგი არაერთგზის შეახსენებს ხელისუფლების და მოუწოდებს ამ უკანასკნელს ამგვარი ნაბიჯით მოსახლეობის მხარდაჭერის აუცილებლობაზე (იხ.: სააღდგომო ეპისტოლე, 2011; სააღდგომო ეპისტოლე 2012 და სხვ.).

თავის ეპისტოლეებში პატრიარქი იძლევა ამ მიმართულებით **წარმატების ფორმულას**, გასაღებს: წარმატებას რომ მიაღწიო, მცირედით, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოთი უნდა დაიწყო, გამოცდილება თანდათან შეიძინო და საქმიანობა გააფართოვო. მაშინ იქნება წამოწყება რეალური და იმედის მომცემი.

პატრიარქის ყურადღების მიღმა არ რჩება ისეთი მოვლენა, როგორცაა **ადამიანთა ნდობით მანიპულირება და საკუთარი მიზნებისთვის მისი გამოყენება**. განსაკუთრებით ხშირია ასეთი მოვლენები გარდამავალ პერიოდში, რომლის დროსაც მოსახლეობის უმრავლესობა „თავიდან ვერ ერკვევა სიტუაციაში, ალღოს ნაკლებად უღებს მოვლენებს და ყრმასავით უსუსური და მიმდობი ხდება მათ მიმართ, ვინც წინამძღოლის ფუნქციებს სთავაზობს“ (საშობაო ეპისტოლე, 2000). ასეთი დამოკიდებულება არა მარტო მიუღებელია ეკლესიისათვის, არამედ სერიოზული ზიანის მომტანიც ბიზნესის განვითარებისა და წარმატების მიღწევისათვის. ფაქტობრივად, პატრიარქი ამხელს ადამიანის ისეთ ნაკლოვანებას, რომელსაც ბიზნესის წარმოების სფეროში (და არა მარტო) თაღლითობა ჰქვია და იძლევა გაფრთხილებას, რომ „მატერიალური აზროვნების მქონე პიროვნება ბედნიერებას მხოლოდ მომხვეჭელობაში ჰპოვებს, ჭეშმარიტი მორწმუნე კი, - მოწყალების გაცემაში“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2013).

ადამიანურ სისუსტედ მიიჩნევს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი **დამოკიდებულებას აზარტული თამაშებისადმი**, სათამაშო ბიზნესისადმი, რომელსაც მრავალი ადამიანის ოჯახური სიმშვიდე, კეთილდღეობა და, ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლეც კი შეუწირავს. პრობლემის მისეული ხედვა და ნეგატიური შედეგის სიმძიმის აღწერილობა განგაშის ზარებივით გაისმის და „ერისა და ბერის“ სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს: „ეს საქმიანობა ... ბიუჯეტისთვის, ალბათ, მომგებიანია, მაგრამ იგი იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი მას ბოლო დროს ინტერნეტ-სამორინეც (კაზინო) დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში (კაზინოში) ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტ-სივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს; ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უძლეავენ და დიდ ვალში და დიდ პრობლემებში ვარდებიან.

კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, რომელნიც მიჯაჭვულნი გახდნენ ამ საცდურზე; ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა...

ვფიქრობთ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა ითქვას ამ მიმართულებით, და შესაძლებლობისამებრ, დაიცვას ქვეყნის აწმყო და მომავალი“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2015).

პატრიარქის წუხილს ადასტურებს სტატისტიკაც: მხოლოდ ბოლო ოთხ წელიწადში (2015 წელს 2011 წელთან შედარებით) სათამაშო ბიზნესის ბრუნვა საქართველოში თითქმის ხუთჯერ გაიზარდა და 2 მლრდ ლარს მიაღწია, რაც ქვეყნის შინამეურნეობათა თითქმის ორი თვის შემოსავლის ეკვივალენტურია.

განვლილი ათწლეულების მანძილზე პატრიარქის მიერ ბევრი მოწოდება, შენიშვნა, სურვილი ეკონომიკასა და ბიზნესთან მიმართებაში განხორციელდა, ბევრი მოწოდება და ხედვა ჯერაც ელის ხელისუფლებისა და საზოგადოებისაგან ადეკვატურ რეაგირებას. შეიძლება ითქვას, რომ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად, დროულად და სრულმასშტაბიანად ხდება მის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში ჩამოყალიბებული შეხედულებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების არა მარტო ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელისადმი დამოკიდებულებისა და პატივისცემის თაობაზე, არამედ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მართვის ეფექტიანობაზეც.

პატრიარქის ეპისტოლეები არა მარტო ჩვენი ქვეყნის სულიერი კულტურის მნიშვნელოვან შენამენსა და ძეგლს, არამედ, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის, მარტლმადიდებელი მრევლის დასაყრდენს წარმოადგენენ საკუთარი განვითარების ვექტორისა და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის ძიების პროცესში.

Joseph Archvadze
Lia Kurkhuli

Economy issues in the messages of the Patriarch

(According to Georgian Patriarch's Ilia II Christmas and Easter Epistles)

Resume

In Christmas and Easter epistles significant attention is paid to the issues like economy, economy and spiritual relationship, defining the place of a human being in economic relations under globalization and new technological and scientific achievements. Great attention is paid to interdependence and determination of working process, work culture, ethic, production and wealth. There is a lot spoken about development of youths' skills for education and labor, entrepreneurship culture and the significance of the state support in small and medium businesses, in some spheres of economy and in scientific activities. The key issue in epistle is about developing initiatives for entrepreneurial activities. The Patriarch considers that the milestone of success is to be initiative, to have belief in your own powers and not to be lazy. He says that people should not put up with poorness and they should be ready to help other poor people.

An important part of the epistle concerns with such issues as development of agricultural sector, production of ecologically friendly products, importance of teachers' labor and their payment and other topics connected with actual modern socio-economic issues. The negative impact of gambling games is underlined.

We can conclude what kind of attitude the government has towards the church and its leader and the effectiveness of their decisions and management depending on how fast and effectively the patriarch's speech and ideas expressed in the epistle are taken into the consideration.

სტატისტიკის ბიბლიური ასპექტები

სტატისტიკა როგორც ადამიანთა მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის სფერო, ჯერ კიდევ უძველეს დროში, ანბანის წარმოშობასთან ერთად გაჩნდა საზოგადოებაში. შედარებით გვიან, მაგრამ მაინც ბიბლიურ დროშივე წარმოიშვა და იწყო განვითარება სტატისტიკამ, როგორც მეცნიერების ერთერთმა უმნიშვნელოვანესმა დარგმა. მას შემდეგ დღემდე იგი ფართოდ გამოიყენება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში. რა არის სტატისტიკა? როგორია მისი ისტორიულ-ბიბლიური ასპექტები? სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება ბიბლიურ დროშივე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მტკიცდება ძველი აღთქმის განმარტებებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღთქმის ერთი-ერთ წიგნში „რიცხვნი“, ნათლად ჩანს სტატისტიკის ბიბლიური ასპექტები.

საზოგადოების ისტორიული განვითარების აუცილებლობამ წარმოშვა სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული სფეროს, მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრიობის შემსწავლელი მეცნიერება. თვით ტერმინი „სტატისტიკა“ ლათინური სიტყვა „სტატუს“-ისგანაა წარმოშობილი, რაც ნიშნავს ნივთების, მოვლენების მდგომარეობას. კერძოდ, სტატისტიკაში გულისხმობენ ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობას მოვლენებისა და პროცესების შესახებ არსებული მონაცემების შეგროვებისა და განზოგადების სფეროში. მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განზოგადება, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სამშენებლო და სხვა სახის პროდუქციის გამოშვების, მუშახელის რაოდენობისა და შემადგენლობის მონაცემთა მოპოვება და განზოგადება. ზოგადად სტატისტიკა გულისხმობს, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელ ციფრობრივ მონაცემებს.

ძველ აღთქმაში აღწერილი ისტორიული ფაქტები მეტყველებს სტატისტიკური სამუშაოების პირველდაწყებით ფორმებზე - „ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში, სადღესასწაულო კარავში, მეორე თვის პირველ დღეს, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს, უთხრა: აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება საგვარეულოებად და მამისსახლებად, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამროვანი სათითაოდ. აღრიცხეთ შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლებული, ლაშქარში გამსვლელი, თავთავისი ლაშქრისდა მიხედვით. „სულ იყო აღრიცხული რეუბენის, ისრაელის პირმშოს შთამომავალთაგან მათი საგვარეულოების და მამისსახლების მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ყველა მამაკაცი სათითაოდ ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. ...აღმოჩნდა მთლიანად აღრიცხული ექვსას სამი ათას ხუთას ორმოცდაათი“ (რიცხ. 1, 1-3, 20, 46).

შემდგომში ამ სამუშაოებმა მიიღო რეგულარული ხასიათი, რამაც მოითხოვა მათი ჩატარებისათვის საჭირო მეთოდური მითითებების შექმნა, თეორიული განზოგადება. ეს იყო სტატისტიკის, როგორც მეცნიერების წარმოშობის აუცილებელი საფუძველი. ამრიგად, სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, მათი განვითარების კანონზომიერებებს კონკრეტულ დროსა და სივრცეში თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირით. იგი კაცობრიობის არსებობის ასეულობით წლების მანძილზე ყოველთვის ითვლებოდა სახელმწიფო მმართველობის უცილობელ, ეფექტიან ინსტრუმენტად. დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი. უტყუარი სტატისტიკური ინფორმაცია აუცილებელია მმართველობის ყველა დონეზე სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ყოველად წამოუდგენელია სტატისტიკური მეცნიერებისა და მასში მიმდინარე ახალი თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევების გარეშე საზოგადოებისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის აუცილებელი სწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავება-გატარება. იგი ნათელი სარკეა ადამიანთა ნებისმიერი, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისა, რომელშიაც კარგად ჩანს მოვლენათა განვითარების წარსულის ნაშთები, აწმყოს სურათი და მომავლის ჩანასახები¹.

¹ გაბიძაშვილი ბ., ახვლედიანი ნ., თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევები ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, აწსუ, ქუთაისი, 2010.

სტატისტიკის ძველი აღთქმისეულ ასპექტებში ნათლად არის გამოკვეთილი აღრიცხვიანობის თემა, რომელიც ორგანიზაციულად სტატისტიკური დაკვირვების სამი ფორმიდან (ანგარიშგება, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებანი და სარეგისტრაციო დაკვირვება) მიეკუთვნება ანგარიშგებით და სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებების ფორმებს. ანგარიშგება დგება პირველადი აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე და შესაბამისი, წინასწარ დამტკიცებული ფორმების მიხედვით. პირველადი აღრიცხვა ეწოდება სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფაქტების სისტემატური ჩანაწერების გაკეთებას შესაბამისი ფორმების მიხედვით. ანგარიშგებანი კი არის საერთო სახელმწიფოებრივი და შიგასაუწყებო, ასევე წლიური და მიმდინარე. სპეციალურად ორგანიზებულ სტატისტიკურ დაკვირვებებს მიეკუთვნება მოსახლეობის აღწერა, მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობის, პირუტყვის სულადობის დადგენა, შინამეურნეობათა საბიუჯეტო გამოკვლევები და სხვა, რასაც ძველ აღთქმაში წიგნში „რიცხვნი“ მრავლად ვხვდებით.

მოსახლეობის აღწერა მიზნად ისახავს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის დადგენას. საბიუჯეტო გამოკვლევები მიზნად ისახავს შინამეურნეობათა შემოსავალ-გასავლების დადგენას. იგი ტარდება შერჩევითი წესით და მონაცემები გამოიყენება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონისა და დინამიკის დასადგენად და ა.შ. მაგალითად, სოფლის მცხოვრებთა საბიუჯეტო გამოკვლევები მოიცავს მათი ყველა ფულადი და ნატურალური შემოსავლების, აგრეთვე ხარჯების აღრიცხვას კვების პროდუქტების, ტანსაცმლისა და ფენსაცმლის და სხვათა შეძენაზე. სტატისტიკის, ეკონომიკისა და მართლმადიდებლური სწავლების მიმართების საკითხები სხვადასხვა კონტექსტით განხილული აქვთ და ავტონომიური გამოკვლევები მიუძღვნეს პროფესორებმა: ნ. ჩიხლაძემ, გ. შიხაშვილმა, აკ. ბაკურაძემ, პ. კოლუაშვილმა, ი. მესხიამ, ბ. ახვლედიანმა, ნ. ბაკაშვილმა, მ. ცეცხლაძემ, ი. გაგნიძემ, ა. კნუტოვმა, ს. ლუკინმა, და სხვებმა. რელიგიური მართლმადიდებლური რწმენა საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ცხოვრებისეული განსაცდელის დროს ადამიანს ნუგეშით ავსებდა, ძალას მატებდა და მომავლის იმედს უსახავდა.

ეროვნულ ფასეულობათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო ეკონომიკურ-სტატისტიკურ საქმიანობას უკავია. ბიბლიაში ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის, მათ შორის ეკონომიკის საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი. საზოგადოებრივი განვითარების და კერძოდ, სტატისტიკური საქმიანობის, ზოგადი საფუძველი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სტატისტიკის უზოგადესი საფუძველების გააზრებისათვის აუცილებელია ბიბლიაში ასახული ეკონომიკური თემატიკის სათანადო შესწავლა¹.

რწმენა და მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ იყო ქართველი ერის მამოძრავებელი ძალა. „თუ გვსურს საქართველოს ისტორიაში განმეორდეს XII საუკუნე, მაშინ სახელმწიფო ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს კერძო, პირადი ინტერესები, და ორივე მათგანში უპირატესობა უნდა მიენიჭოს სულიერს მატერიალურთან შედარებით“². სტატისტიკის, როგორც მეცნიერებისა და უდიდესი ქრისტიანული სიბრძნისა და მორალის პრინციპების ჰარმონიზაციის პოვნის მცდელობისას, ბუნებრივია, უპირველესად დავეყრდნით ძველსა და ახალ აღთქმას, ფსალმუნებს, წმინდა მამათა და საეკლესიო მოღვაწეთა ნაშრომებსა და გამონათქვამებს, ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეპისტოლეებს, გამოსვლებს.

ზოგადად, ძველი აღთქმის კანონის მიხედვით, ნებისმიერმა ადამიანმა ყოველწლიურად თავისი წლიური შემოსავლის მეათედი ღმერთს უნდა შესწიროს. ამის მოქმედი კურთხეულ არიან ღვთისაგან და უფალი ყველაფერში უმართავთ ხელს. პირველად მეათედი მოიხსენიება დაბადებაში: „კურთხეულ არს აბრაამ ღმერთისა მიერ მალლისა, რომელმან შექმნა ცა და ქუეყანა, და კურთხეულ არს ღმერთი მალალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი ქუეშე ხელთა შენთა. და მისცა მას აბრაამ ათეული ყოველთაგან“ (დაბ.14, 19-20).³

¹ მღვდ. ახვლედიანი ბ., შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძველები, თბ., „მერიდიანი“, 2009, გვ. 21-22, 28.

² გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, თბ., 2007, გვ. 16-17.

³ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, ქუთაისი, 2013, გვ. 88-90.

იაკობი მეათედს აწესებს ღმერთისათვის: „და ლოდი ესე, რომელ აღვდგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა, და ყოვლისაგანი, რაოდენი-რა მომცეს მე, ათეული მივსცე მას“ (დაბ. 28, 22). რიცხვებში ნათქვამია: „ასე ელაპარაკა უფალი მოსეს: უბრძანე ისრაელიანებს და უთხარი მათ: გახსოვდეთ, თავის დროზე შემომწიროთ საჩემო შესაწირავი, საჩემო პური, ჩემი საცეცხლო მსხვერპლისთვის, საჩემო კეთილსურნელება. უთხარი მათ: აი, საცეცხლო მსხვერპლი, რომელიც უნდა შესწიროთ უფალს: ორი წელგამოვლილი სალი ცხვარი დღეში, მუდმივი აღსავლენი მსხვერპლი. ერთი ცხვარი დილით შესწირე, მეორე ცხვარი საღამოსხანს შესწირე. საძღვნოდ - ეფის მეთაფი გამტკიცული ფქვილი, ჰინის მეთხედ სუფთა ზეთში ახელილი. ...ყოველი თვის დასაწყისში შესწირეთ აღსავლენად უფალს: ორი კურატი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი სალი ცხვარი. საძღვნოდ ეფის სამი მეთაფი გამტკიცული ფქვილი, ზეთში ახელილი, თითო კურატზე და ეფის ორი მეთაფი გამტკიცული ფქვილი, ზეთში ახელილი, თითო ვერძზე. საძღვნოდ ეფის მეთაფი გამტკიცული ფქვილი, ზეთში ახელილი, თითო ცხვარზე. აღსავლენი, კეთილსურნელება, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის“ (რიცხ. 28, 1-5, 11-13) და ა.შ.

მოსე საკუთარ ხალხს ამცნობს ღმერთის მოთხოვნებს, რომელთაგან ძირითადია თავის დროზე ღმერთისათვის შეწირვა: „ეტყოდა მოსე ყოველსა მას კრებულსა ძეთა ისრაელისათა და თქუა: ესე სიტყუა არს, რომელი გიბრძანა უფალმან და თქუა: მოიღეთ თქუენ თავისა თქუენისა შესაწირავად უფლისა. ყოველმან, რომელმან დაიჯეროს გულითა, მოიღოს ნაყოფად პირველად უფლისა ოქრო, ვეცხლი და რვალი“ (გამოსლ. 35, 4-5). როცა საემარისზე მეტმა ძღვენმა მოიყარა თავი, ღვთის განგებით მოსემ შეწყვიტა ძღვენის შეკრება: „უბრძანა მოსე და ქადაგებდეს ბანაკსა მას შინა და იტყოდეს: მამაკაცი და დედაკაცი ნურღარა მოგაქუს სნილად საჯმრად ნივთი იგი კაცისა მის სიწმიდისა, ამიერითგან კმა-ყვედ“ (გამოსლ. 36, 6).

მოგვიანებით, მეფე სოლომონმა მშენიერი ტაძრის აგების შემდეგ მსხვერპლი შესწირა უფალს. შეწირული ხარების რიცხვებია 22000, ხოლო ცხვრებისა 120000 შეადგინა.

საინტერესოა საკითხი: რას გულისხმობდა მეთაფი? ეს იყო რენტული გადასახადი, ფულადი გამოსაღები თუ სხვა ბუნების მატარებელი. უპირველესად, მეთაფი მოიაზრებდა ადამიანის შრომით გამოძუშავებულ მეთაფ ნაწილს. ძველი აღთქმის მიხედვით,¹ მეთაფი სამ ნაწილად (სახედ) იყოფა: 1) პირველი მეთაფი განკუთვნილი იყო ლევიტელთათვის. „ყოველივე ათეული თესლისაგან ქუეყანისა ნაყოფითგან ხისაით წმიდა იყოს უფლისა ღმრთისა. უკუეთუ ხსნით იხსნეს კაცმან ათეული თვისი, მეხუთე იგი შესძინოს მას ზედა, და იყოს იგი მისა. ყოველივე ათეული ზროხათა და ცხოვართა და ყოველივე, რაოდენი განვიდეს რიცხუსა მას კუერთხსა ქუეშე, ათეული იგი იყოს წმიდა უფლისა. არა შესცვალო კეთილი ბოროტად, არცა ბოროტი კეთილად. უკუეთუ შეცვალებით შესცვალო იგი, ნაცვალიცა იგი მისი იყოს წმიდა, არღარა იხსნეს“ (ლევ. 27, 30-33). ისინი, ვალდებული იყვნენ მიღებულიდან მეთაფი მღვდლებისათვის მიეცათ (მღვდლებს და ლევიტელებს არ ჰქონდათ მუშაობის უფლება). ნიშანდობლივია, რომ ამ გადასახადით იბეგრებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (პირუტყვი, მარცვლეული, ხილი, ღვინო, ზეთი) და არა სხვა სახის საქმიანობა (მაგ., მშენებლობის, მხატვრების, მჭედლების, თერძების საქმიანობა). ამ გადასახადის გადამხდელად ითვლებოდა მთელი ისრაელი (ლევიტელთა ჩათვლით). მას არ იხდიდნენ მღვდლები. 2) მეორე მეთაფი ძირითადად, განკუთვნილი იყო იერუსალიმში რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისათვის: „ვერ შეშვამო შენ ქალაქთა შინა შენთა ათეული იგი იფქლისა შენისა და ღვინისა და ზეთისა შენისა და პირმშობი ზროხათა შენთა და ცხოვართა შენთა და აღთქუებული იგი აღნათქუეთა შენთა, და შესაწირავი იგი აღსაარებათა თქუენტა და პირველი იგი ნაყოფთა ქმნული იგი აღსაარებათა თქუენტა და პირველი იგი ნაყოფთა ქმნული ელთა თქუენტა, არამედ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შეშვამო იგი ადგილსა მას, რომელსაცა-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან, შენ, და ძემან შენმან, და ასულმან შენმან, და მონამან და მხეველმან და ლევიტელი იგი, რომელ დამკვიდრებულ იყოს ქალაქთა შენთა, შვამდე და იხარებდე წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ყოველსა მას ზედა, რომელსაცა შეგეხოს ხელი შენი“ (II სჯ. 12, 17-18). 3) მესამე

¹ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, ქუთაისი, 2013, გვ. 88-90.

მეათედს იხდიდნენ მესამე წელს ქერივ-ობლებისა და ლევიტელთა სასარგებლოდ: „უკეთუ გამოასრულო გამოცემად ყოველი იგი ათეული ნაყოფისა მის ქუეყანისა შენისა წელსა მას მესამესა, მეორე ნაწილი ათეულისა მის მისცე ლევიტელსა მას და მწირსა მას, და ობოლსა მას და ქურივსა მას, ჭამენ ქალაქსა მას შინა შენსა და განძღებოდინ“ (II სჯ. 26, 12).

მეათედის გამოთვლა შვიდწლიანი ციკლის მიხედვით ხდებოდა (ამდენად, მესამე მეათედს იხდიდნენ მესამე და მეექვსე წელს). ნატურით გადახდილი მეათედის გამოსყიდვისათვის, ანუ მისი ფულადი ეკვივალენტით შეცვლისათვის, დამატებით საჭირო იყო მეხუთედის (20%) გადახდა, რაც ბუნებრივია, გამოსყიდვის ანტისტიმულს წარმოშობდა¹, საიდანაც ირკვევა, რომ იმ პერიოდში კარგად ერკვეოდნენ (ქონების, მოსავლის და ა.შ.) აღრიცხვაში და შემდეგ წილობრივი ნიშნის მიხედვით - გამოყოფა-გაცემაში.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკისა და ზოგადად სტატისტიკის ბიბლიური გააზრება თანამედროვე სტატისტიკური მეცნიერების უფრო სიღრმისეული შესწავლა-განვითარების საშუალებას იძლევა, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

Nona Akhvlediani

Biblical aspects of statistics

Resume

The paper *Biblical Aspects of Statistics* deals with the origin and development of statistics in biblical times before our era, which is proved with the definitions of the Old Testament. Some aspects of the Old Testament clearly prove the existence of record-keeping, which belongs to one of the forms of statistical observation. Special statistical surveys include an inventory of the population, the number of perennial plants, the number of cattle, examining the budget of households, etc., which is found in the "numbers" in the Old Testament.

Currently, it is necessary to understand the economic and statistical laws of human development from religious and ethical viewpoint. The Bible and theological morality and economic and statistical activities based on these principles are the most important among the values of a nation and humankind. Bible describes the foundation of the whole world and each of its constituent parts, including the economy. The study of economic and statistical issues found in the Bible is essential for socio-economic development of a country and understanding general bases of statistics mankind and in particular statistical activity, total conceptual basis and methodology of practical activities. Hundreds of millions of people use the wisdom of the Bible based on truth and purity of the Lord's commandments in their everyday life. Economic world of the Bible is extremely diverse. It reflects themes such as management, economic activities, labor, agriculture, money, finance, payment, debt and customs activities, profit, accounting, statistics, planning, organization, motivation, control, and others. All this confirms supreme theological and methodological value of the Bible. Accordingly, it can be said that it is necessary to achieve the combination of material and spiritual needs approved by the God. This will provide divine spiritual development of society.

¹ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, ქუთაისი, 2013, გვ. 88-90.

ქორწინება და განქორწინება - შედეგები და რელიგიური ხელვა

საქართველოში რთული დემოგრაფიული სურათის ფონზე - ბუნებრივი მატების არასასურველი და არამდგრადი ტემპების, მიგრაციის უარყოფითი საფუძვლი, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განმსაზღვრელი მიზეზების შესწავლა დაგეგმარება მრავალი მიმართულებით სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მიღების გზის გამონახვაში.

ნათელია, რომ სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს ძლიერი და მტკიცე ოჯახები წარმოადგენს, მაგრამ ასევე მძიმე შედეგს იძლევა განქორწინებით დაშლილი თითოეული ოჯახი. განქორწინებას, როგორც წესი, მოყვება მრავალი უარყოფითი თანდასწრე სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური მოვლენა. შესაბამისად, იზრდება მარტონელა ოჯახების რიცხვი, განქორწინებულები ხანგრძლივად იმყოფებიან სტრესულ მდგომარეობაში¹, შედეგად, მცირდება მათი შრომის ნაყოფიერება და/ან კარგავენ სამუშაოს, იკლებს შემოსავლები, იზრდება ხარჯები... და, საბოლოოდ, შესაძლოა ეს ყოველივე აისახოს მათ სოციალურ სტატუსზე².

ნაშრომს არ აქვს პრეტენზია სიღრმისეულად აჩვენოს ქორწინებისა და/ან განქორწინების პირობები, სტადიები, მიზეზები და ა.შ. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება, თუ საზოგადოების და სამეცნიერო წრეების ყურადღებას მიიპყრობს ამ პროცესების მართვაში რელიგიური ნიშნის გამოყენება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა პოზიცია უჭირავს მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ცალკეულ აღმსარებლობაში ქორწინების ფენომენს და განქორწინებას.

ქორწინებას რელიგიებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ პროცესს თან ახლავს განსაკუთრებული რიტუალი, იგი ყველასთვის დღესასწაულია და სიხარულის მომტანი... სრულიად სხვა მიდგომაა განქორწინების მიმართ, პირიქით, იგი ითვლება მძიმე მდგომარეობად და, თითქმის ყველა შემთხვევაში, დაწესებულია მნიშვნელოვანი შეზღუდვები.

კათოლიციზმის მიხედვით, ქორწინების საკითხის განხილვას მრავალი ნაშრომი ეძღვნება, მათ შორის, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პოპულარული გამოცემები. ქორწინება ითვლება როგორც საიდუმლო მოქმედება და ურღვევი კავშირი (მთ. 19, 6), რომლის შეწყვეტა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეიძლება მხოლოდ მეუღლის გარდაცვალებით. რომის კათოლიკური ეკლესიის პაპსაც კი, რომელსაც თითქმის შეუზღუდავი უფლებები აქვს, არ აქვს უფლება საკუთარი ნებით დაარღვიოს მოქმედი რომელიმე საქორწინო კავშირი. თუმცა, დაიშვება მეუღლეთა ე.წ. სეპარაცია, დაცლიება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია მათი თანაცხოვრების გაგრძელება, მაგრამ ესეც იშვიათ შემთხვევაში³.

იუდაიზმში ქორწინების ძირითად საზრისს წარმოადგენს კაცთა მოღმის გაგრძელება – შვილიერება და მომავალშიც შთამომავლობის მიცემა, რაც უპირველესად განიხილება, როგორც ღვთის წყალობის ძირითადი ნიშანი და, პირიქით, შვილების არყოლა წყველად, განსაკუთრებით ქალისთვის. მისი მიმდევრები თვლიან, რომ „სიცოცხლის გაგრძელება“ შთამომავლობაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქორწინებით. განქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღება მთლიანად დამოკიდებულია ქმარზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, იუდეველთა შჯულობით, დაიშვება ცოლის მიერ მიმართვა სასამართლოსთვის, რომ ქმრისგან მიიღოს ე.წ. გაყრის (განტევის) წერილი, მეუღლის უღირსი ქცევის ან/და საქმიანობის გამო. ქმარსაც აბრკოლებს სჯული არ გაეყაროს ცოლს, გარდა დადასტურებული დალატისა.⁴

¹ ასეთ შემთხვევებში, შვილებიც ვარდებიან მძიმე მდგომარეობაში, რაც აისახება მათი სწავლის შედეგებში, სავარაუდოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობაში და ა.შ. (მაგალითისათვის იხ.: www.gesj.internet-academy.org.ge)

² Чихладзе Н., Бакурадзе А. К вопросу о православном и экономическом осмыслении брака и развода, Материялы международной научно-практической конференции, Минск, 2016 .

³ სრულად იხ.: <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167/>; <http://www.religiopolis.org/documents/7531-katoliche-skaja-model-semi-i-braka-v-publichnoj-sfere-moskva-2014.html>

⁴ სრულად იხ.: www.rabbiavidavidrosen.net/Articles/Judaism/Family%20in%20Judaism.doc; <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167>

ბუდიზმში ქორწინება ითვლება საზოგადოებრივ ინსტიტუტად და არა ადამიანებზე რელიგიის მოთხოვნით დადგენილი ხანგრძლივ კავშირად. ბუდას არ დაუდგენია არავითარი საქორწინო ცხოვრების კანონები და წესები, არამედ მან მისცა „წყვილებს“ ე.წ. რეკომენდაციები, თუ როგორ განხადონ ცოლ-ქმრული ცხოვრება ბედნიერი. მის ქადაგებებში მითითებულია, რომ მეუღლე უკეთესია, თუ იქნება ერთგული, არ ითამაშებს ნდობაზე, გრძობებზე, და ა.შ. საერთოდ, ბუდიზმის დამოკიდებულება ქორწინებაზე არ არის მკაცრი წესებით განსაზღვრული და არ არსებობს წესები, რომლებიც ავალდებულებს ბუდისტს გააჩინოს შვილები ან დაგეგმოს ბავშვთა შობა და აკონტროლოს მათი რაოდენობა. ამასთან, ბუდიზმში არ იკრძალება განქორწინება, თუ წყვილებს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმებული თანაცხოვრება. პირიქით ის იძლევა რჩევას, რომ ჯობია დაცილდნენ, ვიდრე დაიტანჯნონ და დატანჯონ ბავშვები...¹

ისლამში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებას. საქორწინო კავშირი რომ იყოს მყარი, ამისათვის ხდება ქორწინებამდე მომავალი მეუღლეების შეხვედრა, მათი რელიგიური შეხედულებების და სხვადასხვა სახის მისწრაფებების გაცნობა; აუცილებელია უფროსებიდან დალოცვა და მათგან დამოძღვრა..., რომ ოჯახი ეს არის ერთი მიზნით გაერთიანებული წყვილის თანაცხოვრება, რომლებიც გამუდმებით ცდილობენ მიაღწიონ პარმონიას, არ წარმოიშვას კონფლიქტი, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებული არიან სწრაფად მოავარონ ის. ამ კავშირს აწესრიგებს ისლამის საოჯახო სამართალი. ისლამში ქორწინება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რიტუალის დასასრულს აქაც ევედრებიან ღმერთს, რომ მომადლოს ახალდაქორწინებულებს მყარი და ბედნიერი მომავალი. რაც შეეხება განქორწინებას, ისლამში მასზე უფლების მოპოვება ქმარზეა დამოკიდებული, ან შარიათის მოსამართლეზე, თუ მას მიმართავს იმავე თხოვნით ცოლი და მყარი, ობიექტური მიზეზებით დაუმტკიცებს ქმართან თანაცხოვრების შეწყვეტის აუცილებლობას. თუ ქმარი არ თანხმდება, მაშინ მოსამართლეს შეუძლია თავისი ნებით გაწყვიტოს საქორწინო კავშირის სიმტკიცე. არსებობს განქორწინების სხვა მრავალი დამაბრკოლებელი წესიც.²

ინდუიზმში ქორწინებას აქვს დიდი ისტორიული ტრადიცია, რიტუალი და სოციალური მნიშვნელობა. ღირებულია მხოლოდ პირველი ქორწინება და მაქსიმალურად შეზღუდულია ქალი საქორწინო ურთიერთობებში. მისი ვალდებულებებიდან „განთავისუფლება“ არც დაქვრივების შემდეგაა. ფაქტობრივად ქალის ნებით განქორწინება არ ხდება და თუ ეს ქმრის ნებით მოხდა მაინც, დამნაშავედ ითვლება ცოლი, ეცემა მისი სოციალური სტატუსი და ა.შ. განქორწინების მიზეზია ასევე, თუ წყვილს 8 წლის მანძილზე შვილი არ გაუჩნდა, 10 წელი დაებადათ მკვდრადშობილი, 11 წელი - მხოლოდ გოგონები და სხვა პირობები.³

შედარებებმა აჩვენა, რომ საუკეთესო რამ, რაც შეიძლება ქორწინების მნიშვნელობის შესახებ დადგენილი წესები არსებობდეს, არის **მართლმადიდებლობაში**. იგი ეფუძნება ჭეშმარიტ წყაროებს - ძველი და ახალი აღთქმის წესებს, საეკლესიო კრებების დადგენილებებს, წმ. გარდამოცემებს, მოციქულთა და წმ. მამათა განჩინებებს და, საერთო ანგარიშით, შჯულის კანონს.

მაგალითისათვის განვიხილოთ იოანე ოქროპირის პოზიცია. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა ქორწინების შინაარსს,⁴ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე - ქორწინება:

- **ღვთისაგან არის დადგენილი** (დაბ. 2:18-24);
- **დაკანონებულია ყველა ქრისტიანისათვის**. „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს - თავისი ქმარი. ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს და ასევე, ცოლი ქმარს. თუ იქორწინებ არა სცოდავ და თუ ქალწული იქორწინებს არ სცოდავს“ (1 კორ. 13,4);

<http://goodcharacter.ru/tradicii/171-udaismtradicii>

¹ სრულად იხ.: <http://family.jrank.org/pages/183/Buddhism-Buddhism-Family.html>;

www.dhamma.ru/canon/kn/snp/sut_nip.htm; www.theravada.su/node/678

² სრულად იხ.: <http://www.fiqh.org/resources/an-ideal-muslim-family/>; <http://islam-today.ru/muslim-family>

³ სრულად იხ.: <http://family.jrank.org/pages/768/Hinduism-Hinduism-Family.html>; <http://mirvsemye.ru/semya-v-induizme.php>

⁴ სრული შინაარსი იხ.: <http://lib.cerkov.ru/preview/70>

- **ღირსეული უნდა იყოს ქრისტიანისათვის.** „ქორწინება ღირსეული და სარეცელი უმწიკვლო იყოს ყველასი, ხოლო შემრუმეთა და მეძავთ ღმერთი განსჯის“ (ებრ. 13,4);
- **ზოგჯერ გარდაუვალია.** „უქორწინებელთა და ქვრივთა მიმართ კი ვიტყვი: თუ თავს ვერ შეიკავებენ, დაე, იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება სჯობს გახელებას“ (1 კორ. 7,9). „ამიტომ მინდა, რომ ახალგაზრდა ქვრივები დათხოვდნენ, შვილები გააჩინონ, დასახლისები გახდნენ და ლანძღვა-გინების საბაბი არ მისცენ მტერს“ (1 ტიმ. 5,4);
- **ყველას როდი ძალუმს ქორწინება.** „უფალმა მოწაფეებს უთხრა: არიან საჭურისნი, რომელნიც დედის საშოდანვე ასე იშვნენ, არიან საჭურისნი, რომელნიც კაცთაგან დასაჭურისდნენ და არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დასაჭურისეს თავი ცათა სასუფეველის გულისათვის. ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს“ (მათ. 19,12);
- **დაქორწინებულთა მოვალეობაა.** „თვითეულ თქვეგანს უყვარდეს ცოლი თვისი, როგორც თავისი თავი, ხოლო ცოლს ემინოდეს თავისი ქმრისა“ (ეფეს. 5,33);
- **ქორწინება ურყევია მეუღლეთაგან, რომელიმეს გარდაცვალებამდე.** „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“ (მათ. 19,6).

წმიდანი მიიჩნევს ქორწინებას, როგორც ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას და ღვთით დადგენილ კანონს და განმარტავს, რომ ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება ქორწინებისადმი, როგორც კანონისადმი, თავად ღვთის მიერ არის დაკანონებული და ამიტომ ქორწინებისას ხდება არა მარტო ხორციელი შეერთება, არამედ იგი სახელდებულია, ვითარცა ქრისტეს და ეკლესიის საიდუმლო კავშირი.¹ ქრისტიანულ ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახი არის „პური არსობისა“, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნა და ღვთის სიყვარულით, რომელიც მის ბუნებას შეესატყვისება და არა ცოდვას.

ქრისტიანული ოჯახი დაფუძნებულია ერთობლივ საქმიანობაზე, პასუხისმგებლობაზე, „ერთიერთარს სიმძიმის“ ზიდვაზე... არ არის შემთხვევითი, რომ ქართულ ენაში სიტყვა „მეუღლე“ წარმოადგება „უღლისაგან“. უღელი ქართველი კაცისათვის დაკავშირებულია ხვნა-თესვასთან, მოსავლის აღებასთან, ანუ ოფლით და შრომით სარჩოს მოპოვებასთან... ამასთან, „უღლის გაწევა“ უფრო პროლექტიულია თუ ის გათვლილია წყვილზე. ამდენად, მეუღლე თავისთავად ნიშნავს, რომ ცოლ-ქმარმა ერთად უნდა იშრომოს, ზიდოს ჭაპანი ცხოვრებისა და მოიპოვოს „პური არსობისა“ და აღზარდოს ღირსეული შვილები. ცხოვრების ტვრთის ერთობლივი ზიდვა, სიმნელების დათმენა და გადატანა, ანუ მეუღლეობა კი არ განაშორებს, არამედ განამტკიცებს ადამიანთა ერთად ყოფნას. აუცილებლობის შემთხვევაში, სწორედ ეს უნდა იყოს თანაცხოვრების მთავარი პირობა - „Modus Vivendi“.

მეტად საინტერესოდ განმარტავს ქორწინების საკითხს ცნობილი დასავლელი მოღვაწე ჯ. პაპინი. იგი აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმარი - ერთი სხეული, განუყოფელი და განუშორებელია. ქალისა და კაცის ფიზიკური კავშირი, როცა იგი არ არის მრუმობა, არც წარმავალი ვნების აქტია, არამედ ორი ჯანსაღი, სუფთა არსების შერწყმა, თუ ის თავისუფალი არჩევანითაა განპირობებული და კურთხევის საზოგადოებრივი აქტითაა დამტკიცებული - მისტიციზმის აურიოთა გარემოცული და მისი გაფანტვა არავის შეუძლია. ასეთი კავშირისაგან ახალი არსება - ორივეს ნაწილი იბადება - მათი ერთობის ხილული სიმბოლო. ქორწინება არის „დათმობა“ დაშვებული ადამიანური ბუნებისა და გამრავლებისათვის. ის, რასაც ქრისტე უბიწოებაზე, ქალწულობასა და მარტობაზე ამბობს (მათ. 19:12), ყველას არ შეუძლია².

მეუღლეობა ჩვენი ადამიანური ყოფის ერთგვარი ნორმაა, ბუნებრივი მოვლენაა. სამწუხაროა, როცა თანამედროვე პირობებში ოჯახი განიხილება, როგორც თანაცხოვრების ერთ-ერთი ფორმა. ქრისტიანობა პრობლემატურად მიიჩნევს თანაცხოვრებას ქორწინების, მეუღლეობის გარეშე. ამას არ ახლავს ღმერთთან მიმართება, მორალური პასუხისმგებლობა. უხეშდება სული და ადამიანი კარგავს სიყვარულის უნარს.

შეიძლება გამოვეყნოთ რამდენიმე მომენტი:³

¹ სრულად იხილეთ: <http://www.orthodoxy.ge/ojakh/qortsineba1.htm#sthash.fv1up53g.dpuf>

² პაპინი ჯ. იესო ქრისტეს ცხოვრება, თბ., 2014, გვ. 210.

³ სრულად იხ.: <http://www.orthodoxy.ge/ojakh/ojakh.htm>; <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/surojeli/sikvaruli/qortsineba.htm>; <http://profi-rus.narod.ru/semya/brak-da-budet-chestnen-sbornik-statej-o-tselomudrii-i-brake.pdf>; <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167>; <http://www.wco.ru/biblio/books/vlvorob2/H1-T.htm>; <http://azbyka.ru/pravoslavnaya-semya/>

- ✓ ქორწინების „ეკლესიურობა“ სულაც არ გულისხმობს პირდაპირი გაგებით იურიდიულ „კანონიერებას“ ან „დაურღვევლობას“, არამედ, სწორედ ეკლესიის ღვთაებრივ-ადამიანურ ორგანიზმში ჩართულობას. ასეთი მიდგომა იმის აღიარებას გულისხმობს, რომ ქორწინება არ არის „კერძო საქმე“ და, შესაბამისად, იმასაც, რომ ქორწინების რიტუალი არ არის რიგითი საეკლესიო „წესი“¹.
- ✓ ქორწინება არის საიდუმლო, რომელიც აღესრულება მებრძოლი ეკლესიის მიერ, შესაბამისად, აქვს უდიდესი მნიშვნელობა ქრისტიანთა ცხოვრებაში. მათთვის ესაა კავშირი, რომელიც შეიკრა ზეცაში ღვთის კურთხევით, ამიტომაც ასეთი კავშირი უწმინდესია!
- ✓ როცა ეკლესია საიდუმლოების მნიშვნელობას ანიჭებს ქორწინებას, იმავდროულად ცათა სასუფეველი უშუალოდ მისაწვდომი ხდება ერთგული, მორწმუნე და მოსიყვარულე მეუღლეებისთვის; ქრისტიანულ ქორწინებაში გამრავლება არის ბუნებრივი, წმიდა და აუცილებელი პირობა ქორწინებაში სიცოცხლის სისრულის მისაღწევად, რადგან სიცოცხლის გადაცემა ადამიანში ღმერთის სახეს გამოხატავს და ამით საკუთარ ადამიანურობასაც,² რაც უდიდესი სიხარულია მშობლებისათვის. შედეგად, ქორწინებით ქრისტიანის შანსი, გახდეს სათნო ცხოვრების ღირსი, იზრდება! წმ. წერილში ხომ მრავალგზისაა შედარებული ღვთის სასუფეველი ქორწინებასთან - „საქორწინო სერობა“-სთან, ამიტომ ქრისტიანული ქორწინება, როგორც ღვთის სასუფეველის საიდუმლოება, ჭეშმარიტი გზაა მარადიულ სიხარულსა და სიყვარულში შესასვლელად.
- ✓ ჭეშმარიტი ქრისტიანული ქორწინება არჩევანის თავისუფლებაზეა დაფუძნებული. ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის პირობებში შექმნილი ოჯახი ბათილია (წმ. ბასილი დიდი, განწესება 22 და 30), ხოლო პირები, რომლებიც ძალადობაში არიან შემჩნეულნი, განყენებულნი უნდა იქნენ (IV მსოფ. კრება, განწესება 27).
- ✓ ქრისტეს სიტყვებში განქორწინების შეუძლებლობის შესახებ (მთ. 19, 6)³ უფრო მეტი სიცხადით იკვეთება ქრისტიანული ქორწინების ბუნება. იქვე ნახსენები მრუშობა⁴ მოტანილია, როგორც წმ. კავშირის „დამარღვევლი საბუთი“, ანუ ის შეუთავსებელია მრუშობასთან და ამ ცოდვის ჩადენა დასტურია იმისა, ქორწინება აღარ არსებობს, ანუ წყვილმა ვერ შეძლო მისი, როგორც „ღვთის სიტყვის“ მიღება, დამარხვა-დატყვება და აღსრულება...
- ✓ ქრისტეს მოწოდება აბსოლუტური ერთქორწინებისაკენ გაუგებრად ეჩვენებოდათ მის მსმენელებს (მთ. 19, 10), რადგან ახალი აღთქმით სიყვარული არის მოცემულობა, რომელიც მხოლოდ გამოცდილებით შეიმეცნება, იბადება და ყალიბდება ურთიერგაგების საფუძველზე, მომავალში ერთმანეთზე ზრუნვითა და თავისდადებით...
- ✓ განქორწინება როგორც ფაქტი, შეუძლებელია აიხსნას მხოლოდ სამართლის, სოციოლოგიის, ეკონომიკის ან თუნდაც ფსიქოლოგიის კატეგორიებით. წმ. მამები განქორწინებას მუდამ ცოდვად განიხილავენ და ეკლესიის არსებობის ისტორიაში იკურთხებოდა და განმტკიცდებოდა ევქარისტიული ზიარებით მხოლოდ პირველი და ერთადერთი საქორწინო კავშირი,⁵ რასაც სიცოცხლესავით გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება!

¹ სრულად იხ.: [Протопресвитер Иоанн Мейендорф](http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167). Брак и Евхаристия - <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167>

² თვით ქრისტე თავის მოწაფეებთან ბოლო საუბარში (საიდუმლო სერობის დროს), სადაც მან ევქარისტიის საიდუმლოება დაადგინა, შთამომავლობის დაბადების სიხარულს ახსენებს: „ქალი, როცა შობს, წუხს, ვინაიდან მოიწია მისი ჟამი; მაგრამ როცა შობს ყრმას, სიხარულისაგან აღარ ახსოვს ტანჯვა, ვინაიდან ადამიანი იშვა ქვეყნად“ (იოანე 16.21). სრულად იხ.: <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1167>

³ შედარ.: მრკ. 10, 9; რომ. 7, 2; 1 კორ. 7, 10-14; ეფ. 5, 28; ებრ. 13, 4 და სხვ.

⁴ განქორწინების საფუძველად დასახელებული ერთადერთი შემთხვევა.

⁵ იგი რაიმე „აბსტრაქტული კანონი“-თ ან მორალური აკრძალვის ძალით კი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, არამედ - თავისი არსებით.

გამომჟღავნებაა, რამაც გამოიწვია სიყვარულის „განღება და ჩაქრობა“. ჩამოთვლილი ფაქტორები აღმოიფხვრება, თუ მეუღლეები იცხოვრებენ „მოყვასის სიყვარულის“ მცნების უბრალოდ აღსრულებით და, რომ ისინი კი არ არიან ერთმანეთის „მტრები“, არამედ ცოდვაა მათი მტერი(!) და რამდენადაც დაცოდებიან ცოდვას, იმდენად მტკიცე იქნება ქორწინება. შედეგად, იარსებებს მყარი და ძლიერი ოჯახები, გაიზრდება შობადობა, გაუმჯობესდება სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია და, საერთოდ, საზოგადოებრივი მდგომარეობა...

ქრისტიანთა ქორწინება თავისი ჭეშმარიტი არსით წარმოადგენს ცოლისა და ქმრის არა მარტო გარეგნულ შეერთებას, არამედ მათი სულების შინაგან გამთლიანებას, ურთიერთშეწვევასა და სრულყოფილებისაკენ ლტოლვას. ამიტომ ოჯახები, ქორწინებით განმტკიცებულნი და ღმრთივკურთხეულნი, ჯანსაღი საზოგადოებრივი ორგანიზმის შექმნის საწინდარია. ქორწინების და განქორწინების 2006-2014 წწ. დინამიკა არცთუ მოსაწონია საქართველოსთვის.¹ სტაბილურად მზარდი განქორწინების ფონზე, ქორწინების კოეფიციენტის დინამიკა ნამდვილად არა სახარბიელოა, მიუხედავად მისი 8,5 ნიშნულამდე ასვლისა, რაც უახლოესი წლების ოპტიმისტური პროგნოზისთვის საკმარისი მაინც არ არის.

ამ მიზეზებიდან უპირატესობით ეკონომიკური ფაქტორები (უმუშევრობა, დაბალ შემოსავლები, არასაკმარისი საცხოვრებელი პირობები და სხვ.) ჭარბობს მაინც მაშინ, როცა ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლები² თითქოს სტაბილურად იზრდება, მისი აბსოლუტური მნიშვნელობა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მცირეა და, შედეგად, დიდია ღეფიციტი ცალკეული ინდივიდის და, რათქმა უნდა, მთლიანად ოჯახის მოთხოვნილებასა და მოთხოვნას შორის.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის: ქორწინება უბრალოდ სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი ან დემოგრაფიული მოვლენაა არაა, ის მათთვის მეტს ნიშნავს. მათი აზრით, ქორწინების მნიშვნელობის და ოჯახის, როგორც ახალი საერთო ინტერესების მქონე სოციოერთობის შექმნის შესახებ „სწავლა“ უნდა იწყებოდეს საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში და კარგი იქნებოდა თუ გამოიყენებდნენ და გაამახვილებენ ყურადღებას რელიგიურ ნიშანზე, ანუ თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებას სხვადასხვა რელიგიებში და ა.შ.

ახლა, როცა ეკლესიას თითქმის არ გააჩნია სამართლებრივი უფლებები იურიდიულად „დააკანონოს“ ქორწინება, შესაძლო და სასურველიცაა ადრეული ეკლესიის პრაქტიკასა და საქმიანობასთან დაბრუნება. ევქარისტია ისევ უნდა გადაიქცეს ქრისტიანული ქორწინებისთვის მისი ჭეშმარიტი აზრის მიმნიჭებელ ბეჭდად და ნორმად, ურომლისოდაც ქორწინების საიდუმლოება მხოლოდ შელახული, უმიზნო და უშედეგო იქნება, რადგან ქრისტიანული სახელი ქრისტიანული ცხოვრების გარეშე მლიქვნელობაა და სხვა არაფერი.

Akaki Bakuradze

Marriage and divorce - outcomes and religious viewpoint

Resume

The foundation of a strong state is a strong family. Every divorced family can lead to serious problems. As a rule, divorce is usually followed by many various negative social, legal and economic circumstances. Taking into account high public interest, it is equally important to know what the attitudes of the world's most common religions, including Catholicism, Judaism, Buddhism, Islam, Hinduism and Orthodoxy, are towards the phenomenon of marriage and divorce.

¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=166&lang=geo

² http://geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo

It is regrettable that in modern conditions the family is seen as one of the forms of cohabitation. Orthodoxy doesn't approve cohabitation of unmarried couples. In its true essence a Christian marriage is not only the physical union of husband and wife, but the unification of two souls, mutual assistance and striving for perfection.

The dynamics of marriage and divorce in 2006-2014 is not very favorable for Georgia. Against the background of the steadily growing number of divorces the dynamics of the marriage coefficient is really poor. Despite the fact that it has reached 8.5% it is not enough for making optimistic forecasts for the upcoming years.

Factors that have a significant impact on a sharp increase of number of the divorces in Georgia have a strongly individual character, such as: domestic violence, drunkenness, drug abuse, infidelity, endless disputes, jealousy, etc. The base of breaking up the marriage is the manifestation of human weakness which has led to the state where love is "diminished and extinguished".

The above factors will be eliminated if the spouses execute one of the greatest commandments and live with "the love of neighbor"; if they believe that they are not each other's "enemies", but it is their enemy to be pitied (!) The further they are from their sins, the stronger their marriage will be. As a result, the number of solid and strong families will increase, the birth rate will go up, the social and economic conditions as well as the social situation, in general, will improve.

თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის სამეურნეო-სამართლებრივი ასპექტები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში

მიმდინარე წელს ქართველი ერი აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს.

დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელმა, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა დასაბამი დაუდო საქართველოს ისტორიის ღრმა მეცნიერულ კვლევას. იგი უაღრესად მრავალფეროვანი ნაშრომების ავტორია.

ივ. ჯავახიშვილის ცალკეული ნაშრომები მის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც არაერთხელ გამოცემულა, მაგრამ მეტ-ნაკლებად სრულად გამოიცა 1977-1998 წლებში თხზულებათა თორმეტტომეულის სახით.

თავის კვლევებში მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკისა და მართვის თეოლოგიურ, ქრისტიანულ ასპექტებს. ამ მხრივ აღსანიშნავია:

- „ქართველი ერის ისტორია“, 12-ტომეულის I-III ტომები.
- „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ – IV-V ტომები.
- „ქართული სამართლის ისტორია“ – VI-VII ტომები.
- მეცნიერის მიერ 1898-1912 წლებში შექმნილი ცალკეული შრომების კრებული – ტ. XII.

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები ასახულია ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ნაშრომებში:

- ტომი I – ნივთიერი კულტურის ისტორიის მთავარი პრობლემები კავკასიაში (თავი მეოთხე. საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I საუკუნიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე; თავი მეხუთე. საქართველოს კულტურა I-VII სს. ქრ.შ.);
- ტომი II – თავი მეშვიდე. საქართველოს სოციალური და კულტურული მდგომარეობა გაერთიანების ხანაში; თავი მერვე. საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანა; თავი მეცხრე. საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება ძლიერებისა და აყვავების ხანაში; დამატება I. მოკლე მიმოხილვა XI-XII სს. ისტორიისა; დამატება II. სახელმწიფო და სოციალური წყობილება და კულტურა X-XI სს. საქართველოში. საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე;
- ტომი III – საშინელი ეკონომიური კრიზისი საქართველოში და მის შესწავლასად აღმ. საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული გაბედული აგრარული ღონისძიება. სრულიადი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და კვლავ აღდგენა. XVII. გიორგი ბრწყინვალე მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი. მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე. ბაგრატ მეფე. უკანასკნელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად. საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში. საქართველოს ვითარება XV საუკუნეში;
- ტომი IV – საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. კარი პირველი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები; კარი მეორე. სასოფლო მეურნეობა;
- ტომი V – საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. მემტილეობის, მენილეობისა და მევენახეობის კულტურის ზოგადი საკითხები;
- ტომი VI – ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი. კარი მეორე. ქართული სამართლის წყაროები (თავი პირველი. საეკლესიო სამართლის ძეგლები; თავი მეორე. საერო კანონმდებლობის ძეგლები);

- ტომი VII – ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. კარი პირველი. სახელმწიფო სამართალი (თავი მესამე. ეკლესია; თავი მეოთხე. საქართველოს მეფე და მეფის ხელისუფლების ისტორია). კარი მესამე. საკორპორაციო სამართალი;
- ტომი XII – საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. საქართველოს ეკონომიური ისტორია.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი განვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. ეკლესიის და სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ღონისძიებების შედეგად საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ასეთ მიზანს. აუცილებელია საზოგადოებრივი განვითარების სულიერ-ხორციული და სამეურნეო-სამართლებრივი საწყისების ჰარმონიზაცია, რაზეც ბევრს ფიქრობდა და წერდა წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე). მას მიაჩნდა, რომ საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კანონმდებლობისა და მეურნეობის მეშვეობით, რომელიც ისტორიისა და ცხოვრების ღვიძლი შვილია და მთლიანად ადგილობრივი ცხოვრებიდან გამომდინარეობს¹.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გადვიანოთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შესამეხვეტი ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქილამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეთისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰყენდა აწმყოსა დამომავალსაც გზას გაუნათებდა“².

სწორედ ასეთი მიდგომის საფუძველზე შეუდგა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევას და დროთა განმავლობაში ჩამოაყალიბა მეცნიერული თვალსაზრისი ჩვენი ქვეყნის წარსული ეკონომიკური ძლიერების საფუძველების შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგი წერს, რომ „მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში მოწინავე პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი მშრომელი ქართველი ხალხის გამუდმებული მუშაობით, წარმატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვითა და პროგრესული სოციალური და სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლით, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა. დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარის შორს გამჭვრეტელმა გეგმიანმა სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობამ, საშინაო და საგარეო წინდახედულმა პოლიტიკამ წინათ პატარა სამეფოდ მყოფი საქართველო, რომელიც ქართველ ტომთა მთელ მოსახლეობასაც კი ვერ შეიცავდა, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძლიერ და სახელგანთქმულ სახელმწიფოდ აქცია, რომლის გავლენა მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში კარგად იყო საგრძობი“³. ამ ხანაში ჩვენს ქვეყანაში დიდად იყო განვითარებული სასოფლო მეურნეობა, მეცხოველეობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა. საქართველოდან ექსპორტზე გაჰქონდათ: ბამბა, მალემსრბოლი ცხენები და ჯორები, საუკეთესო ხარისხის მატყლი, ოქროქსოვილები,

¹ ჭავჭავაძე ი. ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზ., ტ. 4, თბ., 1955, გვ. 192-194.

² ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თხზ., ტ. 4, თბ., 1955, გვ. 176.

³ ჯავახიშვილი ივ. საქართველოს კულტურული ვითარება მეთორმეტე საუკუნეში. სახელმწიფოებრივი და სოციალური პრობლემები. მეცნიერება. მწერლობა. ხელოვნება. თხზ., ტ. 2, თბ., 1983, გვ. 384.

აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, ნავთი, სინდიყი (ვერცხლისწყალი) და სხვ. ტრანსპორტად გამოიყენებდნენ აქლემებსა და გემებს. თავისი სიძლიერის პერიოდში საქართველო ინტენსიური მეურნეობის და ფართო აღებ-მიცემობის წყალობით ფინანსურად მდიდარი ქვეყანა იყო. მისი ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს შემოსავალი 3,750 მლნ ოქროს მანეთს უდრიდა (ამავე ხანაში მცირე აზიის შემოსავალი იყო 2,475 მლნ ოქროს მანეთი, არაბეთის ერაცის – 2,250 მლნ ოქროს მანეთი, ფარსის – 2,154 მლნ ოქროს მანეთი, ინგლისის – 4,000 მლნ ოქროს ფრანკი, საფრანგეთის – 3,000 მლნ ოქროს ფრანკი)¹.

ბიბლიური მოძღვრებით ნასაზრდოები და საეკლესიო-სამეურნეო სამართალზე დაფუძნებული ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროა, რომელიც ისტორიულად აწესრიგებდა და მომავალშიც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას.

ამ მიმართულების განვითარებას მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა დიდმა მეცნიერმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ივანე ჯავახიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების და სოციალური წესწყობილების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა, ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. ამდენად საეკლესიო სამართლის ცოდნა ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მკვლევარისათვის აუცილებლად საჭიროა. ქართული სამართლის უძველესი ძეგლებიც სწორედ საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია და წყაროების განხილვა მათგანვე უნდა იწყებოდეს².

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საქართველოს სოციალური ისტორიის შესასწავლად კანონმდებლობის ყოველგვარი ძეგლები უნდა იქმნეს გამოყენებული. რადგან ქართული საეკლესიო სამართლის როგორც შეცულობა, ისევე მისი მოქმედების ასპარეზი მართლ წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა, რაკი ეკლესიას საქართველოში თავისი დროშა და საკუთარი ჯარი ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა მოეპოვებოდა, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდა და თავისივე სასამართლო, ამიტომ ქართულ ეკლესიას ბევრის მხრით სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობოდა“³. ამის გამო, მეცნიერს მიაჩნდა, რომ აუცილებელია მთელი საეკლესიო ცხოვრებისა და შესაბამისი სამართლის ყოველმხრივი, მათ შორის ეკონომიკური და მმართველობითი პოზიციებიდან შესწავლა.

ივანე ჯავახიშვილი ქართულ საეკლესიო სამართალს იკვლევდა, ერთი მხრივ – როგორც საეკლესიო წესწყობილების მომწესრიგებელს, ხოლო, მეორე მხრივ – როგორც სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიის და დაწესებულებათა პატრონს, ამასთან საეკლესიო სამართლის მოძღვრებას განიხილავდა, როგორც სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე გავლენის მქონე ფაქტორს⁴.

საეკლესიო სამართლის ძეგლებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიდი სჯულის კანონს⁵, რომელიც დადგენილია როგორც სავალდებულო კოდექსი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მისი მთავარი ღირსება არის ის, რომ იგი შინაარსით და ქრონოლოგიურად სისტემაში არის მოყვანილი, შეიცავს სამეურნეო-მმართველობით, სამოქალაქო კანონმდებლობასაც და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლების ნაკვეთებსაც.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „დიდი სჯულის კანონი“ პირველად უცნობი კერძო პირის მიერ არის შედგენილი VI საუკუნეში და თანდათან ჩრდილავს იმ დროს არსებულ სხვა კრებულებს. ხოლო, სიღრმისეული კვლევისა და სხვადასხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ბჭობა-პაექრობის შემდეგ ასკვნის, რომ იგი სავარაუდოდ IX-X სს-ში ქართულადაც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, რადგან იმ პერიოდში ტაო-კლარჯეთ-მავშეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში სამწერლობო მოღვაწეობა იყო გაჩაღებული და

¹ იქვე, გვ. 392.

² ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), თხზ., ტ. 6, თბ., 1982, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 37.

⁴ იქვე, გვ. 37-38.

⁵ იხ.: დიდი სჯულის კანონი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1987.

ბიზანტიის განათლების უმთავრეს სავანებთან მჭიდრო სულიერი კავშირი დამყარდა. თუმცა, ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ ამ პერიოდის „დიდი სჯულის კანონის“ ქართული თარგმანის არც არსებობის შესახებ მოიპოვება ცნობები და არც მსგავსი ძეგლებია შემორჩენილი. ის ამ დაშვებას, ძირითადად, ექვთიმე მთაწმინდელის შრომაზე აფუძნებს, რომელიც VI მსოფლიო კანონების თავისეულ თარგმანს „მცირესა... სჯულის-კანონსა“ უწოდებს¹.

დიდი სჯულის კანონში ფართოდ არის ასახული სამეურნეო და მმართველობითი ხასიათის მრავალფეროვანი თემატიკა, რომელიც ფრიალ აქტუალურია როგორც საერო, ასევე საეკლესიო საზოგადოებისათვის.

დიდი სჯულის კანონი არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი დამატებებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პერობა მართებს ყველა ქრისტიანული მართლმადიდებლობის ადამიანს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას. დიდი სჯულის კანონი სულიერ მომენტებთან ერთად, არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მმართველობით, კულტურულ, ეკოლოგიურ, ზნეობრივ და სხვა სფეროებს.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართული საეკლესიო სამართალი მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობაზე იყო დამყარებული და მათ მიერ შემუშავებული ძეგლები სავალდებულო ხასიათს ატარებდა. ქართული საეკლესიო სამართლის შედგენილობის ძირითად წყაროს მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებები წარმოადგენდა.

მსოფლიო კრებების გარდა, ივანე ჯავახიშვილს საეკლესიო კანონმდებლობის სათავედ ადგილობრივი კრებები მიაჩნია. ამ მხრივ 1103 წელს შემდგარი რუის-ურბნისის საეკლესიო კრება გამოირჩევა, რომლის ძეგლისწერა არა მხოლოდ საგანგებოდ იქნა შენახული, არამედ დიდ სჯულის კანონშიც იქნა შეტანილი².

ივანე ჯავახიშვილი, აგრეთვე, განიხილავს დიდი სჯულის კანონის სხვა წყაროებსაც და მათ აქტუალურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის გვამცნობს, რომ მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა დადგენილებების გარდა, ქრისტიანულ წრეში, განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობოდნენ ყოველივეს, რაც მოციქულთა მოძღვრებას უკავშირდებოდა. მოციქულთა სწავლება და კანონები დიდი სჯულის კანონის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილად გვევლინება³.

დიდი სჯულის კანონში დასმული პრობლემების გადაჭრის სიბრძნე, დადგენილი კანონების იერარქიული სუბორდინაციის უპირობო დაცვით აღსრულებაში მდგომარეობს. იერარქია არის ღვთივდადგენილი ის მძლავრი იარაღი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციული მართვა, მართვის ორგანოების კომპეტენტურად დაკომპლექტება და საქმიანობის ეფექტიანი წარმართვა. იერარქიის გამოყენება შეუძლია საზოგადოების როგორც ჯანსაღ, ასევე, სამწუხაროდ, არაჯანსაღ ელემენტებსაც და სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული იერარქიული მართვა უღვევს საფუძვლად ომებისა თუ სხვა ნეგატიური მოვლენების ორგანიზებასაც.

მართვის იერარქიულ მეთოდთან ერთად დიდი სჯულის კანონში დარეგულირებულია სამეურნეო-მმართველობითი თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორცაა: შრომა; სიმდიდრე; ქონების მართვა; შემოსავლის მართვა; იერარქია და სუბორდინაცია; კადრების მართვა; ეკონომოსი; სოფლის მეურნეობა; მექრთამეობა; ვაზში; მომხვეჭელობა; უზნეო ბიზნესი; სიწმინდეთა ხელყოფა; ქრისტეს უარყოფა ყოფითი პრობლემების მიზეზით; საერო და სასულიერო საქმეთა შეთავსება; ბრალდების წაყენება; სასამართლო; მოწყალება; მოკრძალებულად ცხოვრება და სხვა.

დიდი სჯულის კანონი არაერთხელ ეხება მიწათსარგებლობის საკითხებს და მიწის რაციონალურ მოვლა-პატრონობას უმკაცრესად გვიდგენს, რასაც ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში არაერთხელ უსვამს ხაზს. ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული

¹ ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), თბ., ტ. 6, თბ., 1982, გვ. 38-39.

² იქვე, გვ. 53.

³ იქვე, გვ. 26.

ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც დაუცხრომლად მუშაობდა. ქართველ ერს არა მარტო მეზობელთა, არამედ „მოწინააღმდეგე ქვეყნებისგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობებში თავისი წვლილი შეუტანია“¹.

საქართველო მიწათმოქმედების უძველესი კერაა. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ქარ-ცეცხლი გამოიარა საქართველომ და წარმოუდგენელი სირთულეების გადალახვის – ჩვენი სახელოვანი მეფეებისა და თავდადებული მამულიშვილების მიერ წმინდა წერილისა და დიდ რჯულის კანონში დადგენილი ნორმების უპირობო დაცვისა და დაუღალავი შრომის შედეგად მოაღწია დღემდე.

შრომისა და მთლიანად ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის წარმოდგენილი ბიბლიაში. ჯერ კიდევ ევას შექმნამდე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15), ადამის და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4, 2). ადამიანი საწყისშივე შექმნილია მიწათმოქმედად – მეურნედ, და ამასთან მას მიეცა შემოქმედების უნარი და თავისუფალი ნება.

ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. ადამიანმა თავისი თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით უნდა გამოხატოს შრომით, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფეველში დამკვიდრების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამასთან, თავად შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქულის თქმით „ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს“ (2 თეს. 3, 10). და კიდევ: „ზარმაცის სულს სწადია და არა აქვს, ბეჯითთა სული კი გამსუყდება“ (იგავ. 13, 4).

ადამიანის ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს ინტელექტუალური თუ ფიზიკური, არის შრომა. შრომის ხარისხზე დამოკიდებული ყოველგვარი საქმის წარმატება.

კაცთმოყვარე უფალმა ადამიანის შრომა აკურთხა და წაახალისა. როგორც დავით მეფის ფსალმუნში ვკითხულობთ: „ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ“ (ფს. 127,1-2); ასევე: „აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი“ (ეკლ. 5,17). და: „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; – ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5,18).

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ პატიოსანი შრომით მოპოვებული სიმდიდრე ღვთის წყალობაა, რაც დანგრავში შეკრებილ წმიდა მამათა კანონებშიც დასტურდება, რომ არ უნდა შეურაცხვეთ სიმდიდრე, რომელიც სიმართლით არის შეძენილი და სიკეთისათვის იხარჯება (დანგრ. 21)². ეს უკანასკნელი ძალიან მარტივად და ამავდროულად - სიღრმისეულად არის ჩამოყალიბებული. სიმდიდრის პატიოსანი გზით მოპოვება როდი კმარა, რათა ღვთის კურთხევა მოიპოვო. ადამიანმა მისი სიკეთისათვის გამოყენება უნდა ისწავლოს, რაც სიმდიდრის მოპოვებაზე არანაკლებ რთულია.

ეკლესიური მართვის უმთავრესი პარადიგმა გადმოცემულია სარდიკის კრების კანონებში (მუხლი 14): „ეპისკოპოსს ევალება, რომ გულწრფელად უყვარდეს და გულითადად წყალობდეს თავის მსახურებს, ასევე მსახურნიც ერთგულად უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ეპისკოპოსის წინაშე“³.

დიდი სჯულის კანონი საეკლესიო ქონების მართვა-განკარგვას ეპისკოპოსს მნიშვნელოვან მოვალეობად და იერარქიულ უფლებამოსილებად უწესებს: – ყოველი ეპისკოპოსი „იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის“ (მოც. კან. 34); ეპისკოპოსი „უნდა ზრუნავდეს ყოველგვარ საეკლესიო ნივთებზე და განაგებდეს მათ, როგორც ღვთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. მაგრამ მას არა აქვს ნება, რომ მიიხვეჭოს რამე მათგან, ან თავის

¹ ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია (წიგნი მეორე), თხზ., ტ. 5, თბ., 1986, გვ. 12.

² დიდი სჯულის კანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 194.

³ იქვე, გვ. 230-231.

ნათესაებს აჩუქოს ღვთის საუნჯე“ (მოც. კან. 38); ამასთან „მღვდლები და დიაკვნები ნურაფერს ნუ გააკეთებენ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რადგან იგია, ვისაც აბარია ერი ღვთისა და ვისაც მოეკითხება პასუხი მათი სულებისათვის“ (მოც. კან. 39) და „ვბრძანებთ, რომ ეპისკოპოსს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება საეკლესიო ნივთებზე, რადგანაც თუ მას ჩაბარებული აქვს ადამიანების პატიოსანი სულები, რამდენად უფრო ნივთებზე შეიძლება ამისი დაშვება, რათა თავისი ძალაუფლებით განაგოს მან ყველაფერი და მღვდლებისა და დიაკვნების მიერ ღვთის შიშითა და სრული მოწიწებით უნაწილდებოდეს მთხოვნელებს“ (მოც. კან. 41)¹.

იერარქიული მორჩილების გზით ქონების განკარგვის ღვთივდადგენილი წესი გადმოცემულ-განმტკიცებულია სხვა კანონებშიც: წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს განწესებანი (მუხლი 14); ანკირიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლი 15); ანტიოქიაში შეკრებილ წმ. მამათა კანონები (მუხლები 24, 25); IV მსოფლიო კრების კანონები (მუხლები 22, 24, 25, 26); კონსტანტინოპოლის წმინდა მოციქულთა ტაძარში შეკრებილი ორგზისი წმინდა დიდი კრების დადგენილი კანონები (მუხლები 1, 6, 7) და სხვა კანონები.

ეკონომოსი ეპარქიის აუცილებელი საკადრო ერთეულია. ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერს და ეკლესიას.

ქალკელონის IV მსოფლიო კრების კანონებით დადგენილია: „როგორც გავიგეთ, ზოგ ეკლესიაში ეპისკოპოსები მართავენ საეკლესიო ქონებასა და საქმეს ეკონომოსის გარეშე. მივიჩნევთ, რომ ყველა ეკლესიას, რომელსაც ეპისკოპოსი ჰყავს, უნდა ჰყავდეს ეკონომოსიც, არჩეული სასულიერო პირთაგან, რომელიც უნდა განაგებდეს საეკლესიო საქმეებს ეპისკოპოსთან შეთანხმებით, რათა საეკლესიო ქონება მოწმის გარეშე არ იყოს დახარჯული და განაწილებული. ეს აღკვეთს საეკლესიო ქონების გაბნევას, რაც გამოიწვევდა სამღვდლოების გაკიცხვა-დაგმობას. ვინც ასე არ მოიქცევა, იგი საღვთო კანონთა მიერ დაისჯება“ (მუხლი 26)².

ნიკეის VII მსოფლიო კრება ადგენს: „საეპისკოპოსოებში და მონასტრებში აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსი. ვინაიდან ვალად გვაწევს ყველა საღვთო კანონის შესრულება, უცვლელად უნდა დავიცვათ აგრეთვე კანონიც, რომელიც ამბობს, რომ ეკონომოსის ყოფნა ყოველ ეკლესიაში არის საჭირო“ (მუხლი 11)³.

დიდი სჯულის კანონი მკაცრად კიცხავს ადამიანებს, რომლებიც მექრთამეობა-მომხვეჭელობის საქმეში, ვახშის აღებასა და სიწმინდეთა ხელყოფაში არიან შემჩნეულნი და მხილებულნი. ლაოდიკიის კრების კანონებში სწერია: „სამღვდლო პირმა არ უნდა გაასესხოს სარგებლით ფული და არ უნდა აიღოს ვახში და აღნადგინები“ (მუხლი 4);⁴ ასევე, კართაგენის ადგილობრივი კრების კანონებიც **ადასტურებენ:** „მიგვაჩნია, რომ თუ სასულიერო პირი ვინმეს ასესხებს ფულს, თუ ახსოვს, რამდენი მისცა, იმდენივე უნდა მიიღოს უკან. იგივე ითქმის ნივთზეც“ (მუხლი 16).⁵ ეს საკითხი სხვა კანონებშიც არაერთხელაა დადასტურებული.

საერთოდ, ბიბლიის მიერ „უარყოფილია ქონების სიყვარული, ვახში, აღნადგინები, ძალადობით თავის ქონებაზე სხვისის დამატება, თუნდაც ამას ვაჭრობის, შეთანხმების სახე ჰქონდეს“ (გრეგოლ ნოსელი ეპისკოპოსის კანონიკური ეპისტოლე მელიტინელი ეპისკოპოსის წმინდა ლიტოსადმი, მუხლი 6)⁶. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქონება სჭირდება ეკლესიას, რათა სააქაოში იარსებოს ადამიანთა საიქიოსთვის მომზადების მიზნით. უფრო მეტიც, საეკლესიო თუ არასაეკლესიო ქონების ხელყოფა ღვთის რისხვის გამოწვევია, ხოლო ქველმოქმედება და მოწყალება – ნეტარების დამკვიდრების გარანტიაა, რადგან დაწერილია „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან“ (მათე 5,7).

¹ იქვე, გვ. 166-167.

² იქვე, გვ. 222.

³ იქვე, გვ. 356.

⁴ იქვე, გვ. 204.

⁵ იქვე, გვ. 242-243.

⁶ იქვე, გვ. 440.

ამასთან, ქალკედონის IV მსოფლიო კრების კანონებში ვკითხულობთ: „თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცედ და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის მპყრობელ ეპისკოპოსს. და მით უმეტეს მაშინ, თუ ოცდაათი წლის განმავლობაში დავის გარეშე ფლობდნენ და განაგებდნენ მათ“ (მუხლი 17)¹.

მთლიანობაში, ეყრდნობა რა ყოველმხომცველ ბიბლიურ მოძღვრებას, საეკლესიო სამეურნეო-მმართველობითი სამართალი და კერძოდ დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სოციალურ-ეკონომიკური სწავლება, საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მისწრაფებების ჰარმონიული ურთიერთშეხამების ისტორიულ საფუძველს და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორძინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დავითისა და თამარის ღრდინი და კეთილდღეობა.

ივანე ჯავახიშვილის დაუცხრომელი მოღვაწეობა და მრავალმხრივი შემოქმედება, ერთი მხრივ, არის ჭეშმარიტი ანდერძი და სანიმუშო მაგალითი მომავალი თაობების მეცნიერ-მკვლევართათვის, ხოლო მეორე მხრივ - ძვირფასი განძი, რომელსაც არა მხოლოდ დღეს ეყრდნობა მეცნიერება, არამედ მუდამ დარჩება ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ერთ-ერთ მანათობელ სვეტად და მომავალი წარმატებების რეალურ წანამძღვრად.

**Teimuraz Beridze
Giorgi Shikhashvili**

The economic and legal aspects of theological economics and management in the works of Ivane Javakhishvili

Resume

Theological economic activity historically regulated and will ensure the harmonious development of the Georgian state. Foundation of this direction was made by a great scientist and a prominent public figure Ivane Javakhishvili. The scientist thought that there is need to study the Church's life and the appropriate law from the economic and managerial positions. The relentless work and versatile creations of Ivane Javakhishvili are true will and perfect example for our and future generations of researchers.

¹ იქვე, გვ. 220.

გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასაქმტით

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის (sex) ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი) აყალიბებს სოციალურ სისტემას. *ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მარკენებელი*. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან¹.

„გენდერული თანასწორობის კონცეფცია ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში მამაკაცებს და ქალებს აქვთ თანაბარი უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები. საქართველოს კულტურაში და ისტორიაში ქალი განიხილება როგორც ოჯახის სოციალური და კულტურული ღირებულებების დამცველი. ქალს უდიდესი მოწიწებით ექცევიან საქართველოში, რაც ცხადად ჩანს ისტორიულ ძეგლებში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და უმდიდრეს ქართულ პოეზიაში და ფოლკლორში. ამ ძეგლებში ქალი არ არის მხოლოდ ოჯახის დედა, ის გვევლინება აგრეთვე პოლიტიკოსად და სამშობლოს დამცველად“². გავიხსენოთ „ქართველის დედის“ ქანდაკება თბილისში, ერთ ხელში ფიალითა (მოყვრისთვის) და მეორეში – ხმლით, მტერთან დასახვედრად.

2010 წელს მიღებული საქართველოს კანონის - „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მიზნებია: „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. ამ კანონის მიხედვით გენდერი არის სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე; *გენდერული თანასწორობა კი არის ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (მუხლი 3)*“³. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ერთ-ერთი მიზანია, გაიზარდოს ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ ადგილობრივ დონეზე მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ თემის განვითარების პროცესში. გენდერული თანასწორობის მკვლევართა აზრით, *„გენდერული თანასწორობა აღწერს თანასწორობას ქალთა და მამაკაცთა შორის – ზოგადად ან კონკრეტულ კონტექსტში“*⁴.

აღსანიშნავია, რომ „ქართულ საზოგადოებაში ტრადიციულად მამაკაცები დომინანტურ როლს თამაშობენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ არის არც ერთი დისკრიმინაციული დებულება ქალების მიმართ, ქალების და მამაკაცების სოციალური მდგომარეობის არათანაბრობა მამაკაცთა სასარგებლოდ ცხადად ჩანს“⁵.

¹ კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე, თბ., 2006, გვ. 3.

² ბერიძე რ. გენდერული თანასწორობის პრობლემა საქართველოში, საინფორმაციო ბიულეტენი, გენდერული სტრატეგია და რეგიონული განვითარების პერსპექტივები, თბ., 2003, გვ.7.

³ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თბ., 2010, <http://www.feminizmi.org/wp-content/uploads/2015/02/genderuli-tavasworobis-sheaxe.pdf>

⁴ ლაპოუსენი ვ., ფვანია ი. გენდერული მეინსტრიმინგი, პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის გაეროს ქალთა ორგანიზაცია, თბ., 2014, გვ.13.

⁵ ბერიძე რ. დასახელებული ნაშრომი, გვ.7.

განვიხილოთ მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით გენდერული თანასწორობის საკითხი. ძველი აღთქმის მიხედვით: „თქვა ღმერთმა: გავაჩინო კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1; 26-27). „თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. **გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს**“ (დაბ.2; 18). „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაიძინა, გამოულო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაულო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოულო დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძველია ჩემი ძველთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული“ (დაბ.2; 21-23).

ახალი აღთქმის მიხედვით ნათლობა ქრისტეში ათანაბრებს მამაკაცსა და ქალს, კერძოდ: „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჰურიება, არცა წარმართება: არა არს მონება, არცა აზნაურება; **არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ**“ (გალ. 3;28). აღსანიშნავია სხვა ადგილიც, სადაც უფალი მასთან ერთად მლოცველებს საკუთარ დედად და და-ძმად აღიარებს, კერძოდ: „და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს მას: აჰა დედაი შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და გეძიებენ შენ, მიუგო იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაი ჩემი ანუ ძმანი ჩემნი? და მიმოიხილა გარემო მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომართა და ჰრქუა: **აჰა დედაი ჩემი და ძმანი ჩემნი. რამეთუ რომელმან ყოს ნებაი ღმრთისაი, ესე არს ძმანი ჩემი და დაი ჩემი და დედაი ჩემი**“ (მარკოზი 3; 32-35). ანალოგიურ აზრია გამოთქმული მათეს (13; 49-50) და ლუკას (8; 20-21) სახარებებშიც.

წმიდა წერილში აღნიშნულია უფლის ნება ნებისმიერი ასაკის მდებრობითი სქესის წარმომადგენელთან პატივისცემით მოპყრობის შესახებ, კერძოდ: „მოხუცებულთა დედათა – ვითარცა დედათა, ჭაბუკთა – ვითარცა დათა, ყოვლითა სიწმიდითა. ქურივთა პატივ-ეც, ჭეშმარიტად ქურივთა“ (I ტიმ. 5; 2-3).

ვფიქრობთ, საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორ ქცევას იწონებს უფალი მამაკაცისა და ქალის მხრიდან ოჯახურ ურთიერთობაში. უფალი მამაკაცებს მეუღლეების საკუთარი თავის მსგავსად შეყვარებას და თავგანწირვისადმი მზაობას ავალებს, კერძოდ: „ჰმადლობით ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ღმერთსა და მამასა. დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა. ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაი; არამედ ვითარცა ეკლესიაი დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი – თვისთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდელ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაი და თავი თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. 5; 20-25). სხვაგან ვკითხულობთ, „**ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა-იგი სათნო არს უფლისა**“ (კოლ.3; 18). „ესრეთ ჯერ-არს ქმართაი ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცთა თვისთაი, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თვისი, თავი თვისი უყუარს“ (ეფეს. 5; 28). ამგვარად, მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით ქალს უფლისთვის მოსაწონი მორჩილება მოეთხოვება და არა ინდივიდისთვის (მეუღლისთვის) მოსაწონი. მეუღლესთან დამოკიდებულებაზე წმიდა წერილებში წერია, რომ ქალს ქმარი არ უნდა გაუბრაზდეს, მოექცეს როგორც უნაზეს ჭურჭელს, კერძოდ, „ქმარნი ეგრეთვე თანა-მკვიდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უძღურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვიდრთა მადლისა ცხორებისაითა, რაითა არა დაბრკოლდებოდინ ლოცვასა თქვენსა“ (I პეტრე 3; 7), „ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი და ნუ განჰმწარდებით მათა მიმართ“ (კოლ. 3; 19).

ქართველი ოდიტგან აფასებდა კარგ კაცს, როცა ამბობდა „კაცი ხის წვერზე დაარჩენს ქალსაო“, ასევე, „კაცის აშენებული ოჯახი ღმერთმა ვერ დააქცია, ღმრთის აშენებული ოჯახი კი ქალმა დააქციაო“¹.

ზემოაღნიშნული სწავლების ფონზე საქართველოში არცთუ სახარბიელო სურათი გვაქვს ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით, რაც დღეისათვის ჩამოყალიბდა როგორც გენდერული სტატისტიკის

¹ სახოკია თ. ქართული ანდაზები, თბ., 2012, გვ. 110, 127.

ერთ-ერთი ქვემომართულება¹. ცხრილიდან ჩანს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 2012 წელს მსხვერპლი იყო 308 ქალი, ხოლო ეს მაჩვენებელი 2014 წელს 742-მდე ანუ 41,5%-ით გაიზარდა. არის იმის მაგალითებიც, როცა სტატისტიკის მიხედვით ძალადობის მსხვერპლი მამაკაცია. ასე მაგალითად, საქართველოში 2012 წელს მსხვერპლი იყო 27 კაცი, ხოლო ეს მაჩვენებელი 2014 წელს 87-მდე ანუ 31%-ით გაიზარდა. მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ 36%-ითაა გაზრდილი მოძალადე ქალების რიცხოვნობა, ხოლო მოძალადე მამაკაცების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 42%-ით. 2015 წელს ოჯახებში მოძალადეთა საერთო რიცხოვნობა იყო 2468, ხოლო მსხვერპლი – 2638. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოძალადეთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3,4-ჯერ, ხოლო მსხვერპლთა – 2,9-ჯერ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ორივე მხრიდან დამნაშავეთა ასაკობრივ სტრუქტურაში ჭარბობენ 25-44 წლის მოქალაქეები². აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ქორწინებათა 28,9% ირღვევა (2014 წელს საქართველოში ქორწინებათა რიცხვი იყო 31526, ხოლო განქორწინებათა რიცხვი – 9119). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განქორწინებათა მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ოჯახებში ძალადობაა.

მონაცემები საქართველოს ოჯახებში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივი ჭრილით 2012-15 წწ.³

2012				2013				2014			
მოძალადე		მსხვერპლი		მოძალადე		მსხვერპლი		მოძალადე		მსხვერპლი	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
22	291	308	27	18	207	220	20	60	690	742	87

ვინაიდან სტატისტიკის მიხედვით მსხვერპლი ქალების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცების, პირველ რიგში მათზე ვიმსჯელებთ. ახალი აღთქმის მიხედვით უფალი ჩასაქოლად მიყვანილ მრუშ დედაკაცს (ეს წესი ძველ აღთქმაში იყო) გაუშვებს და ეტყვის რომ აღარ სცოდოს (იოანე 8; 4-11). გავიხსენოთ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები: „ქალს განსაკუთრებით სჭირდება გონიერება და მხნეობა, შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე მამაკაცს. როგორც ვიცით, ქალი აგებულებით მამაკაცზე ბევრად უფრო სუსტია, ამიტომ ეს სისუსტე, რათა მამაკაცს ძალიან არ ჩამორჩეს, მან გონიერებითა და ხასიათის სიმტკიცით უნდა შეავსოს. მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში არ გახდება ის მამაკაცის ხელში სათამაშო“⁴. ასევე, „ქრისტიანობა ქალისგან გონიერებასა და მხნეობას მოითხოვს, იგი ვერ მოითმენს, რომ მას მამაკაცთან მონური დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორც ეს გაუნათლებელსა და უსჯულო ქვეყნებში ხდება, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცის პირუტყვეულ ვნებათა მსახურად ითვლება. რის-ტიანულ საზოგადოებაში ქალს დიდი პატივი და დანიშნულება აქვს, რადგან ღმერთმა იგი მრავალი განსხვავებული თვისებითა და ნიჭით შეამკო“⁵.

მსხვერპლი მამაკაცების საკითხთან დაკავშირებით, გვსურს გავიხსენოთ წმიდა მამების გამო-ნათქვამები: „ბოროტ დედაკაცთან ერთად ცხოვრება დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელია. დედაკაცის სიბოროტე ყოველივე სხვას იმიტომ აღემატება, რომ ღმერთმა ქალს ჩვილი გული და ღმობიერი ხასიათი მისცა, მაგრამ თუ ქალმა ეს ბუნებითი თვისება შეიცვალა და ბოროტი შეიქნა, მასზე უფრო საძაგელი არაფერია“ (წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი)⁶. „ბუნებამ უთხრა ქალს: იყავ მშვენიერი, თუ

¹ ჩარეკიშვილი ლ. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, №3, 2015, გვ. 58-67.

² www.geostat.ge

³ გენდერული სტატისტიკა, www.geostat.ge

⁴ საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები, შემდგ., კალანდაძე გ., თბ., 2009, გვ. 94.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 93.

შეგიძლია, ბრძენი, თუ გსურს, ოღონდ კეთილგონიერი კი აუცილებლად უნდა იყო“ (3. ბომარში)¹. აგრეთვე სოლომონის იგავში ნათქვამია: „უბედურ ქვეყანაში ცხოვრება სჯობია ანჩხლ და ბრაზიან ცოლ-თან ყოფნას“ (იგავნი სოლომონისა, თ. 21; 19). ქართული ანდაზა კი ამბობს - „ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო“².

ასეთი შემთხვევებისთვის უფალი ამბობს: „გარნა თქუენცა კაცად-კაცადმან თვისი ცოლი ვერეთ შეიყუარეთ, ვითარცა თავი თვისი; ხოლო ცოლსა მას რაითა ემინოდის ქმრისა“ (ეფეს. 5; 33). და თუ მეუღლეებს შორის სიყვარული სუფევს, მაშინ „შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯვაი აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (I იოვანე, 4; 18). ასევე, აღნიშნულია, რომ „სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის; აღმასრულებელი შჯულისაი სიყუარული არს“ (რომ. 13; 10). სიყვარული კი წმიდა წერილში ასეა განმარტებული: „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მალლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი. არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იღებნ, ყოველი პრწაზნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დაგარდების, გინა თუ წინასწარმეტყუელებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ“ (I კორ. 13; 4-8).

აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახში ძალადობა და კონფლიქტები სათავეს მართლ-მადიდებლური სარწმუნოების განდგომისგან იღებს. „გუნდს ყოველთვის თავში ბელადი უდგას. ჩვენთვის აშკარაა თანხმობა ბუნების კანონებისა და საღვთო სჯულისა, რომელიც პირველობას მამაკაცს ანიჭებს: „რამეთუ ადამ პირველად დაიბადა და მერმე ევა“ (I ტიმ. 2; 13); „თავ დედაკაცისა – ქმარი... რამეთუ არა დაებადა მამაკაცი დედაკაცისთვის, არამედ დედაკაცი მამაკაცისთვის“ (I კორ. 11; 3,9)“ (არქიმანდრიტი ეპიფანე თეოდოროპულოსი)³. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველობა პატივისცემასთან ერთად დიდ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, რასაც სამწუხაროდ ხშირად ივიწყებენ. ვფიქრობთ, საუკეთესო შეფასებაა მოცემული წმ. იოანე ოქროპირის სწავლებაში „საქორწინო კავშირი არის არა მხოლოდ ფიზიკური ერთიანობა, არამედ ცოლ-ქმრის შინაგანი, სულიერი მთლიანობა, რაც აუცილებელია ურთიერთშემწეობისათვის მორალური სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში, ამიტომ ოჯახის ერთობა, ქორწინებით დაკავშირებული და, ამგვარად, ღვთისგან ნაკურთხი, ადამიანთა ურთიერთობის საუკეთესო ფორმა იქნება, თუ თითოეულ პიროვნებას გაცნობიერებული ექნება ქორწინების ზნეობრივი მიზანი და ამ მიზნისკენ სწრაფვის აუცილებლობა“⁴.

დღევანდელ ოჯახებში არსებული პრობლემების საფუძველს კარგად გვიხსნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის საშობაო ეპისტოლეში: „ამჟამად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც. სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია (თავგანწირვა კი პირდაპირ მოითხოვება სახარებაში – ი.გ.), საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება. ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან. მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

¹ სიბრძნის საუნჯე, კომპოზიცია ვ. კუპრაყასი, თბ., 1987, გვ. 433.

² სახოკია თ. დასახელებული ნაშრომი, 2012, გვ. 227.

³ ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები, შემდგ., კალანდაძე გ., თბ., 2007, გვ. 303.

⁴ იოანე ოქროპირი, ქრისტიანული ქორწინება და ცოლ-ქმრობა, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2002, გვ. 15-16.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულთაძობის მაგალითი, თავადაც ამ გრძობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს¹. გავიხსენოთ, რომ როგორც ძველი, ასევე, ახალი აღთქმის ათი მცნებიდან მეხუთეა: „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა“².

აღსანიშნავია, რომ უფალი ოთხთავის მრავალ ადგილზე ეწინააღმდეგება ცოლ-ქმრის განქორწინებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური მოძღვრება ქალს გარკვეულწილად იცავს და მამაკაცს ავალებს მატერიალური კომპენსაცია მისცეს მეუღლეს, კერძოდ „თქუძულ არს, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, მიეცინ მას განსატყვებელი. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტყვებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მათე 5; 31-32). ამგვარად, უფალმა იცის, რომ მეუღლეების დაშორების მიზეზები მრავალია და ისიც უწყის, რომ „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყუარული მრავალთა“ (მათე 24; 12), ამიტომ გვირჩევს - „ნუ მისცემთ სიწმიდეს ძალლთა, ნუცა დაუფნეთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქენ თქუენ“ (მათე 7; 6).

თუ ინდივიდს არ შეუძლია საოჯახო ტვირთის საკუთარ თავზე აღება, ასეთ შემთხვევაში უფალი ამბობს, „რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისაით საჭურისნი იშვენს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის ცათაისა. რომელნი შემძლებელ არს დატყვენად, დაიტიენ“ (მათე 19; 12). ასევე, წმიდა წერილში პეტრე მოციქული წერს „იქორწინე თუ, არაი სცოდე; და თუ იქორწინოს ქალწული, არაი ცოდა“ (I კორ. 7; 28). „და რომელმან იქორწინოს თვისი იგი ქალწულები, კეთილად ჰყოფს. ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“ (I კორ. 7; 38).

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ თუ ძველი აღთქმის მიხედვით ქალი – ევა შეცდა, ახალ აღთქმაში ქალი „უფლის მშობელი“ – ღმრთისმშობელი გახდა და გაღმერთდა (ზეცად თავად იესო ქრისტეს მიერ იქნა აყვანილი). ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. არ ვიცი როგორ ავხსნა ეს ფაქტი, მაგრამ ქართულ ხატწერაში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახე ყოველთვის შვილებზე მოფიქრალი დედაა, რასაც ვერ ვიტყვით რუსულ ხატებზე, სადაც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი უფრო მეტად ახალგაზრდა უბიწო ქალწულის სახითაა დაწერილი. ცნობილია, რომ საქართველოს განმანათლებელი ქალწული ნინო იყო, ასევე, წმიდა მეფე თამარი იწოდებოდა არა როგორც დედოფალი, არამედ – მეფე, რაც ადასტურებს, რომ სათანადო ქცევის პირობებში საქართველოში ქალს მამაკაცთან შედარებით არ აკნინებდნენ და ყოველთვის დიდ პატივს ცემდნენ. ავიხსენოთ დიდი შოთას სიტყვები „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, ასევე, „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქლისა მბეჭველსა?“-ო. აქვე გავიხსენოთ ქართული ანდაზა „ქალის პატივი ძალლმაც იცისო“ ან იგივე შინაარსის „ქალს ძალლიც არ დაჰყევსო“³. ქართულ ენაში აისახა ქალისადმი დიდი პატივისცემა და მისი განსაკუთრებული როლიც, გავიხსენოთ შემდეგი სიტყვები „დედამიწა“, „დედასამშობლო“, „დედაქალაქი“, „დედა ენა“, „დედა ეკლესია“, „დედაბოძი“, „დედაკაცი“ და სხვა. ქართველი კაცისთვის დედის დაფიცება ხატზე დაფიცების ტოლფასი იყო და ბევრი შემთხვევა ვიცით, როცა დედის აუგად მოხსენებისთვის დავა მხარეთაგან ერთ-ერთის სიკვდილით დამთავრებულა. ამგვარად ტრადიციულად, ქალისადმი, დედისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებული იყოს საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ქალს აქვს უფლება ქორწინების შემდგომ ატაროს თავისი გვარი,

¹ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 06.01.2016.

² <http://martlmadidebloba.ge/ganmarteba4.html>

³ სახოკია თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 228-229.

საერო დღესასწაულებს შორის 3 და 8 მარტს დაწესებული დღესასწაულები ქალბატონებს უკავშირდება. ამ მხრივ კი მამაკაცები თითქოსდა, დაჩაგრულები არიან.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობა და მართლმადიდებლური სწავლება, გენდერული თანასწორობის საკითხებთან სრულიად არ მოდის წინააღმდეგობაში, და როგორც მამაკაცს, ასევე ქალს თანაბრად მოუწოდებს ერთმანეთის პატივისცემისკენ საზოგადოებასა თუ ოჯახებში.

Ineza Gagnidze

Gender equality issues by aspects of Orthodox teaching

Resume

The concept of gender equality is that women and men have equal rights, duties and opportunities in all the essential areas of life. Today, women and men have different access to and control over economic and political resources.

In the retrospective of Georgian culture and history a woman is traditionally considered as a protector of family, social and cultural values. It is said, that woman is in great respect in Georgia, what we can clearly see in historical masterpieces, arts, literature and especially in the richest Georgian poetry and Georgian folklore. In these masterpieces the woman occurs to be not only the mother of a family, but also a politician and defender of motherland.

We believe that the respect for women in Georgia was contributed by Orthodox teaching as evidenced by the New Testament. According to the New Testament, the baptism equals men and women in Christ (Gal. 3,28). Respective attitude to women is proclaimed in the Gospel and in the following places of the Holy Scriptures: John 8, 4-11; I Tim. 5, 2-3. The harmonious attitude between the spouses is emphasized in the Holy Scriptures: Ephes. 5, 20-25; Col. 3, 18-19 and I Peter 3, 7.

Thus, we can conclude that the orthodox teaching is not in conflict with gender equality issues and equally proclaims men and woman to respect each other in society and families.

ეკონომიკური კონკურენციისადმი დამოკიდებულება ქრისტიანულ საზოგადოებაში

თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების განვითარების განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, წარმოადგენს ადამიანების, კორპორაციების, რეგიონებისა და სახელმწიფოების ეკონომიკური კონკურენცია. და მაინც, ამ კონკურენციის საფუძველია იმ ადამიანთა საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ, ეკონომიკურ სფეროში მიაღწიონ უკეთეს შედეგებს იმავე სფეროში მომუშავე სხვა ადამიანებთან შედარებით.

ნაშრომის მიზანია ქრისტიანულ დემოკრატიულ საზოგადოებაში კონკურენციის შინაარსის, არსებობის მიზეზების, ადგილისა და მისდამი სწორი დამოკიდებულების განსაზღვრა.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, შესასრულებლად ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები:

- დახასიათებულია და გაანალიზებულია კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების გენეზისი შესაბამის ფასეულობათა სისტემასა და კონკურენციასთან დაკავშირებით;
- კლასიკურ ქრისტიანობასა და რეფორმაციას შორის განსხვავების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია კონკურენციის შეუსაბამობა ქრისტიანულ ფასეულობათა სისტემასთან;
- მოცემულია კონკურენციის ინტერნალიზაციის შესაძლებლობების საფუძველზე ქრისტიანულ ფასეულობათა დამკვიდრების აუცილებლობა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს მაქს ვებერის ფუნდამენტურ ნაშრომში აღიარებული დებულებების, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტები.

მრავალი მეწარმე მსოფლიოში ხელმძღვანელობს დევიზით: „მიზანი ამართლებს მისი მიღწევის საშუალებებს“. ალბათ, ამგვარი მიდგომა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიულ პრინციპებს, მაგრამ სრულიად არ შეესაბამება ქრისტიანულ ფასეულობებს. გარდა ამისა, განა, რეკლამაზე გაწეული ხარჯები და საქონლის პროდომუშენი რესურსების ეფექტიან ხარჯვას წარმოადგენს?

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უკიდურესობებს იწვევს ეკონომიკური კონკურენცია. მაგალითად, საკვები პროდუქტების წარმოებაში, როდესაც მომხმარებელი ელოდება მაღალი ხარისხის, საღ და იაფფასიან პროდუქტს, მწარმოებლები მას სთავაზობენ იაფფასიან, დაბალი ხარისხის და შენახვის გრძელი ვადის მქონე პროდუქტს. გარდა ამისა, შთამბეჭდავი რეკლამა და შეფუთვა უბიძგებს მომხმარებელს, აირჩიოს არც ისე კარგი პროდუქტი. გადახედეთ საწარმოებს, რომლებიც წარმატებას აღწევენ ეკონომიკურ კონკურენციაში, მათ მფლობელებს, ხელმძღვანელებსა და მუშაკებს, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს საქონლის, შრომისა და მომსახურების წარმოებაში, აქვთ მაღალი შემოსავლები, სტაბილური მატერიალური მდგომარეობა, ეს ადამიანები სრულფასოვანი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ ან ღმერთთან ახლო არიან თუ სხვა ფასეულობებს „ემსახურებიან“?

რამდენი ძალისხმევა იხარჯება კონკურენტებთან ბრძოლაში (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით). დავუშვათ, მეწარმემ გაიმარჯვა კონკურენციაში და საბოლოოდ მოიპოვა მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე. როგორ იქცევა ის შემდგომ? - ზრდის ფასებს, არ ზრუნავს ხარისხზე, სხვა ბოროტმოქმედებს სჩადის. განა ეს არის ეკონომიკური საქმიანობის მიზანი?

ამგვარ „წარმატებებს“ ადამიანისთვის სარგებლობა არ მოაქვს: „სიცრუით მოხვეჭილი განძი წარმატალი ორთქლია და სიკვდილის ხაფანგი“ (იგავ. 21:6).

დაისმის ლოგიკური შეკითხვა – ნუთუ ქრისტიანულ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ეკონომიკური კონკურენცია? პასუხი ამგვარია – **კონკურენცია შეიძლება იყოს, მაგრამ მას სრულიად განსხვავებული შინაარსი და ფორმა უნდა ჰქონდეს.**

ქრისტიანი მეწარმეები ისე ეპყრობიან თავიანთ კონკურენტებს, როგორც ისურვებდნენ, რომ მათ მოექცნენ, მათ შორის – სხვა სარწმუნოებათა აღმსარებლები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკურენტები – სხვა სარწმუნოების აღმსარებლები ან ათეისტები – აგრესიულად იქცევიან, ქრისტიანი მეწარმეები თა-

ვიანთი ქცევით ჭეშმარიტად ეკონომიკური ქცევის მაგალითს უჩვენებენ მათ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, სრულიად ავარიდოთ თავი უსარგებლო კონკურენციას.

ქრისტიანი მეწარმეები აერთიანებენ თავიანთ ცოდნას, ძალისხმევებსა და რესურსებს მაღალი ხარისხისა და ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების საწარმოებლად და თავს არიდებენ ხარჯებს უსარგებლო კონკურენციასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, ამგვარი ეკონომიკური საქმიანობის მიზანს ღვთის სამსახური წარმოადგენს „სიმათლისა და სამართლის ქმნა მსხვერპლზე უფრო სასურველია უფლისთვის“ (იგავ. 21:3).

ინტერესების ფოკუსირება ყოფით კეთილდღეობაზე, მოხმარების გაფართოება ახალი პროდუქტებისა და მულტიპლიკაციური ეფექტების საფუძველზე ძირითადად აგრესიული რეკლამის, პროდუქტთა პრომოუშენისა და ერთობლივი მოთხოვნის აქტივიზაციით მიიღწევა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვითარების პროცესების მიმართ ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულება რომელიც დაფუძნებულია დროის ეკონომიის უმაღლეს, მართონულ ტემპზე, ადამიანთა საზოგადოებაში ფსიქიკის მოშლილობასა და დეპრესიულ მდგომარეობაში ჩავარდნას იწვევდა. ამგვარად, ქრისტიანულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკონომიკური საქმიანობა მიზნად ისახავს არა „გამარჯვებას“ კონკურენტებზე, არამედ – ღვთისა და ადამიანების სამსახურს, ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შეზღუდული რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ჭეშმარიტად ბრწყინვალე მოწოდებებია, მაგრამ საეჭვოა, რომ დემოკრატიულ ქრისტიანულ საზოგადოებაში მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შეზღუდული შესაძლებლობების არსებობის პირობებში ისინი ასრულდეს.

ისმის შეკითხვა: რა გამოდგება ინდიკატორად კონკურენციისა და ქრისტიანული ფასეულობების თანაარსებობისა და განვითარების შესაძლებლობათა შესაცნობად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უწინარესად უნდა გავერკვეთ კონკურენციის არსებობის მიზეზებში. კონკურენცია არსებობდა ნებისმიერ საზოგადოებაში და ნებისმიერ დროს. საბჭოთა კავშირში იგი „სოციალისტური შეჯიბრების“ სახელწოდებით იყო ცნობილი, მაგრამ კერძო საკუთრების არარსებობის გამო, მისი ფუნქციები სრულყოფილად ვერ რეალიზდებოდა, რაც საბოლოოდ რენტაბელობის დონეთა სრულ დაქვეითებასა და სსრკ-ის ეკონომიკის კრახში გადაიზარდა. საბაზრო ეკონომიკის მშენებლობამ და კერძო საკუთრების საკონსტიტუციო გარანტიებმა კონკურენციას შეზღუდვები გარკვეული დროით მოუხსნა, სანამ მონოპოლიზაციის პროცესები არ დაიწყო, თუმცა, ასეთი მდგომარეობა (მონოპოლიზაციის პროცესები) საბაზრო ეკონომიკაში ყოველთვის დროებით ხასიათს ატარებს.

კონკურენცია ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის წარმოშობს განვითარების სტიმულებსა და აგრეთვე პრობლემებსაც. კონკურენცია საეჭვოა, რომ საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში მოიხსოს, იგი მხოლოდ არეალს იცვლის და მუდამ არსებობს. ამდენად, სანამ არის კეთილდღეობის დეფიციტი, კონკურენცია იარსებებს. თუ ამ მოცემულობიდან გამოვალთ, მაშინ მას მორწმუნეთა ცნობიერებასთან კავშირი არა აქვს, რადგან ქრისტიანებიც შედიან ერთმანეთთან კონკურენციაში მატერიალური კეთილდღეობის (რაც ჯერჯერობით განვითარებად ქვეყნებში განსაკუთრებით შეზღუდულია) მოსაპოვებლად. კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება კონკურენციის მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება. აქედან გამომდინარე, კონკურენციისა და ქრისტიანული ღირებულებების დამოკიდებულების საკითხი საბაზრო ეკონომიკის არსებობასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო ეკონომიკა გარკვეულ ფასეულობათა სისტემას ქმნის, რომელიც კონკრეტულად საბაზრო მექანიზმებზე აწყობილ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში ჩნდება და იდეურად სრულიად მიუღებელია კლასიკური ქრისტიანობისთვის (მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი). ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ორგანიზაცია - ბანკი, საქმიანობა - მევახშეობა და ინსტრუმენტი - საბანკო სასესზო პროცენტი, ეკლესიის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკრძალული იყო, რადგან ღვთისმეტყველნი თვლიდნენ, რომ მევახშეობა დროით ვაჭრობაა, ხოლო დრო კი ღვთიური

კატეგორიაა, რომლითაც ვაჭრობა დაუშვებელია. იესო ასწავლიდა ადამიანებს „მოგვიტევე ჩვენ ვალები ჩვენი, როგორც ჩვენ მიუტევეთ ჩვენს მოვალეთა“ (მათ. 6:12).

ისლამში დღესაც ასე ითვლება, ამდენად ისლამური ბანკები სხვაგვარად მოქმედებენ¹, კერძოდ:

- „გობსეკობა“, სიხარბის ტოლფასი ეკონომია და განუსაზღვრელი, იდეად ქცეული დაგროვება, მიუღებელი იყო და ითვლებოდა ცოდვილ ქმედებად, უფრო მეტიც, რაინდული ქცევის კოდექსით გულუხვობა არისტოკრატიულ და მხედრულ სიკეთედ აღიქმებოდა;

- საამქროს წესები შემოსაზღვრავდა (ზღუდავა) მეწარმეთა შესაძლებლობებს კონკურენციის რეგულირებითა და ჰუმანური პრინციპით - „იცხოვრე და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება“. კონკურენცია არსებობდა ძირითადად პროდუქტის ხარისხის ამაღლების მიმართულებით და არა რეკლამისა და საფასო პოლიტიკის დარგში;

- ამ პერიოდის ქრისტიანთათვის მთავარ მიზანს სულის გადასარჩენად ცხოვრების აზრის ძიება წარმოადგენდა. ასეთი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ დამახასიათებელი იყო არა მარტო არისტოკრატისთვის არამედ დაბალი ფენის მოსახლეობისთვისაც.

კაპიტალიზმის რეფორმაციამ (საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების) ღირებულებები დაამკვიდრა - მათ შორის კონკურენციის გზით წარმატების მიღწევა, ხოლო წარმატების საზომად მატერიალური ქონების სიდიდე გამოიყენებოდა. როგორც ვხედავთ, სულის გადარჩენის მიზანი ქონების შექმნისა და გამრავლების მიზნებით ჩანაცვლდა, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ქრისტიანულ ფასეულობებთან. მაქს ვებერის ცნობილ ნაშრომებს შორის უმნიშვნელოვანესია მისი სადოქტორო დისერტაცია კაპიტალიზმის წარმოშობის პროტესტანტული საფუძვლების შესახებ (მ. ვებერი 1905). მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევა ეკონომიკური სოციოლოგიისა და რელიგიის სოციოლოგიის საკითხებზე გავრცობილია ცნობილ წიგნში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (“The Protestant Ethic and Spirit of Capitalism”)². ისტორიული მატერიალიზმის მარქსისტულ კონცეფციასთან ოპონირებით, მაქს ვებერი აღნიშნავს კულტურული ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს როლზე, რომელსაც რელიგია ახორციელებს, სწორედ ამაში ხედავს იგი გასაღებს მეურნეობის კაპიტალისტური ფორმის გენეზისის გაგებისათვის.

არა მარტო მაქს ვებერი, არამედ ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ქრისტიანი, ჟურნალისტი და მწერალი ვილბერტ კიტ ჩესტერტონიც³ თვლიდა, რომ კაპიტალიზმის აღმოცენება დაკავშირებულია „რეფორმატორულ“ რწმენასთან, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე ლუთერანელობა და აღმსარებლობის სხვა სახეობა განაპირობებდა კაპიტალიზმის განვითარებას. იგივე მოსაზრებას ავითარებს შოტლანდიასთან დაკავშირებით პოეტი ბოკლი, ხოლო ინგლისში - კიტსი. მათი აზრით გასაოცარი კავშირია აგრეთვე ცხოვრების წესის რელიგიურ რეგლამენტაციასა და სამეწარმეო-საქმიან შესაძლებლობათა ინტენსიურ განვითარებას შორის. მათი აზრით ასეთი დამოკიდებულება შეეხება კვაკერებს (ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში), მენონიტებსა და განსაკუთრებით კალვინისტებს (ნიდერლანდებსა და გერმანიაში).

პროტესტანტიზმმა ხელი შეუწყო მევახშეობისა და ბანკების სწრაფ განვითარებას ევროპაში, რაც კლასიკური ქრისტიანობის (მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის) პირობებში რიგი მიზეზის გამო, შეუძლებელი იყო. უპირველეს ყოვლისა, მევახშეობა (საბანკო სასესხო პროცენტი) აკრძალული იყო ეკლესიის მიერ, რადგან ღვთისმეტყველები საფუძვლიანად თვლიდნენ, რომ მევახშეობა არის დროით ვაჭრობა, ხოლო დრო კი ღვთიური კატეგორიაა, რომლითაც ვაჭრობა დაუშვებელია. ისლამში დღესაც ასე ითვლება ამდენად ისლამური ბანკები სხვაგვარად მოქმედებენ.

¹ ისლამური ბანკები დაკრედიტების საფუძველზე იღებენ არა პროცენტს არამედ მონაწილეობენ მოგებაში, ხოლო ზარალის შემთხვევაში - მის ანაზღაურებაში.

² Weber, Max. *The Protestant Ethic and «The Spirit of Capitalism»* (1905). Translated by Stephen Kalberg (2002), Roxbury Publishing Company, გვ. 19, 35.

³ Chesterton G. H. *Orthodoxy* (1908). Published, by Waking Lion Press, 2008. (შენიშვნა: გ. ჰ. ჩესტერტონი მოღვაწეობდა 1874-1936 წწ., რაინდი - კომანდორის ტიტულისა და ვატიკანის წმინდა გრიგორი ბრწყინვალეს მედლის - KC*SG მფლობელი).

დღეს, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, მდგრად განვითარებაზეა ორიენტირებული, რაც საზოგადოებას ველური კონკურენციის საფუძველზე წარმოქმნილ დანაკარგებს აშორებს. გარდა ამისა, თავად კონკურენციის მიმართ დამოკიდებულებაა შეცვლილი. უპირველეს ყოვლისა, შემოვიდა ტერმინი ქმედითუნარიანი კონკურენცია, რომელიც კონკურენციული ბრძოლის შედეგების მიმართ დამოკიდებულებას ცვლის.

თავისუფალი კონკურენციისკენ აღარ მიიღწევიან არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ თავად მეცნიერები ღიად აცხადებენ თავისუფალი კონკურენციის მძიმე შედეგებზე, რაც მატერიალური პროდუქტების დანაკარგებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანია. კონკურენციასთან დამოკიდებულებაში ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარების პროცესების სწორი ორიენტირების გამოკვეთა, მაგალითად, ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და ინოვაციების ფოკუსირება არა მასლოუს პირამიდის ფუძესთან ახლოს მდგომ პროდუქტთა და მომსახურების გაფართოვებულ წარმოებაზე, არამედ საზოგადოებისა და ტექნიკური პროგრესის ორიენტირება პირამიდის ზედა საფეხურებზე მყოფ ფასეულობებზე, მატერიალურ და არამატერიალურ პროდუქტებზე, რაც ადამიანს სულიერ სიმშვიდესა და ფიქრის საშუალებას გაუფართოვებს და საკუთარი მისიის შესახებ გაურკვევლობას რამდენადმე მაინც მოუხსნის. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გვინდა დავძინოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში უკვე მიმდინარეობს ეს პროცესები, რომლებიც მდგრადი წარმოებისა და მოხმარების, ბუნებისდაცვითი ღონისძიებებითა და სხვა აქტივობებით დაიწყო. დღეს ისინი თავიანთ ორიენტირებს ცვლიან, თუნდაც რომ ავიღოთ მათი სამართლებრივ-იურიდიული ველი, რომელიც ყოველი მხრიდან ადამიანის სულიერი კომფორტისა და დემოკრატიული ფასეულობებისკენ არის ორიენტირებული (რასაც ჯერ ვერ ვიტყვით ჩვენს კანონმდებლობაზე). განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს პროცესები, რაც *მატერიალური წარმოებისა და მომსახურების დარგთა გეოგრაფიას ცვლის და ორიენტირებს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური სივრცისკენ მიმართავს.*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების იდეა კონკურენციას არ უარყოფს, მაგრამ მისთვის „პლატფორმას“ ავიწროვებს. როგორც სჩანს, დემოკრატიული საზოგადოების მომავალი ნებსით თუ უნებლიეთ ქრისტიანულ ფასეულობებთან დაახლოებაში ძეგს. ამავე დროს სამწუხაროა, რომ ამ პროცესის წარმატება მთლიანად განვითარებადი ქვეყნების ე. წ. „წარმატებების“ ხარჯზე იქნება განხორციელებული.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის შედეგები ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ ელექტრონერგეტიკული სექტორის განვითარებაში მიმდინარე ცვლილებების გეოგრაფიის საფუძველზე. უმსხვილესი ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიების მიერ შედგენილი ელექტრონერგეტიკის განვითარების მსოფლიო სცენარების გაცნობა აქარწყლებს ეჭვს სამრეწველო სექტორისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების დარგების განვითარების მომავალთან დაკავშირებით. სცენარების გაცნობის საფუძველზე შეინიშნება ერთი უტყუარი ტენდენცია, რომელსაც თითქმის ყველა ეკონომისტი ეთანხმება.

ტენდენციებს შორის, რომლებიც დაამუშავეს ენერგეტიკოსმა მეცნიერებმა და ეკონომისტებმა, გამოკვეთილია ელექტრონერგეტიკის წარმოებისა და მოხმარების უპირატესი ზრდა განვითარებად ქვეყნებში, რაც ამ ქვეყნებში უკვე დაწყებულ ენერგოტეკადი მრეწველობისა და მომსახურების დარგების განვითარების პროცესებზე მეტყველებს. როგორც ვხედავთ, ელექტრონერგეტიკის წარმოებისა და მოხმარების ზრდა მრეწველობისა და მომსახურების განვითარებაზე მეტყველებს, რაც მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულ დიდ ცვლილებებზე მიგვითითებს. მდგრად განვითარებაზე საუბარი იმ ქვეყნებში, სადაც ინტენსიურად გაიზრდება მოთხოვნა, საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, კონკურენციის არეალის გაფართოებას უნდა ველოდეთ სწორედ იქ, სადაც მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების დარგები ექსპორტირდება. აღნიშნული პროცესები (ანუ თავისუფალი საბაზრო სტრუქტურების აღმოცენება და კონკურენციის დასადგურება) მძიმედ აღსაქმელია საუკუნეების განმავლობაში უცვლელ ტრადიციებსა და რელიგიურ ფასეულობებზე აღზრდილი სოციუმისთვის. კონკურენციის მექანიზმის გააქტიურება ქმნის ახალ ღირებულებებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სულის უკვდავების რწმენის მქონე მორწმუნეთა საუკუნოვან ფასეულობებთან.

რასაკვირველია, თუ გავიხსენებთ შოთა რუსთაველის სიტყვებს - „რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქმნების“ და ახალი აღთქმის ტექსტს - „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან. 3:16). ვინაიდან ღმერთს წუთისოფელი (რომელშიც არა მარტო სიყვარულია, არამედ კონკურენციაც არის დასადგურებული) უყვარს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ კონკურენციასთან დაკავშირებით სხვაგვარი სივრცითი განფენილობა გვაქვს. *კონკურენცია სრული უფლებებით ინტერნალიზებულია მორწმუნე ადამიანში, ქრისტიანში (მის ცნობიერებაში) და გააფთრებულ ბრძოლას წარმოშობს თითოეული მორწმუნის ფასეულობათა სისტემის შემადგენლებს შორის.* სულის გადარჩენისთვის ბრძოლა სწორედ ის ბრძოლაა, რომელიც ქრისტიანულ ფასეულობებს ამკვიდრებს ადამიანში და ცათა სასუფეველისკენ უხსნის გზას.

Irina Gogorishvili

The Attitude to the Economic Competition amongst Christian Society

Resume

The Scientific paper „Attitude to the Economic Competition amongst Christian Society” provides consideration, characteristic and analysis of the origin of capitalism and development genesis in regards with the respective value system and competition. the analysis of difference between the classic Christinity and Reformation revealed in compliance of competition with the Christian value system in as much as it creates struggle aiming not at salvation of the soul but at improvement of material life solely. Economic competition with the mitigated human form shall not be considered in the Christian society as it is the illusion only and nothing more. At the same time, we witness necessity of establishment of Christian values on the basis of the internalization of competition in the consciousness of the society to facilitate man kind in struggle for salvation of their souls.

საკუთარი თავის შინაგანი უფლის შინაგანი

„მეცნიერება რელიგიის გარეშე ხეივანია, ხოლო რელიგია მეცნიერების გარეშე ბრმა“ – აინშტაინი;

„ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა“ – ზვიად გამსახურდია

გლობალიზაცია, რომელიც თავისი არსით უნივერსალური მოვლენა და თანამედროვე მსოფლიოს თვისებრივი მახასიათებელია, არსებითად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის როგორც შინაარსს, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს. გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობრივი მოვლენაა, რომელსაც ბევრ დადებით შედეგთან ერთად, კაცობრიობისათვის არა ერთი ზიანი და უბედურება მოაქვს. იგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის შედარებით მცირე ქვეყნებსა და ერებს, უარყოფით გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურებზე, სხვადასხვა ენაზე, რელიგიაზე და ა.შ. გლობალიზაცია, როგორც ყოველსმომცველი ფენომენი, არსებითად, ალბათ, პროგრესული და შეუჩერებელი მოვლენაა, თუმცა, ამ პროცესებში „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ აბრით, სატანისტური ძალების ჩართვა, მრავალი მიმართულებით, ავის მომასწავებელია, თუ ამ და სხვა მსგავსი ანტისაზოგადოებრივი ძალების შავხელი საქმიანობა დროულად არ აილაგმა. ეს უწინარესად შეეხება „სამასთა კომიტეტს“, რომელსაც ძალიან ვერაგული, ანტიადამიანური გეგმა აქვს შემუშავებული, რომელიც გულისხმობს: აბსოლუტურ კონტროლს ყველა ადამიანზე – მათ გონებაზე ზემოქმედების საშუალებით; ღვთის წინააღმდეგ ბრძოლას ყველა მეთოდითა და საშუალებით; ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის ლეგალიზაციას; ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას; მსოფლიო მოსახლეობის შემცირებას პოლ პოტის რეჟიმის სცენარის გამოყენებით; თანამედროვე ტექნოლოგიების მონოპოლიზაციას და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის მიზანია ერთიანი მსოფლიო მთავრობის (პროტოტიპი - გაერო), ერთიანი არმიისა (ნატო) და ერთიანი ვალუტის (აშშ დოლარი) შექმნა.

ყოველივე ეს ემყარება „მასონობის რელიგიას“, რომლითაც ლუციფერი არის ღმერთი, ხოლო წმინდა და ჭეშმარიტი რელიგია – ეს არის „ლუციფერის რწმენა“. აი, ეს „ლუციფერის შვილები“ ესწრაფიან ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას და დედამიწაზე ანტიქრისტეს ზეობას¹.

გლობალიზაცია ზოგადად მოდერნიზაციისა და თვითგანახლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც მსოფლიოს ქვეყნებს უბიძგებს გარკვეული (თუ არსებითი არა) კორექტივები შეიტანონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური განვითარების ერთიან მოდელში. თუმცა, ეს პროცესი იმაზე გაცილებით რთულია, ვინემ ის ზედაპირულად ჩანს და ან კიდევ ბევრ მკვლევარს წარმოუდგენია. ამ პროცესის ერთ-ერთი, არც თუ უმნიშვნელო დესტრუქციული ფაქტორი, მსოფლიოს ქვეყნების მკვეთრად გამოხატული სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების უთანაბრობაა, რის გამოც გლობალიზაციამ შეიძლება დიდი სიკეთე მოუტანოს ისედაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, ხოლო დანარჩენებს კი – კვლავ სიღატაკე და მარადიული აუტსაიდერის ფუნქცია არგუნოს. „ეს კი საფუძველს ქმნის ფორმირებადი გლობალური მსოფლიო „ოქროს მილიარდის“ სამყაროდ გამოცხადდეს“².

ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია განვითარებადი და მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში, უპირველესი ყურადღება მიაქციონ მათთან ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობრიობის განახლებული მოდელისა და უცხოური სამეურნეო გამოცდილების ორგანული შეხამების ურთულესი პრობლემის გონივრულად გადაწყვეტას, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორები ერთიმეორეს ავსებს და ახალი სიმბიოზის სახით წარმოჩინდება.

¹ გეგური გ-ს პუბლიკაციები გაზ. „ასავალ-დასავალში“, 2016, №24-31.
² მგელაძე დ. ილიას გზა, თუ კოსმოპოლიტიზმი, გაზ. „ახალი თაობა“, 2007, 7 თებერვალი.

ამასთან დაკავშირებით საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად მიუღებელია ზოგიერთი მკვლევარის თუ პოლიტიკოსის იმ მოსაზრების პრაქტიკული განხორციელება, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად ქრება განვითარების ეროვნულ და საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორთა შორის განსხვავება¹, უფრო მეტიც, ქვეყნებსა და ერებს შორის ეკონომიკური საზღვრები ერთობ ინტენსიურად იშლება².

ეს და სხვა მსგავსი შეხედულებები, ნებისთ თუ უნებლიეთ, პროგრესული კაცობრიობისათვის მავნე და მიუღებელი „თეორიის“ გამოძახილია, რაც მსოფლიო კოსმოპოლიტური გლობალიზაციის სახელით ბოგინობს და რომლის მიზანია დენაციონალიზებული მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბება ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გარეშე. დღესაც ეს თეორია წინა პლანზეა და ცდილობს თავის ორბიტაში ჩაითრიოს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა. ამისათვის განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი მას ხვდება გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში, რომელთა უმეტესობა სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და რომელთა მოქცევაც კოსმოპოლიტური გლობალიზაციის ორბიტაში შედარებით იოლია.

ასეთ ვითარებაში ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო, გლობალიზაციის ბურუსში გახვეული კოსმოპოლიტური თეორიები, უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად, იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს (უკეთეს შემთხვევაში) ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და სამომავლოდ – ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. განსხვავებით ამისგან, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერად ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოიხრება ეროვნული ეკონომიკური და საერთოდ ქართული იდეოლოგიის „სამოსელს“³. მსოფლიო ეკონომიკურმა პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანად ქვეყანა, არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავწარმოება. ეს მომენტი ობიექტური აუცილებლობით აყენებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ღია ეკონომიკის ფორმირებისა და იმავდროულად ეროვნული საზოგადოებრივი კვლავწარმოების მოდელის მოძიებისა და ამოქმედების ამოცანას. ეს უნდა იყოს ეროვნულ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის საუკეთესო მერმისს. ასეთი ეკონომიკის მქონე ეროვნული სახელმწიფო მოწოდებულია ყოველმხრივ დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები და არეგულიროს სიტუაცია არა გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ, არამედ ქვეყნის უფრო თავისუფალ, უფრო უკონფლიქტო ინტეგრაციისათვის ამ გლობალურ პროცესში. სწორედ ამიტომ, ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების, ხალხის ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის ორმხრივად სასარგებლო ინტეგრირება მსოფლიოსთან. ამისათვის, არც სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის შეცვლაა აუცილებელი და არც ეროვნულობის ნიველირება, რასაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მრწამსი აღუდაბებს. როგორც დიდი ილია ბრძანებს, „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის ზეგავლენით მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ თავიანთი განვითარების მოდელებში გარკვეული კორექტივები შეიტანონ, თუმცა, ეს ყოველთვის როდი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის თუ ერის სპეციფიკიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, აღნიშნულ მოდელირებაში უხეშად ერევიან გარკვეული გარე ძალები, რომლებიც ცდილობენ გლობალიზაციის ამა თუ იმ პროცესს თავიანთთვის სასარგებლო მიმართულება მისცენ.

¹ Дайджест экономической теории. Под ред. Соколинского. В.М. М. ст.181.

² Теориретическая экономика. Политэкономия УЧ. Под ред. Журавлевой Г.П., М., 1997. ст.415.

³ გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდეციები, თბ., 2004, გვ. 36.

XX-XXI სს. მიჯნაზე მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე საკაცობრიო დეფორმაციების, ღვთისაგან გლობალური განდგომის ამომწურავ შეფასებას იძლევა ღვთიკურთხეული ზვიად გამსახურდია ინტერვიუში – „უახლესი ისტორიის დღევანდელი გადასახედიდან“. მასში ნათქვამია, რომ „დასავლეთის ძლიერი ქვეყნების მთავრობები, მცირე გამოწვევის გარდა, განუდგნენ დემოკრატიას, რაც ცარიელ სიტყვად აქციეს. ისინი შეუნიღბავად ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას და ლტოლვას თავისუფლებისაკენ. ეს, ფაქტობრივად, ევროამერიკული იმპერიალიზმია, რომელიც ებრძვის მისთვის არასასურველ მთავრობებს და ამყარებს თავისთვის ხელსაყრელ რეჟიმს. ამის უტყუარი მაგალითია საქართველოს ეროვნული მთავრობის შეიარაღებული დამხობა, რომელიც ესწრაფოდა ეროვნული კულტურის აღორძინებას, იმ რეალობის წარმოჩენას, რომ ქართული კულტურა უძველესია ბევრი ევროპული ხალხის კულტურაზე. – ეს ეროვნული ორიენტაცია არ მოეწონათ საერთო ევროპული ხალხის მესვეურებს, რადგან მათი მიზანი ერთიანი მსოფლიო კონგლომერატის ფორმირებაა – სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით, რომელიც მთელ პლანეტას დაიმორჩილებს“¹.

ამ ასპექტით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „სამყაროს ევოლუცია, ანუ კაცობრიობის სულიერი ბიოგრაფია“, რომელიც მართლაც რომ კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ამოუხსნელი დილემის – ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების, ჯვარცმის, აღდგომის, კაცობრიობის დაცემისა და სამომავლო პერსპექტივების ბიბლიურ საფუძველზე გადმოცემას და მეცნიერულ დასაბუთებას ეძღვნება, განკაცებულმა მაცხოვარმა თავის თავზე აიღო კაცობრიობის ცოდვა და სიკვდილით სიკვდილის დამარცხებისათვის ჯვარს ეცვა და მერმე კვლავ აღდგა. ეს მისი პირველი აღდგომა საწინდარია იმისა, რომ ყველა ადამიანი დაადგეს ღვთის გზას, რათა კაცობრიობა დაუბრუნდეს სამოთხისეულ ცხოვრებას, ანუ ქრისტეს გზას დამდგარი კაცობრიობა დაამარცხებს სიკვდილს და ეშმაკების სახით ცოდვილ ბნელეთში ყოფნას. თუმცა, ეს მოხდება მაცხოვრის მეორედ მოსვლის შემდეგ, როცა უფალი განკითხვის დღეს ყველას სასჯელის ან ჯილდოს მისაღებად მოუწოდებს.

მას შემდეგ საუკუნეები გავიდა, კაცობრიობა სულ უფრო დაშორდა ბიბლიურ მოძღვრებას, სამყარო სულ უფრო იცლება ღვთაებრიობისაგან, ბოროტი სულები ძლიერდებიან ჩვენს სამყაროში და ხილულად თუ უხილავად, გაბოროტებით ებრძვიან სულიერებას, სამშობლოსა და ღვთის სიყვარულს, რათა გააბატონონ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ უზნეო სახე.

ამ ფონზე და საერთოდ, მიუღებელი და ამაზრზენია ე.წ. ფრთიანი გამოთქმა: „მე ვარ ქართველი და მამასადამე – ევროპელი, ჩვენ ვეკუთვნით ევროპულ ცივილიზაციას და ვამაყობთ ამით“. არა ბატონებო! ჩვენ რაც ვართ და ვინც ვართ, ფრიად საამაყოა, მაგრამ უფრო საამაყოა ის, რომ ჩვენ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან ვდგავართ, ვართ მისი ღირსეული მემკვიდრეც და მისი განუყოფელი ნაწილიც.

ასეც რომ არ იყოს, განა, აღმოსავლური ცივილიზაცია მსოფლიო ცივილიზაციის პირველი წყარო და გვირგვინი არ არის (ჩინური, ინდური, იაპონური და ა.შ.)? ჩინური ცივილიზაცია ხომ ყველაზე ძველი და უმდიდრესია მსოფლიოში, ხოლო თანამედროვე მიღწევები – დიდად შთაბეჭდავი. დღეს იქ განხორციელებადი მოდერნიზებული რეფორმა დევიზით - „ჩინური მოძღვრება – ფუნდამენტური მოძღვრებისათვის, დასავლური – გამოყენებითი სარგებლობისათვის“, - თანდათანობით თრგუნავს ყბადალებულ ვესტერნიზაციას და განუხრელად ადადგენს ეროვნულ ფასეულობებს. ჩინელებმა შეძლეს დასავლური კულტურის სეგმენტების „ჩინეთიზირება“ და არ წავიდნენ „დასავლეთიზაციის“ გზით. ასევე, იაპონელებმა, კორეელებმა და სხვებმაც შეძლეს ახალ საწყისებზე აღორძინება, რისთვისაც არ დასჭირვებიათ მსოფლმხედველობის შეცვლა და ეროვნულობის ნიველირება. როგორც სავსებით სწორად ასკვნიან მსოფლიოში უძველესი ჩინური ცივილიზაციის მკვლევარები და ჩვენც სავსებით მხარს ვუჭერთ ამ მოსაზრებას, საზოგადოების მოდერნიზაციის ჩინური ვარიანტი – ეს არის ზედმიწევნით განვითარებული კულტურული პოზიცია ჯანსაღად მოაზროვნე და სოციალიზებული ნორმალური ადამიანებისა, ხოლო დასავლური ლი-

¹ გამსახურდია ზ. უახლესი ისტორიის გადასახედიდან, სანკტ-პეტერბურგი, „ნაროდნაია პრავდა“, 1992, №41.

ბერტარიანული კი – „ნორმისაგან“ პარადოქსული გადახრა, გონების ერთგვარი „გაუკუღმართება“, რომელიც დაფუძნებულია „შეუძლებლობისკენ სწრაფვასა“ და „აბსურდის რწმენაზე“¹.

ყოველივე აღნიშნული მეტ-ნაკლებად შეეხება ჩვენს ქვეყანას – საქართველოს, ის ასევე, უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია, ხოლო, მისი რელიგიური მრწამსი – ქრისტიანობა – ყველა რელიგიაზე ძველი, „ბიბლიაც“ პირველი რელიგიური მოძღვრებაა.

საქართველოს ეკლესია კი თავისთავად უნიკალური მოვლენაა მართლმადიდებლურ სივრცეში როგორც ასაკისა და ისტორიის, ასევე საღვთო წესების მიხედვით. თუმცა, ის რაოდენობრივად მცირე ეკლესიაა, მაგრამ ნელ-ნელა გადის დასავლურ სივრცეში – ქართულ ეკლესიას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ევროპასა და ამერიკაში, ასევე ლონდონში არის უზარმაზარი ტაძარი და ა.შ., ანუ ქართული ეკლესიის გავლენა მატულობს მსოფლიოში.

როგორც ფრანგი პროფესორი შარლ ჟიდი წერდა, „საქართველო კაცობრიობისათვის წამებული ამირანის განთქმული მითოლოგიური მხარეა. იქ ანთებულმა კოცონმა გააშუქა ეპოქა და ქვეყნიერება, მადლობა მას. ჩვენ ამ მშვენიერი ქვეყნიდან გაცილებით მეტი სინათლე მივიღეთ, ვიდრე მას ვაძლევთ“².

საქართველო ხომ ისტორიულად ის ქვეყანაა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაძრული ბნელი ძალების შემაკავებელი ფაქტორი იყო, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის წაღვეკას აპირებდა. აი, რას ამბობს ამის თაობაზე დიდი ჰუგო ჰუპერტი: „თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეთა განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგიზ ხანები და სხვა აღმოსავლური სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, სადაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილი და დასუსტებული აღწევდნენ ევროპამდე“.

ქართული კულტურა ხომ უფრო ძველია, ვინემ ევროპული, ის ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურაზე უფრო ადრე არსებობდა. „ჰეროდოტეს მსოფლიო რუკის (ძვ.წ. 450 წ.) გეოგრაფიულ ცენტრში (!) საქართველოს სახელმწიფოა. მსოფლიო კი ხმელთაშუაზღვის მიმდებარე ქვეყნებით და ძირითადად უცნობი მიწებით შემოიფარგლება. ამ დროისთვის და ამ რუკაზე კონტინენტური ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ დასტურდება – სიცარიელეა, თავისუფალი მიწებია“³.

მოგვიანებით, ამ კონტინენტზე მსოფლიოში ყველაზე დაწინაურებული ცივილიზაცია შეიქმნა, რამაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირების პროცესზე. შესაბამისად, მართლმადიდებლობა რელიგიურ-ცივილიზაციურ მიმდინარეობათა (იერარქიათა) თავანკარა წყაროა, ის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომაც უცვლელია. რაც მთავარია, ქრისტიანობამ იხსნა ევროპული კაცობრიობა სულიერი კატასტროფისაგან და ფართო ასპარეზი შეუქმნა მის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ პროგრესს. ქრისტიანობა მართლმადიდებლობის უმაღლესი მორალის მქადაგებელი მოძღვრებაა. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ვერ გავიზიარებ ბატონ ნუკრი მიხანაშვილის (რომლის ბევრი საინტერესო და საფუძვლიანი პუბლიკაცია წამიკითხავს) მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ეკლესიური კულტურის დამკვიდრებით, ქართული ცივილიზაციის განვითარება შეჩერდა და რომ ქართველთა ძირითადი ნაწილი „აგრძელებს პირველყოფილი ეკლესიური კულტურით ცხოვრებას, სინამდვილეში კი პრიმიტიულ წარმართულ ცხოვრებას, ძველი ხალხური ღვთისმოსაობით პრიმიტიული წარმართობიდან, ჯერ ქრისტიანობაში უნდა „გადავინაცვლოთ“, შემდეგ როგორმე – რაციონალურ აზროვნებასაც შევძლებთ“⁴.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარებიც ზედმეტია, თუმცა, მკითხველს მინდა შევახსენო გენიალური ფიზიკოსის აინშტაინის ფრიად საყურადღებო აღიარება: „მე მწამს ღმერთის არსებობის და გულახდილად

¹ გოგონია რ. ზვიად გამსახურდია ღვთაებრივი სამყაროსკენ კაცობრიობის გზის შესახებ. მწერლობა – XXI, №2 (12), 2014, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი, გვ.26.

² შარლ ჟიდი. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. თარგმანი ი. გაბელაიასი, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, თბ., 1919, გვ. 11.

³ მიხანაშვილი ნ. საქართველოს ადგილი მსოფლიო გლობალიზაციაში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2015, 1 აპრილი.

⁴ მიხანაშვილი ნ. რატომ ვართ ჩამორჩენილი ქვეყანა?, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 24 მაისი.

შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი წუთი ჩემი ცხოვრებისა არ ვყოფილვარ ათეისტი. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ გაბედულად უარყავი დარვინის, ჰეგელის შეხედულებანი, ვითარც უმწეოდ მოძველებული. რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ამ ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტ დასკვნამდე მივდივართ, რომლებსაც მხოლოდ სარწმუნოებით თუ გადავწყვიტოთ“.

ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამქვეყნად ადამიანის სამი გვარი არსებობს: ერთნნი ემსახურებიან ღმერთს იმიტომ, რომ უკვე იპოვეს; მეორენი ეძებენ ღმერთს იმიტომ, რომ არ უპოვნიათ. მესამენი არც ეძებენ და არც უპოვიათ. პირველნი, ბედნიერები არიან და კეთილგონიერნი; მეორენი, უბედურები და კეთილგონიერნი; მესამენი – უბედურნი და უკეთურნი (პასკალი).

დიდად სამწუხაროა, რომ „ბედნიერთა და კეთილგონიერთა“ რიცხოვნობა, მსოფლიო გლობალიზაციის კვალობაზე, სულ უფრო მცირდება, კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ივიწყებს, რომ ტალანტი მრწამსის გარეშე ქმნის არამზადებს (კ. მარქსი), რომ მართლმადიდებლური მოძღვრება უბერებელი და მარადიული ჭეშმარიტებაა (პაისი), რომ უღმერთობა საკაცობრიო დანაშაულია და რომ „ჯოჯოხეთიც კეთილ არს ქრისტეს თანა“ (მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი).

როგორც საქართველოს პატრიარქი ილია II 2016 წლის საადღვომო ეპისტოლეში აღნიშნავს, მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე თანამედროვეობამ, სიხლის აბრით წინ წამოსწია „მე“-ს პრინციპი, გულის ამრევი გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, გემოთმოყვარეობა, სიძვა, ამპარტავნობა, ვერცხლისმოყვარეობა და მსგავსი სხვა ველური საქციელი. სამწუხაროდ, დასამცირებლად წარმოაჩინენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

საქართველოში სოკოებივით მომრავლებულმა არასამთავრობოებმა ძველთაძველი სახელმწიფოებრიობის მქონე – დავით აღმაშენებლის, რუსთაველისა და თამარის, ქეთევან დედოფლისა და სააკაძის, ილიას, ვაჟასა და გალაკტიონის სამშობლოში ისეთი პრობლემების ძიება დაიწყო, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ყველაფერს ავი თვალთ შეხედეს, აქაოდა, „ჩვენ ფულს იმაში გვიხდიან, რომ ცოლმა ქმარს უღალატოს, ბიჭმა ბიჭი, გოგომ გოგო შეიყვაროს, ოჯახები დაინგრეს, მრავალი შვილი კი არა, ერთიც მეტიააჰჰ... დროა ეს გოიმური და „აზიური“ ცნება-ქართველი საბოლოოდ ამოიძირკოსო“¹. ძალზე სამწუხაროა, რომ მსგავსი რამ, უმეტესწილად, ხდება უცხოური დაფინანსებით, ქვეყანაში – საქართველოში, სადაც ქართული ხასიათისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია სხვისი სიწმინდეების შეურაცყოფა, რელიგიური შეუწყნარებლობა, ადამიანის ეთნიკური ნიშნით დამცირება. ამ მხრივ, საქართველო ხომ სხვადასხვა ეთნოსის თუ რელიგიური ჯგუფის მეგობრებად და კეთილგანწყობით თანაარსებობის მისაბაძი მოდელია. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მცდელობები, თავს მოგვახვიონ პოლიტიკური და რელიგიური რადიკალური აგრესია განსხვავებული აზრისა და ცხოვრების წესის გამო, განადგურებით ემუქრება ჩვენი არსებობის საფუძველს. ამიტომ ნებისმიერი ასეთი გამოვლინების მიმართ, განსაკუთრებული სიფხიზლე და შეურიგებლობა გვმართებს². ყველამ უნდა შევიგნოს, რომ ბოლო პერიოდში თითქმის მთლიანად გაყალბებულია „თავისუფლების“ მცნება, რომლის არსსაც ყალბად გაგებული ლიბერალიზმის მრავალ განშტოებასთან აიგივებენ. თავისუფლების არსის გაგების საინტერესო მცდელობა მოცემულია ბატონ ჯ. სარდლიშვილის შემდეგ ნააზრევში: თავისუფლება მხოლოდ კულტურულ სივრცეშია შესაძლებელი, იმ სივრცეში, სადაც ადამიანი ღმერთობს. ჟორჯ ბერნარდ შოუმ თქვა - „თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას, აი, რატომ ეშინიათ ადამიანების უმეტესობას მისი. რაც შეეხება ლიბერალიზმს, ის არ არის საზოგადოებრივი ფორმაცია, არც სახელმწიფოს მმართველობის ფორმა. ჭეშმარიტი ლიბერალიზმი უნდა გაიწმინდოს დამანგრეველი მინარევებისაგან, რომელიც მხოლოდ სარგებელზე მოფიქრალბება წარმოქმნის. „ჰომოსექსუალი (ისევე როგორც ლესბოსელი) ამოვარდნილია არსიდან. მისი ბუნებრივი ქსოვილი მორღვეულია და საკუთარ თავთან „გაუცხოებულია“. ასეთი ადამიანი ბუნებრივ „შემლილობაშია“. ავადმყოფობაში შეუძლებელია მოიაზრებოდეს თავისუფლება“³.

¹სრულიად საქართველოს გაზეთი რაეო, 2016, მაისი, №5 (273).

² ივანიშვილი ბ. არჩევნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 31 მაისი.

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 21 მაისი.

სავალალოა ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში კლასიკური დემოკრატიის ნაცვლად, სადაც კონსერვატიული, გნებავთ, ეროვნული მშვიდობიანად თანაარსებობს ზომიერ ლიბერალიზმთან, საქართველოშიც ფართოდ იკიდებს ფეხს აგრესიული ლიბერალური დემოკრატია, ანუ ლიბერტარიანიზმი, რომელიც გულმოდგინედ ნერგავს და იცავს მხოლოდ პედერასტების, ლესბოსელების, იელოველების, სხვადასხვა რჯულის სატანისტების უფლებას თავისუფლების აბრით. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ აგრესიული ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ხელისუფლების მეხუთე კოლონად ჩამოყალიბდა არასამთავრობოების უმეტესობა, რომლებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველი მხოლოდ გარყვნილ უმცირესობათა უფლებას იცავს, „ნორმალური ორიენტაციის ქართველებს არ გვაქვს უფლება, საკუთარი ეკლესია, რელიგიური მრწამსი დავიცვათ და პასუხი მოვთხოვოთ საპატრიარქოს წამბილწველ პედერასტებს“¹.

სამწუხაროდ, საქართველოში მართლმადიდებლობას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს, რაც, საბოლოოდ საქართველოს განადგურების მცდელობის ტოლფასია.

კიდევ რამდენიმე უღმრთოს მოსაზრება ამავე საკითხზე: „საბას“ სამგზის ლაურეატი ლაშა ბულაძე: „თუ გვინდა ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთ. არ არსებობს ლიბერალური დემოკრატია თანასწორობის პრობლემის გარეშე, თანასწორობა კი ცალსახად ნიშნავს, რომ უმცირესობას და მათ შორის, სექსუალურ უმცირესობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ქორწინების და ბავშვის აყვანის ისეთივე უფლებები, როგორც ყველა დანარჩენს“².

კიდევ უფრო შორს მიდის ილიას უნივერსიტეტელი, ვინმე გ. მაისურაძე: „ილუზიაში ნუ ვცხოვრობთ მეგობრებო! დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვითონ თავისუფლების უწმინდეს იდეაზე ...პსწორედ მართლმადიდებლობა და არა რომელიმე სხვა ორგანიზაცია ან პიროვნება არის მთავარი წინააღმდეგობა საქართველოში დასავლური ფასეულობების დამკვიდრებისა, ამიტომ ჩვენ, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიბრძობთ ბოლომდე და ყოველი კანონიერი საშუალებით, სანამ არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილურ იდეას საქართველოში, სიბნელის, აგრესიის და უძრაობის დასაყრდენს მართლმადიდებლური რწმენის სახით“³.

ბატონი აკ. ასათიანიც „მოკრძალებით“ თუ შეფარულად, ზემოთ მოყვანილ „მარგალიტებს“ უჭერს მხარს, როცა დაბეჯითებით წერს: „ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს კაცობრიობის ცხოვრების მოდელირება. ამიტომ ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ ამას. ეს არის ჩვენი შანსი, რომ მთელს კაცობრიობა მოეწყოს ისე, როგორც ევროპაა მოწყობილი“.

საქართველოში სოკოებივით მომრავლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ამფსონების „დიადი პროგრამაც“ ზემოხსენებულთა მსგავსია: „თუ ევროპა და ნატო, პროგრესი გვინდა, დიახაც უნდა დავაკანონოთ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებები“, - ამაყად განაცხადა სახალხო დამცველის მანტიის ძიებით გართულმა ქართველმა მანდილოსანმა ლ. მუხაშავრიამ უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე⁴.

რა პასუხი უნდა გავცეთ ასეთ „განათლებულ ადამიანებს? – ვებერისა არ იყოს, დიახაც, რომ განათლებული ბარბაროსი, ყოველ ბარბაროსზე უბოროტესია!“ ჩვენი „თანამემამულეების“ მსგავსი მოსაზრებების მოყვანა, სამწუხაროდ, უხვად შეიძლება, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ევროპელი პედერასტ-ლესბიანკები ან მათი აპოლოგეტები, დაბეჯითებით ცდილობენ ერთსქესიანთა ქორწინება მართლაც „უმწიკვლო და ხელშეუხებ“ ჭეშმარიტებად შემოგვასაღონ ქართველ ხალხს. მათ შორის, რეკორდსმენი მაინც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ბაიდენია, რომლის შეურაცხყოფელ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა! სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ცივილიზებული ქვეყნების მახასიათებელი ნიშანია და ის ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს. გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 25 მაისი.

² გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2016, 8-14 აპრილი.

³ ჟურნ. „თბილისელები“, 2016, №21, 23-29 მაისი.

⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014, 13 თებერვალი.

ნაკადს. მათი მოწინააღმდეგეები კი ველურები არიან. ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო“¹.

არის კი, ან შეიძლება იყოს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი - ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობა აბიპარტებს მის ისტორიას, ტრადიციებს, კულტურას და მასზე მაღლა აყენებს გარყვნილ უმცირესობათა აღვირახსნილ „თავისუფლებას?“ – რა თქმა უნდა, არა, უფრო მეტიც, აშშ-ის ორმაგი პოლიტიკური სტანდარტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რამეთუ მან განაპირობა მსოფლიო ქაოსი, ქვეყნებსა და ხალხებს შორის უნდობლობა, ომები, ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ა.შ.

ბატონ ჯონ ბაიდენის ეს ნათქვამი, უწინარესად დიდი ამერიკელი ხალხის შეურაცხყოფა, ამერიკული სათამაშოდ ქცეული სიტყვა „დემოკრატიის“ (ჰ. ჭიპაშვილი) ფეხქვეშ გათელვაა, რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, ვისი მისამართითაც არის მიმართული. და ასეთ უხამსობის ღირსეულ პასუხად გამოდგება ბატონ დ. მხეიძის შემდეგი მსჯელობა: „ერთსქესიანთა ქორწინებები, სამწუხაროდ, მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ქალი ქალთან დაწვება თუ კაცი კაცთან. ეს სწორედაც რომ პოლიტიკური საკითხია, პოლიტიკა, რომლის მიზანია ყოველგვარი მორალის, ეთიკის, ტრადიციებისაგან და ა.შ. დაცლილი საზოგადოების, მე ვიტყვოდი, ჰომონეოლიბერალის მენტალიტეტის, ცხოველის მსგავსი ადამიანის შექმნა“².

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, ალბათ, დიდად არ უნდა გაგვაკვიროს იმან, რომ გასულ წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად გამოაცხადა, ანუ ნეოლიბერალური აზროვნების მოდის მიმდევარ მეცნიერ-მედიკოსთა მიხედვით, სიყვარული ფსიქიკური აშლილობა, ანუ სიგიჟეა. ამით წერტილი დაესვა ამაღლებულ, უწმინდეს, ღვთაებრივ გრძნობას, რომელიც ზეციურ, უზენაეს არსებათათვის არის დამახასიათებელი. თუმცა, რომელ სულიერებაზე, რომელ მაღალ ზნეობრიობაზე შეიძლება მსჯელობა, როცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კვალზე ერთსქესიანთა დაქორწინების ლეგალიზაციის შესახებ, აშშ იზრუნებს მსოფლიოში ლგბტ პირებს ყოველნაირად შეუწყოს ხელი.

აი, ასეთია აშშ-ის თანამედროვე დემოკრატიის არსი, მაშინ როცა „მსოფლიო ჯალათად“ მონათლული რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც კანონის ძალით აკრძალა გეი ალღუმების გამართვა მას შემდეგ, რაც აშშ-მა საკუთარი ქვეყნის მასშტაბით ყველგან დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინებები. უფრო მეტიც, რუსეთის მართლმადიდებლობა დაუძინებელი მტერია ლგბტ-ებისა და გადაულახავი ზღუდე ნეოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდისა.

ისე, სხვათა შორის, როგორც ერთი ბრძენი ბრძანებს, თანამედროვე ლიბერტარიანელებს და ყველას კარგად უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ამქვეყნად გვინდა თუ არა, სიყვარულით სავსე და უსიყვარულოდ შეთენილნი არსებობენ. უფლის გზის ბილიკებზე მხოლოდ სიყვარულის შვილები დაიარებიან და კაცობრიობას თუ გადარჩენა უწერია, მხოლოდ მათი დამსახურება იქნება. სიყვარულის მეუფე კი მაცხოვარი იესო ქრისტეა, რომელიც ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე!“ (იოან. 14, 6)

თანამედროვე ე.წ. ლიბერალური დემოკრატია, მკვლევარ დ. მხეიძის აზრით, ოთხი რამის უარყოფაზეა დაფუძნებული – არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა ღმერთს და სქესს, ანუ არა ყველაფერ იმას, რაზედაც ყოველთვის იდგა კაცობრიობა. ამ „არებმა“ დასავლეთში ლამის ახალი რელიგიის სახე მიიღო³. ყური ვუგდოთ სახარებას, რომელიც გვასწავლის, რომ უნდა გვემინოდეს არა იმისა, ვისაც ხორცის შემუსვრა შეუძლია, არამედ იმისა, ვინც ჩვენს სულს ემუქრება (მათ. 10, 28).

დღევანდელი ეპოქა ფასეულობათა დევალვაციის ეპოქაა, რომელიც ზნეობრივი გმირების ნაკლებობას განიცდის. ბერტოლდ ბრენტისა არ იყოს, ვაი, რომ მართლაც საბრალოა ის საზოგადოება, რომელსაც გმირის მოძიება სჭირდება. სულიერი გმირები ბიბლიურ მოძღვრებაზე იზრდებიან, რომელთაც გათავისუფლებული აქვთ, რომ 33 საუკუნის წინათ შექმნილი კაცობრიობის „წიგნთა წიგნი“, მოსეს ხუთწიგნეული, ანუ „ძველი აღთქმა, ის ოკეანეა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ზნეობრივი ქცევის საკვანძო საკითხები და რომელიც მარად იქნება პიროვნების ჩამოყალიბების დაუშრეტელი წყარო. მართალია, მისი

¹ გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2015, 6-12 ივლისი.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 31 მაისი.

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 13 აპრილი.

სიღრმეული შესწავლა არა თუ ძნელი, შეუძლებელია, მაგრამ ის თაობა, რომელიც უარს იტყვის ამ ფასეულობაზე, კაცობრიობის დასასრულს დაუდებს სათავეს, რამეთუ „კაცობრიობას ზნეობრივი ადამიანები ქმნიან“.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ბიბლიაში მყარადაა დაფიქსირებული ყოველთა ქრისტიანთა საყოველთაო დოქტრინა – „ღმერთი არის სიყვარული, ანუ სიყვარული ღმერთია“. ეს ზოგადად, ჩვენთვის – ქართველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უფალმა გამორჩეულად ქართველებს სიყვარულის ნიჭი და მადლი უბოძა. ეს სიყვარული და ძალა ღვთისა მუდამ იფარავდა და დაიფარავს მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ხილული და უხილავი მტრებისგან. ასეც არ იყოს, უცხოეთშიც ბევრია საქართველოს და ქართველთა გულშემატკივარი, რომლებიც უფროსილდებიან უძველეს ქართულ კულტურას, ტრადიციებს, სახელმწიფოებრიობას, რელიგიას და ხმას იმაღლებენ ყოველივე აღნიშნულის გამყალბებელთა წინააღმდეგ. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ევროპის პარლამენტარის ანდრეის მამიკინის ხმამაღალი, უაღრესად საგულისხმო განცხადება: „ჩვენ დემოკრატიის შუქურა ვართ, მაგრამ ვის ვასწავლით ჭკუას? საქართველოს, რომელიც ევროპის ცივილიზაციის აკანია და რომელსაც სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ისტორია აქვს?“¹.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, სასიხარულოა, რომ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ღვთის ნებითა და შემწეობით, ჭეშმარიტი მამულიშვილობა ჩაიდინა და დაგმო ერთსქესიანთა ქორწინება. კერძოდ, საქართველოს წმინდა სინოდის 2016 წლის 25 მაისის სხდომამ დააფიქსირა, რომ ეკლესიისათვის მიუღებელია ერთი სქესის პირთა სქესობრივი კავშირი, ასევე თანაცხოვრების სხვა, ქორწინებისაგან განსხვავებული ნებისმიერი ფორმა და დაგმო ეს ცოდვა. ეკლესია წუხს ამგვარ ცოდვაში მყოფი ადამიანების უკვდავი სულის მარადიული ხვედრის გამო და მიმართავს მთელ სამოდღვრო ძალისხმევას, რათა მათ შეეცნონ ამ ცოდვის უკიდურესი სიმძიმე და ჭეშმარიტი სინანულის გზით განემორონ მას².

აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ 2016 წლის 12 ივნისს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და დაარეგისტრირა სარეფერენდუმო შეკითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“ 200 ათასი ხელმოწერისას 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, საქართველოს მოსახლეობას საშუალება მიეცემა საზღვარგარეთ აკრძალოს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება. ეჭვი არ არის, რეფერენდუმის ჩატარებას 200 ათასი კი არა, ათჯერ მეტი ადამიანი დაუჭერს მხარს. არჩევნებზე კი, თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტის გამო, ამომრჩეველთა არნახული აქტიურობა იქნება, ანუ, როცა „ადამიანი ივსება ღვთის სულით, ყველაფერი შესაძლებელი ხდება“.

ღიახ, როგორც საქართველოს პატრიარქი ილია II 2016 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გემოდღვრავს, „ჩვენთვის ამქვეყნად მოცემული სიცოცხლის დრო უდიდესი დატვირთვისაა, რადგან ყოველი ადამიანისათვის ამ პერიოდში ხდება მარადიული ნეტარების მოპოვება ან დაკარგვა ... არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა განწმენდისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება, ელოდება ჩვენს სინანულს. ამიტომაც ბრძანებს: „არ მოვსულვარ მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა სინანულისათვის“ (მათ. 9, 13), „მოვედით ჩემდა ყოველნი მასწავლებნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მათ. 11, 28), „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათ. 11, 30).

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, სავსებით კანონზომიერია ის, რომ 2016 წლის 16 მაისს თბილისში ტრიუმფალურად ჩატარდა მსოფლიოს მეათე საოჯახო კონგრესი, რომელსაც აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, სერბეთიდან, გერმანიიდან, ნიგერიიდან, ვენესუელაიდან და სხვა ქვეყნებიდან 300 დელეგატი, ასევე ქართველი ეროვნული და სამოქალაქო საზოგადოება ესწრებოდა. კონგრესის საქართველოში ჩატარება, დიდად განაპირობა იმან, რომ საქართველოს პატრიარქმა 17 მაისს – მსოფლიო მასშტაბით გამოცხადებულ გარყვნილების „დღესასწაულს“, სახე უცვალა და ოჯახური სიწმინდისა და სიყვარულის დღედ გამოაცხადა. კონგრესმა განიხილა ეპოქალურად საკაცობრიო საკითხი -

¹ შურნ. „სარკე“, 2016, 1-7 ივნისი.

² შურნ. „სარკე“, 2016, 1-7 ივნისი.

„ცივილიზაციის გზავარდინზე: ოჯახი – თავისუფლების და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის ბასტიონი“. კონგრესის უაღრესად ნაყოფიერი მუშაობის გამოკვეთილი ლაიტმოტივი იყო ერთსულოვანი და მტკიცე უარი კაცობრიობის სხეულზე მოძალებული ლგბტ პროპაგანდას, კეთილი ნების ადამიანთა ზნეობრივი იდეოლოგიის საყოველთაო მხარდაჭერით, ასევე, საქართველოს გაფრთხილება იმის თაობაზე, თუ რა საფრთხე ემუქრება მას ლგბტ-ს სახით, თუ ერი და ბერი წინ არ აღუდგება მის მასობრივ პროპაგანდას. სიმპტომურია, რომ კონგრესზე მოხსენებით - „საქართველო – ოქროს გზავარდინი“, გამოვიდა ევროპის სახალხო პარტიის ყოფილი პრეზიდენტი ლუკა ვილონტი. აღნიშნული კონგრესი გაიმართა ცნობილი ქართველი ბიზნესმენ-ქველმოქმედის, „საქართველოს დემოკრატიული საზოგადოება – XXI საუკუნის“ თავმჯდომარის ლევან ვასაძის ორგანიზებითა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობით. კონგრესზე იგი გამოვიდა ვრცელი, ღრმადშინაარსიანი და ჯანსაღი ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე მოხსენებით, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. რელიგიის თავისუფლების ნაცვლად, აღნიშნა ბატონმა ლ. ვასაძემ, ჩვენ მივიღეთ გამუდმებული და შეუქცევადი შეურაცხყოფა და შეტევები ჩვენს ისედაც გაწამებულ საქართველოზე, მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, მის პატრიარქზე, მის სამღვდლოებაზე, მის ქადაგებაზე, მის მრევლზე. შეტევები, რაც იგეგმება და ხორციელდება ასობით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დააფუძნა და რომლებსაც აფინანსებს დასავლეთი ამ ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანაში და რომლითაც ილუზორული თავისუფლების ყალბი დაპირებით იმხამება ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ, ერთი მხრივ, ალტაცებით შევცქერით თქვენი მოკლევადიან, ორასწლიან წარმატებას და როგორც მარადიულ ერს, გვსურს თქვენგან ვისწავლოთ თქვენი კულტურის ჯანმრთელი მხარეები, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ გახრწნის ნათელ ნიშნებს თქვენს სხეულზე. საქართველო არის ოჯახი და მას არასოდეს შეეხოს არაფრით, გარდა პატივისცემისა ... საქართველო დაპყრობილია ორი ოკუპანტის მიერ. ერთი რუსეთია, მეორე აშშ, ერთს ქვეყნის ტერიტორიის 22% აქვს მიტაცებული, მეორეს 78%. ჩვენ არც ერთი გვინდა, არც მეორე როგორც პატრონი, ქართველ ერს სურს დამოუკიდებლობა და ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. საქართველოს ხელისუფლებაში მუდამ უნდა იყვნენ არაპროამერიკულ-დასავლური თუ რუსული, ან კიდევ სხვა „პროები“ ან მხოლოდ მამონის მონები, არამედ პროეროვნული ძალები¹.

აქ ყველაფერი ნათლად და რეალისტურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა, ზოგიერთ ავციას, პოლიტიკოსს თუ არა პოლიტიკოსს, ქილიკის საგნად რომ გაუხდია ლ. ვასაძის შთამბეჭდავი და გაბედული გამოსვლა (რითაც მან ბევრი საკუთარი რამ სასწორზე დასდო), ვურჩევდი, ერთხელ მაინც მიმართოს „წმინდა წერილს“, რათა გაარჩიოს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტების შესახებ საკუთარი თუ მავან მოლაყბეთა შეხედულებები. აჯობებს, ჭეშმარიტად აჯობებს ყური ვუგდოთ და გავითავისოთ მაცხოვრის გაფრთხილება: „არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის მონობა, რადგან ან ერთს შეიძულებს და მეორეს შეიყვარებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს“ (ლუკ. 16, 13).

ეს იმის მინიშნებაცაა, რომ გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს - ქვეყანა ერის ბუნებისა და ტრადიციებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს. ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა. გარედან მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები. საქართველოს მსახური ცუდი ხელისუფლებაც კი ათგზის სჯობს გარედან მართულ ნაქებ-ნადიდებ ხელისუფალთ - ასეთია საქართველოს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ქართველი საზოგადოებისადმი 2016 წლის 15 მაისის მიმართვის პათოსი².

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში შემოჭრილი ლიბერალიზმის „ყოვლისმომცველი სული“ ღვთის შემოქმედი სულის ანტიპოდია, მას არ ძალუძს ახალი სიმართლისა და მშვენიერების შექმნა, იგი დამანგრეველი ძალაა, რომელიც უპირისპირდება ყველაფერს, რაც კი უფლის ხელით შექმნილია, უპირველეს ყოვლისა-ადამიანს. საბოლოო ანგარიშით, ესაა ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ, რომლის ფინალიც წინასწარ ცნობილია - „ბოროტეულთ მათივე ძალადობა წაღეკავს“ (იგავ. 21, 7).

¹ გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2016, 23-29 მაისი.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 18 ივნისი.

დაბოლოს, მარადიული შეკითხვა: რატომ ითმენს უფალი დედამიწაზე ადამიანთა ამაზრზენ ცოდვებს და ამდენი ცოდვილის არსებობას? – ღვთის მოთმინება ცოდვილთა მონანიების მოლოდინზეა დამყარებული – ასეთია ბიბლიური აღთქმა. როგორც პეტრე მოციქული გვმოდვრავს – უფალი სულგრძელია და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ, ყველა მივიდეს მოსანანიებლად (1 პეტრე 3, 9), ხოლო პავლე მოციქულის მიხედვით – „რამეთუ ქრისტე, ვიდრე იგი ჩვენ უძლურდა ვიყენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათვის მოკუდა“ (რომ. 5,6).

Revaz Gogokhia

From self-discovery to the understanding of God

Resume

On the basis of globalization and falsely understood universal liberalization in the paper, the eternal truth - through the prism of Christian - Orthodox doctrine, there are highlighted the futility of those theories, according to which the creation of united World Government, the unified Constitution, a common religion or even the world without religious, the common language, etc. are inevitable.

The reactionary – libertarian views to the human freedom and democracy are criticized, as well as activities of non-governmental organizations, aiming to detriment the majority by supporting the minorities' non-traditional, human degrading actions.

პილიგრიმული ტურიზმი - „წმინდა ანდრიას გზა“- სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები

რელიგიური ტურიზმი დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო და შიგნით ტურიზმის სისტემაში. საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტები (UNWTO) რელიგიურ ტურიზმს მიიჩნევენ ტურიზმის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად XXI საუკუნეში.

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში რელიგიური/პილიგრიმული ტურიზმი არის არა ხანში შესული ადამიანების მოგზაურობა, რომელთაც თან ახლავთ მღვდელი, როგორც სულიერი მრჩეველი და გიდი, არამედ მასში დომინირებენ ახალი ფიგურები – პილიგრიმი ტურისტები, იგი ხდება უფრო ახალგაზრდა. ეს მით უმეტეს სასიხარულოა, როცა თანამედროვე დროში ისტორიულ-კულტურული და ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება და მათი გადაცემა მომავალი თაობებისათვის პრიორიტეტული ამოცანა ხდება, რაც ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია ზოგადად ტურიზმის და განსაკუთრებით კი, რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე.

რელიგიური ტურიზმი აძლევს ადამიანს შინაგან მორალურ თავისუფლებას, რომელიც ადამიანის თავის თავის მიმართ პასუხისმგებლობაში ძვეს ის პასუხისმგებელია თავის ქცევებზე, თავის სიმართლეზე ადამიანების და ღმერთის წინაშე, წესრიგზე საზოგადოებაში, რაც არის მთავარი შემადგენელი ნაწილი ადამიანის პიროვნულობისა. რელიგიური ტურიზმი მოიცავს სულიერ-მორალურ კონცეფციას ადამიანების ფორმირებაში, საერთო საზოგადოებრივი ფასეულობების ჩამოყალიბებაში, ეხმარება მათ ცხოვრებისეულ თვითგამორკვევაში.

სულიერი აღზრდის თვალსაზრისით, და ეს ეხება არამხოლოდ ახალგაზრდობას, რელიგიური ტურიზმი არის შედარებით ხელმისაწვდომი და დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მხარეზე. წმინდა ადგილების მოსანახულებლად ადამიანები მიემგზავრებიან სხვადასხვა მოტივით: შეიძინონ ღირებულებათა სისტემა, გამყარდნენ სულიერ გზაზე, გაეცნონ ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას¹.

ძლიერია მომლოცველობის ტრადიცია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიაში. ქრისტიანობაში მომლოცველობა მკვიდრდება, როგორც საკულტო მოქმედების ერთ-ერთი სახე IV საუკუნიდან. საექსკურსიო და სამომლოცველო მოგზაურობები ქრისტიანების ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ქრისტიანულ რელიგიაში დიდი ხანია არსებობს მომლოცველობის ტრადიცია, აგრეთვე, პოპულარულია მომლოცველების მიერ რელიგიური ობიექტების სტუმრობა.

ქრისტიანული მომლოცველობის სპეციფიკას განსაზღვრავს მორწმუნეების რელიგიური ცნობიერება, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია ქრისტიანულ საკულტო პრაქტიკასთან.

მომლოცველობის მოტივი შეიძლება იყოს სურვილი ილოცოს სასწაულმოქმედ ხატთან, რომელიც არის გარკვეულ მონასტერში, ეზიარო სულიერი გაგებით ძლიერ ადგილზე ცნობილ რელიგიულ მოღვაწესთან, შეასრულო საეკლესიო-სამშენებლო სამუშაოები, გაიღო შენაწირი და ასე შემდეგ. აგრეთვე, ეს შეიძლება იყოს სურვილი ავადმყოფობისგან განკურნების, შეასრულო უფლისადმი ან წმინდანისადმი ადრე მიცემული პირობა და სხვ.

საქართველოს უნიკალური კულტურულ-ისტორიული ერთიანობა, რომელმაც შეითავსა თავის თავში კულტურული ფასეულობები: არქიტექტურის ძეგლები, ხალხური კულტურა, ტრადიციები, მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნება, ისტორიულ-ეთნიკური და ბუნებრივი გარემო, ქმნის რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

რელიგიური ტურიზმი არის ერთ-ერთი აქტიურად განვითარებადი ტურისტული მიმართულება მთელს მსოფლიოში და საქართველოშიც დიდი პოტენციალი გააჩნია. რელიგიური ტურიზმისადმი გაზრდილი ინტერესი გარდაქმნის მას მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სტაბილურობას და საერთაშორისო დიალოგს.


¹Христов Т.Т. Религиозный туризм. Учебное пособие, 2010, ст. 5-28.

მთელს მსოფლიოში ისტორიულ-კულტურული ობიექტების დაახლოებით 90% წარმოადგენს ტურისტულ ინტერესს და მას პირდაპირი კავშირი აქვს რელიგიასთან. ამიტომ, აუცილებელია რელიგიური ტურიზმის როლის გაგება საზოგადოების ცხოვრებაში, უნდა გამოვლინდეს მისი პოტენციალი, უნდა იყოს მიღებული ზომები მისი განვითარების და ოპტიმიზაციისა, რათა გარკვეული იყოს მისი როლი მომავალში.

საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე¹. საქართველოს თავისი კულტურული პოტენციალი, უმნიშვნელოდ აქვს გამოყენებული ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად, მით უფრო - რელიგიური ტურიზმის განსავითარებლად.

ახლა ბევრს მსჯელობენ, რომ შეინიშნება ადამიანის ინტერესების აქტიური გამოვლინება, კერძოდ საქართველოს მოქალაქეებისა თავისი ისტორიული ფესვებისადმი, რელიგიისადმი, თაყვანისცემის ობიექტებისადმი, წმინდა ადგილებისადმი, რელიგიური ცენტრებისადმი, ისტორიულ-რელიგიური ძეგლებისადმი. თუმცა ამას არ მოწმობს სტატისტიკა, სადაც შიდა მოგზაურობებს შორის რელიგიურ ტურიზმი მხოლოდ 1.9%-ია.

2014 წელს ტურისტთა ვიზიტის მთავარი მიზანი²



მეცნიერების აზრი რელიგიური ტურიზმის განვითარების მიმართ ორად გაიყო. ერთნი თვლიან, რომ რელიგიური ტურიზმის ზრდის მიზეზია ის, რომ უმეტესი ნაწილი ასეთი ტურისტებისა არის შემდეგული ადამიანები, რომლებიც არ იშურებენ სახსრებს „მარადიული ფასეულობისათვის“. სხვები კი აღნიშნავენ, რომ ეკონომიკურ კრიზისს არ გამოუწვევია ტურისტების რაოდენობის შემცირება, ესე იგი რელიგიური ტურიზმი არ არის დამოკიდებული საზოგადოების ფინანსურ შესაძლებლობებზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიო ბაზარი რელიგიურ ტურიზმს აფასებს 18 მლრდ დოლარად წელიწადში, მათგან 4,5 მლრდ-ს იღებს მხოლოდ იტალია, სადაც თავმოყრილია უამრავი ქრისტიანული სიწმინდე. რელიგიური (პილიგრიმული) ტურიზმი მაღალ დონეზე განვითარებული ისრაელში, საბერძნეთში, რუსეთში. ამ ქვეყნებში რელიგიური ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

რელიგიურ ტურიზმს ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ტურისტული ორგანიზაციებისათვის, რელიგიური დაწესებულებებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის.

¹ გრძელიშვილი ნ. რელიგიური ტურიზმი – როგორც ფაქტორი საქართველოს ინტეგრაციისა მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მასალები, თბ., 2013, გვ. 41-48.

² შიდა მოგზაურობა საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. აპრილი-დეკემბერი, 2014.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ტურისტების 53,68% მონაწილეობას იღებს ღვთის მსახურებაში და მხოლოდ ერთი მეოთხედი არის დაინტერესებული ტერიტორიის და ბუნებრივი რესურსების შესწავლით.

ჩვენი აზრით, საქართველოში პილიგრიმული ტურიზმის განვითარებაში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს წმ. ანდრია პირველწოდებულის გზამ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ I საუკუნეში ქრისტეს მოძღვრება საქართველოში იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. აღნიშნული საეკლესიო გადმოცემის უტყუარობას ადასტურებს როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური წერილობითი წყაროები, რაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ ვრცელი ჩანართის მიხედვით, ტრაპიზონიდან ანდრია „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“¹.

„მოვიდეს... ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქციენა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“².

ქართულ წყაროთა თანახმად, ანდრიასა და სხვა მოციქულებს არა მარტო ხალხი გაუქრისტიანებიათ, საფუძველი ჩაუყრიათ ქართული საეკლესიო ორგანიზაციისათვის, კერძოდ, მათ დაუარსებიათ საქართველოში პირველი საეპისკოპოსო იმდროისათვის დიდ ქალაქ აწყურში³. წმ. ანდრიას სახელთანაა დაკავშირებული „აწყურის ღვთისმშობლის“ ხატიც.

ამჟამად მოქმედებს წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მცირე მონაკვეთი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში. მარშრუტის ხანგრძლივობა – 4 დღე; მარშრუტის სიგრძე – 49-54 კმ; გზა - საფენ-მავლო და საცხენოსნო, რთული⁴. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გზა რეალურად, საკმაოდ ვრცელია და იგი გაცილებით დიდ ტერიტორიას მოიცავს.

წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში განვლილი გზის განსაზღვრა შესაძლებელია ძველი ქართული წყაროებისა და ძველი რუკების შეჯერებით. წმ. ანდრიას შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს იძლევა ევსევი კესარიელი IV საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, უფლის ამალღების შემდეგ დედა ღვთისმშობელსა და მოციქულებს წილად ხვდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანობის ქადაგება. ევსევი კესარიელის თანახმად, ანდრია გაემგზავრა სკვითიაში, რომელიც იმდროინდელი განსაზღვრებით, მოიცავდა შავი ზღვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე მიწებს. ანდრიას ასევე მოუვლია ანატოლიის ჩრდილოეთი, კავკასია, აზოვისპირეთი, ყირიმი, ბიზანტია, ელადა⁵.

„ძველ საქართველოში უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ჩვენში მოღვაწეობა და ქადაგება. ახალ დროში, განსაკუთრებით XX ს. დასაწყისში, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარყოფილებს ერთ თავის არგუმენტად ისიც მიანდათ, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც არ შეეძლო მოციქულთა ყურადღების მიპყრობა. სინამდვილეში, მოციქულთა ეპოქაში, I ს. 30-იანი წლებიდან II ს. 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტიურად მოიცავდა ამიერკავკასიას. I-II საუკუნეების საქართველოს სიდიადითა და სიმდიერით მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის გაერთიანებული საქართველო თუ შეედრება. მოციქულთა ეპოქის იბერია სახელგანთქმული და ცნობილი ქვეყანა იყო მთელს მაშინდელ მსოფლიოში, ამიტომაც რომელიც ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას და შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს“⁶.

¹ ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. სახელგამო, თბ., 1955, გვ. 39.

² იქვე, გვ.38.

³ იქვე, გვ. 41.

⁴ www.kharagauli.ge

⁵ ვასილევსკი ვ. გ., შრომები, ტ. II, 1909, გვ. 214.

⁶ ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, 1988, გვ. 11-12.

აღსანიშნავია, ძველქართველ ისტორიკოსთა მიერ გადმოცემული ანდრია მოციქულის მარშრუტი - ტრაპიზონი, აფსარი (გონიო), დიდაჭარა, ოძრხე, აწყური, დასავლეთი საქართველო, ცხუმი (სებასტოპოლისი), ნიკოფსია... აღნიშნულ კუთხეთა გარდა ანდრიას უმოგზაურია ტაოში, ასევე სვანეთში, საიდანაც ის გადასულა „ოსეთში“, იქედან კი აფხაზეთის გავლით დაბრუნებულა ცხუმში¹.

2001 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს მარლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან დააფუძნა ფონდი „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი“, რომლის ბაზაზეც შეიქმნა სამეცნიერო ექსპედიცია – „წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიცია“. ეს სამეცნიერო ექსპედიცია შეისწავლიდა წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ განვლილ გზას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ექსპედიციების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ არსებულ უცხოურ და ქართულ წყაროებში მოხსენიებული გადმოცემები, მარშრუტები და ტოპონიმიკა და ექსპედიციის მიერ განვლილი მარშრუტები, ამ გზებზე არსებული თუ მოძიებული პუნქტების ძველი თუ თანამედროვე დასახელებები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა².

აღნიშნული პილიგრიმული მარშრუტის ამოქმედება დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის და არა მხოლოდ, ფიზიკურ და სულიერ განვითარებას, მის რეალურად განხორციელებასა და განვითარებაში კი დადებითი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, ტურისტულმა და საქველმოქმედო და რელიგიურმა ორგანიზაციებმა და კერძო ბიზნესმა, რომელებმაც ხელი უნდა შეუწყონ რელიგიური მოგზაურობების მოწყობას და განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.

პილიგრიმული მარშრუტები მსოფლიოში მრავლადაა. ჩვენ ვიმსჯელებთ ევროპაში ყველაზე ცნობილ პილიგრიმულ მარშრუტზე, რომელსაც უწოდებენ „წმ. იაკობის გზას“ - “El Camino de Santiago”. 1980-იან წლებიდან მისი პოპულარობა განუწყვეტლივ მატულობს და პილიგრიმთა რიცხვი 2013 წლის მონაცემებით 200000-ზე მეტს შეადგენდა. იგი პოპულარობით მხოლოდ იერუსალიმს და რომს ჩამოუვარდება.


პილიგრიმული მოგზაურობა „წმ. იაკობის გზა“ - “El Camino de Santiago” გახდა უნიკალური მოვლენა. მოგზაურთა უმეტესობისათვის: ეს არის ყველაზე იაფი დასვენების საშუალება, კარგი ხერხია შეიცნო ქვეყანა, გამოცადო საკუთარი ფიზიკური მდგრადობა (ვინაიდან ფეხით მოგიწევთ გზის დიდი მონაკვეთის გავლა) და გაიცნო საინტერესო ადამიანები, მოილოცო გზად არსებული ეკლესია-მონასტრები. არსებობს ბევრი მარშრუტი, რომლებსაც ამ ქალაქში მივყავართ.

მარშრუტების უმთავრესი ნაწილი გადის პირინეის უღელტეხილებიდან ჩრდილოეთ ესპანეთის ტერიტორიაზე. მოგზაურობის დაწყება შესაძლებელია ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პორტუგალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან. ყველაზე პოპულარულია ფრანგული გზა (ჩამინო Frances), რომლის მანძილი შეადგენს 800 კმ-ზე მეტს. იმისათვის, რომ მიიღო სახელობითი სერტიფიკატი ლათინურ ენაზე, წმინდა იაკობის გზის გავლის შესახებ - აუცილებელია დარეგისტრირდე გზად მყოფ ერთ-ერთ ეკლესიაში და ფეხით გაიარო მინიმუმ 100 კმ იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობ ცხენით, მინიმალური მანძილი შეადგენს 150 კმ-ს, ხოლო ველოსიპედისტებისათვის - 300 კმ-ს. მოგზაურობის ყოველ მონაწილეს შეუძლია მიიღოს პილიგრიმის პასპორტი (რადენციალ), სადაც იქნება დასმული სპეციალური ბეჭდები, რაც ამ გზის დამადასტურებელი საბუთია და პილიგრიმებს შესაძლებლობას აძლევს ყველა სასტუმროში, თავშესაფარსა თუ ეკლესია-მონასტრებში ისარგებლოს გარკვეული შეღავათებით.

¹ მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, დედა ეკლესია-ქადაგებანი და წერილები, 1996, გვ. 113-114.

² საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი - ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, 2009, გვ. 4-7.

„წმ. იაკობის გზა“ - “El Camino de Santiago”



ყველა ქალაქსა და თითქმის ყველა სოფელში მთელი გზის გასწვრივ არის გახსნილი სპეციალური თავშესაფრები პილიგრიმებისათვის. უმეტესობა თავშესაფრებისა არის უფასო, თუკი წარმოუდგენთ პილიგრიმის პასპორტს. არის აგრეთვე კერძო თავშესაფრები, რომლებშიც ღამის გათევა 8-12 ევრო ღირს. და აგრეთვე არის მუნიციპალური თავშესაფრები, სადაც ღამის გათევა 3-7 ევრო ღირს - ეს თანხა არის ეგრეთწოდებული შემოწირულობა. მსურველებს შეუძლიათ დაბინავდნენ სამ, ოთხ ვარსკვლავიან სასტუმროშიც. 1987 წლის ოქტომბერში „წმიდა იაკობის გზა“ შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში და გამოცხადებულ იქნა - „ევროპული მარშრუტის მთავარ კულტურულ მემკვიდრეობად“ (“Primary European Cultural Itinerary”).

ამ ევროპული გამოცდილების ქართულ სინამდვილესთან მორგების შემთხვევაში და დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია საქართველოში განხორციელდეს პილიგრიმული მარშრუტი - „წმ. ანდრეას გზა“, მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წმ. ანდრეამ რამდენჯერმე იმოგზაურა და საქართველოს გარდა ეს გზა სხვა სახელმწიფოებზეც გადის.

რელიგიური (პილიგრიმული) ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების მხრიდან მჭიდრო კოორდინირება - კულტურულ დაწესებულებებს, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებს, ფიზიკური კულტურის და სპორტის, ტურისტულ კომპანიებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ეს კომპლექსური ამოცანაა და მის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფომ, კერძო, საზოგადოებრივმა და რელიგიურმა ინსტიტუტებმა. მხოლოდ ერთობლივი თანამშრომლობით ექნება რელიგიურ ტურიზმს საფუძველი განვითარებისა და საფუძველი იმისა, რომ დადებითი გავლენა მოახდინოს კულტურულ და რელიგიულ დიალოგში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის სულიერი და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

რელიგიური (პილიგრიმული) ტურიზმის განვითარებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რელიგიური ორგანიზაციების და ასოციაციების მეშვეობით აგრეთვე ტურისტული ინდუსტრიის განვითარებით დაინტერესებული კომპანიების მიერ ეწყობა გამოფენები, კონგრესები და კონფერენციები. საჭიროა საქართველოშიც და მსოფლიო მასშტაბითაც ამ მხრივ მეტი აქტიურობა.

რელიგიური ტურიზმის განვითარების ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია:

- რელიგიური ტურიზმის განვითარების კომპლექსური პროგრამის არარსებობა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- სასტუმრო კომპლექსების უკმარისობა;
- სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის არარსებობა;
- რელიგიური ტურიზმის წარმართვის სისტემის არარსებობა.

ჩვენი აზრით, სწორად და ზუსტად შერჩეული და დაგეგმილი თანამედროვე საინფორმაციო და პიარ-ტექნოლოგიების გამოყენებითა და დახმარებით, საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობით, უდიდესი პოტენციალი გააჩნია პილიგრიმულ მარშრუტს - „წმ. ანდრეას გზა“.

Pilgrim Tourism - St. Andrew's way - Spiritual, Social, Economic aspects

Resume

Religious/Pilgrim tourism plays an important role in an international and domestic tourism system.

Religious tourism is considered as one of the promising directions of the XXI century by experts of the World Tourism Organization (UNWTO).

For the development of religious tourism in various countries around the world religious organizations and associations, as well as other institutions interested in the development of tourism organize exhibitions, conventions and conferences.

The most important activity in religious tourism is to get acquainted with the history of the holy places, lives of holy people, art and architecture of churches and pray at the Holy Places.

Combination of unique cultural and historical resources of Georgia including cultural values, such as architectural monuments, folk, traditions, music and art, historical, ethnic and natural environment creates significant potential for the development of religious tourism.

The Way of St Andrews can play an important role in the development of pilgrim tourism.

Religious tourism brings economic benefits to local communities, government agencies, travel organizations, religious institutions and individual entrepreneurs.

The state, local authorities, tourism and charity organizations and private sector should play a positive role in the development of religious tourism.

ქრისტიანობის გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე

დღეს როგორც დასავლეთის, ისე მსოფლიოს სხვა რეგიონების სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი რელიგიას უჭირავს, ხშირად სწორედ სახელმწიფოს რელიგიური ატმოსფერო განსაზღვრავს როგორც პოლიტიკური წყობილების ფორმასა თუ დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს, ისე ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, ეკონომიკური სისტემის პრიორიტეტულ სფეროებს.

ცალკეული ქვეყნების არა მარტო სულიერ, არამედ მატერიალურ სფეროზე დიდი გავლენა იქონია ქრისტიანულმა რელიგიამ. ალფრედ მარშალი, XIX საუკუნის ცნობილი ეკონომისტი, ისტორიული მასალის შესწავლისას მივიდა დასკვნამდე, რომ თანამედროვე ფორმა, სადაც მეპატრონე და მომუშავე არ არიან ნათესავები, აღმოცენდა მხოლოდ ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების შემდეგ, IV-V საუკუნეების მიჯნაზე. მარშალის აზრით, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებისა და ადამიანებს შორის ურთიერთობების გარდაქმნის შედეგად ნდობა, რომელიც მანამდე ვრცელდებოდა მხოლოდ ოჯახის წევრებს შორის, ახლა უცხოების მიმართაც გაუჩნდათ ადამიანებს, სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო განვითარება იმან, რასაც ეკონომიკას ვუწოდებთ.

ქრისტიანულ სამყაროს განვითარების, შემოქმედებითობის, სისტემური კრიზისებიდან გამოსავლის პოვნის, შეცდომების გაცნობიერებისა და გარდაქმნის საოცრად დიდი უნარი აღმოაჩნდა; მანუფაქტურულ რევოლუციას მოჰყვა ჯერ სამრეწველო, ხოლო მოგვიანებით - სამეცნიერო-ტექნიკური და ინფორმაციული რევოლუციები, და აი, „უკვე მრავალი ასწლეულია ქრისტიანული სამყარო გზას უკაფავს კაცობრიობას, აჩვენებს სწორ მიმართულებას, ქმნის ახალს, მედგრად მიიწვევს წინ, მაშინ როცა არაქრისტიანული სამყარო ჰბაძავს ქრისტიანულ სამყაროს, სესხულობს მისგან პროგრესულ იდეებს, ცდილობს დაეწიოს განვითარებაში“¹.

XX საუკუნეში ადგილი ჰქონდა რამდენიმე „ეკონომიკურ სასწაულს“, აღინიშნა სუსტად განვითარებული ქვეყნების (მაღაიზია, ტაილანდი) საშუალო განვითარების დონის ქვეყნების ჯგუფში გადანაცვლების შემთხვევები, ასევე, საშუალო განვითარების მქონე ქვეყნების (ესპანეთი, ირლანდია) მაღალგანვითარებულთა ჯგუფში გადანაცვლებისა. ისეც მომხდარა, რომ ომში დამარცხებულ, გაცამტვერებულ ქვეყნებს (გერმანია, იაპონია) საოცრად სწრაფად აღუდგენიათ თავისი ძლიერება, მაგრამ ყოველგვარი რეკორდი მოხსნა სამხრეთ კორეამ, რომელმაც მცირე დროში მოახერხა უკიდურესად დაბალი განვითარების დონის მქონე ქვეყნიდან მაღალგანვითარებულ ქვეყნად ტრანსფორმირება. 1997 წელს კორეა განვითარებული ქვეყნების ელიტური გაერთიანების - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრიც გახდა.

ზემოთმოყვანილ მაგალითში განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ კორეის რესპუბლიკაში სწრაფი ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობდა სულიერ სფეროში ცვლილებების კვალდაკვალ - დროის 50-წლიან მონაკვეთში ბუდისტური ქვეყანა ქრისტიანულ ქვეყნად იქცა (ბოლო მონაცემებით, კორეის მოსახლეობის 60% ქრისტიანია, ბუდისტები კი ჩივიან, რომ მათი „ეროვნული“ ტაძრები დაცარიელდა).

ანალიტიკოსების დიდი ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწორედ ქრისტიანობის მიღებამ მისცა კორეას შესაძლებლობა გადმოეღო განვითარებული ქრისტიანული ქვეყნიდან როგორც ტექნიკური და მმართველობითი ჩვევები, ისე ადაპტაციის, საკუთარი შეცდომების აღიარების და სხვა უნარები, და ყოველივე ამის საფუძველზე, საბოლოო ანგარიშით, არნახული ეკონომიკური წარმატებისათვის მიეღწია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი მართლმადიდებლური ქვეყნის - კვიპროსის მაგალითი, რომელმაც არა მხოლოდ გაუსწრო ეკონომიკური განვითარების დონით კონტინენტურ საბერძნეთს, არამედ საერთოევროპულ მაჩვენებლებსაც გადააჭარბა.

¹ Гаджинская С., Ульянов А. журн. «Экономика и Христианство», № 9, 2006.

ეკონომიკას, ადამიანის ქრისტიანული ხატიდან გამომდინარე, ქრისტიანული ორიენტაცია სჭირდება, ზოგადად, „მთელი ეკონომიკის მიზეზი, ცენტრი და მიზანი ადამიანია“, ეკონომიკის დანიშნულება ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო საქონლისა და მომსახურების წარმოებაა, მისი მიზანი არა მარტო ნელეულის, ენერჯის, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ახალი ტექნოლოგიების შეზღუდულ რესურსთა შეძლებისდაგვარად ოპტიმალური გამოყენებაა, არამედ პიროვნების ღირსეული განვითარებისათვის მატერიალური წინამძღვრების უზრუნველყოფაც. ამგვარად, ეკონომიკა კულტურის მონაპოვარიცაა, და არა მხოლოდ ამა თუ იმ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთობლიობა..

როგორია „ქრისტიანული ეკონომიკა“? ამის გასაგებად საჭიროა ქრისტიანული ეკონომიკის მიზნის სწორად გააზრება, ხოლო „...მიზანი ერთია - ღმერთთან მიახლოება, ხსნა; და ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ამ მიზნის მიღწევას, შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანულად, მათ შორის ეკონომიკაც. ეს უკანასკნელიც შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს შეუწყობს ხსნას“.¹

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ეკონომიკა ერთგვარი ეტალონია, იდეალია, რომელთან მიმართებაშიც უნდა განიხილებოდეს ყველა სხვა ეკონომიკური მოდელი, ხოლო „ეკონომიკური კანონები - ზნეობრიობის ნაყოფია. მათი განმსაზღვრელია ის ზნეობრივი დოგმები, რომელიც დამკვიდრებული და მიღებულია სამეურნეო საქმიანობის სფეროში ამა თუ იმ საზოგადოებაში“.²

ბიბლიური მცნებების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება; „სრულიად ნათელია, რომ ბიბლიური მცნებების დარღვევა უარყოფითად აისახება საზოგადოების განვითარებაზე; მშპ-ს შემცირება ბიბლიური მცნებების შეუსრულებლობის შედეგია... ერთი რამ ცხადია, ბიბლიური მცნებების დარღვევით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს ეკონომიკაში ნამდვილად აქვს ადგილი და ეს ნეგატიური შედეგი დღევანდელ დღეს ძალიან თვალშისაცემია“.³

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული გაგებით, ეკონომიკა „ქრისტიანული“ მეცნიერებაა. უწინ ეკონომიკა ყველა სხვა მეცნიერებაზე მეტად იყო ხოლმე თავდასხმის ობიექტი „ამორალურობის“ გამო; ფილოსოფოსები მას უწოდებდნენ „შავბნელ“ მეცნიერებას, ან საერთოდაც არ თვლიდნენ მეცნიერებად; სწორედ ამ ფაქტორმა უბიძგა ეკონომისტებს ეძებნათ თავისი მეცნიერების ეთიკური და ზნეობრივი ბაზისი. ცნობილი რუსი სასულიერო მოღვაწისა და ეკონომისტის, სერგი ბულგაკოვის თქმით „ეკონომიკური მეცნიერება დაიბადა როგორც თანამედროვე ცნობიერების სინდისისა და სიმართლის ძიების ნაყოფი“. დარვინის ბიოლოგიისა თუ ფროიდის ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, ეკონომიკა არასოდეს ეფუძნებოდა ანტირელიგიურ მოსაზრებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული რწმენა პოლიტიკურ კრელოს არ წარმოადგენს, იგი მაინც ისწრაფვის იმისკენ, რომ ეკონომიკისა და საზოგადოების, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ურთიერთობების წესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდეს. სახარებაში და ადამიანის ქრისტიანულ ხატში იგი ხედავს საწყისთა მთელ რიგს ისეთი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების ფორმირებისათვის, რომლებიც მშვიდობის, თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის გარანტი გახდება და ადამიანს მისი უნარებისა და ნიჭის განვითარებისა და სრულყოფის საშუალებას მისცემს.

„რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოსიანობა შეიძლება ბაზრის ეფექტიანობის რღვევის სერიოზულ მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც, თავის მხრივ, იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას“.⁴

¹ Сомин Н. Христианская экономика: постановка проблемы, сообщения на XXIII научной конференции ПСТГУ, 2014 г.

² Сомин Н. Законы экономики с точки зрения христианской этики, журн. «Путь к знанию», 2003 г.

³ Плясковских А. Влияния христианства на экономическое развитие стран или о национальной идее для России, раздел II, стр. 10, 2016 г.

⁴ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013 წ., გვ. 187.

ამასთან, ქრისტიანული სოციალური მოძღვრება აცნობიერებს, რომ ეკონომიკური წესრიგის მიღწევა მხოლოდ წესრიგის პრინციპების მეშვეობით შეუძლებელია, რწმენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ცოდნას, პროფესიულ კომპეტენტურობას. ამიტომაც ეკონომიკაში დასაქმებულმა ყოველმა ქრისტიანმა დიდი პროფესიული აქტიურობა უნდა გამოავლინოს, თავის პროფესიულ შრომას რწმენის სახე უნდა მისცეს.

თანაც, ეკონომიკა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას უნდა ეფუძნებოდეს. თავისუფალი ეკონომიკური წესრიგი გულისხმობს ისეთ მართლწესრიგს, როცა უზრუნველყოფილია მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება, სწავლისა თუ მუშაობის ადგილის, საქმიანი პარტნიორის არჩევის და ა. შ. თავისუფლება.

ეკონომიკა ცალკეული ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების თავისუფალი ინიციატივის ციცხალი პროცესია. იგი არ არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი სფერო, ამიტომაც სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ ამას შედეგად მოჰყვება საერთო კეთილდღეობის ზრდა.

საბაზრო სისტემა ვერ იარსებებს რელიგიის გარეშე, ამიტომაც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში საბაზრო პრინციპების დამკვიდრებისა და სულიერი ტრადიციების შერწყმის საჭიროება განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები ქვეყნის ხსნას, განვითარებას, უპირველესად, ქრისტეს რწმენაში განმტკიცებაში ხედავენ. ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში უფრო და უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ის სახიფათო მიზეზია, რაც იწვევს საბაზრო მექანიზმის არაეფექტიან ფუნქციონირებას და შედეგად, ეკონომიკურ კრიზისებს, უმუშევრობის ზრდას, ინფლაციურ პროცესებს და სხვ. ქრისტიანული მცნებების დარღვევას, ადრე თუ გვიან, მივყავართ ეკონომიკურ დეფორმაციებამდე, რაც ხშირად სავალალო მასშტაბებს აღწევს არა მარტო სულიერ, არამედ მატერიალური წარმოების სფეროშიც: „თუ საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე გახდება ქრისტიანი და შეუდგება ბიბლიური მცნებების შესრულებას, სახელმწიფო დაწევს გადასახადებს, და გააადვილებს საგადასახადო სისტემას, ჩვენი ეკონომიკა მიიღებს მძლავრ დადებით იმპულსს და დაიწყებს განვითარებას სწრაფი ტემპებით“¹. მართლაც, თუკი საზოგადოება იცხოვრებს ქრისტიანული მცნებების დაცვით, ეს უსწრაფესად აისახება ეკონომიკაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ჩინოვნიკები აღარ აიღებენ ქრთამს, დაეხმარებიან მეწარმეებს ბიზნესის წარმოებაში, აღარ იქნება თაღლითობა, ქურდობა, და სხვა მანკიერი მოვლენები, სრულიად აღმოფხვრება დამნაშავეობა და ყოველივე ეს რასაკვირველია ეკონომიკის განვითარებისათვის მძლავრი სტიმული იქნება.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას სრულფასოვნად აანალიზებს და ხელისუფლებას სთავაზობს გონივრულ, რაციონალურ წინადადებებს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად. ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ პრობლემატიკას, იგი საზოგადოების განვითარებაში ერთ-ერთ წამყვან როლს ეკონომიკას ანიჭებს: „საზოგადოების განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ეკონომიკაზე. დღეისათვის ჩვენში ორი სოციალური ფენაა - მდიდრები და ღარიბები, საშუალო ფენა არ არის, ერთი მღნ ადამიანი გასულია ქვეყნის გარეთ საშოვარზე, როგორც კი გაჩნდება საშუალო ადგილები, ისინი დაბრუნდებიან“².

ილია მეორე ეთანხმება ეკონომისტთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ გადაუდებლად უნდა განხორციელდეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების განვითარება; იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და აღნიშნავს: „აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან სათანადო მფარველობა, რაც პირველ რიგში ხელშემწყობ საგადასახადო პოლიტიკაში უნდა გამოიხატოს“³.

¹ მასურაშვილი ს. საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანობა, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2009.

² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2011.

³ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, 1999.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნეტარესი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობას: „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია. როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით, ჩვენი წინაპრებისათვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის სისხლისა და ხორცის სიმბოლოს უკავშირდებოდა და ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა: და ეს უნდა აღდგეს... იქნებ გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობაში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ, რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული... მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი გაქრობის პირასაა. არადა ჩვენგან წაღებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენს... ვფიქრობ, ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც... თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს, ამით ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ“¹.

ერის სულიერი წინამძღოლი გამოთქვამს მრავალ ისეთ საყურადღებო მოსაზრებას ეკონომიკურ საკითხებზე, რომელთა გათვალსწინება შესაბამისი სახელისუფლებო რგოლების, ეკონომისტების, პრაქტიკოსების მიერ უთუოდ დადებით შედეგებს მოიტანს.

იმ სამწუხარო ფაქტმა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, ხელისუფლების მხრიდან სათანადო მხარდაჭერით და ყურადღებით არ სარგებლობდა, დიდწილად განაპირობა უმუშევრობის დონის ზრდა, მოსახლეობის გაღარიბება და შემოსავლების შემცირება.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება კვლავაც კლების ტენდენციით ხასიათდება. საქმე ისაა, რომ არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა გლეხების დაინტერესება აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რადგან იგი უფრო ძვირი ჯდება, იმპორტულ, გენური ინჟინერიის, შხამქიმიკატების და სხვა ჯანმრთელობისათვის საშიში მცენარის ზრდის სტიმულირების გამოყენებით წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმერების ძალისხმევას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების აღორძინება-განვითარებაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავს, რომ მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციაზე, მათ თვითონ უნდა დაიწყონ მიწის დამუშავება და შექმნან მცირე საწარმოები.

ქართული ეკლესია ხელისუფლებას სთავაზობს რაციონალურ, კარგად გააზრებულ რეკომენდაციებს და რჩევებს, რასაც საგრძნობი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას მიიჩნევს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად და თვლის, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელია როგორც ეროვნული, ისე სულიერი ფასეულობების განუხრელი დაცვა, ქართული ბიზნესის განვითარების წახალისება, შეძლებული საშუალო ფენის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2009.

The Influence of Christianity on the Country's Socio-Economic Development

Resume

Religion has a huge impact on socio-economic development of country. Opportunity for economic development of a country is determined by the religious environment. Religion is an important factor which contributes to significant changes and development on a country, as well as on international level. Religion has played a vital role in economic development of western countries.

Following Christian commandments and the coordination of faith and entrepreneurship makes the proper basis for the formation and development of economy.

Christian religion had a great impact on both spiritual and material fields of many countries, as it awarded the society with the ability to create, develop and overcome crises. It's clear that the Christian world leads the society to progress and shows the right direction of development. Economy of the country is doomed to failure without the religion.

It is widely recognized that the non-religiousness of the participants of economic processes leads to the inefficient functioning of market and as a result, to the economic crisis, reduction of Gross Domestic Product, high levels of unemployment and social and economic inequality. Therefore, in recent decades in Georgia the coordination of the market laws and the spiritual traditions has become increasingly important.

The Georgian Church provides well-considered advices and suggestions to the authorities which may have significant impact on the country's socio-economic development. Georgian Orthodox Church considers that it's necessary to encourage development of Georgian national business and to accelerate formation of wealthy middle class.

რესურსების შეზღუდულობის თეოლოგიურ-ეკონომიკური ბაზრებისათვის

წმინდა წერილში ხატოვნად არის გადმოცემული უფლის მიერ რესურსების შექმნის პროცესი: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახობავს. თქვა ღმერთმა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო“ (დაბ. 1: 27-29).

რესურსები ადამიანს გარკვეული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ ეძლევა. უპირველესად ეს არის ღვთის მცნებების შესრულება, უფლის გზაზე სვლა: „თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, როგველი თესვაზე ადრე, ძღობაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ. მოგხედავთ და ნაყოფიერს გაგხდით, გაგამრავლებთ და შეგასრულებთ თქვენთვის მოცემულ აღთქმას. შეჭამთ ძველისძველს და ახლის წინაშე გამოიტანთ ძველს“ (ლევ. 26: 3-5, 9-10).

ამავე დროს, გარკვეული შეზღუდვებიც არის დაწესებული, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია: „დაიცავით ჩემი წესები: პირუტყვს ნუ შეაჯვარებ ერთმანეთთან; ნუ დათესავ ყანაში ორნაირ თესლს; ნუ ჩაიცვამ მატყლისა და სელისგან მოქსოვილ ტანისამოსს“ (ლევ. 19: 19).

წმინდა წერილში არაერთი ებიზოდია მოყვანილი იმისა, რომ ნაყოფიერი საძოვრები შეზღუდულია და ახლის მოძიება მნიშვნელოვანი პრობლემაა. აბრაამმა და ლოტმა დიდძალი ქონება დააგროვეს და ვერ იტეველა მას ქვეყანა. ამიტომ, ხშირად ჰქონდათ დავა აბრაამისა და ლოტის მწყემსებს ნაყოფიერი მიწების თაობაზე. ძმათა შორის განხეთქილების თავიდან ასაცილებლად „უთხრა აბრაამმა ლოტს: ნუ იქნება ცილობა ჩვენში, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან სახლიკაცები ვართ. განა შენს წინ არ არის მთელი ეს ქვეყანა? გამეყარე და თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ, თუ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ“ (დაბ. 13: 8-9).

რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკის ძირეული პრობლემაა, საიდანაც ფაქტობრივად, ყველა სხვა პრობლემა გამომდინარეობს. „იშვიათობის“ კონცეფცია რესურსების შეზღუდულობასაც ნიშნავს. ეკონომიკური რესურსები არის წარმოებისათვის აუცილებელი ელემენტები.

ეკონომიკაში რესურსის რამდენიმე სახეს გამოყოფენ: შრომა, ანუ ადამიანური რესურსი; კაპიტალი, ანუ შრომის საშუალებები; მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსები; სამეწარმეო საქმიანობა (უნარი).

ადამიანური რესურსების შესაფასებლად არ არის საკმარისი საწარმო პროცესებში ჩაბმული მუშაკების რაოდენობის დადგენა. აუცილებელია ვიცოდეთ, რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ მათ საწარმო ამოცანების გადაწყვეტა. ამისათვის შესაფასებელია მათი ფიზიკური ძალა, განათლება და პროფესიული მომზადება.

სამეწარმეო საქმიანობა სპეციფიკური უნარია, რომელიც აღნიშნავს მართვის, რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების, სისტემების დანერგვისა და რისკის გაწევის უნარს.

მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსებია ყოველივე, რასაც უფალი ჩუქნის ადამიანს, ხოლო ეს უკანასკნელი იყენებს მას წარმოებაში - მადნები, წიაღისეული, ნავთობი, ხე-ტყე, წყალი, ჰაერი, სახნავ-სათესი სავარგულები, ანუ რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა: „უფლისა არს ქუეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა, რამეთუ მან თავადმან ზღვათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განმჰზადა იგი“ (ფსალმ. 23: 1,2).

ფიზიკური კაპიტალი არის წარმოების შედეგად შექმნილი დოვლათი, რომელიც ისევ წარმოებისათვის გამოიყენება. ფიზიკური კაპიტალი განსხვავდება ფინანსურისაგან, რამდენადაც ფინანსური კაპიტალის მფლობელი ცდილობს შემოსავალი მიიღოს ფულადი ბრუნვიდან.

დამაფიქრებელია ერთი გარემოება - ოთხი ძირითადი რესურსიდან (წარმოების ფაქტორიდან): შრომა, მიწა, სამეწარმეო უნარი და კაპიტალი) სამი მათგანი სწორედ უფლის უშუალო ქმნილებაა: შრომისა და სამეწარმეო უნარის შემოქმედი - ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა მის სახედ და ხატად და „მიწა“, ანუ ბუნებრივი რესურსების მთელი გამა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში თეორიული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სახელმძღვანელოში, აკად. ვლადიმერ პაპავას მოსაზრებებზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ წარმოების მეხუთე ფაქტორია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი.¹ ნათლად ჩანს, რომ ეს უნარიც მართვის ხელოვნებას და შესაბამისად ადამიანს უკავშირდება.

რესურსების კატეგორიას ზოგჯერ ასევე მიაკუთვნებენ ინფორმაციას და ტექნოლოგიებს. თუმცა, იმისათვის, რომ ინფორმაცია იქცეს წარმოების ფაქტორად, საჭიროა მისი კაპიტალიზაცია, ანუ მისი მეშვეობით შესაძლებელია ფიზიკური კაპიტალის ელემენტების სრულყოფა. იგივე შეიძლება ითქვას ტექნოლოგიების შესახებაც. მისი ღონე განსაზღვრავს წარმოების პროცესში შრომისა და კაპიტალის შერწყმის არჩევანსა და ეფექტიანობას.

იმეათობის კონცეფციაში მოთხოვნილებების შეზღუდულობის აქსიომა „განმტკიცებულია“ რესურსების შეზღუდულობის პრობლემით. საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველთვის ცდილობს მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილებას, თუმცა, მალევე წარმოიქმნება ახალი მოთხოვნილებები. არა მარტო ინდივიდი, არამედ სახელმწიფოც აწყდება რესურსების შეზღუდულობის პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ თვით ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გადაჭრას შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემა შეზღუდული რესურსების პირობებში.

ნახაზი 1. რესურსების კლასიფიკაცია



რესურსების შეზღუდულობაზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის განუზომლად დიდი როლის შესახებ საწარმოო პროცესებში. ამის დასტურად, თუნდაც ორი ფაქტი გამოდგება:

1. შემოსავლების მიხედვით გამოთვლილ მთლიან შიდა პროდუქტში (ხელფასის, რენტის, სარგებლის, მოგების და სხვა შემოსულობების (გადასახდელის) ჯამი) ხელფასის წილი საშუალოდ 60-75%-ს შეადგენს.²

2. სამუშაო ძალაში უმუშევართა რიცხოვნობის გაზრდა (ანუ უმუშევრობის დონის გაზრდა) იწვევს მშპ-ის მნიშვნელოვან შემცირებას და შესაბამისად, სოციალური პრობლემების გამწვავებას.

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ამიტომაცაა, რომ ადამიანის ფაქტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მშპ-ის ფორმირებაში.

ასევე განსაკუთრებული სიფრთხილით, სიფაქიზით უნდა მოვეკიდოთ მიწის რესურსს. თუმცა, მიწა არ არის საჩუქარი. მიწა არის უფლის მიერ მობარებული აღუდგენადი, შეუნაცვლებადი და ამდენად,

¹ ხადური ნ. მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2005. გვ. 34-35 (ელვერსია).

² Макконнель К., Брю С., Экономикс. М. «Инфра-М», 2000. ст. 139.

ფასდაუდებელი ღირებული სიმდიდრე, რომელსაც დავალება აქვს დართული - ეს სიმდიდრე ადამიანმა სიცოცხლის მანძილზე გამოიყენოს იმ ფუნქციით, რომელიც თვით ღმერთმა დაუწესა (ეს ფუნქცია, რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ფუნქციაა), შეუნარჩუნოს იმასვე, ვინაც ეს ადამიანი თავის წარმომადგენლად ჩათვალა, და შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყოს ამ საგნის მარადიულოვანს ამავე ფუნქციაში და ამათივე სამართლიანი მემკვიდრეების ხელში - ესაა ბიბლიური თვალსაზრისი მიწის თემაზე. იგი რეალისტურია და განჭვრეტად მომავალში - უალტერნატივო. ის მრავლობითი სუბიექტი, რომლის წარმომადგენლადაც ეს ადამიანია ნაგულისხმევი, არის, უპირველეს ყოვლისა, მისი მოღვაძე, მისი ერი.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობის ზრდასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდებასთან ერთად, მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება - „მიწა არ გაიყიდოს სამუდამოდ, რადგან მიწა ჩემია. თქვენ ხომ ჩემი ხიზნები ხართ“ (ლევ. 23: 27).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენიმე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად¹.

რესურსების შეზღუდულობის პრობლემის დამახასიათებელი ეპიზოდები წმინდა წერილში ყველაზე ხშირად სასურსათო საქონლის წარმოებას უკავშირდება. მიწატევადი საქონლის (ხორბალი, ხორცი, მატყლი, ბოსტნეული და ბაღჩეული და ა.შ.) წარმოებისათვის აუცილებელია შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ნაყოფიერი მიწა. შესაბამის რესურსს ამისათვის უფალი გვაძლევს: „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას - ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან. და ღვინომ გაამზიარულოს გული კაცისა, გააბრწყინოს სახე საცხებელზე მეტად და პურმა შეამტკიცოს გული კაცისა“ (ფს. 103: 14-15).

არცთუ იშვიათად, საძოვრების მოსაპოვებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ხდება საჭირო: „მათ გედორისაკენ გასწიეს, ველის აღმოსავლეთით, თავიანთი ცხვრისთვის საძოვრის საძებნელად. პოხიერსა და კარგ საძოვარს მიაგნეს; ვრცელი ქვეყანა იყო, თან მშვიდი და მყუდრო; რადგან უწინ აქ ქამის შთამომავლები ცხოვრობდნენ. ისინი, სახელებით რომ იყვნენ ჩამოწერილნი, იუდას მეფის, იეხიზკიაჰუს დღეებში მოვიდნენ, გაანადგურეს მათი კარვები და მაცონელნი, იქ რომ იყვნენ. იმ დღეს ერთიანად ამოწვიტეს ისინი და მათ ნაცვლად დასახლდნენ, რადგან იქ იყო მათი ცხვრის საძოვარი“ (1 ნემ.4: 39-41).²

წმინდა წერილში ასევე საუბარია, თუ როგორ ამუშავებდნენ რკინის მადანს და მოიპოვებდნენ სხვა ლითონებს და საჭირო რესურსს: „ხომ აქვს ვერცხლს საბადო და ოქროს - ადგილი, სადაც წმედენ მას; რკინას მიწიდან იღებენ და სპილენძი გადამდნარი ქვაა. ადამიანმა საზღვარი მიუჩინა სიბნელეს და ქვეყნის კიდემდე ეძებს ბნელეთისა და წყვდიადის ქვას; მალაროს თხრის უკაცრიელში, კაცის ფეხთაგან მივიწყებულ ადგილებში; კაჟისკენ გაიშვერს ხელს, ფესვებიანად აყირავებს მთებს“ (იობ. 28: 1-4, 9).

რესურსების იშვიათობის პრობლემის ორიგინალურ გადაწყვეტას წმინდა წერილში ვხვდებით შემდეგ შემთხვევებში:

¹ კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. მიწა უფლის მიერ მობარებული ფასდაუდებელი ღირებულისიმდიდრეა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2015, №4. გვ. 53.

² Лукин С., Христианские экономические эссе. Белорусский государственный университет, Минск, 2015. ст. 366.

1. უფალი რესურსებს ზღუდავს გარკვეულ გარემოებათა გამო. თავდაპირველად, რესურსების შეზღუდულობის პრობლემა უფლის მცნების დარღვევას უკავშირდება: ადამს და ევას არაფერი აკლდა, სანამ ღვთის მცნება არ დაარღვიეს, რის შედეგადაც როგორც თვითონ, ისე მათი შთამომავალნიც ხრწნილებასა და სიკვდილს დაექვემდებარნენ, რესურსები კი იქცა შეზღუდულად (იშვიათად). ოფლითა და შრომით სარჩო-საბადებლის მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისგან იქმენ“ (დაბ. 3: 9). ამდენად, შრომის და სამეწარმეო საქმიანობის უფლება, აუცილებლობა და თუნდაც სტიმული, ფიზიკურად გადარჩენილიყო, დაფიქრებულიყო, დაცემული წამომდგარიყო, ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა. რესურსების შეზღუდულობა საფუძველია სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღმდეგობისა, რაც უფალმა შემდეგი სიტყვებით მოგვცა: „შედიო ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დალუპვისაკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და მცირედნი ჰპოვენ მას“ (მათ. 7: 13-14). წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი.

2. უფალი რესურსებს არ ზღუდავს მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში. გავიხსენოთ, რომ მაცხოვარმა ხუთი პური და ორი თევზით, ქალებისა და ბავშვების გარდა ხუთიათასი კაცი დააპურა და ნარჩენებით 12 კალათა გაივსო“ (მათ. 14: 16-21). იესო ნავეს ძემ შესთხოვა უფალს, რათა მზე არ ჩასულიყო, რომ მტერთან ბრძოლა ისრაელიანთა სასარგებლოდ დაემთავრებინა: „მზეო დადექ გაბაონის თავზე და, მთვარევე, აიალონის ველზე. დადგა მზე და არ დაძრულა, ვიდრე თავის მტერს არ გაუსწორდა ხალხი“ (იეს. 10: 13-15). სინას მთიდან დაძრულმა და აღთქმული მიწისაკენ მიმავალმა ისრაელიანებმა მესამე დღეს ატეხეს ჩივილი და გოდება საკვების სიმწირის გამო - მათ აღარ აკმაყოფილებდათ ციური მანანა და მრავალფეროვან საკვებს ითხოვდნენ: „გვაგონდება თევზი, მუქთად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი და ნიორი“ (რიცხვ. 11: 5-6). განსაკუთრებით ხორცეულს ითხოვდნენ მოსესაგან. ერის წინამძღოლი საგონებელში ჩავარდა, თუ საიდან ეშოვა ამდენი საკვები 600 ათასი ადამიანისათვის. უფალმა არ გააწბილა მოსე და მწყერთა უთვალავი გუნდი მოუვლინა ხალხს, რომელთა ნაწილი მეტისმეტი ძლომისა და გემოთმოყვარეობისაგან დაიხოცა და კიბროთ-ჰაათავა („სიხარბის სამარხები“) წარმოშვა (რიცხ. 11: 33-34).¹

შეზღუდული რესურსების პირობებში ადამიანი დგას არჩევანის წინაშე. იგი ირჩევს საქონლისა და მომსახურების ისეთ ნაკრებს, რომელიც მისი გადახდისუნარიანობის პირობებში ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. თავის მხრივ, მწარმოებელიც ირჩევს რესურსების მომწოდებელს, იმისათვის, რომ დანახარჯები იყოს მინიმალური. ინვესტორი ირჩევს პროექტს, რომელიც მეტ შემოსავალს მოუტანს მინიმალური რისკის პირობებში. ყველა შემთხვევაში ადამიანი აკეთებს კომპრომისულ არჩევანს.

თუკი რესურსების იშვიათობის პრობლემა საზოგადოების მიერ ყველა დონეზე - ინდივიდიდან სახელმწიფომდე, არის გასიგრძელებული, ეს აიძულებს სახელმწიფოს გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო თითოეული ინდივიდი ცდილობს მეტი პასუხისმგებლობით გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები. პირველ რიგში, ეს ადამიან-კაპიტალს ეხება, რამდენადაც ბოლო პერიოდში მსოფლიო მასშტაბით ძალზე დიდია დაბანდებები ადამიან-კაპიტალში (ჯანდაცვის, განათლების, პროფესიული მომზადების პროგრამები და ა.შ.), რასაც ქვემოთ მოტანილი ცხრილიც ადასტურებს.

¹ ჩიხლაძე ნ., მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ. 48.

განათლებასა და ჯანდაცვაზე დანახარჯების წილი ქვეყნების მშპ-ში (2015, %)¹

ქვეყანა	განათლებაზე დანახარჯები მშპ-ში, %	ქვეყანა	ჯანდაცვაზე დანახარჯები მშპ-ში, %
კუბა	12,9	საფრანგეთი, მოლდოვა	12
რუსეთი	4,1	იაპონია, საბერძნეთი	10
ნორვეგია, შვედეთი	7.3	უკრაინა, ჩილე	8
ლატვია, ესტონეთი	5.7	ევვიპტე, გვინეა	5
იტალია, გერმანია	4.7	ინდონეზია	3
დანია	8.3	თუქმენეთი	2
საქართველო	3.2	საქართველო	2,4

მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური ეკონომიკური მიზნებიდან ყალიბდება საზოგადოების ერთიანი ეკონომიკური მიზნები (ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური უზრუნველყოფა, ფასების სტაბილური დონე, შემოსავლების სამართლიანი განაწილება, და სხვ.), რომლებიც ერთიანი ძალისხმევით და სახელმწიფოს გონივრული ჩარევით, გაცილებით იოლი მისაღწევია.

რესურსების შეზღუდულობა ცალკეულ ქვეყნებში სპეციალიზაციის განვითარების, ეფექტიანობის გაზრდის, რესურსების ეფექტურად გამოყენების და პროდუქციის ზრდის საშუალებაა. ცალკეულ ხარჯებსა და მომსახურებაზე სპეციალიზაციით, რომლის გამოშვება უფრო ეფექტიანადაა შესაძლებელი, სუვერენული სახელმწიფოები, ცალკეული პირები ან რეგიონები გაცილებით მეტ სარგებელს იღებენ.

ქვეყნებს შორის საგარეო ურთიერთობებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ეკონომიკური რესურსების არათანაბარი გადანაწილება. მსოფლიოში სამი ქვეყანაა, რომლებიც თითქმის ყველა ბუნებრივ რესურსს ფლობს: რუსეთი, ჩინეთი და აშშ. რესურსებით მაღალუზრუნველყოფილად ითვლება ასევე ავსტრალია, ბრაზილია და ინდონეზია. ბევრი ქვეყანა კი ფლობს მსოფლიო მნიშვნელობის მარაგებს: კუვეითი (ნავთობი), ჩილე (სპილენძის მადნები), თურქეთი (ქრომი), ბრაზილია (რკინის მადანი), გაბონი (მანგანუმი), მაროკო (ფოსფორიტები).

თუმცა, მსოფლიო პრაქტიკა გვჩვენებს იმასაც, რომ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე დამოკიდებულია არა მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე, არამედ, უფრო მეტად შრომით რესურსებზე, მათი განათლების დონესა და პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებასა და ოსტატობაზე. ამის მაგალითია იაპონია და შვეიცარია, რომლებმაც ბუნებრივი რესურსების მოკრძალებული მარაგების მიუხედავად, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს. თუმცა, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა დღესაც სიღარიბეში ცხოვრობს.²

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ იშვიათობა არის მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზნის - ეკონომიკური ზრდის წყარო. თუ გავიხსენებთ, რომ უფალმა რესურსები შეზღუდა კაცთა მოდემის უგუნურების გამო, გამოდის, რომ ამგვარი შეზღუდვა სხვა მიზნებთან ერთად, გონივრულ ეკონომიკურ ზრდას და ხალხთა შორის ურთიერთობის გაღრმავებას ემსახურებოდა.

¹ Рейтинг стран мира по уровню расходов на образование. The World Bank. <http://gtmarket.ru/ratings/expenditure-on-education/info>; Рейтинг стран мира по уровню расходов на здравоохранение. The World Bank. <http://gtmarket.ru/ratings/expenditure-on-health/info>

² Мировая экономика и ограниченные ресурсы. ეკონომიკური პორტალი <http://www.empitry.com/403-mirovaya-yekonomika-i-ogranichennye-resursy.html>

Scarcity of Resources - for Theological and Economic Understanding

Resume

The paper discusses the limitations of resources from "traditional" economic point of view, and according to Orthodox teaching. It is indicated that the main resources: labor or human resources, capital, land or natural resources and commercial activities (capability) are granted by the Lord and the Lord holds them.

Land resources have always played an important role in human life. The land (land resources) is particularly discussed in the Holy letter. God created the earth and gave it to the people to take care of it. People arbitrarily limit the land area and call them names. People become temporary owners of this resource.

The territory of the state of Georgia is organic socio-economic, demographic, ethno-psychological and ethno-cultural development of the laws of the land, where the state was created with Georgian nationality and national consciousness. The land is non-retrievable, irreplaceable and therefore, invaluable asset granted by the Lord, which has its function. The function of the land is that the humans must use it in the way it was intended by the God.

It is concluded that scarcity is the main goal of macroeconomic policy - source of economic growth. If we recall that God limited resources due to reckless race of men, it turns out that such a restriction, together with other objectives serves to the economic growth.

**ეკონომიკური რეფორმების ქრისტიანული
გააზრების შესახებ**

ბიბლიაში მინიშნებული ადამიანთა სამეწარმეო ქცევის ნორმები დროთა ვითარებაში ზოგადსაკაცობრიო, ცივილიზებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძვლად იქცა. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრების მიმართულებით სიღრმისეული და მრავალწახნაგოვანი კვლევები ფართოდ მიმდინარეობს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში¹, თუმცა, ეკონომიკური რეფორმების ბიბლიური შეფასების კუთხით კვლევები ჯერჯერობით, შეიძლება ითქვას, არც დაწყებულია. არადა, ეკონომიკური განვითარების ქრისტიანულ ფასეულობების სამეურნეო ცხოვრებაში გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეისათვის იმ ქვეყნებში, რომლებშიც მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები და ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისაკენ გადასვლის პროცესი. ნებისმიერი სახის რეფორმა, მტკივნეულია, რადგან ანგრევს ტრადიციულს, თუნდაც არაპროგრესულს, რაც, უპირველეს ყოვლისა, საწყის ეტაპზე მაინც, ნეგატიურად აისახება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ყოფა-ცხოვრებაზე. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რეფორმები და განსაკუთრებით ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნები, წარმართება არა ქვეყნის შიდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და სპეციფიკის გათვალისწინებით, არამედ, დასავლეთის ქვეყნებში დაწერილი სცენარებით, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავენ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებას. ამაში იმალება დიდი საფრთხე იმისა, რომ ასეთმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუარესოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ უკანასკნელის მიმართ გარე სამყარო გულცივია, რაც ქვეყნის სახელმწიფო მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვს საპირისპირო, პრინციპული და უკომპრომისო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას, რათა არ დაუშვას საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუარესება. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალი საფრთხის შემცველი ისეთი მცირე ზომის ქვეყნა, როგორც საქართველოა, რადგან ისტორიულად მას ყოველთვის უწევდა და დღესაც უწევს რომელიმე დიდი ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ინტერესებთან და ფასეულობებთან იძულებითი მორგება. გამომდინარე აქედან, დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება ქრისტიანული რწმენისა და სულიერი ფასეულობების დაცვის აუცილებლობა როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულ ადგილს იკავებს ქრისტიანული მოძღვრება მისი განსხვავებული მდგენელებით.

ეკონომიკური საქმიანობის ქრისტიანულ გაგების თანახმად, ეკონომიკა და ბიზნესი თავისი შინაარსით მორალურ-ზნეობრივი კატეგორიაა და შესაბამისად, ამ სფეროში საჭიროა სოციალურ-ზნეობრივი წესრიგის დამყარება. ამის გათვალისწინება უნდა უზრუნველყოს იმ ეკონომიკურმა და სოციალურმა რეფორმებმა, რომლებიც მიმდინარეობს პოსტსაბჭოურ საქართველოში, რაც დღემდე ნაკლებად ხერხდება. წინამდებარე ნაშრომი არის უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების ძირითადი გამოწვევების ქრისტიანულ გააზრების მცდელობა, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია შრომისა და დასაქმების, კერძო საკუთრების დაცვისა და ბიზნესის მორალური ქცევის პრობლემებზე. ამგვარი კვლევის ჩატარება განსაკუთრებით აქტუალურია იმიტომაც, რომ მეურნეობრიობის ქრისტიანული პრინციპების საპირისპიროდ ეკონომიკაში ინერგება ანტიქრისტიანული იდეოლოგია და პრაქტიკა, რომელმაც თვითსაკმარისობისა და თვითშეზღუდვის ფუნდამენტურ პრინციპებს დაუპირისპირა ხარბი სწრაფვა მატერიალურ ღირებულებათა მომხვეჭველობისაკენ.

ბიბლიის თანახმად ადამიანის დასაქმება წარმოადგენს ჰუმანური საზოგადოების ძირითად ნიშანს, რამდენადაც შრომა არა მხოლოდ გასამრჯელოს მიღების წყაროა, არამედ აგრეთვე პირადი განვითარების

¹ შიხაშვილი გ., ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი, თბ., გამომცემლობა „ზედაშე“, 1996; გაგნიძე ი., მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013; ჩიხლაძე ნ., შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები, ქუთაისი, 2015; ახვლედიანი ბ., შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საგუძვლები, თბ., „მერიდიანი“, 2009; მესხია ი., ეკონომიკა და ქრისტიანული მორალი, ჟ., „რელიგია“, 2003, № 7-8-9 და სხვა.

საშუალება და საყოველთაო სულიერი კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობაცაა. იძულებითი უმუშევრობა ადამიანის მტანჯველია, ხოლო, როდესაც იგი იღებს ფართო მასშტაბებს, შეიძლება სოციალურ უბედურებად იქცეს. უმუშევრობის გამო ადამიანები კარგავენ ლუკმა-პურს, სოციალურ კონტაქტებს და როცა იგი ხანგრძლივ, ქრონიკულ ხასიათს იღებს სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და კარგავენ მომავლის იმედს. საზოგადოებისათვის უმუშევრობა ნიშნავს არა მხოლოდ სოციალური პრობლემების შექმნას, არამედ, აგრეთვე სოციალური დატვირთვის გაზრდას და სოციალური კონფლიქტების გამწვავებას. ბიბლია ყველას ბეჯითი შრომისა და მოგების მიღებისაკენ მოუწოდებს. „ზარმაცი ხელი აღარიბებს, ხოლო გამრჯე ხელი ამდიდრებს“ (იგავ. 10:4), „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 28:19).

დასაქმების კუთხით საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღიარებს ბიბლიის ეკონომიკურ ხედვას. სამართლებრივად საქართველოში ყველას აქვს შრომის უფლება, თუმცა პრაქტიკულად მისი განხორციელება ჯერჯერობით დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. სამუშაო ადგილების უკმარისობის გამო ასეულ ათასობით ადამიანი უმუშევარია, რაც ქვეყანაში სამართლიან სოციალურ დაძაბულობას იწვევს. დასაქმების მიმართულებით ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები სასურველ შედეგს არ იძლევა. ვიდრე ეს პრობლემა მოგვარდება, საჭიროა უმუშევართა მიმართ ქრისტიანული მიდგომა და მათ საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა, როგორც ეს ხდება მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში დასაქმების პრობლემა საზოგადოებრივი პროტესტის შემცველია. იგი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ყველაზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. განსხვავებით სახელმწიფო სტატისტიკის მიერ დადგენილი უმუშევრობის დონისაგან (12,4%-2014 წ.), ფაქტობრივად სამუშაო ძალის თითქმის ნახევარზე მეტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ეს განპირობებულია იმით, რომ სასტატო ეკონომიკური ბაზისის სისუსტისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების არაჰუმანური ბერკეტების გამოყენების გამო, ადამიანები ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე თავისუფალნი მეწარმეობის განვითარება-წარმართვაში, რის გამოც მეტწილ შემთხვევაში თვითგადარჩენის მიზნით ეწევიან ცოდნასა და კვალიფიკაციასთან შეუფერებელ ეკონომიკურ საქმიანობას. დღევანდელი სინამდვილიდან ამ კუთხით მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ფაქტია, რომ უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი დასაქმებულია ბიზნესის ისეთ სფეროებში, რომლებიც არ მოითხოვენ რთულ შრომას (მძღოლები, წვრილი მოვაჭრეები, დაცვის მუშაკები და ა.შ.), რაც განპირობებულია პროფილური სპეციალობით სამუშაო ადგილების უკმარისობით. ასეთი კატეგორიის ადამიანები თავს უმუშევრად თვლიან, თუმცა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად, სახელმწიფო სტატისტიკა მათ დასაქმებულად მიიჩნევს. მოსახლეობის მოცემული კატეგორია (არაპროფილურად თვითდასაქმებულები) მათთვის მიუღებელ ასეთ ვითარებას ხელისუფლების არასწორი, არაქრისტიანული მენეჯმენტის შედეგად მიიჩნევს. ფაქტობრივად ასეთი მოსაზრება მხოლოდ იმ ნაწილშია სწორი, რომ მთავრობამ წლების განმავლობაში ვერ მოძებნა ეკონომიკური რეფორმების სწორი, ოპტიმალური მოდელი და ნაკლებად იზრუნა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, ორიენტირი აიღო მოკლევადიან ეკონომიკურ პიარზე დაფუძნებულ დასაქმების პროგრამებზე, რომლებიც მიუხედავად მათზე გაწეული დიდი დანახარჯებისა, უშედეგო აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებაში უკვე მერამდენე წელია ტრიალებს „პოლიტიკოსების“ ერთი და იგივე გჯუფი, როლებმაც პარტიულობა ხელობად და უშრომელი შემოსავლის წყაროდ გაიხდეს და ათეულწლობით არ თმობენ მათ მიერ „ოკუპირებულ“ თანამდებობებს. მეორე მხრივ, ხელისუფლებაში ფულითა და ერგულების პრინციპით მოსულ „პოლიტიკოსებს“ არ გააჩნიათ ეკონომიკური პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის სათანადო განათლება და გამოცდილება. ამას ემატება მათი ბიბლიურობის „თამაში“, რაც გულისხმობს ეკლესიისადმი ფორმალურ, რიგ შემთხვევაში მატერიალურ მხარდაჭერას, ხოლო გადაწყვეტილებების მიღებისას ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი პრინციპების სრულ იგნორირებას. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავად დასაქმების პრობლემა, რომელიც დღევანდელი ეკონომიკური რეფორმების უმთავრესი გამოწვევაა, შეიცავს საკმაოდ რთულად დასაძლევ ისეთ ობიექტურ ეგზოგენურ და ენდოგენურ კომპონენტებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის არაოპტიმალური სტრუქტურა, ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავება, ეკონომი-

კური საზღვრების ზედმეტად გახსნილობა, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნების რისკებს და ორიენტირებულია არა ეროვნული სამუშაო ძალის, არამედ ექსპორტიორი უცხო ქვეყნების სამუშაო ძალის დასაქმებაზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების პრობლემის გადაჭრა, მიუხედავად მისი სირთულისა, სწორი, სახელმწიფოებრივი მიდგომისა და მასში ქრისტიანული იდეოლოგიის გათვალისწინების პირობებში, შესაძლებელია გადაიჭრას დროის საშუალოვადიან პერიოდში, რაც, ჩვენი აზრით, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის შენარჩუნების პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია. გამოსავალი კი მდგომარეობს იმაში, რომ ძირეულადაა შესაცვლელი ქვეყნის პოლიტიკური მენეჯმენტის ფორმირების დღევანდელი პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ურწმუნოთა, გამუცდელთა და უსწავლელთა ხელში სახელმწიფო მართვის სადავეების გადაცემას. ამ კუთხით ამ ბოლო პერიოდში შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრები, თუმცა, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რამდენად შენარჩუნდება იგი დაუსრულებელი, მუდმივად გამწვავებადი პოლიტიკური კინკლაობისა და ეკონომიკური ტურბულენტობის გაღრმავების პირობებში.

ქრისტიანული მოძღვრება ადამიანისა და ეკონომიკის თავისუფლების შემადგენელ მთავარ კომპონენტად მიიჩნევს აგრეთვე კერძო საკუთრებას. იგი არის ადამიანის თავისუფლების ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისა და მისი ოჯახის პირადი ცხოვრების მოწყობას. კერძო საკუთრება მისი წარმოშობის მომენტიდან ითვლებოდა ადამიანური შრომის ნაყოფად, ფიზიკური და ქონებრივი საქმიანობის პროდუქტად. კაპიტალს, რომელსაც ხშირად განიხილავენ როგორც შრომის საპირისპირო პოლუსს, ქრისტიანული სოციალური მოძღვრება განიხილავს შრომასთან შინაგან კავშირში, რამდენადაც იგი, როგორც წარმოების საშუალება, წარმოადგენს მთელი თაობების შრომის ნაყოფს¹. კერძო საკუთრების ქრისტიანული გააზრების მთავარი ობიექტია მიწაზე საკუთრება. ღმერთმა სამყაროს შექმნისთანავე მიწა განსაზღვრა ყველაფრით, რასაც იგი შეიცავს ყველა ხალხის სასარგებლოდ. ამიტომაც მიწა როგორც ღმერთის მიერ ბოძებული სიკეთე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქრისტიანული სამართლიანობის დაცვით. გამომდინარე აქედან, უფლება კერძო საკუთრებაზე არავისთვის არ არის შეზღუდული.

ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე, გარდამავალ ეტაპზე საქართველოში კერძო საკუთრებაზე უფლება და ამ კუთხით განხორციელებული რეფორმები არაა სათანადო დონეზე სამართლებრივად და ფაქტობრივად უზრუნველყოფილი. ხშირი იყო სახელმწიფოსა და ცალკეული არაკეთილსინდისიერ დაჯგუფებათა მიერ კერძო საკუთრებაზე ხელყოფის შემთხვევები. ასევე არაქრისტიანულად, არაჰუმანურად და არასამართლიანად განხორციელდა კერძო საკუთრების თავდაპირველი დაგროვება (პრივატიზაცია). მასში საზოგადოების უმეტეს ნაწილს არ მიუღია მონაწილეობა და სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი მცირერიცხოვან ბიუროკრატთა და კრიმინალურ დაჯგუფებათა ხელში აღმოჩნდა. შედეგად ამისა, საზოგადოება დაიყო მდიდრებად და ღატაკებად, რაც ბიბლიის ეკონომიკური კოდექსის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. ვარდისფერი რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ შური იძია იმ მესაკუთრეებზე, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში თითქმის უფასოდ დაეუფლნენ დიდძალ სახელმწიფო საკუთრებას. ერთიც და მეორეც არაზნეობრივია ქრისტიანული მოძღვრების თანახმად. არაზნეობრივად მოპოვებული საკუთრების ასევე არაზნეობრივად, ძალისმიერი მეთოდებით სხვა მესაკუთრეზე გადაფორმება, არ ჯდება ნორმალური, ქრისტიანული ეკონომიკური რეფორმების ჩარჩოებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბდა საკუთრების არასამართლიანი სტრუქტურა, მისი შემდგომი გადანაწილება, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, სამართლებრივად და ორგანიზაციულად მაინც ვერ ხერხდება. იგი აწყდება წინა მესაკუთრების მხრიდან უკომპრომისო წინააღმდეგობას, რის გამოც ეს პროცესი დღეისათვის თითქმის დაკონსერვებულია. სახელმწიფო უძღური აღმოჩნდა გამოენახა ქრისტიანული, ჰუმანური გზა შექმნილი მდგომარეობის დასარეგულირებლად. ამ მიზნით შესაძლებელი იყო სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მატერიალური აქტივების ძველ მესაკუთრეებზე განაწილება. ასევე, ქრისტიანული ეკონომიკის პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად შესაძლებელი იყო სადავო მესაკუთრეთა ბიზნესზე მაღალი საგადასახადო

¹ მესხია ი. ბიბლიური და ეკონომიკური მცნებები და თანამედროვე საქართველო, ჟურნ., „რელიგია“, 2008, №1, გვ.84.

ტვირთის დაკისრება და შემოსული დამატებითი სახსრების ადრინდელ მესაკუთრეებზე გადანაწილება, რაც ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქებდა მათ „დანაშაულს“. ბოროტება ადამიანს იძულებით წაართვა ის, რაც მას ეკუთვნის.

სამყარო თავისი მეურნეობის წარმართვაში ხელმძღვანელობს ბიბლიის ეკონომიკური კოდექსით, რომელიც წარმოადგენს ღმერთის მიერ ბიზნესისა და სახელმწიფოსათვის მიცემულ ანდერძს კონკურენტუნარიანი მეურნეობის შესაქმნელად. არსებობს პირდაპირი კავშირი ბიბლიის ეკონომიკური კოდექსის მცნებებსა და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ეკონომიკურ აყვავებას შორის. ბიბლიაში წერია, რომ „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, დაიცავ და შეასრულებ ყველა ანდერძს, რომელსაც დღეს გიცხადებ, ქვეყნიერების ყველა ხალხზე მალა დაგვავს უფალი. შენი ღმერთი... მოგაფენს უფალი კურთხევას შენს ბელლებში და ყველაფერში, რასაც შენი ხელი გააკეთებს (რჯლ. 28: 1-12). ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ მატერიალური კეთილდღეობა უზრუნველყოფილი ექნება იმით, ვინც ერთგული იქნება და შეასრულებს უფლის მოძღვრებას.

ეკონომიკური საქმიანობა ზოგადად და განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს ძველი ხელოვნური ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებით ჩანაცვლების პროცესი, გარდა შემოხსენებულისა, უნდა დაეფუძნოს ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისა და სიმდიდრის განაწილების სფეროებში ქრისტიანულ-სოციალურ იდეოლოგიას.

ეკონომიკა მუდამ იყო და იქნება საზოგადოების მატერიალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის ამალგების აუცილებელი საშუალება. ეკონომიკის მეშვეობით ხდება ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქონელსა და მომსახურებაზე. იგი იმავდროულად არის პიროვნების ღირსეული განვითარების საფუძველი. ეკონომიკა საზოგადოების მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებასთან ერთად უზრუნველყოფს სულიერ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გამომდინარე აქედან, ეკონომიკა არა მხოლოდ მეურნეობრივი, არამედ ზნეობრივი საქმიანობაცაა. იგი ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და მის მიზანს მატერიალურ უზრუნველყოფასთან ერთად წარმოადგენს საზოგადოების ჰუმანურ-მორალური განვითარებისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

ქრისტიანული სოციალური მოძღვრება მეწარმეს მიიჩნევს კაპიტალის და შრომის შემაერთებელ მთავარ სუბიექტად, რომლის ძირითადი ამოცანაა შექმნას საქონელი და მომსახურება. ამ მოძღვრების თანახმად მეწარმემ უნდა გამოავლინოს მრავალმხრივი გონებრივი შესაძლებლობანი, ძლიერი ხასიათი, ფანტაზია, დიდსულოვნება, სოციალური ცნობიერება, მზადყოფნა კოოპერაციულ, ინვესტიციურ ურთიერთობებზე და ახალი სამუშაო ადგილის შექმნაზე. ამისათვის კი აუცილებელია მეწარმის შრომისმოყვარეობა, სიფრთხილე მოსალოდნელ რისკებთან, კეთილგანწყობა ადამიანურ ურთიერთობებში, სიმტკიცე იმ რთული და მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც აუცილებელია მეწარმეობის განვითარებისათვის. მეწარმემ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ საწარმოს მწარმოებლურობის და დაბანდებული კაპიტალის რენტაბელობის ამალგებაზე, არამედ აგრეთვე, თითოეული მომუშავეს ღირსებისა და სოციალური მდგომარეობის დაცვაზე. მეორეს მხრივ, ქრისტიანული სოციალური მოძღვრება აუცილებლად მიიჩნევს პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების შექმნას თავისუფალი მეწარმეობისათვის. იგი მოუწოდებს სახელმწიფოს უზრუნველყონ მეწარმეები სათანადო პირობებით, რათა მათ შეძლონ განვითარება ზნეობრივი წესრიგის დაცვისა და სიკეთის საყოველთაობის ჩარჩოებში.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ჩარჩოებში მეწარმის როლი არაა გაგებულნი ქრისტიანულ ეკონომიკურ მოძღვრების შესაბამისად. კერძოდ, დაბალია მეწარმის თავისუფლების ხარისხი, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტ ფისკალურ ზედამხედველობაში. მეწარმეთა მცდელობა თვითშემოქმედებით გაზარდონ საკუთარი თავისუფლების არეალი, ხშირ შემთხვევაში ნეგატიურად აისახება როგორც მათ სამეწარმეო საქმიანობაზე, ასევე მომხმარებლებზე. საგადასახადო ტვირთის შემცირების მიზნით მეწარმეთა ერთი ნაწილი გადადის ჩრდილოვან სექტორში, ხოლო ნაწილი იძულებულია სხვა სახის სამართალდარღვევებს მიმართოს. ასევე, მეწარმეთა საქმიანობაში დაბალია ჰუმანურობისა და ზნეობრიობის ხარისხი, რაც გამოიხატება პროდუქციის ფალსიფიცირებაში, სამომხმარებლო თვისებების დაბალ ხარისხში, ფასების დაუსაბუთებელ ზრდასა და სწრაფვაში, რაც შეიძლება მოკლე დროში მყისიერ

რად მიიღონ მაღალი მოგება. ეს უკანასკნელი განპირობებულია ერთი მხრივ, მეწარმეთა ერთი ნაწილის ზნეობრიობის დაბალი დონით, ხოლო, მეორე მხრივ, იმის შიშით, რომ მათი საწარმოო საქმიანობა არამდგრადია და შეიძლება კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ეკლესია გვაფრთხილებს, რომ თუ გინდა იყო კონკურენტუნარიანი, კლიენტებთან, მომუშავეებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან უნდა იყო პატიოსანი. უნდა გაყიდო მხოლოდ მაღალხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება, ანუ ადამიანებს უნდა გაუყო სიკეთე და შენი სიკეთე დაგიბრუნდება დიდი შემოსავლებით და სტაბილური კონკურენტუნარიანი ბიზნესით. „სიცრუით მოხვეჭილი განძი წარმატებული ორთქლია და სიკვდილის ზაფანგი“ (იგავ. 21:6). „არ იქურდოთ, არ ითვალთმაქცოთ, ერთმანეთი არ მოაწყუოთ“ (ლევ. 19:13). „ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი – დიდი და მცირე... საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს... რომ დღევრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს, რადგან საძაგელია უფლის, შენი ღმერთისთვის ყველა, ვინც ამას აკეთებს, ყველა ვინც უკანონობას სჩადის“ (რჯლ. 25:13-16).

საქართველოში ჯანსაღი კონკურენციის არარსებობამ და მონოპოლიის მაღალმა დონემ საშუალება მისცა უზნეო მეწარმეთა და ბიზნესმენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს კარტელური გარიგებებით უზომოდ გაზარდონ სამომხმარებლო ფასები და გამდიდრდნენ მოსახლეობის სიდუხჭირის ხარჯზე. ეს ეხება ფასებს მედიკამენტებზე, ბენზინზე, ახალ ბინებზე, მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და ა.შ. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მიერ ფასების რეგულირება არაა მიმართული ღარიბი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. საუბარია სრულიად დაუსაბუთებელ ფასებზე ელექტროენერჯის, სატრანსპორტო მომსახურების და ა.შ. ქრისტიანული მორალით როგორც მეწარმე, ასევე სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს საზოგადოების სუბსიდიორი და არა „წინეხი“, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ეტაპზე.

დღევანდელ საქართველოში ბიბლიური მცნებების მოთხოვნებს არ პასუხობს მიმდინარე სოციალური რეფორმები. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, მაშინ როდესაც მცირე ჯგუფი ფლობს და განკარგავს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უმეტეს ნაწილს და ფუფუნებაშია. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოხუცებულთა, უნარშეზღუდულთა, უმწევოთა და ა.შ. ღირსეულ შენახვას, მაშინ როდესაც სახელმწიფო შემოსავლების უმეტესი ნაწილი იხარჯება არასოციალური ხასიათის ფსევდო ღონისძიებების დასაფინანსებლად. მაგალითად, გამართლება არა აქვს სამთავრობო გადაწყვეტილებას 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოელ მომღერლებზე 25 მლნ ლარის გამოყოფის შესახებ. სრულიად სამართლიანად იბადება შეკითხვა: ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობის 10%-მდე უკიდურეს სიღარიბეშია, ქრისტიანულად რამდენად გამართლებულია გასართობ ღონისძიებებზე მრავალმილიონიანი ხარჯების გაწევა. დღევანდელ საქართველოში არაა სათანადო დონით უზრუნველყოფილი ღარიბთა უფასო განათლება და სხვა სიკეთეებით დაკმაყოფილება. სახელმწიფოს მიერ სოციალურ სფეროში განხორციელებული ძალისხმევა არაა დაკმაყოფილებელია, რაც იწვევს შიდა საზოგადოებრივ დაპირისპირებას და სოციალურ დაძაბულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია, მით უფრო ძლიერდება უთანაბრობა მოსახლეობის შემოსავლებში. ბოლო წლებში ყველაზე მდიდარი ადამიანების შემოსავალი გაორმაგდა, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენის შემოსავალი შემცირდა. მკვლევარები ასაბუთებენ, რომ შემოსავლების არათანაბარმა განაწილებამ კანონზომიერების სახე მიიღო, რადგან განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ზრდის სიჩქარე სტაბილურად მაღალია, ვიდრე ეკონომიკის ზრდის ტემპი, რასაც მივყავართ ქონებრივ უთანასწორობამდე. ეკონომიკური მეცნიერება ნელ-ნელა მიდის დასკვნამდე, რომ თუ სახელმწიფოს ჩარევით არ მოხდა კაპიტალიზმის რეფორმირება, დემოკრატიას საფრთხე დაემუქრება¹. ჩვენი აზრით, გამართლებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქონებრივი უთანაბრობის შესამცირებლად მიზანშეწონილია სიმდიდრეზე ყოველწლიური გლობალური გადასახადის და მაღალ შემოსავლებზე პროგრესული გადასახადის დაწესება. ასეთი მიდგომა არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

¹. Пикетти Томас, Капитал в XXI веке.-Москва. Ад Маргинем Пресс, 2015.

ჩვენი აზრით, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი სუსტი მხარეა ეკონომიკის ქრისტიანული მცნებების უგულვებელყოფა, რაც გამოწვეულია სახელმწიფო მენეჯმენტის ბიბლიური ცოდნის დაბალი დონით. გამომდინარე აქედან, საჭიროა და მიზანშეწონილია ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების მიერ ბიბლიური ეკონომიკური მცნებების სიღრმისეული შესწავლა და გააზრება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს დღეისათვის არსებულ შეცდომებს ეკონომიკასა და მართვაში, უფრო ზნეობრივს და ჰუმანურს გახდის სახელმწიფო გადაწყვეტილებებს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და ამით ხელს შეუწყობს ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოების მდგრადობას და განვითარებას. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში არ უნდა იწვევდეს საზოგადოების სულიერების საბაზრო პრინციპებზე გადასვლას. ბიზნესის კეთებას საფუძვლად უნდა დაედოს სულიერი ფასეულობები, რომლების სხვადასხვა რელიგიების მიერ საუკუნეების მანძილზე იქნა შექმნილი და შენახული.

დღეს, როგორც არასდროს, ქრისტიანულმა სამყარომ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართოს როგორც საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური წესრიგის დასამყარებლად, აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოების სოციალურ ურთიერთობათა დაბალანსების საქმეში, რომელიც არის მშვიდობისა და თავისუფლების, ადამიანის განვითარების და სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების გარანტი.

Jakob (Iasha) Meskhia

Regarding Christian Understanding of Economic Reforms

Resume

The paper provides the effort of understanding the reforms carried out in Georgia in transition period from Christian point of view. It's proved that the reforms implemented in Georgia regarding employment, protection of private property and development of entrepreneurship lack the key values of Christianity, such as humanity, morality, charity and social justice. The main exogenous factors causing this situation are mechanical implementation of the reforms using western recipes, which don't take into account national characteristics and orthodox values of the country. As for endogenous factors, rejection of biblical commandments by the authority of the country should be mentioned, which is caused by low level of religious knowledge and spirituality, as well as formal character of Christian behavior. It's argued that making economic reforms get closer to Christian doctrines it is advisable for the high ranking officials of the country to study Biblical economic commandments. This will lead to minimization of the sins in economy and management, increase morality and humanity in economic and social fields and correspondingly contribute to improving effectiveness of economic reforms and development of Christian faith in the country.

რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული რელიგიური და საპილიგრიმო ტურები ეფუძნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდიდარ ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოლოცვის მიზნით საქართველოში ქრისტიანთა ჩამოსვლის უმნიშვნელოვანეს მოტივად უნდა იქცეს ის განსაკუთრებული ფაქტი, რომ აქ განისვენებს მსოფლიო მნიშვნელობის სიწმინდე - იესო ქრისტეს უკერველი კვართი. მომლოცველთა მოსაზიდად არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენა და სიწმინდე.

საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც შიდა მომლოცველთა და რელიგიური მიზნებით მოზაურთა რაოდენობის, ასევე ქვეყანაში რელიგიური ტურიზმით უცხოელ მოგზაურთა რაოდენობის ზრდა.

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველო რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დესტინაცია შეიძლება გახდეს იმ ფაქტის გამო, რომ ქვეყანაში სხვადასხვა კონფესიის არაერთი სალოცავია. საზღვარგარეთიდან შემოსულმა ტურისტებმა, გარდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ტაძრებისა, შეიძლება დაათვალიერონ და მოილოცონ მუსლიმანური, კათოლიკური, გრიგორიანული, ებრაული და სხვა კონფესიების სალოცავები¹.

ქვეყანაში რელიგიური ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიათა ეკლესია-მონასტრებში დღემდე შემონახული ხუროთმოძღვრული და ტრადიციული ხელოვნების ნიმუშების (მინანქრის, ოქრომჭედლობის, ქარგვის, თექის ქსოვის, საეკლესიო და ქართული ეროვნული შესამოსელის) მონახულების შესაძლებლობა, რაც ტურისტთათვის მოგზაურთათვის მნიშვნელოვან მოტივაციას წრმოადგენს.

ქართული მონუმენტური ფერწერის, ფრესკული და ხატწერის უნიკალური და ფასდაუდებელი სახელოვნებო ღირებულება, ნებისმიერი ეთნიკური წარმოშობის პილიგრიმზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

საქართველოს თითოეული ეკლესია-მონასტრის რელიგიური საგანძურის და წმინდანთა სახელობითი დღესასწაულები საუკეთესო ფაქტორია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენ ქვეყანაში მოგზაურ მომლოცველთათვის ქვეყნის რელიგიური მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და კულტურათა დაახლოების თვალსაზრისით.

საქართველოში პილიგრიმული მიზნებით მოგზაურთა კვლევა. საქართველოს საპატრიარქოს ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით და ჩვენი დათვლებით: 2006 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოლოცვის მიზნით შიდა ტურებით იმოგზაურა, დაახლოებით, 3000-მა პილიგრიმმა. პოლონეთიდან ქვეყანას ეწვია 30 პილიგრიმი. ქვეყნიდან გასულმა პილიგრიმებმა მოილოცეს ტაო-კლარჯეთი (254 კაცი), იერუსალიმი (607 კაცი), ეგვიპტე (42 კაცი) და იტალია (43 კაცი). 2007 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოლოცვის მიზნით იმოგზაურა, დაახლოებით, 5000-მა შიდა პილიგრიმმა. ქვეყნიდან გასულმა პილიგრიმებმა მოილოცეს ტაო-კლარჯეთი (350 კაცი), იერუსალიმი (639 კაცი) და ეგვიპტე (45 კაცი).² 2008 წელს შიდა ტურებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 7000-მა მომლოცველმა. ქვეყნიდან გასულმა პილიგრიმებმა მოილოცეს ტაო-კლარჯეთი (370 კაცი), იერუსალიმი (648 კაცი) და ეგვიპტე (56 კაცი). პილიგრიმთა ჯგუფები შემოვიდა უკრაინიდან და რუსეთიდან (დაახლოებით 134 კაცი). 2009 წელს შიდა ტურებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით, 10000-მა მომლოც-

¹ მეტრეველი მ. რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის - „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თბ., 2008, გვ.64-67; საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2014

² Metreveli, M., & Timothy, D.J. (2010). *Religious heritage and emerging tourism in the Republic of Georgia*. Journal of Heritage Tourism. Vol. 5, No. 3, August 2010, 237-244.

ველმა, ქვეყნიდან გასულმა პილიგრიმებმა მოილოცეს ტაო-კლარჯეთი (500 კაცი), იერუსალიმი (780 კაცი), ეგვიპტე (68 კაცი) და იტალია (26 კაცი). 2010 წელს შიდა ტურებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 25000-მა, 2011 წელს – 49000-მა; 2012 წელს – 100 000-ზე მეტმა პილიგრიმმა და რელიგიური ტურიზმით დაინტერესებულმა ტურისტმა¹.

შიდა მოგზაურების მახასიათებლების მიხედვით, 2014 წლის II-IV კვარტალში – 192 130 ადამიანი (1.9%) მოგზაურობის მთავარ მიზნად რელიგია/მომლოცველობა დაასახელა. მათ ძირითადად მონახულეს შემდეგი ქალაქები და სოფლები: ქ. თბილისი - 8,082 ტურისტი (27.0%), ქ. მცხეთა - 44,053 ტურისტი (22.9%), ქ. მარტვილი - 51,850 ტურისტი (4.2%), ქ. ქუთაისი - 6,095 ტურისტი (3.2%), ქ. ახალციხე - 5,821 ტურისტი (3.0%), ქ. წალკა - 4,197 ტურისტი (2.2%), ქ. ბორჯომი - 3,394 ტურისტი (1.8%) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. შიდა ვიზიტების საშუალოთვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით (2014-2015)²

ვიზიტის მიზანი	2014 წ.			2015 წ.				წლიური
	II კვ	III კვ	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	
სულ	1,144.1	1,338.3	27.3	963.6	1,029.2	1,158.3	969.1	1,030.1
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	86.9	205.6	566.7	30.0	82.3	169.4	31.9	78.4
მეგობრების/ნათესავების მონახულება	588.8	661.1	6.6	522.0	556.3	605.1	562.5	561.5
განათლების მიღება	16.5	7.3	101.7	10.4	5.0	5.0	4.1	6.1
მკურნალობა, გაჯანსაღება	139.8	120.7	16.5	110.0	117.3	91.0	104.3	105.6
რელიგია/მომლოცველობა	33.7	16.4	124.4	14.9	26.3	19.1	14.7	18.7
შოპინგი	140.9	164.5	55.8	117.4	111.9	119.6	119.9	117.2
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი და სხვა)	51.7	78.0	80.8	69.5	56.9	82.1	64.5	68.2
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	72.7	70.0	10.1	77.7	62.2	51.5	56.1	61.9
სხვა	13.2	14.8	27.3	11.8	11.0	15.6	11.1	12.4

2015 წლის I კვარტლის შიდა მოგზაურების მახასიათებლების კვლევის მიხედვით 45,983 ადამიანი მოგზაურობის მთავარ მიზნად რელიგია/მომლოცველობა დაასახელა. მათ ძირითადად მონახულეს შემდეგი ქალაქები: ქ. მცხეთა - 18,400 მომლოცველი (40.0%), ქ. გარდაბანი - 4,153 მომლოცველი (9.0%), ქ. დედოფლისწყარო - 2,488 (5.4%). 2015 II კვარტლის შიდა მოგზაურების მახასიათებლების კვლევის მიხედვით 73,597 ადამიანმა მოგზაურობის მთავარ მიზნად რელიგია/მომლოცველობა დაასახელა. მათ ძირითადად მონახულეს შემდეგი ქალაქები: ქ. მცხეთა - 20,696 (28.1%), ქ. გარდაბანი - 4,478 (6.1%), ქ. გორი - 2,537 (3.4%) (იხ. ცხრილი 1).

2013 წლის საერთაშორისო მოგზაურების მახასიათებლების კვლევის მიხედვით, ქვეყანაში შემოსული 5,392,303 ტურისტიდან 23,388 ადამიანმა მოგზაურობის მთავარ მიზნად რელიგია/მომლოცველობა დაასახელა (2%), რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქი მოილოცეს (იხ. ცხრილი 2).

¹ Department of Pilgrimage Tourism, Patriarchate of Georgia. (2014). Pilgrimage data. Retrieved January 9, 2014, from http://www.patriarchate.ge/_en/?action=home

² www.geostat.ge

ცხრილი 2. ქვეყანაში შემოსული ვიზიტორებიდან რელიგია/მომლოცველობის მიზნით მოგზაურთა მიერ მონახულებული ქალაქები (2013)¹

ქალქი	ტურისტთა რაოდენობა	% მთლიანი რაოდენობიდან
თბილისი	7063	70.7%
თეთრიწყარო	3205	32.1%
ბათუმი	2801	28.1%
მცხეთა	2205	22.1%
რუსთავი	1593	16.0%
სიღნაღი	1219	12.2%
ბოლნისი	851	8.5%
თელავი	851	8.5%
მარნეული	672	6.7%
ახალციხე	612	6.1%
ყაზბეგი	525	5.3%
ვარძია	525	5.3%
ქუთაისი	468	4.7%
მესტია, უშგული	339	3.4%
გურჯაანი	339	3.4%
გორი	120	1.2%

ცხრილების 1 და 2 მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2006 წლიდან ყოველწლიურად იზრდება შიდა მოგზაურთა რიცხვი, ხოლო 2013, 2014 და 2015 წლებში რელიგიური მიზნებით ქვეყანაში შემოსულ უცხოელ მომლოცველთა და რელიგიური მიზნებით მოგზაურთა მცირე ზრდაა დაფიქსირებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემები სრულად ვერ ასახავს საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების რეალურ სურათს, რადგან არა გვაქვს წარმოდგენილი იგივე საქმიანობით დაკავებული ტურისტული კომპანიებიდან მოწოდებული სტატისტიკა (ტურისტთა რაოდენობის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღება კერძო ტურისტული კომპანიებიდან თითქმის შეუძლებელია). მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს ყოველწლიურად ტურიზმში სხვადასხვა მიზნებით მოგზაურთა რაოდენობის განუხრელი ზრდის დინამიკას.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურმა შეთანხმებამ განსაკუთრებული, პოზიტიური როლი უნდა ითამაშოს საქართველოში რელიგიური ძეგლებისა და სიმდიდრეების დაცვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მუხლის 9 მიხედვით,

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობისათვის;

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მონახულების პროექტებს².

შეთანხმების პუნქტის 25 (“ტერმინთა განმარტება“) მიხედვით, „საეკლესიო პროექცია“ არის ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის

¹ www.geostat.ge

² https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626

რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), – მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოდია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმეველე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანალია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმიდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელეკინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია¹.

სწორედ ზემოაღნიშნული „საეკლესიო პროდუქცია“ წარმოადგენს ტურისტთა მოტივაციას იმოგზაურონ ჩვენ ქვეყანაში და დახარჯონ ფული მათი მოლოცვის, სუენირების შექმნისა და ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღებისას. რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის დროს მოგზაურს იგივე სახის მომსახურება და პროდუქტი ესაჭიროება, რაც ტურიზმის სხვა სახეობით მოგზაურ ტურისტს, შესაბამისად იგი საჭიროებს განთავსების ობიექტებს, ტრანსპორტს, კომუნიკაციებს და ა.შ.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივების განხორციელებას რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის განვითარებასთან დაკავშირებით.

ასევე, შიდა და ქვეყანაში შემოსული რელიგიური მიზნებით მოგზაურთა რაოდენობის ზრდისთვის საჭიროა არა მხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, არამედ ძველი პოპულარული და მნიშვნელოვანი რელიგიური მარშრუტების აღდგენა და ახალგაზრდობისთვის მათი გაცნობა. ასეთ რელიგიურ/მომლოცველობით მარშრუტებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს წმინდანთა გზები ამასთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოვადგენთ: წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მოსალოც მარშრუტებს.

წმინდანთა სახელობის რელიგიური და მომლოცველთა მარშრუტები²


წმ. ნინოს გზა. კაბადოკიელი ქალწული წმინდა ნინო საქართველოში IV საუკუნეში შემოვიდა და ქრისტიანობა გაავრცელა. მან ხანგძლივი და გრძელი გზა გამოიარა, სანამ იმდროინდელი ქართლის დედაქალაქამდე, მცხეთამდე მოაღწევდა. 1989 წლიდან მოყოლებული, ყოველ 1 ივნისს, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების დღეს მოგზაურობა ეწყობა ხოლმე, რომელსაც წმინდა ნინოს გზას უწოდებენ. ამ მოგზაურობის მსურველნი 42 დღის განმავლობაში წმინდა ნინოს ნაკვალევს მიჰყვებიან და 12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ბრუნდებიან მცხეთაში. ამ გზის გავლა ტრანსპორტით გაცილებით მოკლე დროში, ერთ დღეშიც შესაძლებელია.

წმ. ნინოს გზის ძირითადი მარშრუტი: ჯავახეთი: ფარაენის ტბა, ფოკის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი - შიდა ქართლი: ურბნისი - მცხეთა: ბეთლემის მღვიმე - მცხეთა: სამთავროს დედათა მონასტერი - მცხეთა: სვეტიცხოვლის ტაძარი - მცხეთა: ჯვრის მონასტერი - კახეთი: ნინოწმინდა - კახეთი: ბოდბე.

წმ. ანდრია პირველწოდებულის გზა. საქართველოში ქრისტიანობა პირველად იესო ქრისტეს მოციქულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. იგი ყოველადწმინდა ღმრთისმშობლის დავალებითა და კურთხევით გამოემართა საქართველოში და თან დედა ღმრთისას ხელთუქმნელი ხატი წამოაბრძანა. მოციქული პირველად ხულოში შემოვიდა, სოფელ დიდაჭარაში (იხ. რუკა). პირველი სასწაულებრივი ძალა ხატმა სწორედ ამ სოფელში გამოავლინა.

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626>

² მართლმადიდებელი მომლოცველები საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2015.



წმინდა ანდრია დიდაჭარის მაცხოვრებლები მოაქცია და გადმოცემის თანახმად ეკლესიაც ააშენა, რომლის ნანგრევები სოფელში დღემდე შემორჩენილი. ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი აწყურის ახლადგებულ ეკლესიაში დასვენეს, სწორედ ამიტომ ეწოდება დღესაც ამ ხატს აწყურის ღმრთისმშობლის ხატი (იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული). ამის შემდგომ ანდრია პირველწოდებული საქართველოდან წასულა და, კვლავ წმინდა სიმონ კანანელთან და წმინდა მატათა მოციქულთან ერთად შემოსულს, სამეგრელოში უქადაგია ქრისტიანობა. სამეგრელოში, მოციქულს წარმართების მსხვერპლშესაწირი დიდი მუხა გაუპია, მის ადგილას დგას ახლა მარტვილის ტაძარი. სამეგრელოდან მოციქული სვანეთში გადასულა, მერე კი აფხაზეთში.

წმ. ანდრია მოციქულის გზის ძირითადი მარშრუტი:

აჭარა: სოფელი დიდაჭარა - ზეკარის უღელტეხილი (რკინის ჯვარი) - სამცხე: სოფელი ანდრიაწმინდა - სამცხე: სოფელი აწყური - სამეგრელო: მარტვილის საკათედრო ტაძარი - სვანეთი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პილიგრიმული მიზნით მოგზაურობისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსებია. ამავე დროს მოგზაურთა ეს კატეგორია საქართველოში არცთუ დიდი ხანია რაც გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტთა ნაკადი განუხრელად ფართოვდება, მან ჯერ მანც ვერ მიაღწია პოტენციურ შესაძლებლობათა ათვისების საშუალო დონეს. ამაზე მეტყველებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებული მკვლევართა ცენტრის მონაცემები.

Marina Metreveli

The Trends of Development of Religious Tourism and Pilgrimage Trips in Georgia

Resume

New challenges emerging in the modern world are in coincidence with the religious values. Year over year, we witness the increasing number of the travelers, interested in religious tourism and the number of pilgrims in the world.

If existence of cultural heritage and religious monuments facilitates the increase of the national self-consciousness of the new generations and extension of the parish scopes within the country, it promotes closer relations between various religions, nations and cultures on the level of international tourism.

Existence of various Christian tourism resources facilitates the increase of the number of travelers interested in religious tourism and the number of pilgrims in the country year over year. Each of the numerous Churches and Monasteries in Georgia have interesting tradition, where various sanctities are still preserved and the nominative days of the Saints are being celebrated. These are the best factors for enlargement of internal religious tourism and pilgrimage trips and for the increase of the number of pilgrims from various countries and correspondingly, growth of economic benefits from tourism.

Further development of pilgrimage trips and religious tourism in Georgia depends on intensification of the state support. Not only existence of religious monuments and governmental decisions are important for increasing the number of the internal and international travelers in the country but restoration of ancient religious routes and promotion of religious tourism amongst the youth as well. The work provides the statistic data of travelers with religious purpose in Georgia and reflects the recommendations developed on the basis of the analysis of the data.

გლობალური ფინანსური კრიზისის მართლმადიდებლური განხილვა

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ამ კრიზისით გამოწვეულმა ჯამურმა დანაკარგებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხების ჩათვლით 4 ტრლნ 700 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მსოფლიო ფინანსური ბაზრების კაპიტალიზაცია კი 16 ტრლნ 400 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა¹. ამასთანავე, კრიზისის უარყოფითი შედეგები მხოლოდ მატერიალურ-ფინანსურ მაჩვენებლებში არ გამოხატულა. რიგ შემთხვევაში იგი კონკრეტული ადამიანების პირადი ტრაგედიის უშუალო მიზეზი გახდა².

მკვლევარები 2007-2009 წლების გლობალურ კრიზისს სიმწვავისა და სიღრმის თვალსაზრისით, 1929-1933 წლების ეკონომიკურ კრიზისს – ე.წ. „დიდ დეპრესიას“ ადარებენ და მას „დიდ რეცესიას“ უწოდებენ.

გლობალური ფინანსური კრიზისის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს და კვლევების უმეტესობაში ყურადღება მახვილდება პრობლემის ტექნიკურ ასპექტებზე. შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს პრობლემისადმი ტექნოცენტრულ მიდგომას: საუბრობენ დერივატივების ფეთქებად ზრდაზე, ეკონომიკის საყოველთაო დერეგულირებაზე, ფინანსური სფეროს გაუმჭირვალეობაზე, მართვის არაეფექტიან სისტემაზე და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს გლობალური ფინანსური კრიზისის ფენომენის კვლევისადმი ანტროპოცენტრულ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს პრობლემის განხილვას ადამიანის ბუნების, ცნობიერების, კულტურის, ფსიქოლოგიის, ზნეობის, რელიგიური მრწამსის, საზოგადოდ, ადამიანური ფასეულობების კონტექსტით. შესაბამისად, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი აღქმული უნდა იქნეს იმ ზოგადი კრიზისის გამოვლინებად, რასაც თანამედროვე ადამიანი განიცდის უსწრაფესად გლობალიზებად მსოფლიოში³.

იმ სამყაროში, რომელშიც, ერთი მხრივ, ადგილი აქვს ნივთიერი სიმდიდრის ფეტიშიზმს, მეორეს მხრივ კი, ადამიანის საყოველთაო გაუცხოვებას:

- ა) საკუთარი ჭეშმარიტად ადამიანური ბუნებისგან;
- ბ) სწრაფად ცვალებადი ცხოვრების პირობებისგან;
- გ) ბუნებრივი გარემოსგან;
- დ) სხვა ადამიანისგან და საზოგადოებიდან.

თანამედროვე ადამიანის და მასთან ერთად გლობალური ფინანსური კრიზისის ისტორიული ფესვები, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ ა. სმიტის „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელში. სმიტის თანახმად, ინდივიდის მთავარი მამოძრავებელი მოტივია პირადი დაინტერესება და პირადი გამორჩენის სურვილი. ამის პრაქტიკული რეალიზება მოითხოვს ერთი ინდივიდის მიერ სხვა ინდივიდის ინტერესების გათვალისწინებას და ადამიანებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მიიღწევა შრომის დანაწილებით და პროდუქტების გაცვლით. ეკონომიკური ადამიანის კონცეფცია ემყარება შოტლანდიური ფილოსოფიური სკოლის წიაღში აღმოცენებული მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის, ინდივიდუალისტური რაციონალური ქცევის პრინციპებს და ეგოიზმის ლევიტანურ ფილოსოფიას⁴, რომლის ეკონომიკური დასაბუთება მოცემუ-

¹ Cecchetti G., Kohter M., Upper C. Financial Crisis and Economic Activity. In: The Crisis-Basis Mechanisms and Appropriate Politics. O Blanchard, IMF Working Papers. 2009.

² მექვაბიშვილი ე. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები, ხასიათი, პერსპექტივები – „ბიზნესი და სამართალი“, 2010, №2, გვ.12.

³ რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალის ტარჩინიო ბერტონის აზრით: „კრიზისის გამომწვევი მიზეზია სწრაფი გამდიდრებისა და მოკლევადიანი მოგების დაუოკებელი სურვილი, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს“. იხ. მესხია ი. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, 2009, №2, გვ.9.

⁴ Sachs J.D. Restoring Virtue Ethics in the Quest for Happiness. World Happiness Report. 2013.

ლია XVIII საუკუნის ჰოლანდიელი მოაზროვნის ბერნარდ მანდვილის ნაშრომებში. მანდვილი მიიჩნევდა, რომ ბედნიერებისკენ ადამიანის მისწრაფებას საფუძვლად უდევს სიხარბე და მომხვეჭელობა¹. თვალსაჩინო ინგლისელი ფილოსოფოსის ერემია ბენტამის აზრით, ადამიანის ბედნიერება უშუალოდაა დაკავშირებული მის მატერიალურ კეთილდღეობასთან და უფრო მეტიც, იგი ბედნიერებას კეთილდღეობის სინონიმად თვლის².

ამასთანავე, მხოლოდ საკუთარ ინტერესებს გამოდევნებული, მოგების (სარგებლის) მაქსიმიზაციაზე მოფიქრალი ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება, თუკი მან სხვის ბედნიერებაზეც არ იზრუნა. აქ სახეზეა წინააღმდეგობა, რომელსაც „ჰედონისტურ პარადოქსს“ უწოდებენ³. მისი გადაჭრის მცდელობა მოცემულია ე.წ. კონსიუმერიზმის თანამედროვე კონცეფციაში, რომელიც ეკონომიკური ადამიანის კეთილდღეობას განსაზღვრავს ბაზარზე შეძენილი საქონლის მოხმარებიდან მიღებული სიამოვნებით. ეკონომიკური ადამიანის ფენომენი მოგვიანებით ტრანსფორმირდა როგორც ჯ. მ. კეინზის „დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების“ მქონე სუბიექტში, რომელიც „ფულადი ილუზიების ტყვეობაში იყო მოქცეული“⁴. ასევე ნეოკლასიკური თეორიის სხვადასხვა მიმართულებაში.

მონეტარისტები – მ. ფრიდმანი და ე. ფელპსი ეკონომიკურ სუბიექტში გამოყოფდნენ და იკვლევდნენ „ადაპტაციურ მოლოდინებს“, რ. ლუკასი, თ. სარჯენტი და ნ. უოლესი „რაციონალურ და მაკროეკონომიკურ მოლოდინებს“, დ. კანემანი ინდივიდს „ექსპერიმენტული ეკონომიკის“ ქვაკუთხედად განიხილავდა. ა. ფონ ჰაიეკის თეორიაში ინდივიდის, როგორც სოციალური სისტემის საბაზრო ელემენტის ქცევა ეკონომიკური თეორიის ცენტრალურ პრობლემადაა მიჩნეული. ეკონომიკური ინდივიდუალიზმის მეთოდოლოგიური პრინციპი საფუძვლად დაედო შედარებით ახალ თეორიულ-ეკონომიკურ მიმართულებას – ქცევით ეკონომიკას, რომელიც „თამამად“ შევიდა თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკური თეორიის ბირთვის შემადგენლობაში⁵.

თანამედროვე ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმართულების მთავარი ფიგურაა ე.წ. „რეპრეზენტატიული“ (წარმომადგენლობითი) აგენტი, ყოველგვარი ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური, ეთიკური, ეთნიკურ-რელიგიური და ა.შ. კონტექსტებიდან ამოგლეჯილი სუბიექტი, რომელსაც სრული რაციონალურობა ახასიათებს. მენსტრირებულ ნეოკლასიკურ თეორიებში ადამიანურ სიკეთეებს ეგოიზმი და სიხარბე ცვლის, რაციონალიზმი კი ადამიანს ღმერთისგან ამორებს⁶. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ადამიანმა ღმერთი დაკარგა და სიმდიდრე გააღმერთა. ვერცხლისმოყვარეს არაფერი ყოფნის, ყველაფერი ეცოტავება“⁷. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, ვერცხლისმოყვარეობა ერთ-ერთია რვა ძირითად ცოდვას შორის. „სინას მთის დიდი მოსაგრე წმიდა იოანე სინელი ვერცხლისმოყვარეობას უკიდევანო ზღვას ადარებს, რომელიც შეუძლებელია აივსოს: „ზღვა მდინარეთა მიერთებით არ ივსება, ვერც ვერცხლისმოყვარე იკმაყოფილებს სურვილს მოგროვილი ფულით. აი, გააორმაგა მან ქონება, მაგრამ ისევ ორჯერ მეტი უნდა და არასოდეს დაანებებს თავს შექმნილის გარამაგებას, სანამ სიკვდილი არ შეწყვიტავს უსარგებლო ზრუნვას“⁸.

ეკონომიკაში შექმნილი დოვლათის საკმაოდ დიდი ნაწილი დღეს სულაც არ ემსახურება ადამიანის გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არ მოაქვს მისთვის რეალური სარგებლობა და არ ტრანსფორმირდება „სოციალურ სიკეთედ“. პროლუქციისა და მომსახურების ამ ნაწილს პროფ. გ. მალაშხია „უქმ დოვლათს“ უწოდებს⁹.

¹ Graham C. Intights on Development form the Economics of Happiness. The World Bank Observer. Oxford University Press. Vol. 20, №2, 2005, p.202.

² Konow J. , Early J. The Hedonistic Paradox: Is Homo Economicus Happier? – Journal of Public Economics. 1999, №92, p.2.

³ იქვე, გვ.3.

⁴ მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012, გვ.34.

⁵ Худокормов А. Г. экономическая теория. Новейшие тенденции Занада. М. 2009б с182.

⁶ Veenhowen R. Is Happiness Relative? –Social Indicators Research. Kluwer Academic Publishers. 1991, №24, p.8.

⁷ ჟურნალი „კარიბჭე“, თბ., №10, 2010, გვ.13.

⁸ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ქუთაისი, 2013, გვ. 112.

⁹ მალაშხია გ. უქმი ეკონომიკა, თბ., „უნივერსალი“ 2014, გვ.7. „პატიოსანი გზით მოპოვებული ზედმეტი ქონება კი ცოდვაა ქრისტიანისათვის“ – არქიმანდრიტი იოანე. www.kvirike.ge

გასული საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი და მომდევნო საუკუნის დასაწყისი, სამწუხაროდ, გამორჩეული იყო „უქმი დოვლათის“ ანუ ზომავი მეტად მოხმარებული, უსარგებლო, ადამიანისთვის ზიანის მომტანი, მოჩვენებით კეთილდღეობას (ყალბ პრესტიჟს) დაქვემდებარებული საქონლისა და მომსახურების ჭარბი წარმოებით, რაც მხოლოდ ზიანის მომტანი იყო როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის.

ამრიგად, ეკონომიკური ადამიანი, რომელიც ა. სმიტის მიერ თავის დროზე ერთსახოვნად პოზიტიური რაკურსით იყო წარმოდგენილი, როგორც შუა საუკუნეობრივი შეზღუდულობისგან თავისუფალი ბაზრისთვის და საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესისთვის მებრძოლი ძალა, სინამდვილეში არის ეკონომიკური საფრთხის მატარებელი. ამ საფრთხეს განსაკუთრებით ამძაფრებს სისტემის შიგნით განვითარებული მოვლენები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს ეკონომიკის ფინანსებიზაცია. ეს უკანასკნელი გამოიხატება არა მხოლოდ ფინანსური სექტორის გიგანტური ზრდით, არამედ მთლიანად ფინანსური სისტემის როლის პრინციპული ცვლილებით ეკონომიკის ფუნქციონირებაში. კერძოდ, წინათ ფინანსებს დაქვემდებარებული ადგილი ეკავა მატერიალური დოვლათის წარმოების („ეკონომიკის რეალური სექტორის“ ანუ „ფიზიკური ეკონომიკის“) მიმართ. ამჟამად კი ფინანსები ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებელ ელემენტად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საკუთარი კანონზომიერებების შესაბამისად ვითარდება, არამედ თვითონ განსაზღვრავს (კარნახობს) „ფიზიკური ეკონომიკის“ ფუნქციონირება-განვითარების მთავარ მიმართულებებს.

ეკონომიკის ფინანსებიზაციის კანონზომიერ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური განვითარების მოდელის პრინციპული ცვლილება: რეგულირებას დაქვემდებარებული, ეკონომიკის რეალური სექტორის პრიორიტეტზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელიდან ცუდად რეგულირებული ან რეგულირების მიღმა მყოფი, უპირატესად სპეკულაციურ ოპერაციებზე ორიენტირებულ ფინანსურ ეკონომიკაზე გადასვლა. ფინანსურ ეკონომიკაში ძირითადად იქმნება ფიქტიური კაპიტალი, რომელიც „ნომინალური ღირებულების მქონე წარმოსახვითი სიდიდეა, თავისი შინაარსით ილუზორულია, მოწყვეტილია რა ნამდვილი კაპიტალის ღირებულებისგან, რომლის ტიტულსაც წარმოადგენს¹. ფაქტიური კაპიტალის წარმოქმნა არის კაპიტალიზაცია, რომელიც თანამედროვე ეკონომიკის მთავარ შინაარსს განსაზღვრავს. დღეს იგი დომინირებს ყველა, მათ შორის წარმოების ფაქტორების გამოყენებისა და შრომის მწარმოებლობის მაჩვენებელზე. კაპიტალიზაციის მაღალი დონის მიღწევა, როგორც წესი, შესაძლებელია წმინდა და სპეკულატიური ოპერაციების გაფართოების გზით და არა ინოვაციების დანერგვის საფუძველზე.

მასასადამე, ფინანსური ეკონომიკა, ისეთი ოპერაციების საშუალებით, როგორცაა დერივატივებით ვაჭრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ჰეჯირება, სეკურიტიზაცია და ა.შ., სწრაფი მოგებისა და გამდიდრების საშუალებას იძლევა, რაც სრულად პასუხობს ეკონომიკური ადამიანის მოტივაციას. ამასთან ერთად, ფინანსებიზაცია და ფინანსური ეკონომიკის ბატონობა კრიზისების წარმოშობის მაღალ ალბათობას შეიცავს². ეს პროცესები ასევე განაპირობებს „ეკონომიკური ადამიანის“ („Homo Economicus“) ტრანსფორმირებას „ფინანსურ ადამიანად“ („Homo Finansimus“), რომელსაც ახასიათებს მტაცებლური ბუნება, რისკების იგნორირება და ხშირ შემთხვევაში კანონის საწინააღმდეგო მოქმედება საკუთარი ანგარიშობიანი მიზნების მისაღწევად. მისი მოქმედების სფეროა ფინანსები, მოქმედების შინაარსია – სპეკულატიური ოპერაციები, მიზანი კი არის მოკლე დროში მაქსიმალური მოგების მიღება.

¹ მარქსი კ. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 22.

² დიდი დეპრესიის დამთრგუნველი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ჯ.მ კეინზი მკაცრად აკრიტიკებდა სპეკულაციური ხასიათის მქონე ფინანსური ეკონომიკის მოდელს და წერდა, რომ მან „არ მიგვიყვანა წარმატებამდე. იგი არ გამოირჩევა არც გონიერებით, არც სამართლიანობით, არც მიმზიდველობით, არც სიკეთით და იგი არ აწარმოებს პროდუქტს (ხასხასმა ჩვენია – ე.მ.) მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ იგი არ მოგვწონს და უფრო მეტიც, ზიზღის გრძობა გვიღვივდება მის მიმართ“ – Keynes J.M. National Self-Sufficiency. Yale Review 22(1933)p.760-761.

გლობალური ფინანსური კრიზისით შემოფოთებულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ 2010 წლის იანვარში დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა: „შეიქმნა სამყარო, რომელშიაც ყველაფერს იღებს ფინანსური კაპიტალი და თითქმის არაფერს მშრომელი ადამიანი... ნორმალურია სხვისი კაპიტალით თამაში და დიდი ფულის შოვნა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას... ამჟამად მთავარი ამოცანაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელშიაც ეკონომიკა ადამიანისთვის იმუშავებს. - Известия 28.01.2010. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე ლ. ლაროში თითქმის ოთხი ათეული წლის წინ წერდა: „თუკი მონეტარული საქმიანობა მზარდი სიხარბით გავრძელდება, უშედეგო იქნება არა მხოლოდ პერიოდული ხასიათის კრიზისები, არამედ გლობალური სისტემის საყოველთაო ნგრევა“ – „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009, №3, გვ.84.

ფინანსური კრიზისების წარმოშობის ერთ-ერთ სიღრმისეულ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მონარების პერმანენტული ზრდა და გაფეტიშება, რაც ასევე მოგების მაქსიმიზაციის მოთხოვნიდან გამომდინარეობს. მოგების ზრდის სურვილი წარმოებას მუდმივად უბიძგებს გაფართოებისკენ. ეს კი შეუძლებელია მონარების შესაბამისად გაზრდის გარეშე. წარმოების საბოლოო მიზანი, რა თქმა უნდა, მონარებაა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაში მონარების ზრდა კაპიტალის თვითზრდის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. წარმოებასა და მონარებას შორის აღნიშნული კავშირი პირველად ა. სმიტმა გამოიკვლია. თანამედროვე კორპორაციული კაპიტალიზმის პირობებში ეს ურთიერთდამოკიდებულება ამომწურავად აქვს დახასიათებული ცნობილ ამერიკელ მეცნიერს ჯ. კ. გელბრეიტს. იგი წერს, რომ „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში მომხმარებლის თავისუფალი ნება არის მითი“¹. ამ მითის შინაარსი იმის მტკიცებაა, რომ „საბაზრო ეკონომიკაში მხოლოდ მომხმარებლის ხელშია ძალაუფლება და მხოლოდ ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მწარმოებელი“. რეალურ სინამდვილეში, გელბრეიტის აზრით, საქმე სხვაგვარადაა: „არც ერთი მწარმოებელი არ დაიწყებს პროდუქტის წარმოებას მასზე მოთხოვნის წინასწარ შექმნამდე, რასაც უზრუნველყოფს რეკლამის-გაყიდვების ამ დიდი ხელოვნების განვითარება და ცხოვრებაში ფართოდ დანერგვა“. მომხმარებელს, რა თქმა უნდა, აქვს არჩევანის თავისუფლება, მაგრამ „ეს არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მას ბაზრის ზეგავლენისგან“. საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ „ვერავინ ვერაფერს გაყიდის, თუკი არ მართავს სამომხმარებლო მოთხოვნას და არ აკონტროლებს მას“.² აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეკონომიკაში „კორპორაციები მართავენ და აკონტროლებენ ინდივიდუალურ მოთხოვნას, რასაც ხშირ შემთხვევაში მანიპულირების ხასიათი აქვს“. ამავე პრობლემაზე ამხვილებს ყურადღებას პროფ. გ. მალაშხია: „გაყიდვებისა და მოგების გადიდების მიზნით მწარმოებლები ქმნიან ფაქტობრივად არაფრისმომცემ, ფიქტიურ სიახლეებს, რომელთა გასაღებასაც ახერხებენ კიდევ მყვირალა რეკლამის და მაცდური მარკეტინგული საშუალებებით“³.

თანამედროვე საზოგადოებაში მონარების გაზრდის ორი გზა არსებობს. პირველი მათგანი გულისხმობს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ანუ დაქირავებული მუშაკების შემოსავლების გადიდებას. ამ მიმართულებას თეორიული საფუძველი ჩაეყარა დიდ ბრიტანეთში XIX საუკუნის ბოლოს. დაქირავებულისთვის (კაპიტალისტებისთვის) უფრო მომგებიანი აღმოჩნდა დაქირავებული მუშებისთვის მინიმალურზე უფრო მაღალი ხელფასის გადახდა. მოგვიანებით ამ თეზისმა ასახვა ჰპოვა ახალი კენზიანელების მიერ ჩამოყალიბებულ „ეფექტიანი ხელფასების თეორიაში“. XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ჩამოყალიბდა „მომხმარებელთა საზოგადოების“, „საყოველთაო სიუხვის საზოგადოების“, „ერთგანზომილებიანი ადამიანის“ და სხვა თეორიები⁴. ამ თეორიების თანახმად, თანამედროვე სოციალურ საზოგადოებაში ადამიანებს სამომხმარებლო სტანდარტებით ცხოვრების გარდა, სხვა არჩევანი არ გააჩნია.

მომხმარებლის გაზრდის მეორე გზა, რომელიც კრედიტების აღებას და დავალიანების ზრდას გულისხმობს, უფრო მისაღებია კაპიტალისტებისთვის. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ 2000-ანი წლების დასაწყისში აშშ-ს ეკონომიკაში საოჯახო მეურნეობების დავალიანებამ 2,25-ჯერ, ხოლო ჯამურმა დავალიანებამ 3-ჯერ გადააჭარბა ამ ქვეყნის მშპ-ს. მოსახლეობის მხოლოდ იპოთეკურმა დავალიანებამ 2005 წელს 1,3 ტრლნ აშშ დოლარი ანუ ქვეყნის მშპ-ს 10% შეადგინა⁵. აღებული ვალების დიდი ნაწილი ბანკების, საინვესტიციო კომპანიების და სადაზღვევო ფონდების მიერ შექმნილ პირამიდებში ჩაიდო, რომელთა ნგრევამ გლობალური ფინანსური კრიზისი წარმოშვა. როგორც ქართველი მკვლევარი მ. ჩიქობავა აღნიშნავს: „საკრედიტო ბუმი „ფინანსური პირამიდების“ მშენებლობის პროვოცირებას ახდენს, რომლებიც განწირული არიან გარდაუვალი რღვევისთვის“⁶.

¹ Гелбрейт Дж. К. Экономика невинного обмана. Правда нашего времени. М. 2009. с. 22.

² იქვე, გვ.30.

³ მალაშხია გ. დასახლებული ნაშრომი, გვ.68.

⁴ Гелбрейт Дж. К. Общество всеобщего изобилия. М. Прогресс 1976. Маркузе. Г. Одномерный человек. Исследование идеологии развитого индустриального Общества. М. 1994.

⁵ Булатов А. Сходство и различия Экономического кризиса в США и России – Вестник института Кенана в России . вып. 15 2009. с.29.

⁶ ჩიქობავა მ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით.

„ეკონომიკა და ბიზნესი“. 2012, №4, გვ. 79.

დაკრედიტება საბაზრო ეკონომიკის ის მექანიზმია, რომელიც ღრობით ხსნის წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. ფიქტიური მოთხოვნის შექმნით კრედიტი წარმოებას რეალური გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადალახვისკენ უბიძგებს, თუმცა, ამ გზით კრიზისის წარმოქმნის წინაპირობებს ამზადებს. სწორედ ასეთი სცენარით განვითარდა 2008 წლის გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც აშშ-ის იპოთეკური ბაზრის კოლაფსით დაიწყო. მოკლე პერიოდში აშშ-ის 7,5 მლნ მოქალაქემ აიღო უპირატესად ე.წ. „სუბპრაიმ“-ის ტიპის (არასაიმედო და ნაკლებად საიმედო) კრედიტები და მათგან 2,5 მლნ მოგვიანებით აღმოჩნდა გადახდისუნარო. ფინანსური ურთიერთობების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ჰ. მინსკის აზრით, ვალების დაგროვება, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სპეკულაციური აქტივების შესაძენადაა გამიზნული, კაპიტალიზმის ფინანსური სიმეციფის (არამდგრადობის) და კრიზისების წარმოქმნის უმთავრესი მიზეზი ხდება¹. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდა თვალსაჩინო ფრანგი ეკონომისტი, ნობელიანტი მ. ალუ: „კრედიტი ყველგან ხელს უწყობს სპეკულაციას, ვინაიდან შესაძლებელია იყიდო და არ გადაიხადო, გაყიდო ისე, რომ არ ფლობდე გასაყიდ საქონელს“².

კანონზომიერია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგია მეკანშეობას, როგორც დაკრედიტების პირველ ისტორიულ ფორმას, მკვეთრად უარყოფითი კონტექსტით მოიხსენიებს: „არავინ კურნავს იარას იარით, ბოროტს ბოროტებით. ასევე ვერ განკურნავ სიღარიბეს ვალით (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.) მდიდარი ხარ – არ ისესხო. ღარიბი ხარ – არც მაშინ ისეხო – გემოდღვრავს წმინდანი“³.

ამრიგად, ჩვენ ამჟამად საქმე გვაქვს ფინანსების ჰიპერტროფირებასა და მოხმარების ფეტიშიზირებაში გამოხატულ კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ირაციონალურ მოდელთან. მისი შეცვლა ჰუმანურ ფასეულობებსა და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ნორმებზე ორიენტირებული პრინციპულად ახალი მოდელით, დამანგრეველი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პრევენციის უმნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია.

Elguja Mekvabishvili

Orthodox Teaching Dimension of Global Financial Crisis

Resume

The global financial crisis seriously hit the world economy. Its negative consequences are reflected not only in enormous financial and material losses, but in personal tragedies of individuals as well. There are talks about deregulation of economy and finances, derivatization, securitization, etc. In our opinion, anthropocentric approach is needed to understand basic causes and nature of the crisis. According to this approach, global financial crisis presents one of the specific manifestations of modern human crisis. In the paper, the key cause of the crisis is regarded to be the concept of “Economic Man” by A. Smith and greediness and constant striving for gaining profit and wealth. “Economic Man” is characterized with excessive rationalism, which makes him get further from God and turns him into servant of material wealth. Increasing “financiation” of modern economy and enormous growth of speculative operations leads to transformation of “Economic Man” into “Financial man”, who moves even farther from spiritual values and is immersed into irrational and virtual world of wealth. The main precondition for overcoming the crisis is regarded to be the fundamental change of economic development model and transformation from rapid and easy profit-oriented financial economy to the model based on universal values, Christian dogma and Christian ethics.

¹ Minsky H. Financial Crisis: Systemic or Idiosyncratic. Jerome Lievy Economic Institute, Bard College. Working Paper. №51, April 1991

² Белянин А. Егоров Е. О творческом наследии выдающегося экономиста. 100 – летию с дня рождения Мориса Алле – Вопросы экономики. 2011. №10. с.14.

³ ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, ქუთაისი, 2013, გვ. 148.

ეკონომიკური კატეგორიები ახალი აღთქმის მიხედვით

ქრისტეს სახარება გვამცნობს საამო ამბავს მონობისგან განთავისუფლებაზე. იორდანედან დაბრუნებული ქრისტე ნაზარეთში საზეიმოდ კითხულობს ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან: „სული უფლისა ჩემზე, რომლისთვისაც მცხო და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულით შემუსვრილთა მკურნალად, ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატყვევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად“ (ლუკა 4, 18-19)¹ ეს განთავისუფლება დაკავშირებულია „საიუბილეო წელთან“, როცა უპოვრები, ტყვეები და ბრმები თავისუფლდებიან თავიანთი ტვირთისგან და გამოდიან ცოდვის სიბნელიდან.

თუ დავუბრუნდებით ძველ აღთქმას, ადვილად დავინახავთ, რომ იქ სამეურნეო სფერო ექვემდებარება კანონს, რომელიც უნივერსალურია და მოიცავს არა მარტო ეკონომიკას, არამედ ეკლესიის მოწყობას, ღვთისმსახურებას – ზოგადად ეხება ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ახალ აღთქმაში კანონის აუცილებლობა უგულვებელყოფილია – „ხოლო თუ სულისამებრ იქცევით, არა ხართ რჯულის ქვეშ“ (გალ. 5, 18), ამბობს პავლე მოციქული. მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის – ახალი აღთქმა არ უარყოფს კანონის იდეას. ღმერთი ამბობს: „ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე“ (იოანე, 14, 21) და პირიქით, „თუ გიყვარვართ მე, დაიცავით ჩემი მცნებანი“ (იოანე 14, 15). ახალ აღთქმაში კანონი მოცემულია არა „სამართლებრივი“, არამედ ზნეობრივი მცნებების სახით.

ახალი აღთქმის კანონი სამეურნეო სფეროშიც არსებობს, მაგრამ მთელი სირთულე ისაა, რომ სამეურნეო-ეკონომიკური მცნებები არ არის ფორმირებული იმდენად აშკარად, რომ მათი გაგება ერთმნიშვნელოვად იყოს შესაძლებელი. ამ მცნებების შინაარსი გაფანტულია სხვადასხვა მოკლე გამონათქვამებსა და ზოგიერთ იგავში. ამასთან, მათი შინაარსის ზუსტი განმარტებები ყოველთვის ცალსახა არ არის.

ხაზი უნდა გავუსვათ ზნეობრივი კანონის ერთ თავისებურებას, რომელიც არსებითია სამეურნეო საქმიანობისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების გასააზრებლად. ახალი აღთქმის მცნებები გამოირჩევა იშვიათი სიმადლეებით. თავიანთი არსით, ის აყალიბებს ზნეობრივ იდეალს, რომლის მიღწევაც სრული მოცულობით ცოდვილი ადამიანისთვის, პრაქტიკულად შეუძლებელია (თუმცა, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ შეუძლებელი კაცთათვის, ყოველივე შესაძლებელია ღვთისა მიერ წმინდანთა და მართალთა ღვთის თანამეწევნით აღსრულდეს ქრისტეს სჯულში. ისინი პრაქტიკულად აღარ სცოდავდნენ, ღმერთშემოსილნი შეიქმნენ). ამასთან, ისინი ხდებიან ერთგარი შეუქურები, რომლებიც აჩვენებენ სწორ მიმართულებას, საითაც ქრისტიანებმა უნდა იარონ ზნეობრივი სრულყოფის გზაზე. ამასთან ერთად, თავიანთ არსებით ნაწილში ეს მცნებები მიღწევადია ჩვეულებრივი, ცოდვილი ადამიანებისთვის, მაგრამ მიღწევადია დიდი რწმენისა და შეუპოვარი შრომის პირობებით. რადგან ეს ყველას არ შეუძლია, ან არ სურს, ადამიანები ასრულებენ ზნეობრივ კანონებს სხვადასხვა ხარისხით. სწორედ ამიტომ, ერთნი მეტად დაჯილდოვდებიან ღვთისგან, მეორენი – ნაკლებად. გავიხსენოთ იგავი, როცა ზოგიერთმა თავთავმა 30 მარცვალი გამოიღო, მეორემ – 60, მესამემ კი – 100. როგორც მაცხოვარი ამბობს: „ჩემი ზეციური მამის სახლში ადგილები მრავალ არს“. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს დამოკიდებულება ეკონომიკურ სფეროში კანონის შესრულების დროს. ეკონომიკა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ის განსაზღვრავს საზოგადოების სახეს ზნეობრივი კანონების შესრულების კვალდაკვალ. თითოეული საზოგადოება აყალიბებს ამა თუ იმ სამეურნეო წყობას, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრული ზნეობრივი დონით გამოირჩევა. ირკვევა, რომ ეკონომიკური კანონები სულაც არ არის ბუნების ურყევი კანონები – მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავსად. საზოგადოების ეკონომიკური ყოფა დამოკიდებულია ადამიანების ზნეობრივ დონეზე. მაგრამ, ეკონომიკური ინსტიტუტები აფიქსირებენ და ამტკიცებენ ზნეობრიობას მკაცრი სამართლებრივი ფორმებით და ამიტომ იქმნება ილუზია, რომ ისინი „ობიექტური“ და „ბუნებრივი“ არიან. საზოგადოების ზნეობრივი დონის

¹ ბიბლიური ციტატები აქ და ქვემოთ მოტანილია წიგნიდან: ბიბლია, თბილისი, 2013.

ცვლილება იწვევს ეკონომიკური ცხოვრების პრინციპების ცვლილებებს. ამგვარად, ზნეობრივი ყოფა განსაზღვრავს ეკონომიკის ფორმებს. მაგრამ, ზნეობრივი ღმერთისგანაა, შესაბამისად – ეკონომიკური ყოფაც ღმერთისგანაა და გვეძლევა ჩვენ ღვთაებრივი მცნებებით.

ახალი აღთქმის სამეურნეო მცნებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლებას ადამიანის შრომის არსზე. ადამიანი, ღმერთის აზრით, როგორც ღმერთის ხატება, უნდა ფლობდეს ღვთაებრიობის ისეთ ატრიბუტებს, როგორცაა სულიერება და შემოქმედებითი ძალა. ამიტომ, ადამიანის საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მატერიალური შრომით და, რაც მთავარია, ეს საქმიანობა უნდა იყოს თანხვედრაში ღმერთის ნებასთან. ადამიანი, ახორციელებს რა დედამიწაზე თავის ჩვეულებრივ შრომით საქმიანობას ნებისთი თუ უნებლიეთ, მონაწილეობას იღებს ამ ქვეყნად ღმერთის ჩანაფიქრში, ხდება რა ღმერთის საქმის თანამონაწილე. ღმერთმა შრომაზე ადამიანი (ადამი და ევა) ჯერ კიდევ სამოთხეში აკურთხა. იგი შრომითა და გარჯით ღვთის ნებას ასრულებს. ამიტომ ნებისმიერი შრომა თავის თავში ატარებს უმაღლეს არსს, რომელიც მიმართულია უფრო სრულყოფილი და ზნეობრივი ცხოვრებისკენ. ამასთან, ახალი აღთქმის დროში ადგილი აქვს შრომის სხვა, უარყოფითი მხარის გამოვლინებასაც. ღმერთი გვაძლევს გადარჩენის გზას და გვეხმარება მის გავლაში, მაგრამ ეს გზა საკმაოდ ვიწროა და კაცობრიობა, როგორც ძველი აღთქმის პერიოდში, ეხლაც იმყოფება ცოდვის ქვეშ. ამიტომ შრომითი საქმიანობის განხორციელება ადამიანს „პიროფლიან“ მდგომარეობაში უწევს. სამეურნეო საქმიანობა ჩვენთან გამოხატულია ორი მთავარი სიტყვით „შრომა“ და „სამუშაო“.

“შრომა” – ხშირ შემთხვევაში მძიმეა და ადამიანი დიდ ძალისხმევას მიმართავს მისი შემსუბუქებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ მექანიზმები, მოწყობილობები და ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს შრომის შემსუბუქებას, მაგრამ ვერ ახერხებს ძველი აღთქმის „წყევლის“ გადალახვას „პიროფლიანი ჭამდე პურს“ (დაბ. 3, 19).

“სამუშაო” – ძველ დროში ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ მონები – ადამიანები, რომლებიც მთლიანად იყვნენ დამოკიდებული თავიანთ პატრონებზე. ჩვენი აზრით, დღესაც კი ეს დამოკიდებულება არსად არ გამქრალა, უბრალოდ მისი ფორმები დაიხვეწა. ადამიანების უმრავლესობას დღესაც ქირაობენ დამსაქმებლები. დასაქმებულებს გააჩნიათ ვალდებულებები, რომელთა არასათანდო შესრულება სამუშაოს დაკარგვის ტოლფასია. სამუშაო, რომელსაც ასრულებს ადამიანი, აქცევს მას საზოგადოებრივი ურთიერთობების „მონად“. ეს ურთიერთობები იმდენად არსებითია, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ მთელი საზოგადოების საფუძველს. ამოცანა ისაა, რომ ეს ურთიერთობები მაქსიმალურად მიესადაგებოდეს ახალი აღთქმის ეთიკურ ნორმებს.

სამუშაოს სოციალური როლის გამოვლინება ხდება მის ისეთ თვისებაში, როგორცაა სპეციალიზაცია. ადამიანს არ შეუძლია ყველა სამუშაოს ერთნაირად კარგად შესრულება, ამიტომ ის ცდილობს რომელიმე მათგანზე სპეციალიზაციას. შრომის დანაწილების გამო შრომა დიდწილად წარმოადგენს საქმიანობას, რომლის ნაყოფითაც სარგებლობენ სხვები. სამუშაოს ეს თვისებურება შეიძლება ორგვარად იქნას გამოყენებული. ეგოისტური მიმართულების მიცემით შრომა და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობები, შეიძლება, ძალიან ადვილად მივიდეს სოციალურ უსამართლობამდე და უთანაბრობამდე, რომლის თვალსაჩინო მაგალითი ძველ საზოგადოებაში იყო მონობა. ამასთან, შრომა სხვა ადამიანისთვის შეიძლება იქცეს უზარმაზარი სიკეთის განსახიერებად – მოყვასის სიყვარულის განსახიერებად, რომლის გარეშეც ყველაფერი დანარჩენი ამაოა: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს მხოლოდ რვალი ვარ მოყვრილად, მხოლოდ წკრიალა წინწილი“ (I კორ. 13, 1), „რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობასა აქვს რაიმე ძალა, და არც წინადაუცვეთელობას, არამედ რწმენას, სიყვარულით მოქმედს“ (გალ. 5, 6).

შრომის სოციალური როლი გამოიხატება მის სოციალიზაციის ფუნქციაშიც. შრომა ზრდის, შრომა აქცევს ადამიანს საზოგადოების წევრად და აძლევს მას წარმატებული არსებობის შანსს, შემოქმედებითი შრომა ანიჭებს ადამიანს უზარმაზარ კმაყოფილებას, აძლევს მას თვითრეალიზაციის საშუალებას და ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას.

ახალი აღთქმა და შრომითი საქმიანობის მოტივები. ახალ აღთქმაში შეგვიძლია ვიპოვოთ რამდენიმე მითითება, რომლებიც განმარტავს ამ საკითხს. პირველ რიგში შრომა აუცილებელია საკუთარი თავის გამოსაკვებად. პავლე მოციქული გვამცნობს: „ვინ ჩაყრის ვაზს და ყურძენს კი არა ჭამს? ვინ მწყემსავს ფარას და ცხვრის რძეს კი არა სვამს? იქნება მხოლოდ კაცთა ჩვევისამებრ ვმსჯელობ? მაგრამ განა ამასვე არ ამბობს რჯულიც? ვინაიდან, მოსეს რჯულში სწერია: ნუ აუკრავ პირს ხარსა მღეწავსა. ნუთუ ხარების დარდი აქვს ღმერთს? არამედ ცხადია, ჩვენთვის ამბობს, ვინაიდან მხვნილი იმედით უნდა ხნავდეს, და ლეწვის დროს მღეწველსაც უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ მოიწევს იმას, რაც ეიმედება?“ (I კორ. 9, 7-10). იგივე აზრია გადმოცემული მოციქულის მიერ: „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურც ჭამს“ (II თეს. 3, 10). ეს, შეიძლება ითქვას, შრომის ყველაზე „დაბალი“, ძველი აღთქმისეული რეზონია. მაგრამ, ახალი აღთქმის ეთიკა მას არ უარყოფს, პირიქით, ქრისტიანობა აღიარებს, რომ ღმერთის როგორც სამყაროს შემქმნელის ნება და ადამიანის შრომა წარმოადგენს ყველა სიკეთის წყაროს. ამიტომ სამართლიანია, თუ ადამიანი იღებს გასამრჯელოს არა მისი ქონებრივი მდგომარეობის, არამედ მისი შრომითი წვლილის მიხედვით. შრომითი საქმიანობის უფრო მაღალი მოტივი გამოხატულია სიტყვებში: „უმალ იშრომოს და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული“ (ეფეს. 4, 28). საქმე ისაა, რომ მოწყალეობა – პიროვნული თუ სოციალური, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი დანაზოგის დროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომა საჭიროა ახლობლისთვისაც, იმისათვის, რომ განახორციელო მოწყალეობა მის მიმართ.

დაბოლოს, მოტივაციის უფრო მაღალ საფეხურად გვეკლინება საქმიანობა ღმერთისთვის: „და რასაც უნდა იქმოდეთ, სიტყვით თუ საქმით, იქმოდეთ მას უფლის იესოს სახელით, რათა ჰმადლობდეთ მის მიერ ღმერთსა და მამას“ (კოლ. 3, 17) და „ყველაფერი, რასაც აკეთებთ, გულმოდგინედ აკეთეთ, როგორც უფლისთვის, და არა როგორც კაცთათვის. იცოდეთ, რომ უფლისგან საზღაურად მიიღებთ სამკვიდროს, რადგან უფალს ქრისტეს ემსახურებით“ (კოლ. 3, 23-24). ბოლო ფრაგმენტში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ქრისტიანული საქმიანობის საბოლოო მიზანი ღმერთის და არა ადამიანის მსახურებაა. მაგრამ ეს მსახურება ხორციელდება ახლობლებისთვის მსახურებით, ღარიბებისა და უპოვრების დახმარებით კარგად ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი: „მდიდრები იმაზე ადრე ვერ შევლენ სასუფეველში, ვიდრე მათ ღარიბები შეიყვანენ“. უფრო მეტიც, ჩვენი ხსნა პირდაპირაა დამოკიდებული სხვა ადამიანების დახმარებისთვის გაწეულ შრომაზე. ეს მომენტი ძალიან თვალნათლივას ასახული მათეს სახარებაში: „და როდესაც მოვა ძე კაცისათვის თავისი დიდებით, და ყველა წმინდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე და შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი, და გაარჩევს მათ ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვენაზე, ხოლო თხებს მარცხენაზე. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვენაზე მდგომთ: მოდი, კურთხეულნი მამის ჩემის მიერ, და დაიკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშვიდა, და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი, და შემიწყნარეთ. შიშველი ვიყავი, და შემმოსეთ სნეული ვიყავი, და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი, და მინახულეთ, მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო როდის გიხილეთ შენ მშვიერი, და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი, და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხო, და შეგიწყნარეთ? ანდა, შიშველი და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ანდა საპყრობილეში, და გინახულეთ? და მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ. მაშინ ეტყვის მარცხენაზე მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნი, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ემზადებულია და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული. რადგან მშვიდა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი, და არ შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი, და არ შემმოსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში, და არ მინახულეთ. მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშვიერი, ან მწყურვალი, ან უცხო, ან სნეული, ან საპყრობილეში, და არ გემსახურეთ შენ? მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ; ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი საუკუნო სიცოცხლეში“ (მათე, 25, 31-46).

ქრისტიანობის დამოკიდებულება სამეურნეო საქმიანობისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მიმართ ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს და ძირითადად ორ მიდგომასთან გვაქვს საქმე:

პირველი მიდგომით, შრომითი საქმიანობა გარდაუვალია, მაგრამ ის არ არის ძირითადი. ქრისტიანისთვის მთავარია სულის აღზრდა, მომზადება საუკუნო ცხოვრებისთვის. სულიერი ცხოვრება, ლოცვა, აღსარება, ზიარება, ვნებებისა და ემოციების მართვაა. ამ ყველაფერს მატერიალური პრობლემები უშლის ხელს. ამიტომ სამეურნეო სფეროს შეძლებისდაგვარად ცოტა დრო უნდა დაეთმოს. ამ შემთხვევაში ღმერთი დაგვიცავს უბედურებებისაგან და მოგვცემს სიმდიდრეს თუ არა, თვითკმარ ყოფას მაინც. დღეს არა მხოლოდ აპოლიტიკურობა, არამედ ასოციალურობაა დამახასიათებელი მრავალი მართლმადიდებლისთვის.

მეორე მიდგომით, რადგან შრომითი საქმიანობა გარდაუვალია, საჭიროა ის ვაქციოთ ქრისტიანული აღზრდის საშუალებად და ამისათვის გამოვიყენოთ ქრისტიანული ზნეობა და საღმრთო ცნებები. ხაზგასასმელია, რომ ძველი აღთქმის სამეურნეო მიდგომები უახლოვდება ამ მიდგომას.

კერძო საკუთრება და ახალი აღთქმა როგორც წინა განხილვებიდან ჩანს, მძიმე შრომა წარმოადგენს ადამიანის დაცემის გარდაუვალ შედეგს და ის ადამიანის თანმდევი იქნება „მეორედ მოსვლამდე“. შრომა მიმართულია ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების - კვების, საცხოვრისის და სამოსელის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ შრომის ნაყოფი ადამიანის საკუთრებას წარმოადგენს. პირველი, რასაც საკუთრებაზე ვხვდებით სახარებაში, საკმაოდ საინტერესო ტექსტია, რომელიც არაერთგვაროვნად ხსნის შრომის ფასს და საკუთრების აუცილებლობას – „ამიტომაც გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისთვის, რა ვჭამოთ ანდა რა ვსვათ; ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შევიძლოსოთო. განა სული უფრო მეტი არ არის, ვიდრე საზრდელი და სხეული – უფრო მეტი, ვიდრე სამოსელი? შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბელღებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ? ან რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრიც ეცადოს, თუნდ ერთი ცილით მოიმატოს სიმაღლე? ან სამოსლისთვის რაღადა ზრუნავთ? შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანი: არც შრომობენ, არც რთავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითეული მათგანი. ხოლო თუ ველის ბალახს, რომელიც დღეს არის და ხვალ თონეს შეუერთდება, ასეთნაირად მოსავს ღმერთი, განა თქვენ უკეთ არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო? ნუ ზრუნავთ და ნუ იტყვიით; რა ვჭამოთ, რა ვსვათ, ანდა რით შევიძლოსოთ? ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი, და ვინაიდან მამამ თქვენმა ზეციერმა იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს. მაშ, ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმაღლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ. ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის. რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას: ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი“ (მათე, 6, 25-34). ერთი შეხედვით ამ ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ შრომა აუცილებელი არ არის, მაგრამ თუ ყურადღებით გადავიკითხავთ მას, ვნახავთ, რომ არსად არ არის ნათქვამი „არ იშრომოთო“. აპელირება ცის ფრინველებზე, რომლებიც „არც თესავენ, არც მკიან, არც ბელღებს ავსებენ“ და მათი შედარება ადამიანებთან არამართებულია, რადგან მათ სხვა ბუნება და ცხოვრების სხვანაირი წესი აქვთ, მაგრამ, რამდენჯერმეა ნათქვამი „ნუ ზრუნავთ“. ამიტომ ცხადია, რომ ამ ფრაგმენტში საუბარია იმაზე, რომ არ ეგების ღმერთის გარეშე ზრუნვა ყოფაზე. რადგან „მამამ თქვენმა ზეციერმა იცის რომ გჭირდებათ ყოველივე ეს და ღმერთი მისცემს ადამიანს, თუ იგი ეძებს „ღმერთის სასუფეველს და მის სიმაღლეს“ ე.ი. თუ იგი ასრულებს ღმერთის ნებას სამეურნეო საქმიანობის დროს. სამეურნეო საქმიანობის მოწყობაზე კი ამ ფრაგმენტიდან საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველ რიგში ჩვენი აზრით, ამ ფრაგმენტის არსი მიმართულია კერძო საკუთრების აბსოლუტიზაციის წინააღმდეგ. მართლაც რისთვის ვაგროვებთ და ვქმნით საკუთრებას? პირველ რიგში იმისათვის, რომ უზრუნველყოთ საკუთარი თავი მომავალში, რათა დამოკიდებული არ ვიყოთ სხვაზე, მათ შორის ღმერთზე. და ყოველივე ამას უარყოფს მოცემული ფრაგმენტი: „ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისთვის, რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას? ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი“.

იგავი უზომოდ მდიდარ კაცზე ამხელს ქონების დაგროვების, ამით სიმყარისა და დამოუკიდებლობის შექმნის განცდის უაზრობას: „ერთი მდიდარი კაცის ყანაში ზღვა მოსავალი მოვიდა; და საგონებელში ჩავარდნილმა თქვა: რა ვქნა, სად წავიღო ამდენი მოსავალი? და გადაწყვიტა: აი, რას ვიზამ: დავშლი ჩემს

ბელლებს და უფრო დიდებს ავაგებ, და შევინახავ იქ მთელ ჩემს მოსავალს და სარჩო-საბადებელს. და ვეტყვი ჩემს სულს: სულო მრავალი სიკეთე გაქვს დაგროვილი და მრავალი წლის სამყოფი: განისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე. უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამდამვე ამოგართმევენ სულს; ვისლა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი? ასე მოუვა ყველას, ვინც თავისთვის იხვეჭს სიმდიდრეს და არა ღმერთისთვის“. (ლუკა, 12, 16-21). კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი – იგავი ორგულ მოურავზე: „იყო ერთი მდიდარი კაცი და ჰყავდა მოურავი, რომელიც დაბეზლეს მის წინაშე, შენს ქონებას ანიავესო. მოიხმო იგი და უთხრა: ეს რა მესმის შენზე? ჩამაბარე შენი სამოურავოს ანგარიში, რადგანაც ამიერიდან აღარ გიწერია მოურავობა. მაშინ მოურავმა თავის თავს უთხრა: რა ვქნა? აგერ ჩემი ბატონი მოურავობას მართმევს: თონხა მე არ შემიძლია და თხოვნა კი მერცხვინება. თუმცა, ვიცი, რაც უნდა ვქნა, რომ თავიანთ სახლებში მიმიღოს ხალხმა, როცა მოურავობას ჩამომართმევენ. მოიხმო სათითაოდ თავისი ბატონის მოვალენი და ჰკითხა პირველს: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა? მან მიუგო: ასი კასრი ზეთი და უთხრა მას: აჰა, ინებე შენი თამასუქი დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე ორმოცდაათი. ახლა მერვს ჰკითხა: შენ რამდენილა გმართებს? და მან მიუგო: ასი კოდი პური, და უთხრა მას: აჰა, ინებე შენი თამასუქი და დაწერე ოთხმოცი. და შეაქო ბატონმა ორგული მოურავი; გონივრულად მოიქეციო; ვინაიდან ამ სოფლის ძენი თავიანთ მოდგმაში უფრო გონიერნი არიან, ვიდრე ნათლის ძენი. ამიტომაც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რათა, როდესაც გადარბდებით, საუკუნო სასუფეველში მიგიღონ თქვენ. მცირედში სანდო დიდშიც სანდოა და მცირედში უნდო დიდშიც უნდოა და თუ ამ ცრუ და უსამართლო სიმდიდრეში უნდონი იყავით, ჭეშმარიტს ვინ განდობთ თქვენ? ანდა თუ სხვისაში უნდონი იყავით, თქვენსას ვინ მოგცემთ თქვენ?“ (ლუკა, 16, 1-12). თუ ამ იგავს განვიხილავთ, როგორც იგავს კერძო საკუთრებაზე, მაშინ მისი შინაარსი საკმაოდ გამჭვირვალეა. რას ნიშნავს „უსამართლო სიმდიდრე“? ჩვენი აზრით, ეს, უწინარესად, უშრომელი კერძო საკუთრებაა. ის „უსამართლოა“ იმიტომ, რომ მისი ჭეშმარიტი მესაკუთრე მდიდარი ბატონი – ღმერთია. მოურავი – ადამიანია. ის ვალდებულია მხოლოდ მართოს, ზედამხედველობა გაუწიოს მობარებულ ქონებას. ამ შემთხვევაში მოურავმა ბატონის ქონების განკარგვა ისე დაიწყო, როგორც მესაკუთრემ და ქონებიდან სარგებლის მიღება განიზრახა. ამიტომ, ბატონმა ჩამოართვა მას მოურავობა. მაგრამ ორგულმა მოურავმა ჭკუას მოუხმო და გამოასწორა თავისი ცოდვა; მან უარი თქვა მესაკუთრის ქცევაზე და შეამცირა ვალის წილი, ანუ დააფიქსირა ვალის ზუსტად ის ოდენობა, რაც მოვალეებს ბატონის მართებდათ და ამით უარი თქვა თავის წილ შემოსავალზე. აქ ფაქტობრივად გაკიცხულია პრინციპი „საკუთრება იძლევა შემოსავალს“, რაზეც აგებულია თავისუფალი ბაზრის პრინციპი. საკუთრებაზე და მასთან დაკავშირებულ შემოსავალზე უარის თქმის გამო ბატონი აქებს მოურავს იმისათვის, რომ იგავის შინაარსი უფრო გასაგები იყოს, ქრისტე განუმარტავს თავის მოწაფეებს „და თუ ამ ცრუ და უსამართლო სიმდიდრეში უნდონი იყავით, ჭეშმარიტს ვინ განდობთ თქვენ?“ ე.ი. თუ თქვენ მიისაკუთრეთ საკუთრებაში ის „მცირე“ (მატერიალური), რომელიც ეკუთვნის ღმერთს, მაშინ როგორ შეიძლება მოგცეთ თქვენ „ჭეშმარიტი“ (სულიერი)?

თანამედროვე ეტაპზე მორწმუნე ადამიანთა უმრავლესობა მხარს უჭერს კერძო საკუთრებას, ამიტომ მათთვის სასურველია ამ იდეის რელიგიური გამართლება. ახალი აღთქმის ტექსტებში, არის ისეთი ადგილები, სადაც დადებითად არის შეფასებული კერძო საკუთრება და მისი აუცილებლობა.

ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „და ხალხიდან ვიღაცამ უთხრა მას: მოძღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს სამკვიდრებელი. ხოლო იესომ მიუგო მას: ვინ დამაყენა მე, კაცო, თქვენს მსაჯულად ანდა გამყრელად? და უთხრა მათ: ფხიზლად იყავით და ეკრძალებთ ანგარებას, ვინაიდან კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი“ (ლუკა, 12, 13-15).

ამ ფრაგმენტიდან ასკვნიან, რომ კერძო საკუთრება იმდენად ბუნებრივი ფაქტია, რომ თვით იესო ქრისტემაც არ ინება მის გაყოფაში ჩარევა, მაგრამ შეგონება „ფხიზლად იყავით და ეკრძალებთ ანგარებას“ სხვა ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა: იესომ არ ისურვა სამკვიდრებლის გაყოფა, რადგან იგი არ ემხრობა კერძო საკუთრებას – ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე სამართლიანი გაყოფა, მაინც ღმერთის ნების წინააღმდეგ წასვლა იქნებოდა.

მთლიანობაში, საკუთრებაზე ბიბლიური შეხედულება ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ – ადამიანის დაცემა იმდენად დიდია, რომ ქრისტე არ ქადაგებს საერთო საკუთრების ფორმით ცხოვრებას. ის აღიარებს კერძო საკუთრებას, როგორც ადამიანის დაცემის შედეგს, როგორც საყოველთაოდ გავრცელებული ცხოვრების რეალობას, რომელზეც უარის თქმა ადამიანისთვის შეუძლებელია. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ქრისტე არსად არ აძლევს დადებით მორალურ შეფასებას კერძო საკუთრებას.

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი გვასწავლის, თავისავად სიმდიდრეში არაა ბოროტება, არამედ მის უსინდისო გზით მოგროვებაში. იაკობ მოციქული ამბობს, რომ სიმდიდრე კი არ უნდა გვლობდეს შენ, არამედ შენ – სიმდიდრეს. სინდისიერად შეძენილი სიმდიდრე საფრთხეს არ ქმნის, თუკი მას მოწყალება ახლავს.

საინტერესოა, მოციქული იაკობის ეპისტოლეში, მდიდრისა და სიმდიდრის სოციალური სახე: „ახლა კი თქვენც, მდიდარნო: იტირეთ და ივავლახეთ თქვენს თავს მოწვევადი უბედობისთვის. სიმდიდრე თქვენი დაღაბა, და მდილმა შეჭამა თქვენი სამოსი. ოქრო-ვერცხლი თქვენი დაიჟანგა, და მათი ჟანგი სამოწმებლად იქნება თქვენს წინააღმდეგ, და შეჭამს თქვენს ხორცს, როგორც ცეცხლი; უკანასკნელ დღეთათვის დაიუნჯეთ თქვენი საუნჯე. აჰა, საფასური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანის მოძკალთ, ღალადებს; და მოძკალთა ღალადისმა მიადწია ცაბათო უფლის ყურამდე. ხარობდით ამ ქვეყნად და განცხრომას ეძლეოდით; და თითქოს დაკვლის დღისათვის დაასუქეთ თქვენი გულები. განსაჯეთ და მოკალით მართალი; და წინ არ აღვიდგათ თქვენ“ (იაკ. 5, 1-6). საინტერესოა, რომ მოციქული იაკობი იმეორებს მოციქული ლუკას აზრს, რომ ღარიბები თავიანთი სოციალური მდგომარეობით ღმერთის არჩეულნი არიან: „ისმინეთ, ჩემო საყვარელო ძმანო: განა ამ ქვეყნის გლახაკნი არ გამოარჩია ღმერთმა მდიდრებად რწმენითა და მკვიდრებად სასუფეველისა, რომელიც ალუთქვა თავის მოყვარეთ? თქვენ კი შეურაცხყავით გლახაკნი. განა მდიდარნი არ გმძლავრობენ თქვენ, და განა ივივნენ არ მოგათრევენ სამსჯავროდ? განა ისინი არა ჰკმობენ კეთილ სახელს, რომლითაც იწოდებით თქვენ?“ (იაკ. 2, 5-7).

უფრო მშვიდი შეხედულება აქვს სიმდიდრესა და სიღარიბეზე პავლე მოციქულს. ის არ განიხილავს ამ საკითხს სოციალური კუთხით და მიაჩნია, რომ საკუთრების ქონა ქრისტიანისთვის დასაშვებია, ამასთან ამატებს, რომ საკუთრების განაწილება შედარებით თანაბარზომიერი უნდა იყოს: „ისე ნუკი იქნება, რომ სხვებს ღვინი, ხოლო თქვენ ჭირი, არამედ იყოს თანასწორობით. ამჟამად თქვენმა ნამეტმა შეავსოს მათი ნაკლულოვანება, ხოლო შემდეგ მათმა ნამეტმა შეავსოს თქვენი ნაკლულოვანება, რათა იყოს თანასწორობით. როგორც დაწერილია: ვინც ბევრი შეაგროვა, არ მოსჭარბდა, და ვინც ცოტა, არ დააკლდა“ (II კორ. 8, 13-15).

პავლე მოციქული მოუწოდებს მდიდრებს არა საკუთრებაზე უარის თქმისკენ, არამედ გულუხვი მოწყალებისკენ: „მდიდართა ამ ქვეყნისათა ამცნე: ნუ ქედმაღლობენ, და ფუჭი სიმდიდრის იმედი ნუკი ექნებათ, არამედ ცოცხალი ღმერთისა, რომელიც უხვად გვაძლევს ყველაფერს სამხიარულოდ; რათა ყველანი ქველმოქმედებდნენ, კეთილი საქმით მდიდრდებოდნენ, გულუხვი იყვნენ და გულდიანი“ (I ტიმ. 6, 17-18).

რატომ არ შეიძლება სახარება კერძო საკუთრება აღიაროს ქრისტიანების ცხოვრების იდეალურ ნორმად? ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი ისაა, რომ საკუთრება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკუთრება ე.ი. სიმდიდრე, წარმოადგენს უდიდეს ცდუნებას ნებისმიერი არამტკიცე სულის ადამიანისათვის. „ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს ამ ქვეყნად, სადაც ჟანგი და მდილი ღრღინის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავენ. არამედ დაიუნჯეთ თქვენ საუნჯე ზეცად, სადაც ვერც ჟანგი და ვერც მდილი ვერა ღრღინის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ. ვინაიდან სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი“ (მათე, 6, 19-21).

აქ ორი სხვადასხვა აზრია ხაზგასმული. უპირველეს ყოვლისა, სიმდიდრე ცვალებადია, ადამიანი არ შეიძლება იყოს მისი მუდმივი მფლობელი. დღევანდელი სიმდიდრე, ხვალ შეიძლება დაიკარგოს ქურდობის გამო, ან უაზროდ გაიფლანგოს სხვადასხვა წვრილმანში. მუდმივი შეიძლება იყოს ადამიანის კეთილი საქმეები, რომლებიც ამალაგებენ და აძლიერებენ სულს. მეორე-სიმდიდრე წარმოადგენს მძიმე ცდუნებას, ის ატყვევებს სულსა და გულსა. ამორებს ადამიანს ღმერთისაგან; სიმდიდრისადმი მიდრეკილება იმდენად ძლიერია, რომ ხშირად მისდამი სწაფვა ერთგვარ რელიგიად იქცევა. ამაზე ქრისტე საკმაოდ მკაცრად მიუ-

თითებს: „არავის ძალუღოს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც“ (მათე, 6, 25).

ქრისტე გამოყრის ვაჭრებს ტაძრიდან და ღმერთისთვის მიძღვნილი წმინდა ადგილის შეურაცხყოფაში ამხელს მათ: „ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი, და ავიდა იესო იერუსალემს. და ნახა ტაძარში ხარებით, ცხვრებითა და მტრედებით მოვაჭრენი და მსხდომარე მეკერძენი და დაწნა თოკებისაგან შოლტი, და გამოყარა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარები და ცხვრები, და მიმოფანტა მეკერძეთა ფული და ააყირავა მათი დახლები. და მტრედებით მოვაჭრეებს კი უთხრა: გაიყვანეთ ეგენი აქედან და ნუ აქცევთ მამის ჩემის სახლს სავაჭრო სახლად (იოანე, 2, 13-16).

სიმდიდრის ცდუნებაზე, რომელიც ადამიანს აშორებს ღმერთს, მოთხრობილია იგავში მთესავზე: „ხოლო ეკალ-ბარდებში დათესილი ის არის, ვინც ისმენს სიტყვას, მაგრამ სოფლის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აშთობენ სიტყვას და უნაყოფოს ხდიან მას“ (მათე, 13, 22).

სიმდიდრის ტყვეობაზე შესანიშნავად ამბობს პავლე მოციქული: „ხოლო გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალ შლეგური, მავნე და კაცთა დამლუპველი და წარწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან. რადგან ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა, რომელიც გულშეძრული ზოგ-ზოგი შეცდა, რწმენას განუღდა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი“ (I ტიმ. 6, 9-10).

პავლე მოციქული წერს: „თუ საჭმელი და ტანსაცმელი მოგვეძებნება, ვიკმაროთ ეს“ (I ტიმ. 6, 8); „ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით ზნით, იკმარეთ, რაც გაბადიათ“ (ებრ. 13, 5).

სახარებაში, ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ ნორმად, ერთგვარ „ანდერძად“ წერია: „ასე, ვერცერთი თქვენგანი, ვინც არ განუდგება ყველაფერს, რაც აბადია, ვერ იქნება ჩემი მოწაფე“ (ლუკა, 14, 33) და პირიქით:

„და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის და-ძმას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-მამას, ანდა თავის ადგილ-მამულს ჩემი სახელის გულისთვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს (მათე, 19, 29). აქ უფალი სრულყოფილებისაკენ მოგვიწოდებს, თუმცა არ გვაიძულებს. თითოეული როგორც გაირჩება, იმგვარად დაჯილდოვდება. უფლის ეს მოწოდება უდევს საფუძვლად ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტს, რომელსაც ადამიანისთვის მოაქვს არა მარტო ცხოვნება, არამედ სრულყოფილებაც უკვე აქ, დედამიწაზე.

თავისი უახლოესი მოწაფეებისთვის, მოციქულთათვის ქრისტე ითხოვდა შემდეგი ნორმის შესრულებას: „და ამცნო მათ, არ წაეღოთ გზაში არაფერი, გარდა არგნისა; არცა აბგა, არც პური, არც რიალი სარტყლით; არამედ სცმოდათ მხოლოდ ხამლები, და ნუ იგულებდნენ ორ ხელ სამოსს“ (მარკ. 6, 8-9).

ამასთან, თვითონ საკუთარი საცხოვრისიც კი არა აქვს: „მელიებს სოროები აქვთ, და ცის ფრინველებს – ბუდეები, ძე კაცისას კი არა აქვს, სად მიიღრიკოს თავი“ (მათე, 8, 20; ლუკა, 9, 58).

იოანე წინასწარმეტყველი ასე მოძღვრავს მასთან მისულთ: „და ეკითხებოდა მას ხალხი: ჩვენ რაღა ვქნათ? მიუგო და უთხრა მათ: ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, მისცეს არმქონეს, და ვისაც საჭმელი აქვს, ასევე მოიქცეს. მოვიდნენ მებაჟენიც ნათლის ღებად და უთხრეს მას: მოძღვარო, ჩვენ რაღა ვქნათ? და მიუგო მათ: ნურაფერს აიღებთ თქვენთვის დაწესებულზე მეტს. და მეომრებმაც ჰკითხეს: ჩვენ კი რა ვქნათ? და უთხრა მათ: ნურავის შეურაცხყოფთ, ნურც ცილს დასწამებთ და დასჯერდით საფასურს თქვენსას“ (ლუკა, 3,10-14).

მდიდრები და ღარიბები თუ ძველ აღთქმაში სიმდიდრე განხილულია, როგორც ღმერთის წყალობა, ხოლო, სიღარიბის მიზეზად გამოცხადებულია სიზარმაცე, ახალ აღთქმაში დამოკიდებულება მდიდრებისა და ღარიბებისადმი იცვლება. მარიამ ღვთისმშობელი ასე მიმართავს ელისაბედს, მღვდელი ზაქარიას ცოლს: „სიკეთით აავსო მშვიდნი და ხელცარიელნი გაისტუმრა მდიდარნი“ (ლუკა 1, 53). ახალი დამოკიდებულება მდიდრებსა და ღარიბების მიმართ გამოხატულია ქრისტეს მიმართვაში, რომელიც მოციქულებთან ერთად სალოცავად ავიდა მთაზე და ჩამოვიდა მათთან ერთად, ვაკეზე დადგა; და იყვნენ იქ მისი მოწაფეები და დიდძალი ხალხი: „ნეტარნი ხართ მშვიდნი ამჟამად, ვინაიდან გაძლებით; ნეტარნი ხართ მოტირალნი ამჟამად, ვინაიდან გაიცინებთ“ (ლუკა, 6, 20) და „ვაი თქვენ მდიდარნი! რადგან უკვე მიიღეთ თქვენი ნუგეში“

(ლუკა, 6, 24). ამგვარად, ღარიბები და უპოვარნი „ნეტარ არიან“ და ისინი მიიღებენ უფლის წყალობას, ხოლო მდიდრებმა უკვე მიიღეს ნუგეში და ამიტომ მათი შესვლა სასუფეველში პრობლემატურია. ამას ამტკიცებს იესოს ცნობილი სიტყვები: „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“ (მათე, 19, 24); ისმის კითხვა – რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ მდიდრები, როგორც წესი, თავიანთი ქონების ტყვეობაში ექცევიან და შორდებიან ღმერთს; ღარიბები თავისუფლები არიან ამ ცდუნებისგან და უფრო მარტივად ადგებიან ქრისტეს გზას. მეორე – სიმდიდრისადმი სწრაფვა ხელს უწყობს ადამიანის ეგოისტურ მიდრეკილებებს. ადამიანის გაუცხოება ღმერთთან, რომელიც თავისთავად სიყვარულის წყაროა, ადამიანში აქრობს მოყვასისადმი სიყვარულის გრძნობას. სიყვარულის გარეშე სასუფეველში ვერავინ შევა. სიღარიბე კი უფრო „ადამიანური“, უფრო გულმოწყალეა – ამიტომ, ღარიბები უფრო ადვილად მოხვდებიან სასუფეველში. მესამე – სიღარიბე მძიმე ჯვარია. ღარიბები ბევრ ტანჯვას განიცდიან და უახლოვდებიან ქრისტეს. მდიდრების ამოცანა არ არის თვითკმარი ცხოვრება – ისინი თვითონ ზღუდავენ თავიანთ თავს მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებით.

მდიდრებსა და ღარიბებთან ახალი აღთქმის დამოკიდებულების ნათელი მაგალითია იგავი მდიდარ კაცსა და ლაზარეზე (ლუკა, 16, 19-31). მდიდარი რომელიც ძოწეულით იმოსებოდა და ყოველდღე შლიდა ბრწინვალე სუფრას, ვერ ამჩნევდა მის ჭინკართან მწოლიარე, დაწყლულბულ გლახაკ კაცს – ლაზარეს, რომელსაც სურდა მდიდრის ნასუფრალით მოეკლა შიმშილი. მოკვდა გლახაკი და აიტაცეს ანგელოზებმა. მოკვდა მდიდარიც და ჯოჯოხეთში წამებულმა იხილა შორს აბრაამი და ლაზარე მის წიაღში. ღმერთის სამსჯავროზე აღდგა სამართალი, რომელიც აბრაამის პირით ეუწყა მდიდარს: „შვილო გაიხსენე, რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე, ლაზარემ კი – მხოლოდ ბოროტი. ამიტომ ახლა ის ინუგეშება, შენ კი გაიტანჯები“ (ლუკა, 16, 25).

მოწყალეობა და ქველმოქმედება, როგორც სოციალური სამართლიანობის მიღწევის საშუალება. როგორც ძველ აღთქმაში ვნახეთ, მოწყალეობა მიჩნეულია სათნოების უმაღლეს ფორმად და ღვთის სჯულისკანონის მიხედვით დადგენილი იყო მოწყალეობის გაცემის აუცილებლობა. ახალ აღთქმაში მოწყალეობა განხილულია სხვაგვარად – ძირითადად ადამიანის სიყვარულის გამოხატვის საშუალებად. მოწყალე განმსჭვალულია მოყვასისადმი სიყვარულით და, ამიტომ, უპირველ ყოვლისა მზადაა სასუფეველში შესასვლელად: „და ვინც მოწაფის სახელით მიაწვდის ცივ წყალს ერთს ამ მცირეთაგანს, ჭემმარტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი საზღაური“ (მათე, 10, 42); „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალბულნი იქნებიან“ (მათე, 5, 7).

სახარება შეიცავს მოწოდებებს ქველმოქმედებაზე: „ყველას, ვინც გთხოვს, მიეცი, და ვინც შენსას წაიღებს, უკან ნუ მოსთხოვ“ (ლუკა, 6, 30); „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ“ (ლუკა, 6, 35); „გაყიდეთ თქვენი საბადებელი და გაეცით მოწყალეობა“ (ლუკა, 12, 33).

მოწყალეობა არ უნდა იქცეს თვითწარმოჩენისა და პატივმოყვარეობის საფუძვლად: „ეკრძაღეთ სიმათლის ქმნას კაცთა წინაშე იმ მიზნით, რომ მათ დაგინახონ; თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს მამის თქვენის ზეციურისაგან. და როცა გასცემთ მოწყალეობას, ნუ აყვირებთ თქვენს წინაშე ბუკნაღარას, როგორც იქცევიან თვალთმაქცი სინაგოგებსა და ქუჩაბანდებში, რათა განადიდოს ისინი ხალხმა, ჭემმარტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. ხოლო როცა შენ გასცემ მოწყალეობას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა. რათა შენი მოწყალეობა დაფარული ღარიბებს, და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე, 6, 1-4).

რაც შეეხება მოწყალეობის სოციალურ მნიშვნელობას, ეს საკითხი სახარებაში პრაქტიკულად არ არის განხილული. ამასთან დაკავშირებით წმინდა წერილში სოციალური პრობლემების გადაჭრის ორი გზაა მოცემული – ერთი სრული არამომხვეჭელობა, რაც გულისხმობს საკუთრების განსაზოგადოებას და მეურნეობის საერთო გაძლიერებას; მეორე – კერძო საკუთრების და, შესაბამისად, ადამიანებს შორის ქონებრივი განსხვავების შენარჩუნება, ამასთან ამ განსხვავებების შემცირება მოწყალეობითა და ქველმოქმედებით. საინტერესოა, რომ სახარება კრძალავს მევახშეობას და ამ გზით პროცენტის მიღებას; „თუ ასესხებთ იმას, ვისგანაც დაბრუნების იმედი არ გაქვთ, რას მოითვლით მაღლა? რადგან ცოდვილნიც აძლევენ

სესხს ცოდვით, რათა დაიბრუნონ ერთი იმდენიც, ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ, და დიდი იქნება თქვენი საზღაური, და იქნებით უზენაესის ძენი; რადგან ის კეთილმოწყალეა თვით უმადურთა და უკეთურთა მიმართ, მაშ იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც გულმოწყალეა მამა თქვენი“ (ლუკა, 6, 34-36).

მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახარებაში ქონებრივი პრობლემა განხილულია ორ – სიმდიდრისადმი პიროვნულ დამოკიდებულებისა და მოყვასთან ურთიერთკავშირის - დონეზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაზე სახარებაში პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი. სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია წარმოებულია ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების ზნეობრივი დონიდან. რაც უფრო მეტია ამ ურთიერთობებში მოწყალეობა და სიყვარული, მით უფრო მაღალი შეიძლება იყოს სამართლებრივი ნორმები და სოციალური ინსტიტუტები. ამიტომ, სახარება, პირველ რიგში, მიანიშნებს ადამიანის ღმერთისადმი და მოყვასის სიყვარულზე. ეს არის პირველადი მიზეზი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სოციალური ფორმაციის არსებობა. ამიტომ, სოციალური ფორმაცია შეესაბამება საზოგადოების ზნეობრივ დონეს. და როცა საზოგადოების ან მისი დიდი ნაწილის ზნეობრივი დონე კარდინალურად იცვლება, ეს ცვლის მისი ცხოვრების წესს.

Merab Mikelashvili

Economic Categories According to the New Testament

Resume

While discussing economic categories, regarding any of the following subjects: labor, work, motivation, private sector, attitude towards wealth, mercy or charity, Christians have moral responsibilities, as long as, these issues are interestingly examined in the New Testament. Accordingly, only economic approaches aren't enough and Christian dispositions should be considered while considering economic categories.

ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში

სამკურნალო და პროფილაქტიკური მიზნით მცენარეების გამოყენებას ფესვები უძველეს წარსულში აქვს გადგმული და ამაში მნიშვნელოვან როლს ყოველთვის ეკლესია-მონასტრები ასრულებდნენ. ისტორიულად ცნობილია, რომ ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო მედიცინას და ტაძრებისა და მონასტრების საშუალებით ავრცელებდა მას ერში¹.

საუკუნეების მანძილზე მცენარეების სამკურნალო გამოყენებას ადამიანები დადებითად აფასებდნენ, რამაც ფიტოთერაპია ყოველი ერის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ელემენტად გადააქცია და მას დღესაც ბევრი ექიმი წარმატებით იყენებს. დღეს არსებობს უამრავი სინთეზური სამკურნალო საშუალება, რომელთა გარეშე ბევრი ავადმყოფობის დამარცხება არ მოხერხდებოდა. მაგრამ, ამ პრეპარატების გვერდით არსებობს ფიტოთერაპია, რაც მის სიცოცხლისუნარიანობასა და ეფექტიანობაზე მეტყველებს.

მცენარეებით მკურნალობის შესახებ პირველი ნაშრომი თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე შეიქმნა. ამ ნაშრომში ჩამოთვლილია, დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ, ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურუმების მიერ შელოცვისა და მსხვერპლშეწირვის დროს გამოყენებული 250-მდე მცენარე. ბაბილონში მცენარეებით მკურნალობა ზოდიასოს ნიშნებთან იყო დაკავშირებული. მცენარეებით მკურნალობა დაელო საფუძვლად ტიბეტურ და ტრადიციულ ჩინურ მედიცინას².

უძველეს ხანაში მცენარეებით მკურნალობას მიმართავდნენ როგორც ექიმები, ისე ეკლესია-მონასტრები. თუმცა, მდგომარეობა მოგვიანებით, გარკვეულწილად, შეიცვალა. ეს, განსაკუთრებით, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ გამოიკვეთა, როცა მცენარეებით მკურნალობა მხოლოდ მონასტრებშია შემორჩა. გამომდინარე აღნიშნულიდან, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ მკურნალობის პროცესში მცენარეული წამლების გამოყენება მხოლოდ ბერ-მონაზვნების საქმე იყო. ეს, ბუნებრივია, არ იყო სწორი, მაგრამ შეესაბამებოდა იმ პერიოდში სამედიცინო საქმის განვითარებაში ამ მიმართულებით არსებულ რეალობას. შუა საუკუნეებში დაიწყო სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის სწავლება იმ პერიოდისთვის ახლად დაარსებულ სამედიცინო უნივერსიტეტებში. ამით ფიტოთერაპიის მეცნიერებასთან კავშირი აღდგა და მისი განვითარებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობები შეიქმნა.

ადამიანების სამკურნალოდ ფიტოთერაპიას საქართველოშიც უძველესი დროიდან იყენებდნენ. აღნიშნულის შესახებ ცნობები მოცემულია გამოჩენილი ალექსანდრიელი პოეტისა და მეცნიერის აპოლონიოს როდოსელის პოემაში - „არგონავტიკა“, რომელშიც აღწერილია არგონავტების ლაშქრობა საქართველოში. ამ ნაშრომის მიხედვით კოლხეთის სამკურნალო მცენარეების ბაღში, რომელიც მდინარე ფაზისის დაბლობში ყოფილა გაშენებული, 40-მდე სამკურნალო მცენარე ხარობდა (გვიძრა, ძალყურძენა, პაპირუსი, ყორივარდა, პიტნა, ზაფრანა, ყაყაჩო, კატაბალანა და სხვა). მეფე აიეტის ცოლმა ჰეკატემ მცენარეებით მკურნალობის ხელოვნება თავის შვილს მედეასაც შეასწავლა³.

ადამიანების სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების რაოდენობა საუკუნეების მანძილზე სულ უფრო იზრდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღწერილია 140-მდე სამკურნალო მცენარე, დღეს მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე დაცულია 450-ზე მეტი სახეობის მცენარე⁴.

ეკლესია-მონასტრების მსახურთა კომპეტენციად ითვლებოდა „სნეულთა კურნება“ შუა საუკუნეების საქართველოშიც. თუმცა, ეკლესია-მონასტრები ფიტოთერაპიას გაცილებით ადრე იყენებდნენ და ამის ნათელი დადასტურებაა მათ მონატულობაში დღემდე შემორჩენილი მცენარეების გამოსახულებები. ამ

¹ ოჯახის ექიმი-2, თბ., 2009 გვ 135.

² http://old.aversi.ge/main_jurnal.php?lang=geo&id=1433&cat_id=2.

³ <http://ssrss.ge/msoflio%20medicinis%20istoria.htm>

⁴ <http://nbgg.ge/shro/roza.pdf>

მხრივ მეტად საინტერესო ძეგლია V-VI საუკუნეების კლდეში ნაკვეთი ქალაქი დავით-გარეჯა. აქ შემორჩენილია სამკურნალო მცენარეების მოშენებისა და გამოყენების პრაქტიკის დამადასტურებელი ფრესკები, რომელთა შორის გამოიყოფა „ღვთისმშობლის ვედრების კომპოზიცია“. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ღვთისმშობელი შარავანდელით არის მოსილი და მარჯვენა მხარეს ნაყოფდასხმული სამკურნალო მცენარეებითაა დამშვენებული. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ დავით გარეჯელი და ლუკიანე სასწაულებს ახდენდნენ და „ასურელი მამების“ 7 მცნებიდან ერთ-ერთი „სნეულთა კურნება“ იყო¹. ბუნებრივია, მკურნალობის პროცესში ისინი იყენებდნენ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლებს.

დეკორატიული სამკურნალო მცენარეებით არის დამშვენებული სვეტიცხოვლის ქართული კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის დასავლეთის კედელი (დაფნა, ზეთისხილის რტოები, ყაყაჩო-ხაშხაში, კვიპაროსი). სვეტიცხოვლის გარეთა კედლების მოხატულობაში გამოყენებულია გვირა, წიწვოვანი მცენარეების გირჩები და, ცხადია, ვაზი-ქართველებისთვის წმინდა მცენარე, რომლის რტოდან გაკეთებული ჯვართაც გააქრისტიანა წმინდა ნინომ ქართველი ხალხი. ვაზის ნაყოფიდან მიღებული პროდუქტები (ღვინო, ბადაგი) საქართველოში სამკურნალოდაც გამოიყენებოდა².

საქართველოს „საეკლესიო და საერო“ მედიცინის განვითარებაში დიდი მალაქაძეების როლი, რომლებმაც ივანიძეების სამედიცინო ტრადიციები გააგრძელეს დღევანდელი კასპის რაიონის ტერიტორიაზე XIV საუკუნეში. მალაქაძეები სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ. აქვე ყოფილა „მუნის სამკურნალო ეკლესია“ და „ძუძუს ხატი“ დედა ღვთისას ეკლესიაში. მალაქაძეებს კომპის შემოგარენში წამლების დასამზადებლად აფთიაქიც ჰქონიათ³.

მალაქაძეების საეკლესიო კომპლექსი ქვათახევის მონასტრის გზაზე, სოფელ წინარეხთან, მდებარეობს. ის XII საუკუნის ძეგლია, რომელიც შემდეგ მალაქაძეების საკუთრებაში გადავიდა. „ქართული სამართლის ძეგლებში“ დაცულ დოკუმენტში - „წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მალაქაძისადმი“ (1470 წ.) ნათქვამია - „თქვენ მალაქაძეთა მღვდელსა მახარებელსა თქვენთა შვილთა, გერმანოზს, მარკოზს, ეგნატეს, დიმიტრის და მოგეცათ „ქვათახევის სასაფლაო მისითა ბოსტნითა და წალკოტით“. მეცნიერ-მკვლევარები ფიქრობენ, რომ სიგელ-გურჯის ტექსტში წალკოტის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. მათი განმარტებით, ეს სიტყვა ისტორიულ წყაროებში, საერთოდ, იშვიათად გვხვდება და ვარაუდობენ, რომ წალკოტში მალაქაძეები სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ. ს. სალუქვაძის მონოგრაფიაში, - წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, - ნათქვამია, რომ ამ შემთხვევაში „ლაპარაკია წალკოტზე - ედემის ბაღზე, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ამ „წალკოტში“ სამკურნალო მცენარეების მოშენებაზე უნდა იყოს ლაპარაკი. სამკურნალო მცენარეების ნაშთები გაველურებული სახით ქვათახევის ეკლესიის და სოფელ წინარეხის ველებზე, მდინარე კავთურის ნაპირებზე და „მალაქანთ ეკლესიის“ შემოგარენში აშკარად შეიმჩნევა დღესაც“⁴.

როგორც უკვე აღინიშნა, მალაქაძეებს საეკლესიო კომპლექსში აფთიაქიც ჰქონიათ. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა „მალაქანთ ეკლესიაში“ აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა, რომელიც უფლისციხის თახჩებიანი ნაგებობის მსგავსია და რომელიც, სავარაუდოდ, წამლების შესანახად გამოიყენებოდა. მალაქანთ ეკლესიას უკავშირდება 684 ფურცლიანი სამედიცინო ხელნაწერი - „სამკურნალო კარაბადინი“. მახარებელ ოქროპირის ძე მალაქაძეს ზაზა ფანასკერტელთან ერთად, მონაწილეობა მიუღია აღნიშნული ხელნაწერის შექმნაში. მართალია, მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ მახარებელმა მალაქაძემ მხოლოდ გადამწერის როლი შეასრულა, მაგრამ, სხვა მეცნიერების აზრით, ასეც რომ იყოს, მის ფეოდალურ ეკლესიაში 1368 გვერდიანი უნიკალური კარაბადინის შექმნის, ან გადაწერის ფაქტი, თავისთავად მრავლისმეტყველია, მით უმეტეს, აფთიაქი და კარაბადინი ერთსა და იმავე „საეკლესიო მე-

¹ სალუქვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1987, გვ. 132.

² იქვე, გვ. 134-135.

³ <http://www.ambioni.ge/qartuli-saeklsio-medicina>

⁴ სალუქვაძე ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 176.

დიცინის“ კერაში აღმოჩნდა¹. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „მაღალანთ ეკლესიაში“ შემორჩენილია სამკურნალო მცენარეებით დამზენებული ოთხი წმინდანის - მათეს, მარკოზის, იოანეს და ლუკას ფრესკები.

სამკურნალო მცენარეებით არის დამზენებული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ფრესკა ყინწვისის ეკლესიაშიც (ყაყაჩო, ბროწეული, ვარდკაჭაჭა).

საქართველოში სამკურნალოდ მცენარეების გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოცემულია, აგრეთვე, მთელ რიგ წერილობით შემონახულ სამედიცინო წყაროებში: „უსწორო კარაბადინი“ (XI საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ (XV საუკუნე), დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ (XV საუკუნე) და სხვა.

ეკლესია-მონასტრებში სამკურნალო მცენარეების შეგროვება და საჭიროების შემთხვევაში გადაშენება განსაზღვრულ ვადებში ხორციელდებოდა. ეს იყო ის დრო, როცა მათში დაგროვებული სასარგებლო ნივთიერებების რაოდენობა მაქსიმალურ დონეს აღწევდა.

ბუნებრივია, ჩვენი მოხსენება მედიცინის თვალსაზრისით ახალი დასკვნის გაკეთებას არ ისახავს მიზნად. ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდა, რომ ქართული ეკლესია-მონასტრები, უძველესი დროიდან მოყოლებული, აქტიურად იყვნენ ჩართული, ქვეყნის ცხოვრების სხვა სფეროებთან ერთად, სამედიცინო საქმეშიც და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დიდ როლსაც ასრულებდნენ ადამიანების მკურნალობაში, რაც, პირველ რიგში, ფიტოთერაპიას ემყარებოდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ დღეს, როცა ასე ფართოდ არის გავრცელებული სინთეზური სამკურნალო საშუალებები, ქართული ეკლესია-მონასტრები შეძლებენ იგივე როლის შესრულებას ადამიანების მკურნალობაში, რაც საუკუნეების განმავლობაში ხელეწიფებოდათ. მაგრამ, შეკითხვას ვსვამთ ასე – რატომ არ უნდა გამოვიყენოთ სამკურნალო მცენარეების მოშენება-გადამუშავების ის პოტენციალი, რომელიც ეკლესია-მონასტრებს აქვთ, თუნდაც, მათი მდებარეობიდან გამომდინარე? ეკლესია-მონასტრების საკმაოდ დიდი ნაწილი მთიან და მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობს, რაც ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო მცენარეების შეგროვების საშუალებას იძლევა, რომ არაფერი ითქვას მათ სპეციალურად მოშენებაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, სხვა ფაქტორებთან ერთად, ეკლესია-მონასტრებს აქვთ შესაძლებლობა, რომ დღესაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ფიტოთერაპიის, და შესაბამისად ამისა სამედიცინო საქმის, განვითარებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმულია:

ჯერ ერთი, მისმა უწმინდესობამ ჯერ კიდევ 1982 წელს საპატრიარქოში დააარსა სამკურნალო მცენარეების განყოფილება;

მეორე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2008 წლიდან ხორციელდება „ეკოფარმაცევტული პროგრამა“;

მესამე, ქვეყანაში ბიოწარმოების განვითარების შესახებ 2013 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება (№198), რომელიც 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა;

მეოთხე, საქართველოს პატრიარქს მეცნიერების ნაწილმა მიმართა წერილით, რომელშიც მოითხოვეს, რომ საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა განიხილოს: ა) ბიოპროდუქტების წარმოებაზე გადსვლის მიზანშეწონილობა; ბ) ბიოტექნოლოგიების ინტეგრირება ბიოპროდუქტების წარმოებასთან, რომ საფუძველი ჩაეყაროს მაღალი ღირებულების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოებას საპატრიარქოში (მხედველობაშია, ნატურალური საღებავები, სამკურნალო მცენარეები, არომატული საწებლები და ა. შ.);

მეხუთე, 2009 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატერებულ კონფერენციაზე, - ქრისტიანობა და ეკონომიკა, - გაკეთდა მოხსენება, - ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში“, - რომელშიც ჩამოაყალიბებულია ფიტომრეწველობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები² და ა. შ.

¹ სალუქვაძე ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 191.

² ამირეჯიბი ე., ბენაშვილი ც. ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში, სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბ., 2009, გვ. 32-33.

ჩვენ ჩვენი მხრიდან დავამატებთ შემდეგს:

პირველი, მიზანშეწონილია ეკლესია-მონასტრებთან აღდგეს სამკურნალო მცენარეების მოშენების უძველესი პრაქტიკა და ეს პროცესი, ვფიქრობთ, უნდა დაჩქარდეს. თავდაპირველად, სამკურნალო მცენარეების შეგროვებისთვის ხელის შეწყობაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფიტოთერაპიის შემდგომ განვითარებაში;

მეორე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მაღალაანთ ეკლესიის“ მიდამოებში სამკურნალო მცენარეების მოშენების შესაძლებლობების შესწავლის პროცესის დაჩქარება და აღრინდელი „წალკოტის“ აღდგენა. ამ საქმეში უნდა ჩაერთონ ქვათახევის მონასტრის ბერები და ადგილობრივი მოსახლეობა, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ შიდა არამედ გარე მიგრაციის პროცესის შენელებასაც;

მესამე, შემდეგ ეტაპზე ალბათ შესაძლებელი გახდება სამკურნალო მცენარეების ადგილზე გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა და სასურველია, რომ ეს ასე მოხდეს;

მეოთხე, სამკურნალო მცენარეების მოშენების პროცესში უნდა ჩაერთონ საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული მონასტრებიც;

მეხუთე, უნდა გააქტიურდეს მარკეტინგული მუშაობა ეკოლოგიურად სუფთა ქართული სამკურნალო მცენარეებისა და მათგან წარმოებული პროდუქტების როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის გასაცნობად. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს შესაბამისმა დეპარტამენტმა.

სამკურნალო მცენარეების ეკლესია-მონასტრებში მოშენება-გადამამუშავების საქმე სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მათთვის, ვინც მკურნალობას საჭიროებს, არამედ, ის მომგებიანი იქნება მათი მწარმოებლებისთვისაც. მათ არ გაუძნელდებათ ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი სამკურნალო ნედლეულისა და საშუალებების გაყიდვა. მცენარეული წამლები დღესაც აქტიურად გამოიყენება ბევრი ექიმის მიერ და პაციენტების საკმაოდ დიდი ნაწილიც პოზიტიურადაა განწყობილი ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული წამლების მიმართ. ასეთი დამოკიდებულების საფუძველი ის ეფექტია, რაც მცენარეული წამლებით მკურნალობას მოაქვს. შედეგი რომ დადებითი არ იყოს, ფიტოთერაპია დიდი ხნის წინ ისტორიის კუთვნილება გახდებოდა.

Babulia (Dodo) Mghebrishvili

Christianity and Development of Phytotherapy in Georgia

Resume

The aim of this article is to remind the contemporary society of the contribution made by churches and monasteries to the development of phytotherapy. The author considers phytotherapy an important element of any nation's cultural heritage, which is successfully used by many doctors for treating their patients.

In the article one of the facts demonstrating the role of churches and monasteries in developing phytotherapy is the use of medicinal plants in their decorations. There are given relevant examples (The Davit Gareji Monastery, Magalaant Church, the Svetitskhoveli Cathedral, the Kintsvisi Church). The author considers that the use of churches and monasteries in the development of phytotherapy is still topical issue today. In her opinion, churches and monasteries' possibilities in the direction of growing and processing medical plants, coming out even from their location, should be used for society's well-being. The measures to be taken are specified in the following way:

Firstly, it is expedient that churches and monasteries restore or accelerate the old practice of growing medicinal plants. At the beginning stage collecting of these plants can also encourage the further development of phytotherapy.

Secondly, the author considers that it is expedient to expand the process of exploring of medicinal plants in the vicinities of the Magalaant Church and restore the previous garden there. The monks of the

Kvatakhevi Church and the local inhabitants should be involved in this campaign. This will promote the slowdown of migration processes.

Thirdly, at the next stage, perhaps, it will be possible to set up enterprises for processing medicinal plants on the spot.

Fourthly, the churches and monasteries in Georgia's other parts should also be involved in this process.

And lastly, marketing activities should be activated to offer national as well as foreign markets ecologically pure Georgian medicinal plants and products produced by their processing. The Georgian Patriarchate as well as the Ministry of Health Care and Social Affairs should be actively involved in this matter to solve the above-noted problem.

აგუნა – ღვინის ღვთაება საქართველოში

საქართველო ღვინის სამშობლოა. ქვევრის ღვინო, – გამორჩეული არომატის, სინაზის, ჰარმონიულობის, ხავერდოვნების, ტანინების, საგემოვნო თვისებების და ზემოქმედების ღვთაებრივი თაიგულით, – ქართულია; მას საქართველოს მიწის, ჰაერის, კლიმატისა და ყურძნის სუნელი ამკობს.¹ საქართველოში დაიწერა ხატი და საგალობელი „შენ ხარ ვენახი“; მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია ცნობილი ვაზის ჯვრის კულტი. ქართულია წარმართობის დროინდელი ღვინის ღვთაება – აგუნა.

ხატი - „შენ ხარ ვენახი“, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია. მას უკავშირდება ქრისტიანული სამყაროსათვის ძალზედ გასაოცარი, კურნებისა და მირონის გადმოსვლის (2002 წლის ზაფხულში, რუსეთში) უამრავი სასწაული. ხატის ავტორია პეტრე-პავლეს ტაძრის (ჯორჯ ბუმის ქუჩა, თბილისი) მრევლი ირაკლი ცინცაძე, სულიერი მოძღვარი კი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. ხატის შექმნის იდეა დაებადა დეკანოზს კაბადოკიაში მოგზაურობის დროს, ერთ-ერთ გამოქვაბულში, ღვთისმშობლის ფრესკის ნახვისას. დეკანოზის იდეის მიხედვით ირაკლი ცინცაძემ დაწერა ხატი სახელწოდებით - „შენ ხარ ვენახი“. 2000 წლის 14 იანვარს, ახალი სტილით, ხატი აკურთხეს და 14 იანვარი მისი ხსენების დღედ გამოაცხადეს.

საგალობელი - „შენ ხარ ვენახი“ დემეტრე მეფეს, მეფე დავით აღმაშენებლის ძეს ეკუთვნის. სავარაუდოდ იამბიკო² დაიწერა დავით გარეჯის მონასტერში დემეტრე მეფის ბერად აღკვეცის პერიოდში: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული; მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული; ალვა სუნნელი, სამოთხეს აღმოსრული; ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“. ამასთან, გალობა - „შენ ხარ ვენახი“, შუა საუკუნეების მრავალხმიანი მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მუსიკის ავტორი ცნობილი არ არის და ამიტომ ხალხურადაა მიჩნეული.

საქართველოში ვაზი და ღვინო ყოველთვის იყო წმინდათაწმინდა. მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ, იცოდა რა ქართველების დამოკიდებულება ვაზისა და ღვინისადმი, საკუთარი თმით შეკრული ვაზის ჯვრით იქადაგა ქრისტეს სჯული საქართველოში, ქრისტეს ნათელით გააბრწყინა სამეფო კარი და ქართველობა. მოახდინა კურნების უამრავი სასწაული და აღესრულა ბოდბეში, მირიან მეფესთან, დედოფალ ნანასთან და მთავარეპისკოპოსთან (მთავარეპისკოპოსმა აზიარა წმინდა ნინო) გამომშვიდობების შემდეგ.

ქართული ყურძნის ნატურალური ღვინო, სამოთხის სითხედ წოდებული – ზედაშე, მკურნალი და მოსალხენია. მის გარეშე სუფრა არ იშლება. ღვინითა და ლოცვით აღინიშნება საქართველოში ქორწილიც, დაბადებაც და გარდაცვალებაც, ნათლობაც, ლხინიც და ჭირიც.

ზედაშე შესაწირავი ღვინოა, „... ხმარებული ჟამის წირვასა ზედა სეფისკვერსა თანა. მსოფლიონი უხმობენ ღვინოსა შენახულსა სთულის დროს პატარა ქოცოში, ვიდრე დღეობამდე სალოცავის ადგილისა და მაშინ მოხდინან, თან წაიღებენ ნაკვების ზვართურთ ეკლესიის კარს, სადაცა ნაწილსა ზედაშისას და დაკლული ზვარისას მიართმევენ სამღუდლოთა, ზოგს დაურიგებენ გლახაკთა და დანაშთენს მიართმევენ თვით მუნვე“.³ ზედაშე მზადდება წითელი ჯიშის ქართული ყურძნისაგან – საფერავი, ძელშავი, ოცხანური, საფერე, თავკვერი, შაკაპიტო და სხვ. ზედაშის ვაზი ზვრებში განცალკევებითაა გაშენებული და განსაკუთრებული ყურადღებით მოვლილი მხოლოდ მამაკაცების მიერ. ჭურჭელი, რომელშიც ზედაშის დაწურვა, დადუღება და დავარგება ხდება, დამდიანი, პატარა, დაახლოებით 100 ლიტრიანი ქვევრია. მას ქოცოს ეძახიან. ქოცოს მარანში გამორჩეული ადგილი უკავია. მის ახლოს სახატე ნიშაა, სადაც სანთელი ინთება. ზედაშეს დიდი გულისხმიერებით უვლიან კაცები. მხოლოდ ისინი მონაწილეობენ სარიტუალო საქმიანობაში. ქალებს ქოცოსთან სიახლოვე ეკრძალებათ. ზედაშესთან დაუშვებელია მთვრალის მიახ-

¹ ნათელაური ი. ვაზის ჯვარი და ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება: ტრადიციები, პრობლემები, პერსპექტივები, მეშვიდე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მასალები, თბ., 2013.

² ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ხუთმუხლიანი და თორმეტმარცვლიანი ურითმო ლექსი, რომლის ყოველი სტრიქონი მახვილით ორ ნაწილად იყოფა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

³ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი; ა. ნ. ჩუბინიშვილის ქართული ენის ლექსიკონი; „ამბიონი“ საზოგადოებრივ რელიგიური ინტერნეტ-ჟურნალი, 08.06.2012.

ლოება, ხმაური და გინება. დაუშვებელია შეწირული ღვინის გასესხება, გაყიდვა ან სხვა დროს მონმარება.

თანამედროვე, ახალ მარნებში ზედაშეს კულტურა თითქმის დავიწყებულია. ვფიქრობთ, მისი აღდგენა კიდევ უფრო ამაღლებს ქვეყნის ღვინის პრესტიჟს, ხაზს გაუსვამს მის ასაკს და ამ გზით ხელს შეუწყობს ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის პოპულარიზაციას.

სპეციალისტების აზრით, ზედაშეს ღვინის დაყენების ტრადიცია სათავეს წარმართობის პერიოდ-დან იღებს, ქრისტიანობის დროს ეს ტრადიცია უბრალოდ კიდევ უფრო გავრცელდა და ბოლოს სააღაპე (ძმური ტრაპეზი; მიცვალებულის მოსახსენიებელი პურისჭამა, განკუთვნილი ეკლესია მონასტრის კრებულისათვის) ვალდებულებებში გადაიზარდა.

საქართველოში ყურძნისა და ღვინის კულტს უკავშირდება მევენახეობის მფარველი ღვთაების აგუნას არსებობა. აგუნა (ნუნუა) – მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაებაა (ბერძნულად დიონისე, რომელსაც ბახუსი). ძველი ბერძნების რწმენით, დიონისეს კეთილ განწყობილებაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი იქნებოდა რთველი. ჰომეროსის მიხედვით, დიონისე არ შედის მთავარი ღმერთების შემადგენლობაში, რის გამოც მისი კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული არისტოკრატიაში. სამაგიეროდ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა დაბალ ფენებში). მისი პატივსაცემი რიტუალი საახალწლო, სააღდგომო და საშემოდგომო დღესასწაულებზე სრულდება¹.

აგუნასთან დაკავშირებული ტრადიციები უფრო მეტად შემონახულია გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში:

– გურიაში საახალწლოდ, ყურძნის უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად, სპეციალურ პურს (კვერს) აცხობდნენ, რომელსაც აგუნას პური, ბასილა ერქვა. ოჯახის უფროსი ახალ წელს ულოცავდა ვენახს – აგუნას პურს ვაზთან გადატეხავდა, ან მის რქაზე ჩამოკიდებდა. ნასადილევს ვენახში მიდიოდა მეკვლე. ბასილას გარდა მას თან მიჰქონდა ღორის თავი, ან ხორცშემოცლილი ქალა. მეკვლე ღორის ქალაზე რამეს ბრაგუნით ვენახს შემოუვლიდა და მღეროდა აგუნას:

„აგუნა, აგუნა გადმეიარე ბახვი, ასკანა გადმეიარე... ჩვენს მამულში ყურძენიო, სხვის მამულში ფურცელიო; ჩვენს ქალებს ჩერიადკვის თავიო, მტრის ქალებს ჩხირი და ვირის თავიო; ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო, სხვის მამულში კიმპალ-კიმპალიო“.

აგუნას შესრულების დროს გადაძმანებული ზურგზე მოიკიდებდა თავის პატარა ვაჟს, ჩამოეკიდებოდა ხელით ვაზს და გადაიმღერებდა: „ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო, სხვის მამულში კიმპალ-კიმპალიო“. ამით ის გამოთქვამდა სურვილს, ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნები მოესხა, როგორც მას ზურგზე ეკიდა.

საინტერესოა აღდგომა და სააღდგომო ტრადიცია გურიაში. საქართველოს ამ კუთხეში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციულ ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვეს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს თითქმის მივიწყებულია. როგორც სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსები იტყობინება, აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენის და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნახავია. მას მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევენენ, ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

– რაჭასა და ლეჩხუმში აგუნა წარმოითქმოდა, როგორც ანგურა.

– საახალწლო მოლოცვა ლეჩხუმში დილით ადრე იწყებოდა. მეკვლე ოჯახს ულოცავდა ახალ წელს. ოჯახის ერთ ერთი წევრი ვენახს შემოუვლიდა და ხმამაღლა იძახდა:

„ანგურამ ჩამეიარა ილითა და მილითა, ორშიმო და ხრიკითა, ჩვენი მამული ჩეიარა, წივი მეიტეხა, ღვინის ღვარი დაყენა ისხა, ისხა, ისხა...გამოღმა ყურძენი გაღმა ფურცელი“.

– რაჭველებთან ანალოგიური წესი დიდ ხუთშაბათს სრულდებოდა. ბავშვები ამ დღეს ვენახში ცეცხლს ანთებდნენ, ცეცხლსა და ვენახს სამჯერ შემოურბენდნენ, რკინებს ერთმანეთს ურაკუნებდნენ და ყვიროდნენ:

¹ მეტრეველი რ. საქართველოს ისტორიის ლექსიკონი. <http://www.forum.ali.ge>, <http://www.vihoge.com>, 20 მარტი, 2010.

„ანგურა, ანგურა, ღმერთო აშორე ჩვენს ვენახს, სეტყვა, კონი! ღმერთო დაიცავი ჩემი მამული! ანგურა, ანგურა, არ იწკინა, არ იწკინა!“

– ასეთივე საახალწლო ჩვეულება სამეგრელოშიც არსებობდა¹, სადაც ლოცვა-ვედრება ასე წარმოითქმებოდა:

„ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვამ მამულს ფურცელი!“

ეი „ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩემს მამულში ყურძენია და სხვის მამულში ფურცელია“.

თანამედროვე საქართველოში, სადღესასწაულო რიტუალების გარდა, სახელწოდება „აგუნა“ მოიხსენიება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ღვინის სახელწოდება და როგორც მონეტა (ინტერნეტ-რესურსებზე დაყრდნობით).

ნახევრადმშრალი ვარდისფერი ღვინო „აგუნა“ მზადდება რქაწითელიდან მიღებული, თვითნაღენი და პირველი ფრაქციის ტკბილის დადუღებით, სრულად ან არასრულად დადუღებული ყურძნის წითელი ჯიშების – საფერავის, კაბერნეს დაწრეტილ დურდოზე.²

რქაწითელი და საფერავი ყურძნის ქართული ჯიშებია, კაბერნე კი ფრანგული.³

– რქაწითელი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, კარგად ხარობს კახეთში (საქართველოში რქაწითელის ძირითადი მწარმოებელია კახეთი), შიდა ქართლში, ბოლნისსა და მარნეულში. საქართველოს გარდა რქაწითელი გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, მოლდავეთში, შუა აზიის და ბალკანეთის ქვეყნებში. ვაზი საშუალო ზრდისა და საშუალოზე უხვმოსავლიანია. საჰექტარო მოსავლის ოპტიმალური რაოდენობა 7-8 ტონაა. სანაყოფე რქა 1,3 – 1,4 მტევანს იხზავს. მტევნის საშუალო წონა 160-250 გრამია. ნაყოფი სრულ სიმწიფეს სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში აღწევს. რქაწითელი ფართოდ გამოიყენება მაღალხარისხიანი, სუფრის ორდინალური, მარკიანი, კახური ტიპის და შემავრცელებელი სადესერტო ღვინოების – აგუნა, გურჯაანი, ტიბაანი, წინანდალი და სხვ., დასამზადებლად; დიდი მოთხოვნით სარგებლობს მთელ საქართველოში, როგორც სუფრის ყურძენი.

– საფერავი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. გავრცელებულია კახეთის ყველა რაიონში, უმეტესად, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარელის და საგარეჯოს რაიონებში. გარდა კახეთისა საფერავისთვის კარგი პირობებია ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და აფხაზეთში. საქართველოს საზღვრებს გარეთ ყურძნის ეს ჯიშე გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმში, უზბეკეთში და სხვ. ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისა და საკმაოდ უხვმოსავლიანია. საჰექტარო მოსავლის ოპტიმალური რაოდენობა 8-10 ტონაა. სანაყოფე რქა 1,4-1,7 მტევანს იხზავს. მტევნის საშუალო წონა 140-145 გრამია. კახეთში საფერავი სექტემბრის მეორე ნახევარში მწიფდება და ხასიათდება სასიამოვნო საგემოვნო თვისებებით. მისგან დამზადებული ღვინოები გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მდიდარი ბუკეტით; ასეთი სამარკო ღვინოები: მუკუზანი და ნაფარული, ნახევრად ტკბილი ღვინო ქანმმარაული.

– კაბერნე ვაზის ფრანგული ჯიშია და განკუთვნილია სუფრის მაღალხარისხიანი წითელი ღვინის დასამზადებლად. კაბერნე ორი სახეობისაა: კაბერნე-სავინიონი და კაბერნე-ფრანი. კაბერნე-სავინიონი საფრანგეთში მეთექვსმეტე საუკუნიდანაა ცნობილი. მას სამართლიანად თვლიან წითელი ჯიშების მესვეურად. საქართველოში (კახეთში) მოყვანილი კაბერნე, პინო ფრანისთან ერთად არაფრით არ ჩამოუვარდება ფრანგულს. კაბერნე-სავინიონიდან დაყენებული ღვინო შინდისფერია, ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ჯიშური არომატი: შავი მოცხარის, მწვანე წიწაკის და მცირედი კვამლის. მასთან საუკეთესო მისაყოფებელია ძეხვი, შემწვარი ქათამი და მწყერი.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ღვინო აგუნა ჩამოისხმება ღვინის კომპანია „საამოში“ (საგარეჯოს რაიონი), კომპანია „კახური ღვინის მარანი“ (გურჯაანის რაიონი), „გურჯაანის ღვინის მარანი“ (გურჯაანი).

¹ ჯავახიშვილი ი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 1, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თსუ, 1979, თავი 2, „ქართველების წარმართობა“.

² ებელაშვილი ნ. დისერტაცია თემაზე: „ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოკვლევა ვარდისფერი და ცქრიალა ღვინოების დამზადების პროცესში მათი ტექნოლოგიების სრულყოფის მიზნით“, თბ., 2006.

³ ჩვენი ღირსებანი, წიგნი 1, თბ., გამომცემლობა „წიგნიერი“, 2011, გვ. 124-125.

მსოფლიო კლასის ღვინოების საწარმოებლად 1979 წელს აშენდა „სამება“. „სამება“ რებრენდინგის შემდეგ შეიცვალა სახელწოდება და გახდა „საამო“. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში „სამება“ ახორციელებდა ექსპორტს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. „საამო“ ტერიტორიულად მდებარეობს საგარეჯოს რაიონში. აქვს ყველა პირობა აწარმოოს მსოფლიო კლასის ღვინოები; ფლობს მიწისქვეშა მარანს. კომპანიის პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს კარგად ცნობილ ღვინოებს: ქინძმარაულს, საფერავს, მუკუზანს, ახაშენს, ალაზნის ველს და სხვ. და საკუთარი უნიკალური ტექნოლოგიის ბრენდულ ღვინოებს: საამოს, შუამთას, **აგუნას** და საგარეჯოს.

კომპანია - „კახური ღვინის მარანი“ დაარსდა 9 წლის წინ, მდებარეობს შუაგულ გურჯაანში, მუშაობს უძველესი ტრადიციების შესაბამისად. მისი ღვინოებია: წინანდალი, თელიანი, საფერავი, მუკუზანი, გურჯაანი, **აგუნა**, ახაშენი, მანავი და ჰერეთი. ღვინის მასალას (რქაწითელს, მანავის მწვანეს, საფერავს და კაბერნე სავინიონს) იღებენ წინანდლის, ახაშენის, მუკუზანის, მანავის და გურჯაანის მიკროზონებიდან. კომპანია ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. წარმატებით თანამშრომლობს როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნებთანაც.

„გურჯაანის ღვინის მარანი“ ეკუთვნის ძმებს მილდიანებს, ანუ „მილდიანები ჯგუფს“. დაარსდა 1991 წელს. აქვს 100 ჰა-ზე გაშენებული ვენახები. მათ ეკუთვნით იტალიური ტექნიკით აღჭურვილი „წინანდლის ღვინის მარანი“ და სუვენირული ღვინოების მინი ქარხანა „ვაზი 1“. „გურჯაანის ღვინის მარანის“ ღვინოებს შორისაა **აგუნა**. რაც შეეხება მონეტას, იგი მოჭრილია 1624-27 წლებში სიგიზმუნდ მესამე ვაზას მიერ. არსებობს აგუნას კერამიკული ნამუშევრები და ბრინჯაოს სკულპტურაც.

Iza Natelauri

“Aguna”- the idol of wine in Georgia

Resume

Attitude of Georgians to the vine and wine, as distinctive national values, since the days of paganism up to now is studied in the work. It is noted that Georgia is the cradle of wine and Georgian natural grape wine of pitcher is the oldest in the world; "Aguna"- the pagan idol of wine has Georgian origin. The chant "You are the vineyard" is Georgian and the icon "You are the vineyard" was written by Georgian, as well, the cult of vine cross is known only in Georgia.

სიყვარულის მკონობისაკენ

ღმერთი იდეური ლოგიკური შემოქმედია - ჯერ ზეცა და ხმელეთი გააჩინა, ხოლო ბოლოს - ადამიანი, ხატად თავისა, რომელსაც ცხოვრების წესიც დაუძველდა და მისი მზრუნველობაც თავის თავზე აიღო იმიტომ, რომ უზენაესმა ადამიანი სიყვარულით შექმნა. ამდენად, სიყვარული ღმერთშია და ადამიანსაც უნდა უყვარდეს ღმერთი, როგორც მამა და სიცოცხლის მიმნიჭებელი. ადამიანი კი, როგორც სიყვარულის ნაყოფი თვითონაც უნდა იყოს სიყვარულის მატარებელი - მოემსახუროს სხვებს და თვით სიცოცხლეს არ დაიშუროს თავისივე მსგავსი არსებებისათვის, ვინაიდან ყველა ადამიანი ღვთის შვილი არის და მათი ერთმანეთზე უპირატესობა ზეციერ მამას არ დაუღვენია.

ხშირად გადავიდა ადამიანი თავის თავს, გაუჭირდა მას სიყვარულით ცხოვრება, და ზნედაცემულს ზეციერმა მამამ თავისი ძე მიუვლინა, რათა ეჩვენებინა დედამიწაზე სათნოებითა და სიყვარულით ცხოვრებიდან ზეციურ მარადისობაში გადასვლა. ამდენად, სიყვარული ღვთიური ვალდებულებაა. სიყვარულით ცხოვრება არის გზა სულის მარადისობისაკენ. ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ამ გზით მოგვიტანეს ეს ღვთის საუფლოც. ქვეყნისა და ხალხის სიკეთისათვის იბრძოდნენ მეფე მირიანი, მეფე დავითი, მეფე თამარი, დემეტრე თავდადებული, დედოფალი ქეთევანი, გიორგი ბრწყინვალე, მეფე ლუარსაბ II, მეფე ვახტანგ VI, მეფე ერეკლე-პატარა კახი და სხვა. ამ და კიდევ სხვა ღვთისმოსავებმა აჩვენეს, თუ როგორ უნდა იცხოვროს არა მხოლოდ მართლმადიდებელმა მორწმუნემ, არამედ ხელისუფალმა და რაში მდგომარეობს მისი ხალხისადმი სამსახური.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიაში შევიდა და მერე მის ვასალად იქცა, თავისი ქვეყნისადმი სამსახური ეროვნულ აზროვნებას დამოუკიდებლობის მოპოვების ინტერესებით შეენაცვლა და 200 წელიწადი თავისუფლებისთვის ბრძოლაზე იყო გადაგებული. ისტორიის ამ მოკლე პერიოდში, ბუნებრივია, საზოგადოებამ მეტამორფოზა განიცადა, ნაწილი რუსული იმპერიის ერთგული გახდა, ნაწილი რუსულ ურთიერთობებში გაერკვია და თავისი „თბილი“ ადგილი იპოვა, ბევრმა კიდევ რუსებთან საერთო ენა გამოიხატა და მასთან თანასწორუფლებიანობაში იმყოფება ისე, როგორც რუსები არიან მათ მიმართ. ბევრი ევროპის ცხოვრებისეული სტანდარტებით მოხიბლულ არს და ქვეყანას თავისი ინიციატივით ევროკავშირისა და ნატოში მიარბებიანებს. ასეთი ჭრელია დღეს ქართული საზოგადოება. ამიტომ არის, რომ ზოგი რუსეთთან მდგომარეობის გაუმჯობესებას აშკარად ემხრობა, ზოგს ახლავე სამშობლოს გაევროპელება უნდა. აზროვნების ამ ამღვრეულ ვითარებაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მოსესავით ატარებს თავის ერს მოთმინების, სიდინჯის სამყაროში, რათა ერის დანაგვიანებული აზროვნება დაილექოს, გონიერებას მოუუხმოს; ღვთის რწმენით და სიყვარულით დავბრუნდეთ ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

დაბადებიდანვე უჭირს ადამიანს სიყვარულით ცხოვრება. ღმერთისაგან ცენტრიდანულობას ირჩევს, რის გამოც ბევრჯერ დაისაჯა, მაგრამ რაკი ცოდვასა და ღვთისმიერ სასჯელს შორის მათემატიკურად დიდი პერიოდია, მაინც ურჩობს და თავგასულია. უღმერთობმა ჯერ ქრისტიანობა შუაზე გაყვეს, მერე ეკლესია სახელმწიფოსაგან ჩამოაშორეს და ცალკერძობა ურჩიეს. ბოლოს ყოფილი ქრისტიანი ადამიანები და სახელმწიფოები სრული გადაშენების პირას აღმოჩნდნენ, ვინაიდან სწორად ვერ გაიგეს სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების პირობითობა.

ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა რეალურად ქვეყნის მმართველობის დანაწილებას ნიშნავს, ანუ ერთ ქვეყანაში ორი პირობითი ერთეულია. მაგრამ რაკი მთელში მისი ნახევრების ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა ერთად არათავსებადია, პრაქტიკულად მივიღეთ ორი გასხვავებული სტრუქტურა: 1) საერო სახელმწიფო, სადაც ეკლესია ტრადიციული რიტუალების ინსტიტუტია და არა მხოლოდ ღვთიური ქადაგების, ადამიანის სულიერი ამაღლების ტამარი; 2) სახელმწიფო, სადაც ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის მართველობის ფუნქციები გადანაწილებულია და ისინი ქვეყნის, როგორც მთელის მმართველობითი სტრუქტურის პირობითი ნახევარსფეროები არიან.

პირველი ტიპის სტრუქტურა ევროპაში გვხვდება, მეორე ტიპის საუკეთესო მაგალითია საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად იკრძალებოდა საეკლესიო წეს-ჩვეულებები, ხალხი მაინც თავისას ახერხებდა: ილოცებოდა და ჩუმად პირველს იწერდა, ახალ წელს ითენებდა ტრადიციულად, ქრისტეს დაბადებას ზეიმობდა, აღდგომას ხვდებოდა, მარხულობდა და ლოცულობდა, ღვთის მოშიში იყო და სინდისი და სირცხვილი ჰქონდა, ოჯახი მისი ნავსაყუდელი იყო, ხოლო სამშობლო - სიცოცხლეზე ძვირფასი. პირველი საშინელი დარტყმა მაშინ მიიღო ქრისტიანობამ, როცა სიყვარული მხოლოდ ქალისა და კაცის დაწვევებამდე დაიყვანა ათეისტურმა საზოგადოებამ, ხოლო მეორე და მომაკვდინებელი დარტყმა მაშინ დაემჩნია, როცა ქალისა და კაცის სიყვარული სექსის გაგებად გადაიქცევა. აღმოჩნდა, რომ ის, რაც ვერ მოახერხა საბჭოთა ბოლშევიზმის ეკლესიისადმი მტრობის სხვადასხვა სიმკაცრისა და მასშტაბების სადისტურმა შეტევებმა, ათასჯერ „უკეთესად“ მოაგვარა ლიბერალურმა იდეოლოგიამ.

ლენინურ-ტროცკისტული და მერე მესიმინდე ნიკიტა ხრუშჩოვის საბჭოეთის მართლმადიდებლობაზე შეტევებმა ლიბერალების ტოლფასი გამარჯვებები იმიტომ ვერ მოიპოვა, რომ ბოლშევიკები ეკლესიას ებრძოდნენ, ხოლო ლიბერალები ქრისტიანებს კი არ ებრძვიან, აბრევიებენ, ფულით იმორჩილებენ, სულს უმღვრევენ ფსევდოგანათლებით და „ფულის ღმერთის“ ძლევა მოსილებით.

ლიბერალები ბოლშევიკებზე უფრო დახვეწილი სატანისტები არიან. როცა ადამიანს ტრადიციულს ართმევ, მის სულში ხელებს აფათურებ, გაგვიდალიანდება, თავს შეგაკლავს, მტრად გექცევა. მისი სულიერი დაცემა ძნელია. კანტის სპეკულაციური აზროვნების კონცეფცია უფრო უმტკივნეულო მჭრელია და სიამოვნებითი მათრობელია. უნდა გაუყალობო ადამიანს ტრადიციული, მისთვის სასიცოცხლო ფასეულობები და მარტო კი არ დაარწმუნო, რომ ეს ფასეულობები ყალბია და უსარგებლო, იმ სამყაროში უნდა შეიყვანო, სადაც მისთვის ყველაფერი ახლო ხელმისაწვდომი და მაცდურია, აქ იგი ყველაფერზე წამსვლელია სულის სანაცვლოდ. ამ მდგომარეობამდე მასა რომ მიიყვანო, მანამდე იგი უნდა დაამშობო.

ადამიანთა უმრავლესობა სუსტია სულიერად და ამიტომ მათი აყოლიება, მართალი გზიდან აცდენა იოლია. როცა ქვეყანას ღონიერი ეროვნული აზროვნება მართავს, მოსახლეობის უმრავლესობა მათ რეჟიმებს ემორჩილება, მითუმეტეს, თუკი სამშობლოს შრომისუნარიანი ადამიანების უმეტესობა დასაქმებულია. თანამედროვე ლიბერალებმა ეს კარგად იცინ და კიდევ ისიც, რომ მორალი და ზნეობა უნდა დასცე ფუნდამენტური, ტრადიციული ფასეულობების სუბსტანციის გაყალბებით. ეროვნული ხელისუფლების პირობებში ეს პრაქტიკულად მოუხერხებელია. ამიტომ, ჯერ პოლიტიკური ელიტა უნდა გაათასსირო, რელიგიას მოწყვიტო. ამისთვის ყველაზე კარგი მასალა დაბალი და საშუალო ნიჭის, უზნეო ადამიანები არიან, ისინი, რომელთაც შრომა ეზარებათ, მუქთად ცხოვრება ურჩვენიათ, თავიანთ მომავალს მხოლოდ ჭამაში, ჩაცმასა და განცხრომაში ხედავენ, იოლად მართვადი ხდებიან. ნიჭიერი და უნიჭიერესი კაცი ამისთვის არ გამოდგება. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას დასავლეთი უჭერდა მხარს, დააფინანსა კიდევ, მაგრამ ჰიტლერი მართვადი არ აღმოჩნდა და ნებიერმა ხელიც კი შეჰკადრა სუროგატ „მშობლებს“. საჭირო გახდა ჰიტლერზე უფრო დიდი პიროვნებისადმი მხარდაჭერა მის დასამარცხებლად. სხვა ნებისმიერი დიდი ძალა მას ტახტიდან ვერ ჩამოაგდებდა.

თხუთმეტი საუკუნე ებრძოდნენ ქრისტიანებს, ახლაც ხომ ებრძვიან სულში ღვთის სიყვარულის ფულის რელიგიით ჩასანაცვლებლად. ძალიან ბევრს მიაღწიეს და ამჟამად იქამდეც მივდით, რომ სიყვარულს სექსი ენაცვლება და თურმე 20-30 წლის შემდეგ სიყვარული გაქრება და ოჯახი აღარ იქნება ადამიანის გამრავლების საშუალებაც, აღარც აღზრდისა და განათლების კერა, აღარც სახელმწიფოს ფუნდამენტი და ურთიერთთანადგომისა და მზრუნველობის მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტი. ამისი წინაპირობები უკვე ხილვადი მოძრაობებია და მისი შემხედვარე ქვეყნის შვილებს სისხლი ეყინებათ. „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილ ერს რომ ყველგან სექსის უხამსობას სწრი ცხვირ-პირში, ყურებს უხედნი, იძულებულს ხდი ქვეყნიდან გაიქცეს პურის საშოვნელად, ქალს, რომლის წინაშე ქართველი ვაჟკაცი მუხლს იდრეკდა, ნაშუსად იფიცებდა, სიცოცხლეს ერჩია, ახლა იმისი მემკვიდრეები მეძავთა რიგებს ქმნიან ქალაქებსა და სოფლად, სამშობლოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ამ „სამუშაოში“ აღებული ფულით რომ პურს გაჭმევენ, ცოცხალი ლეში ხარ და დაუმარხავი მკვდარი. ამ გზებით ნაშოვნი ფული-

საგან თაობები ვერ გაიზრდება, ისევე როგორც მამრად დაბადებულნი და ქალებად გადაკეთებული კაცები ოჯახებს ვერ შექმნიან.

სიყვარული რომ ვრცელდებოდეს, ეს ყველამ იცის. ღმერთი სიყვარულია და ჩვენი სიყვარულიც იმისაგან იწყება და მასთან მთავრდება. ამდენად სიყვარული ადამიანების ცოცხალი და წარსული თაობების სულიერი მთლიანობაა მიწიერი და ზეციური სამყაროს პირობითი ფიზიკური ნახევარსხეულებრიობის მიუხედავად, ანუ მიწიერი და ზეციური სამყარო მთლიანია და ადამიანი ამ სამყაროს ბინადარია. ამიტომ იგი ადამიანია მანამდე, ვიდრე სამყაროს არსებობის კანონებს იცავს, რომელსაც ღვთიური სიყვარული ჰქვია. მამაკაცი და ქალი ერთმანეთს ირჩევენ ღვთის სიყვარულით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი შვილები უფრო მაღალი ხარისხის სიყვარულის გაგრძელებაა, რომელთაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურის ახალი საფეხური უნდა დაადგან ღმერთთან მიახლოებისათვის და გაიხარონ, რომ შვილნი სჯობნით მამათა. სწორია ქართული მხატვრული ფილმი „შერეკილების“ გმირი ქრისტეფორე: სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი. ადამიანთა თაობების მიმდევრობის უწყვეტობა არის გზა ადამიანური სრულყოფისაკენ, ხოლო თაობათა შორის ჭიდილი ფორნტალური განშლადობაა, რომლის გამონახულებაც ქვეყნის მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის სიმაღლე.

ქართული ოჯახი ტრადიციების ბაზაზე იდგა, საიდანაც იღებდა მისი განვითარების ენერგომპულსებს. მომავალი წვეილი სულიერად თავსებადი უნდა ყოფილიყო, როგორც რელიგიური აღმსარებლობით, ასევე მატერიალური მდგომარეობით, რადგან სულიერი და მატერიალური ადამიანის მთელი ცხოვრების ნახევარსხეულებია. ამ წმინდათა წმინდა აზრის მიმდევრობამ შექმნა სახელოვანი ქართული გვარები და ოჯახები, რაც განაპირობებდა სამშობლოს ძლიერებას. ადამიანი რომ მხოლოდ მისი მეორე ნახევრის სიყვარულით შემოფარგლულიყო, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია, ქართველობა კაი ხნის გადაშენებული იქნებოდა. ოჯახი უფრო მეტია, ვიდრე წვეილის სიყვარული. ოჯახი მთელის, სიცოცხლის გამრავლებაა, ადამიანის სრულყოფილების მკვებავი ენერგიაა. იქ სიყვარული მისი ჯანსაღი არსებობის პირობაა. ღმერთი იძლევა სიცოცხლის სიყვარულს დასაწყვილებლად, რომელიც მერე ნაწილდება შვილებზე, და საერთოდ მომავალ თაობებზე. მას აქვს აგრეთვე ჰორიზონტალური განშტოება: დედამამშვილების, ნათესავების, მოყვრების, ახლობლებისა და ნაცნობების, ტრადიციების, ცხოვრების წესის, გვარისა და ქვეყნის სიყვარული. უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ის, ვისაც ხალხისა და ქვეყნის დიდი სიყვარული გააჩნია. გამოდის, რომ ქვეყანა სიყვარულის სივრცეა. ახლა ეს სივრცე ორად გვაქვს გაყოფილი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. რელიგიიდან ამოვარდნილი ხელისუფლება თავგასულია და ქვეყანას საჭმელად წაეკიდა. ხალხი ეკლესიისაკენ მობრუნდა.

სიყვარული აღზრდის პროდუქტია. ახალშობილი დედისაგან და მამისგან იწყებს სიყვარულს, იღებს მირონცხებას, მშობლების მეშვეობით აცნობიერებს ნათესავებსა და ახლობლებს, ნაცნობებს, ადგილის დედას, სწავლობს სამშობლოს წარსულსა და აწმყოს, რომელიც მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ამით ის მინდა ვთქვა, რომ სიყვარულის ეკონომიკა აღმზრდელიობითი და საგანმათლებლო სისტემის სრულ გარდაქმნას საჭიროებს, რომლის მიზანი იქნება მორალურ-ზნეობრივი, პატრიოტი პროფესიონალის ჩამოყალიბება. ბიბლიის სწავლება სკოლებისა და პროფესიონალური დაწესებულებების სასწავლო პროგრამების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

სამშობლო სამგანზომილებიანი სივრცეა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის თანარსებობაა. ერის სულიერი და ფიზიკური მოღვაწეობის ერთიანობაა, რომელიც განსაზღვრავს მის ეროვნული იდენტურობას, და რომლის გამონახულებაც, როგორც მისი ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი, ასევე მისი პიროვნული სპეციფიკურობა. ქართველი კაცის ისტორიული განსაზღვრულობაა მიწათმოქმედება, მიწაზე, მის ისტორიულ საცხოვრისზე მიმაგრებულობა. ათასობით წლებია ესაიდუმლოება ქართველი კაცი ღვთით ბოძებულ მიწას, რომელიც არა მხოლოდ ნაყოფის წყაროა მისთვის, სიცოცხლის, ღონისა და გონის მიმცემია. მიწაც დავალებულია ქართველი კაცისაგან, რომელიც მას თვისებებს უკეთილშობილებდა და მისი ბედის თანაზიარი გახდა. ჟამთა სიავემ შეასისხლხორცა ისინი ერთმანეთს და ამიტომ არ შეიძლება ქართული მიწების ქართველებისაგან განცალკევება, უცხოელებზე გასხვისება. რაც უფრო გრძელდა მიწაზე ოჯახისა თუ გვარის მემკვიდრეობა, მით უფრო ძლიერია მიწისადმი სიყვარული, მით უფრო მიმაგრებუ-

ლია გვარი და ოჯახი მიწას, მით უფრო ძნელია მათი ერთმანეთისაგან დაშორება. მიწისგან მოწყვეტით იწყება ქართველი კაცის ეროვნულობის გადაგვარება. მიწის სიყვარული უნდა დაუბრუნდეს ქართველ კაცს და იგი გაიხსენებს როგორ უნდა უსმინოს მას, მიეფეროს, ეჩურჩულოს და უმღეროს, როგორც მარჩენალსა და მის სამუდამო განსასვენებელს.

ის სიყვარული, რაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს, ვერ ითმენს ბილწისიტყვაობას, სასაუბრო ენის გათახსირებას, მასმედიის საშუალებების ენობრივ უხამსობებს, პორნოგრაფიას, სექსის პროპაგანდას, უკიდურეს ფამილიარობას, უგემოვნო შოუ პროგრამებს, ტრადიციებისადმი უპატივცემულობას, ოჯახის საფუძვლების მოშლას, უსირცხვილობის გამომწვეურებას, დიდი ადამიანების სასაცილოდ აგდებას, წარსულის გამასხრებას და ა.შ. აქ სულიერი სიმკაცრის ხელი არის საჭირო, თორემ ადამიანები ისე გადაგვარდებიან, რომ ცხოვრება საძულველი გახდება, ღვთის რისხვას გამოვიწვევთ. სახელმწიფო თავუკულმა დგას - ხალხი ხელისუფლების მოსამსახურეა, ხოლო ხელისუფლება ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და იმდენად უტიფარია, რომ როცა პირადად თვითონ დღეში 200 ლარი არ ჰყოფნის, 160-ლარიან პენსიონერს დღიურ ულუფას 1,18 ლარით უსაზღვრავს - საკმარისიაო.

შეძახილი, შეფხიზლება ხალხსაც უნდა, მან უნდა იცოდეს და გრძნობდეს თავის ძალას, რომ იგი მისი უდიდებულებსობა ხალხია და ხელისუფლება მისგან დაქირავებულია. ძალა თავისუფლებიდან მოდის, ხოლო თავისუფლება - ცოდნიდან. ეს კარგად იციან იმათ, ხელისუფლებაში რომ არიან ახლა და ამიტომ ყველაფერს აკეთებენ ცოდნის პროსტიტუციისათვის, საზოგადოების გამოსათყვანებლად („როცა შენი მოძმე გაღარიბდება შენს თვალწინ, და შენ მოგეყიდება, მონურად ნუ ამუშავებ ...ნუ იბატობენ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გეშინოდეს“, მაგრამ ის კი არ იციან, რომ საქართველო განათლების უძველესი მიმდევარია და როგორადაც არ უნდა უცვალონ კურსი განათლების კონცეფციებს, იგი მაინც იმ მიმართულებაზე გავა, რომელიც ეროვნულად კოდირებულია და ხალხისა, და ქვეყნის სამსახურში აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ პურის ფინჩხებზე დაგეშილი უგვარო ქართველები თუ ქართულად გვარგადაკეთებულები ყველაფერზე წამსვლელები არიან იმისათვის, რომ ყოველივე ნამდვილი ქართული მსოფლიო ცივილიზაციის ანაქრონიზმად გადაღებონ.

ეროვნული ენერგია ბოხოქრობს და მთელ საქართველოს იმ სხივებს აფრქვევს, რომელიც მას თვითმყოფადობის შეგნებას უღვიძებს და შთააგონებს, რომ ის მარადიული სიცოცხლისუნარიანია. არ გაითავისა ქართულმა გენმა ლიბერალობის ფარისევლური ღირებულებები და თავისუფლების მისი კაბინეტური კონსტრუქციის ინოვაციები და ეროვნული ენერგია წინა პლანზე გამოიბანა, რომელიც ამ არამართლმადიდებლურ და არაქართველურ უცხო ფასეულობებთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. ეს არ არის თაობათა შორის ბრძოლა, როგორც ხშირად ხატავენ ლიბერალები და ჭამა-სმაზე დახარბებულები. ეს ტრადიციულ და ბრჭყევიალა სატანისტურ ფასეულობათა შორის არსებობისთვის დაპირისპირებაა, სულიერისა და მატერიალურის ძალმომრეობისთვის ჭიდილია.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სამშობლოს, როგორც მთელის სახელმწიფოდ და ეკლესიად დაყოფა პირობითია, ვინაიდან ერთ ქვეყანაში ორი ქვესახელმწიფო ვერ იქნება. ოსმალთა ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ბერძენმა ხალხმა, პირველ ყოვლისა, ბერძნული ეკლესია და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. „სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბერძნული ეკლესიის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრა, სამღვდელოებას დაენიშნა ხელფასი I კატეგორიის სახელმწიფო მოხელეთა თანაბრად. ბიუჯეტმა გაითვალისწინა სახსრები სამღვდელოების უზრუნველყოფის, ბინების, სხვა საჭიროებისათვის. მხოლოდ ერთი საქმე დაეკისრა სამღვდელოებას - ახალი თაობის აღზრდა, ერის ზნეობრივი გაჯასაღება“. ისინი მხოლოდ მთელის ნახევარსხეულები არიან და უზენაესთან ერთი მიმართება აქვთ. ადამიანი თავისუფალი მორალური არსებაა, რომლის შეგნება მას მხოლოდ შემეცნების გზით შეუძლია. ხელმძღვანელმაც უნდა იცოდეს, რომ მის ზემოთ ღმერთია და თუ მას ღმერთი არ სწამს, ნამდვილი ხელისუფალი ვერ იქნება. ხელმძღვანელობა სიბრძნეა, რომელიც ღმერთისგან მოდის.

ბაბილონი იმიტომ დაეცა, რომ მისი მეფეები თავს ღმერთისგან დამოუკიდებლად გრძნობდნენ „ა-ლაპარაკდა მეფე და თქვა: ეს ის დიდებული ბაბილონი არ არის, რომელიც მეფის სადიდებლად ავაშენე ჩემი ხელწიფების ძალით ჩემი სიდიადის საქებრად? მეფეს ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ ზეციდან

ზმა გაისმა: შენ გეუბნებიან, მეფე ნაბუქოდონოსორ, ხელიდან გეცლება სამეფო. მოიკვეთები კაცთაგან, მინდვრის მხეცებთან იცხოვრებ, ხარების მსავსად ბალახს გაჭმევენ და შვიდი წელიწადი გადივლის შენზე, ვიდრე გაიგებდე, რომ უზენაესი ხელმწიფობს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა იმას აძლევს“. არ უსმინა მეფემ და ყველაფერი სრულად ისე აუხდა, როგორც ზეციდან დაარისხეს.

საბჭოთა კავშირიც იმიტომ დაეცა, რომ ქვეყნის ელიტამ „კარგი საჩინო“ ვერ იგუა, ავად მიიჩნიეს. უტვინო თავებმა ქვეყნის პატრონობა მონღოლმეს, სული ეშმაკს მიჰყიდეს და არ აცალეს უბადლო ხელოვანს იმ შენობის დასრულება, რომელსაც ცოტა დრო ჰყოფნდა. სანაცვლოდ რა მიიღეს: იუდასავით უსახელონი, უბადრუენი, უპატივებლები, სასაცილოები დარჩნენ. ეს ხელისუფლებაც იმდენად უშეცარია, რომ ღვთის სიყვარულზე არც უფიქრია და ჰგონია დასავლეთის მხარდაჭერა საკუთარ ხალხზე გაბატონების საშუალებას აძლევს. „მეფის გული წყლის ნაკადებია უფლის ხელში, საითაც ინებებს, იქით გაუშვებს“. რომელი უღმერთო ხელისუფალი გამორჩა ღმერთს ანგარიშიდან. განა, ბრძენმა მეფემ სოლომონმა არ თქვა, უფლისა გეშინოდესო?

სიყვარულის ეკონომიკამ მოიყვანა ჩვენი სამშობლო აქამდე, ვინაიდან სიყვარულს ფესვები აქვს. ამიტომ არის, რომ აბოლოქრდა ქართული სული, დადგა დრო, როცა მეწინავე საზოგადოებრივი აზრი მომშვილდულია თვითმყოფადობის შინაგანი ენერჯით, რომლის მანთებელა მუხტია ქრისტეს მცნებანი.

Ramaz Namicheishvili

To the economy of love

Resume

Neither life is only economics, nor economics is only statistics. But when labor lacks love statistics become instrument of manipulation. Two million persons were forced to leave their own country for earning their living. Such a great number of people is the impulse for demographic catastrophe for such a small country as Georgia. The number of population of the country became equal to the corresponding indicator seventy-five years ago. In case the country is reigned with love, employment would be the highest political direction for the government, education and science would raise the national economy up to the significant level of efficiency and the media won't let those people rest who digress from the policy of the country. Now, the situation in the country is on the contrary, immigration process in the country is considered to be very prosperous. There would be various Diaspora in many countries of the world and the country would have supporters outside of the country - this is how the idea is discussed by wrong thinking. That's why the number of the people leaving the country is growing day by day. Emigrants make room for foreigners to settle in the country. Money transfers from the immigrants are source of additional income. But this money leaves the country as most of consumer products are imported.

Love, as a substance of the way of life directed by the God, has been banished for many centuries with the purpose of intellectual disintegration of the person with high moral as in this case his control is very easy. Love starts with the God and it covers home-country, family relatives, friends, immediate and distant relatives, “It makes the half-bodies of man and women as the one unity”. Georgian public thinking couldn't oppose anti-Christian ideas and it restricted variety of love to amour and now it tends to conclude a truce with sex cruiser. When the human is the objective of material security and intellectual improvement and the government along with orthodox believer, is the servant of the country and people together with Georgian church, love is the foundation not only for a family, but for economic organization of the country as well.

**ალბეთის დაცული ტერიტორია რელიგიურისა და
მკოტურიზმის გადარკმთაზი**

*აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა
ელემის ბაღში მის დასამუშაველად და დასაცავად.
ტველი აღთქმა, დაბ. 2,15*

*ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უნებელ გარემოში,
სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია
გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37,3*

*ყველაზე დიდი საბუთი, რომელიც ღვთის არსებობასა და ძალას ადასტურებს, ბუნებაა... უკეთუ
სულიერ თვალს ავახელთ, ბუნებაში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე დავინახავთ კვალსა ღვთისასა, ხოლო ის, ვისაც
ღვთის ნაკვალევის დანახვა შეუძლია, უკვე ახლოსაა ღმერთთან.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II*

ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანარსებობის პრობლემა უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. იგი თანამედროვეობის უდიდესი გამოწვევა და არაერთი სამეცნიერო კვლევის სამიზნეა.

დედამიწის ბუნებრივი სისტემის გარდაქმნა და გარემოში ცვლილებები, როგორც ბიოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიური პროცესების, ასევე ადამიანის სხვადასხვა საქმიანობის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მიერ გამოწვეულ გარდაქმნას ბუნებრივთან შედარებით გაცილებით მოკლე ისტორია აქვს, მისი წილი მნიშვნელოვნად აჭარბებს ბუნებრივი პროცესების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს დედამიწაზე¹.

XX საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით გამწვავებულმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა ქვეყნები დააყენა ძალისხმევათა გაერთიანების აუცილებლობის წინაშე. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულმა გაეროს კონფერენციამ ნათლად ასახა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის სიმწვავე და „XXI ს-ის დღის წესრიგში“ გამოიხატა მომავალი მოქმედების გეგმა ამ მიმართულებით. მდგრადი განვითარების საყოველთაოდ აღიარებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა, კაცობრიობის და ბუნების კოველოუციური, ერთობლივი განვითარება გახდა².

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით და გარემოთი³.

ანთროპოგენულ ზემოქმედებას, ანუ ადამიანის, საზოგადოების მხრიდან სასიცოცხლო გარემოზე გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ გარდამქმნელ ზემოქმედებას, უმეტესწილად მოსდევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და ბუნებრივი რესურსების აღუდგენელი განადგურება. ინტენსიურმა ჩარევამ ბუნებაში თანამედროვე ეტაპზე უკვე მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომ თუ ასე გაგრძელდა, მთლიანად დედამიწა დადგება კატასტროფის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებაში ჩარევას არა აქვს ლოკალური ხასიათი და მისი გავრცელება მყისიერად ხდება სხვა ქვეყნებზეც. პრობლემის მასშტაბურობას ისიც მიუთითებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, მეცნიერები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ბოლო პერიოდის განმავლობაში ფართოდ ეხმაურებიან მდგრადი განვითარების საკითხებს. მაგალითად, პროფ. ი. გაგნიძე აღნიშნავს, რომ „თანამედროვე პირობებში აქტიური დისკუსია მიმდინარე-

¹ მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 185.

² მოვსესიანი ა. გ., ოგნივეცი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2003, გვ. 517.

³ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, თავი I, მუხლი 4, (კ).

ობს სუსტი და ძლიერი მდგრადობის შესახებ. განიხილება ორი მოდელი... სუსტი მდგრადობა გულისხმობს ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგიის სფეროების თანაკვეთას, რომელიც საკმაოდ მცირე ფართობია. ძლიერი მდგრადობის პირობებში კი, ეკონომიკის სფერო მოთავსებულია სოციალურ-პოლიტიკურში და ეს ორივე სფერო წარმოადგენს ეკოლოგიის სფეროს შემადგენელ კომპონენტებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძლიერი მდგრადობა ცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში¹. სავსებით ვიზიარებთ ძლიერი მდგრადობის კონტექსტში აღნიშნული სფეროების თანაარსებობის საკითხის განხილვას.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დაცულმა ტერიტორიებმა.

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა აქვს დაცული ტერიტორიების სისტემა. დაცული ტერიტორიები მოიცავს მსოფლიოს ხმელეთის დაახლოებით 15,4 და მსოფლიო ოკეანის დაახლოებით 3,4%-ს. ისინი შთანთქავენ მიწისზედა ნახშირბადის მარაგების 15%-ს, ხელს უწყობენ ტყეების გაჩვენის, საცხოვრებელი გარემოს და სახეობების დაკარგვის შემცირებას, და ხელს უწყობენ, რომ დაახლოებით ერთმა მლრდ ადამიანმა მიიღოს საარსებო წყარო. აღნიშნული დაცული ტერიტორიების ფართობი 1990 წლიდან 2014 წლამდე გაიზარდა 13.4 მლნ კმ²-დან 32 მილიონი კმ²-მდე².

მაგალითად ქართველი მეცნიერები მიუთითებენ, რომ თანამედროვე ურბანიზაციის ეპოქაში ადამიანის დასვენების აუცილებლობამ ბუნების წიაღში შეიძინა სოციალური პრობლემის მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობასთან და მრეწველობასთან ერთად, რეკრეაცია ხდება ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ-ანთროპოგენული ლანდშაფტების მნიშვნელოვანი მომხმარებელი მთელს მსოფლიოში. ამა თუ იმ რაიონის ეკონომიკურ-სარესურსო პოტენციალის შეფასების მნიშვნელოვანი პარამეტრი გახდა ლანდშაფტების მიმზიდველობის და ველურობის მაჩვენებელი, ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა არსებობა, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს ტერიტორიის ეროვნულ პარკად ორგანიზაციის შესაძლებლობებს. დასაცავი ტერიტორიის მდგომარეობა და მისი ლანდშაფტის ხასიათი განსაზღვრავს დაცვის რეჟიმს, მის ფუნქციონირებას და ამასთან დაკავშირებით იქმნება ბუნების დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები (კატეგორიები): „ნაკრძალი“, „აღკვეთილი“, „ეროვნული პარკი“, „რეზერვატი“³ და სხვ.

საქართველოში მიღებულია „კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის“ შესახებ, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მიწის, ტყის, წყლის და დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე, ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია ეროვნული პარკი, როგორც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) შესაბამისად განსაზღვრული დაცული ტერიტორიების მეორე კატეგორია. კანონით დაშვებულია, რომ ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს ვიზიტორთა ზონა სხვა ძირითად ზონებთან ერთად⁴. აღნიშნული მიუთითებს, რომ ეროვნული პარკები შესაძლებელია მრავალმხრივ იყოს გამოყენებული ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის.

აღნიშნული კანონის მიხედვით, ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის. ეროვნული პარკისთვის შეიძლება შეიარჩეს შედარებით დიდი ბუნებრივი სახმელეთო ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა. ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები: ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა; ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა; გ) ვიზიტორთა ზონა; დ) აღ-

¹ გაგნიძე ი. ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბილისი-ბათუმი, თსუ, 2015, გვ. 31.

² <http://www.unep-wcmc.org/featured-projects/mapping-the-worlds-special-places>

³ არდია მ., მარგველანი გ. მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები, თბ., 1998, გვ. 135.

⁴ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, გამოყენებული ტერმინები.

დგენის ზონა ე) ისტორიულ-კულტურული ზონა; ვ) ადმინისტრაციის ზონა; ზ) ტრადიციული გამოყენების ზონა.

ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწოდება ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამუნიციპალური სამეცნიერო კვლევის და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განკუთვნილ ტერიტორიას.

ბუნების მართვადი დაცვის ზონა ეწოდება სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური სამეცნიერო კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის განკუთვნილ ტერიტორიას.

ვიზიტორთა ზონა ეწოდება ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყოფილ ზონას.

აღდგენის ზონა ეწოდება ანთროპოლოგიური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის მონიშნულ ადგილს.

ისტორიულ-კულტურული ზონა ეწოდება ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და (ან) არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის (ზონა არ მოიცავს დასახლებებს) გამოყოფილ ადგილს.

ადმინისტრაციის ზონა ეწეობა ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

ტრადიციული გამოყენების ზონა ეწეობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულად გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხენა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება.

ეროვნული პარკი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, მსოფლიოს მემკვიდრეობის უბანი) და (ან) თვითონ ითავსებდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიის კატეგორიას.¹

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ნათლად მიუთითებს, რომ შესაძლებელია დაცული ტერიტორიები გამოყენებული იქნეს ტურისტული მიზნით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთი ტერიტორიების ჩართვა ტურისტული სექტორის განვითარებაში ხელს უწყობს როგორც უშუალოდ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას, ასევე ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და დასაქმების ზრდას მომიჯნავე სექტორებში.

ტურიზმმა, განსაკუთრებით ეკოტურიზმმა, უნდა დაიცვას გარემო და ბუნების სანახაობები გადაგვარებისგან (რათა არ შეწყდეს ტურისტული ნაკადების რიცხვი) და მათი მდგრადობის შენარჩუნების მიზნით განსაზღვროს ტურისტული ობიექტების სარგებლობის ზღვარი.

ტურიზმის მდგრადი განვითარების დროს ტურისტული ინდუსტრია ერთიანდება გარემოს დაცვის მომხრეებსა და საზოგადოებასთან (ადგილობრივ მოსახლეობასთან) გარემოს დაცვის საერთო ინტერესების გარშემო, ამ შემთხვევაში კი ზედმიწევნით საჭიროა, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა ტურიზმის დაგეგმვის, მართვისა და განვითარების საკითხების გადაწყვეტაში.²

მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული ტურიზმი განსაკუთრებულია, რადგან საქმიანობის უმეტესი მოცულობა დაკავშირებულია ღირსშესანიშნაობებსა და მოქმედების იმ სახეებთან, რომელიც კავშირშია ბუნების, ისტორიული მემკვიდრეობისა და შესაბამისი ტერიტორიის კულტურული თვითმყოფადობის დაცვასთან. ტურიზმის მდგრადი განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკური სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც პარალელურად დაცულია კულტურული თვითმყოფადობა და ეკოლოგიური წონასწორობა.³

¹ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, მუხლი 5.

² მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 57.

³ მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 57.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაცული ტერიტორიების არსებობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მათი გამოყენების პოტენციალი სრულყოფილად არ არის ათვისებული. მოცემული ნაშრომის ფარგლებში ალგეთის ეროვნული პარკის მაგალითი წარმოვადგინეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ დაცულ ტერიტორიებს ნამდვილად აქვს ქვეყნის ტურისტული სექტორის განვითარების ხელშეწყობის პოტენციალი.

ვიდრე უშუალოდ ალგეთის ეროვნულ პარკს შევხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დაცულ ტერიტორიებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს¹.

პირველი საკანონმდებლო ჩანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ XII საუკუნით თარიღდება, როდესაც თამარ მეფემ სამეფო ბრძანება გამოსცა ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ლეგენდის მიხედვით, სწორედ თამარის სახელთანაა დაკავშირებული უთხოვარის სახელიც. როგორც ჩანს, იმ პერიოდის საქართველოში ეს ხე იმდენად ძვირფას მცენარედ ითვლებოდა, რომ მისი მოჭრა-არმოჭრის საკითხს თვით მეფე წყვეტდა. ნიშანდობლივია, რამდენად შეუვალი იყო მეფის ნება, რომ მას „უთხოვარი“ შეარქვეს. იგი ძალიან ნელა იზრდება და ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ფანქრის დიამეტრისოდენა შეიძლება მოიმატოს. ბაწარის ნაკრძალში შემორჩენილია უთხოვარი, რომლის ასაკი 1 800 წლამდეა, სიმაღლე 30 მეტრი, სიშსხო – 1 მეტრი და 60 სანტიმეტრი. ქალაქ პეტერბურგში, ერმიტაჟის ზოგდარბაზში იატაკი სწორედ ქართული უთხოვართაა გალამაზებული. XVII საუკუნეში ვახტანგ VI-ის „კანონთა კრებულში“ ყორულის ტერიტორია მოხსენიებულია, როგორც დაცვის ობიექტი, რომელსაც მცველები იცავდნენ. ამ ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა. მთიან რეგიონებში არსებობდა მკაცრი დაცვის ქვეშ მყოფი ე.წ. „ხატის ტყეები“, რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა². ხატის ტყეების სახელით არსებულ ტერიტორიებს დღესაც იცავენ საქართველოს ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონში მოსახლე თემები.

პირველი ოფიციალური ნაკრძალი საქართველოში დათარიღებულია 1912 წლით. 1991 წლის ბოლოსთვის 15 ნაკრძალი იყო საქართველოში, რომელიც მოიცავდა ქვეყნის ტერიტორიის 2.4% -ს. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 87 დაცული ტერიტორიაა ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით: 14 ნაკრძალი (140.672 ჰა), 11 ეროვნული პარკები (352,459.219 ჰა), 41 ბუნებრივი ძეგლები (2,258 ჰა), 19 ალკვეთილი (70,392.783 ჰა) და 2 დაცული ლანდშაფტი (34,708 ჰა). დაცული ბუნება წარმოადგენს 600.490 ჰა - 8,62%-ს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე³.

ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მოიცავს მდინარე ალგეთის ხეობის თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობებს, უმაღლესი წერტილია კლდეკარი⁴.

ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფართობია 6822 ჰა. მას ახასიათებს ძლიერ მთავორიანი რელიეფი, რომელიც მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეებით და ხეობითაა დაღარული. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიედინება ქვემო ქართლის ერთ-ერთი ძირითადი მდინარე ალგეთი, თავისი მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადებით. ალგეთის ეროვნული პარკი ვულკანური და დანალექი ქანებითაა აგებული, ეროვნული პარკი ხასიათდება ნოტიო კლიმატით. ზამთარი ზომიერად ცივი, ხოლო ზაფხული ხანგრძლივი და თბილი იცის⁵.

ალგეთის ეროვნული პარკი ზღვის დონიდან 1100-1950 მ-ის სიმაღლეზეა. იგი ქ. თბილისიდან 60 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1965 წელს, აღმოსავლური ნაძვის და კაკასიური სოჭის უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით. 2007 წელს აღ-

¹ ვრცლად იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981, გვ. 30-32.

² გზამკვლევი, ჩვენი საქართველო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2011, გვ. 69; ჩვენი ღირსება, წიგნი მეოთხე, თბ., 2013, გვ. 91.

³ ASSESSING AND DEVELOPING THE ECO-TOURISM POTENTIAL OF THE PROTECTED AREAS IN GEORGIA STRATEGY FOR TOURISM DEVELOPMENT IN PROTECTED AREAS IN GEORGIA, BY Janez Sirse, Lela Kharstishvili, Austria, 2015, p.14.

⁴ www.apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/algeTis-erovnuli-parki

⁵ <http://ingorgia.ge>

გეთს მიენიჭა ეროვნული პარკის სტატუსი. ...პარკის ფართობის 90% ტყითაა დაფარული და წარმოდგენილია მცენარეთა 1664 სახეობით, მათ შორის 3 საქართველოს და კავკასიის ენდემია. გავრცელებული სოკოების 250 სახეობიდან 10 სახეობა პირველად იქნა აღმოჩენილი. ალგეთის ხეობაში შეხვდებით 80-ზე მეტი სახეობის ფრინველს. ალგეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურას შეადგენს 1965 წელს აშენებული ადმინისტრაციული შენობა და მცირე სავაჭრო ინფრასტრუქტურა (3 საფეხმავლო და საცხენოსნო ტურისტული ბილიკი, საპიკნიკე და საცეცხლე ადგილი, გადასასვლელი ხიდი და სანიტარული კვანძი). ალგეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევებისთვის მნიშვნელოვან ადგილს. მას გააჩნია რეკრეაციულ-კურორტოლოგიური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. ამჟამად, დაცულ ტერიტორიაზე განვითარებულია ეკოტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორცაა საფეხმავლო, საცხენოსნო და კულტურული ტურები¹.

ალგეთის ეროვნული პარკის ბუნებრივ ლანდშაფტური პირობები ეკოტურიზმის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, თუმცა დღეისათვის მხოლოდ ერთი მარკირებული ბილიკია, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შესაძლებელია როგორც გიდის, ასევე ცხენების დაქირავება და ეროვნული პარკის სრულყოფილად დათვალიერება. პარკი ვიზიტორებისთვის ღიაა წელიწადის ნებისმიერ დროს. თუმცა, გადაადგილება დროებით შეიძლება შეიზღუდოს ზამთარის უამინდობის განმავლობაში. მარშრუტი დაბა მანგლისიდან იწყება და საპიკნიკე ადგილის მიმართულებით, მართალხევის გავლით სოფ. დიდ ნამტვირანამდე გრძელდება, საიდანაც სამეფო ქედით, უკან, მანგლისში ბრუნდება. ბილიკზე არსებული გადმოსახედიდან არაჩვეულებრივად მოჩანს ალგეთის ეროვნული პარკის ხეობა და შერეული ტყით დაფარული მთაგორიანი ხედები. ბილიკზე მოგზაურობისას შეიძლება ნახოთ: შველი, კურდღელი, გარეული ღორი და რამდენიმე სახეობის გარეული ფრინველი.

ალგეთის ეროვნული პარკისა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ისტორიულ, კულტურული და არქეოლოგიურ ძეგლთა სიმრავლე, რაც სასწავლო-მეცნიერებითი და რელიგიური ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობებს იძლევა. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქიდან არ იმყოფება მეტად დაშორებულ მანძილზე, რაც ერთდღიანი ტურების ორგანიზების შესაძლებლობას იძლევა უცხოელებისთვის (და არა მარტო), ვინც თბილისს დიდი ხნით ესტუმრება. ფრიად მნიშვნელოვანია, არცთუ ისე დიდ გეოგრაფიულად განფენილ სივრცეში კონცენტრირებულია ბრინჯაოს ხანის ციკლოპური ციხეები, მოქმედი ეკლესიები, ეკლესია ნანგრევები თუ საყდრები, რომელთაგან თითოეულს უნიკალური ისტორია აქვს. მათგან აღსანიშნავია: აბელია (დარბაზული ეკლესია, 1150-1160 წწ. ლაპიდარული წარწერით); კლდეკარი (ციხე-სიმაგრე, ადრე შუა საუკუნეები); მანგლისი (გუმბათიანი ეკლესია, XI ს.); ბირთვისის ციხე (V-VIII ს.); სამშვილდის ნაქალაქარი (ძვ. წ. აღ.-ის I ათასწლეული, XVIII საუკუნე); დიდი თონეთის სამების ეკლესია (XI-XI ს.); ავლევის (ტბისის) კომპლექსი: ავლევის ციხე (XV-XVI ს.); ავლევის კოშკი (XIV-XVIII ს.); ავლევის ეკლესია (XIV-XVIII ს.); დრიანეთი (ალექსეევკა), დარბაზული ეკლესია, - XI ს.-ის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი; არხოტის ეკლესია; ახალსოფლის ძეგლები - წმ. ბარბარეს, წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, კვირაცხოვლობის, პეტრე-პავლეს ეკლესიები; ახალსოფელს აქვს ისტორიული გალავანი, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, სოფლის ბოლოზე, მდინარე ბზის წყლის მარცხენა მხარეს გადის ისტორიული აბრეშუმის ქვაფენილის გზა, რომელიც ადგილობრივ წყაროზე დაყრდნობით ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზასაც წარმოადგენდა; ახალი ზირბითი (დარბაზული ეკლესია, წმ. გიორგი, VIII-IX ს.); გოხნარის ეკლესიები: გოხნარი (აძიკვის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, X ს.); გოხნარი (დარბაზული ეკლესია, წმ. გიორგი, X ს., ლაპიდარული წარწერით); გოხნარი (დარბაზული ეკლესია, ღვთისმშობლის, VIII-IX ს.); დაღეთის ეკლესია გამოქვაბულში (VI-VII ს.); დიდი კლდეისის ეკლესიები (X-XI ს.); დურნუკი: დიდი დურნუკი და პატარა დურნუკი (წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს.), დრეს ეკლესია, ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია, ერტისი (XIX ს.), ვაკის ღვთისმშობლის ეკლესია, ირაგას წმ. გიორგი (XIV-XVIII ს.), კოდა (დარბაზული ეკლესია (XIX ს.), ლიპის ეკლესიები: დმანისის „ღვთისმშობელი“, დმანისის „კლდისჯვარა“, დმანისის „მთავარან-

¹ ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ. 28-29.

გელოზი“, მუხისის (მოხისის) სამების ეკლესია (VIII-X სს.), ნავთიანი „ღვთისმშობლის“ ეკლესია (XIV-XVIII სს.), ორბეთის ეკლესია „ღვთისმშობელი“(XIXს.), ფიტარეთი (მონასტერი, XIIIს.), წინწყარო (დარბაზული ეკლესია, „მამუკანთ საყდარი“, VIII-IXსს.), ნადარბაზევი (სასახლე, XII-XIIIსს.), მანგლისის ციკლოპური ტიპის მოედანი „გულდამანთ მამიდა“ (უძველესი ხანა და აღრინდელი შუა საუკუნეები), მაწევანი (დარბაზული ეკლესია, კვირაცხოველი, XI-XIIIსს. ლაპიდარული წარწერით); ფარცხისის ციხე (VII-IX სს., განახლებულია XVI ს.), ხულუტი (ციხე-დარბაზი, გვიანი შუა საუკუნეები); გუდარეხის სამონასტრო ანსამბლი: გუდარეხი (დიდი დარბაზული ეკლესია XIII ს.), გუდარეხი (სამრეკლო 1278 წ.), გუდარეხი (ექვსსართულიანი კოშკი XI-XIII სს.); ვაშლოვანის კოშკი საღვინო; სამღერეთი (მონასტერი, XIIIს.); პირღებული (სამონასტრო კომპლექსი 1222-1245 წწ.); ანდრეას ნასახლარი ორი ეკლესიით, ღოუბნის ორმოცმოწამის ეკლესია, ჩხიკვთას სამების და წმ. გიორგის ეკლესიები (Xს), ჭიკვაძე - მენჰირი, ეკლესია წყნარი.¹

აღნიშნულს, ტურისტული მიმზიდველობის თვალსაზრისით, ალბათ, ისიც უნდა დავეუბნოთ, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი სპექტრით არის წარმოდგენილი გერმანული მემკვიდრეობა.

ნაშრომის ფარგლებში შევჩერდებით ეროვნული პარკის მთავარი შესასვლელთან არსებულ მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარის მნიშვნელობაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქედანვე იწყება ტურისტული ბილიკი „სამეფო ქედი“, მარშრუტი დაბა მანგლისიდან საპიკნიკე ადგილის მიმართულებით, მართალხევის გავლით სოფ. დიდ ნამტვრიანამდე მიდის და სამეფო ქედით უკან მანგლისში ბრუნდება, ბილიკზე არსებული გადმოსახედეებიდან არაჩვეულებრივად მოჩანს ალგეთის ეროვნული პარკის ხეობა.²

მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერა იყო. არსებობს გარკვეული გადმოცემა, რომ ჯერ კიდევ საქართველოს გაქრისტიანებამდე საქართველოში მოსულმა მოციქულებმა მრავალი ტაძარი დააარსეს, სავარაუდოდ დღევანდელი ეკლესიის ადგილას აქ უკვე I საუკუნეში ამ მოციქულებმა ააგეს ტაძარი, რომელიც ჯვრის სახელზე იყო ნაკურთხი.³

პირველი ეკლესია აქ IV საუკუნეში ააგეს. V საუკუნიდან მანგლისი საეპისკოპოსოს ცენტრია. IV საუკუნის 30-იან წლებში აქ უკვე იდგა ქვის ეკლესია, რომლის ნაცვლად V საუკუნის II ნახევარში ახალი ეკლესია ააგეს. XI საუკუნის I მეოთხედში, გიორგი პირველის დროს (1014-1027) იგი საფუძვლიანად გადააკეთეს და გააფართოვეს. XIX საუკუნის 50 წლებში ეკლესია შელესეს, შეათეთრეს და ზოგი უცხო ხასიათის დეტალიც დაუმატეს.

ლეონტი მროველის ცნობით IV საუკუნის პირველ ნახევარში მანგლისი ქალაქად მოიხსენიება და თბილისთან, უჯარმასთან, ბოლნისსა და რუსთავთან ერთად ქართლის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა.⁴

“მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით, როცა მეფე მირიანმა ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინეს გაქრისტიანებისა და საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების შესახებ ამცნო, გახარებულმა იმპერატორმა მცხეთაში, იმდროინდელ საქართველოს დედაქალაქში წმინდა რელიკვიები და დიდძალი განძი გამოგზავნა. იმ დროს მანგლისში საქარავნო გზები გადიოდა. მოგზაურები, მიუხედავად იმპერატორის ბრძანებისა, მანგლისში თვითნებურად ტოვებდნენ სიწმინდეებს - უფლის სამსჭვალ ლურსმანს, რომლითაც ქრისტე ჯვარზე მიაღურსმეს და ფეხთა ფიცარს. ამის საწინდარი კი ის იყო, რომ მათ ამ ადგილებზე IV საუკუნეში ეკლესია და ქრისტიანული თემი უკვე დახვდათ.⁵

ამ მცირე ისტორიიდანაც ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება პილიგრიმებისათვის ასეთი ადგილის მოლოცვა.

¹ <http://saunje.ge/index.php?id=306>

² <http://apa.gov.ge>

³ <http://www.ambioni.ge/manglisis-rvtismsoblis-mizinebis-sakatedro-tazari>

⁴ <http://www.dzeglebi.ge>

⁵ <http://www.ambioni.ge>

მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ალგეთის ეროვნულ პარკში იზრდება ვიზიტორთა რაოდენობა. ეროვნულ პარკს ეკოტურიზმის (სალაშქრო, საცხენოსნო, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვების, ეკოლოგიური და ბოტანიკური ტურები) განვითარების საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. შესაძლებელია ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართვა ეკოტურისტულ საქმიანობასა და სხვადასხვა სოციალურ პროექტებში, როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება გიდის სერვისის უზრუნველსაყოფად, საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარება და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა.¹ 2014 წლის მონაცემებით, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო 13 ადამიანი. პარკის შენახვის ხარჯები 92,4 ათასი ლარია, მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯია 81,5 ათასი ლარი², რაც 88,2%-ს შეადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს განვითარებად ქვეყანაში დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტები იზრდება ისეთი ტემპებით, რაც სარკისებურად ასახავს საერთო ზრდას ტურიზმსა და მოგზაურობაში - ხშირ შემთხვევაში - 4%-ზე მეტად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსერვაციისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებით სხვა არასამომხმარებლო გამოყენების ეკოსისტემებისგან, ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის აწარმოებს ხელშეშასებ ფინანსური ნაკადებს, რომელიც შეიძლება, სათანადოდ განვითარების შემთხვევაში, პირდაპირ სარგებლად იქცეს ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებებისთვის. ტურიზმის ხშირად ძლიერი სტიმულს აძლევს ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ტერიტორიების დაცვას და ასეთი ადგილებისა ფორმალურმა მონიშვნამ შეიძლება გაზარდოს მათი პროფილი და გავლენა ტურისტულ ვიზიტებზე³.

რა თქმა უნდა, ვიზიტორთა მხოლოდ გაზრდილი რაოდენობა არ არის იმის გარანტია, რომ ტურიზმის შემოსავლები რენვესტირდება კონსერვაციის მიზნით, და ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაცული ტერიტორიები პირველ რიგში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით იქმნება. თუმცა, მრავალი კვლევისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით დასტურდება, რომ მათ უამრავი სარგებლის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისთვის... ეს სარგებელი მოიცავს შემოსავლებს რეკრეციული და ტურისტული საქმიანობიდან, უკუგებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციიდან, უზრუნველყოფს სასმელი წყლისა და საკვების მიწოდებას, ამცირებს სიღარიბეს, ბუნებრივი კატასტროფების რისკს, ზრდის კულტურულ და სულიერი სარგებელს და ადამიანთ ჯანმრთელობას⁴.

ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებები შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ხელშეწყობით, რომელიც მოიცავს: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციას, მათ დაცვასა და მოვლას (საქართველოს კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით); სათანადო ხარისხისა და რაოდენობის, სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, კემპინგის პუნქტების, განათების სისტემების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიების მოწყობის წახალისება-ხელშეწყობას ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო; ნამდვილი სოფლის სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაქცევის ხელშეწყობას მცირე და მოშორებულ მთიან რეგიონებში, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებასთან ერთად; მონადირეებისა და მეთევზეებისთვის ქოხების, რეკრეაციული პავილიონებისა და თავლების აშენების ხელშეწყობას; ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი ადგილობრივი გზებისა და ინფრას-

¹ ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ. 28-29.

² საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა - 2014, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2015, გვ 40

³ A Global Perspective on Trends in Nature-Based Tourism Andrew Balmford, James Beresford, Jonathan Green, Robin Naidoo², Matt Walpole³, Andrea Manica¹, <http://journals.plos.org/plosbiology/article/asset?id=10.1371%2Fjournal.pbio.1000144.PDF>, გვ.7.

⁴ Protected Planet Report 2014, Tracking progress towards global targets for protected areas, 2014 United Nations Environment Programme, UNEP World Conservation Monitoring Centre (UNEP-WCMC) http://wdpa.s3.amazonaws.com/WPC2014/protected_planet_report.pdf, გვ. 60.

ტრუქტურის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობას; მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; ქალაქებში, სოფლებში გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აბრების დამონტაჟებას ქართულ და ინგლისურ ენებზე; მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დაფების მოწყობას, რათა ტურისტებს გაუადვილდეთ გადაადგილება რეგიონის ტერიტორიაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, კარგად დაგეგმილმა ტურებმა, ბუნებასთან სიახლოვისა და სასწავლო, რეკრეაციული, კულტურული ინტერესების გაერთიანების გათვალისწინებით, რომელსაც თან დაერთვება სათანადო აქტიური საინფორმაციო კამპანია, შესაძლებელია, ალგეთის ეროვნული პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია უფრო აქტიურ ტურისტულ დესტინაციად აქციოს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას, ისე პარკის შენახვის სახელმწიფო ხარჯების შემცირებას. ვფიქრობთ, ვიზიტორთათვის იგი უდავოდ უდიდესი კულტურული, სულიერი ზრდისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის კერაა.

Tamar Papachashvili

Algeti Protected Area on the Intersection of Eco and Religious Tourism

Resume

The work deals with the role of protected areas in the development of tourism industry. The case of the National Park of Georgia "Algeti" is considered in the paper. For visitors the park and the nearby areas are undoubtedly a great center from the point of cultural and spiritual growth and health promotion. Protected area "Algeti" is rich with landscape and biodiversity area and has unique opportunities for eco-tourism development. Adjacent territories of "Algeti" are distinguished by abundance of the temples and other cultural monuments of different kinds, which create unique possibilities of development of religious tourism.

It is highlighted that well-planned tours, including various factors such as learning, scientific goals, closeness to nature, recreational and cultural interests, accompanied with the proper information campaign, - could turn National Park "Algeti" and its surrounding area into active tourist destination. That will help the local population to receive revenues from tourism, as well as decrease the costs for maintenance of the park. The issues are discussed in the context of harmonious coexistence of human and nature.

**მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმათა თანამედროვე
საქართველოში**

*ლუზა - ესაა ზომადის იმედი ზღვაზე;
რწმენა - ესაა ლუზა ადამიანისათვის მიწაზე¹.*

მეცნიერები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რელიგიის ფაქტორს ეკონომიკური პრობლემატიკის კვლევისას. უკანასკნელმა გლობალურმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა მეცნიერები, რომ ეკონომიკური მოვლენებისა და მათი განვითარების ახსნა მხოლოდ მათემატიკური მოდელების ფარგლებში შეუძლებელია და ზოგჯერ ფრიად უსარგებლოც. ქვეყანათა განხილვის გაზრდამ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული და შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულებების გაღრმავებამ კიდევ უფრო გაართულა ეკონომიკური პროგნოზირების მართებულობა. თუმცა, ამასთან, გაააქტიურა ერების კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი ფუნდამენტური საკითხების კვლევა და ამ კონტექსტით ცივილიზაციური ფენების ძიება. თითქოს ნათელი ხდება, მანამდე ისედაც არსებული ინტუიციური მიგნებები, რომ მხოლოდ წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის ტრადიციული გაგება, რასაც ეკონომიკური თეორიის მენისტრიმი ეყრდნობა, არასაკმარისია ერის ადგილისა და როლის განსაზღვრისთვის გლობალიზებულ მსოფლიოში.

გზა, რომლითაც რელიგია უკავშირდება საზოგადოებას, ეკონომიკური მოვლენების მენისტრიმისგან განსხვავებული მიდგომით ახსნის მცდელობაა. რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის საკითხის კვლევისას მეცნიერთა უმრავლესობა მაქს ვებერის ფუნდამენტურ ნაშრომს „პროტესტანტული ეთიკის და კაპიტალიზმის სულისკვეთება“² უთითებს. თუმცა, არის მცდელობა, კლასიკოს ეკონომისტებთანაც მოძნებონ საკითხის კვლევის ასეთი გადაკვეთა (მაგ., იხ. ლ. იანაკონის ნაშრომი³). ეკონომიკური მოდელების წარუმატებლობამ ბევრი ეკონომისტს უბიძგა, უფრო მეტი ყურადღება გამახვილებინა ეკონომიკური განვითარების არატრადიციული მეთოდებით ახსნაზე. მაგალითად, არსებული მოდელები ეკონომიკური ზრდის ახსნისას რაიმე კუთხით აშუქებენ ზრდის მიზეზებს (დაგროვილი ფიზიკური თუ ფულადი კაპიტალი, ადამიანური რესურსები, ტექნოლოგიური ცვლილებები და სხვ.), თუმცა, თითქოს კიდევ არსებობს „რადაც სხვა“, რაც უფრო მეტად განსაზღვრავს გასაოცარ ეკონომიკურ ზრდას ბოლო ორ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

XX საუკუნეში ეკონომისტები ძირითადად იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ინსტიტუტები, საუკეთესო შემთხვევაში, ეკონომიკური საქმიანობის პერიფერიაზე იყო, თუმცა, მოგვიანებით ეკონომიკურ განვითარებაში მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უამრავი ნაშრომი შეიქმნა, სადაც რელიგიის, როგორც არაფორმალური ინსტიტუტის მნიშვნელობაზე გამახვილდა ყურადღება. ამ თვალსაზრისით უდიდესი როლი აქვს ინსტიტუციონალურ სკოლას (ფუქემდებლის, დუგლას ნორთის ნაშრომებს), მისი ახალი მიმდინარეობების ჩათვლით, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ინსტიტუტების, მათ შორის არაფორმალური ინსტიტუტების, როლსა და ინდივიდების ღირებულებებზე. მაგალითად, ერთ-ერთ ნაშრომში ნორთი მიუთითებს, რომ „ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით რწმენის სისტემების ევოლუციისა და შესაბამისი არაფორმალური შეზღუდვების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რელიგიები ნამდვილად იყო რწმენა-სისტემების ძირითადი კომპონენტი“⁴. ნორთის გავლენით ბევრმა ეკონომისტმა შეცვალა კვლევის ორიენტირი

¹ რწმენა, რელიგია, ქრისტიანობა, წიგნში „სულიერი მღელო“, საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრი, გვ. 91.
² Max Weber, *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, First published 1930 by Allen and Unwin; Taylor & Francis e-Library, 2005; ქართულ ენაზე ნათარგმნია მაქს ვებერის „ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ“ (მთარგმნელები: ნინო ფირცხალავა და ემზარ ჯგერენია), რომელიც ასევე საინტერესოა რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესწავლისთვის.
³ Introduction to the Economics of Religion, LAURENCE R. IANNACCONE, *Journal of Economic Literature* Vol. XXXVI (September 1998), გვ. 1465–1496
⁴ THE NEW INSTITUTIONAL ECONOMICS AND DEVELOPMENT by Douglass C. North, Washington Univesity, St. Louis <http://www2.econ.iastate.edu/tesfatsi/NewInstE.North.pdf>, გვ. 8

და აქცენტი მატერიალური სფეროდან ინსტიტუტებზე გადაიტანა. დღესაც დიდ ინტერესს იწვევს „თამაშის წესები“, რაც განისაზღვრება ფორმალური და არაფორმალური ნორმებით, იძულებითი მექანიზმებით და აყალიბებს სტიმულებს, რაზეც ადამიანები რეაგირებენ. ამ კუთხით „ეკონომიკური წარმატების“ მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიება რეალობასთან უფრო გვაახლოებს.

ჩვენ ხელთ არსებული ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, რომ რელიგიური აღმსარებლობის გავლენას „ეკონომიკურ წარმატებაზე“ მრავალი ნაშრომი ეძღვნება, თუმცა, ცალსახად გამოკვეთილი მიზეზშედეგობრივი კავშირი ამა თუ იმ კონფესიასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამატებით დასაბუთებას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ უარყოფითი კავშირია გარკვეულ რელიგიურ რწმენასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის განხილვისას ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების საკითხი მკვეთრ გამოიჯვანას მოითხოვს. მეტად საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ნობელის პრემიის ლაურეატი ამარტია სენი რელიგიური მიკუთვნების არაერთგვაროვნების შესახებ და მიიჩნევს, რომ თუ ადამიანი ამა თუ იმ რელიგიას აკუთვნებს თავს, არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა იდენტობები აღარ აქვს. იგი ამ თვალთახედვიდან აკრიტიკებს სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ ფართოდ ცნობილ თეორიას. არსებითად მეცნიერი მიიჩნევს, რომ „დიდია განსხვავება ერთი რელიგიის სხვადასხვა პიროვნების სოციალურ ქცევებშიც, თუნდაც ეს ქცევები რელიგიასთან მჭიდრო კავშირში იყოს“.¹

მართლმადიდებლური აღმსარებლობის პოზიციიდან ეკონომიკური საკითხების განხილვას არაერთი ქართველი მეცნიერის კვლევა მიეძღვნა. აღსანიშნავია პროფესორების: ი. გაგნიძის, პ. კოლუაშვილის, გ. შიხაშვილის, ნ. ჩიხლაძის, გ. თოდუას და ა.შ. შრომები. ზოგადად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში ჩატარებული კონფერენციები „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ფართოდ აშუქებს ეკონომიკისა და ბიზნესის თემატიკას თეოლოგიურ-ეკონომიკური თანაკვეთიდან.

ვიზიარებთ რა მოსაზრებას, რომ რელიგიური რწმენა აქსიომატური ღირებულებაა ადამიანისთვის და განსაზღვრავს მის ქცევას, მოცემული ნაშრომის ფარგლებში მიზნად დავისახეთ თანამედროვე საქართველოში მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმების² წარმოჩენა. შესაძლებელია ყველა მათგანი, ვინც თავს ამა თუ იმ აღმსარებლობას აკუთვნებს, სოციალური ქცევით განსხვავდებოდეს (როგორც ა. სენი მიიჩნევს). თუმცა, რაიმე მოცემულ ეტაპზე თუ პიროვნება ამა თუ იმ კონფესიას აკუთვნებს თავს და კონკრეტულ დამოკიდებულებას აფიქსირებს ამა თუ იმ მოვლენისა ან ქცევისადმი, ჩვენი აზრით, საზოგადოების ამ ნაწილის ღირებულებითი პორტრეტის გარკვეულ დახასიათებას იძლევა. სწორედ ამ ჩარჩოთი შემოვიფარგლებით. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევის თეორიული მიდგომის საფუძველად ღირებულების ზოგად თეორიას მივიჩნევთ. იგი მიდგომებს მოიცავს იმის შესახებ, თუ როგორ, რატომ და რა ხარისხით აფასებენ ადამიანები ნებისმიერ რაიმეს. ძიების ეს პროცესი ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიიდან დაიწყო და მას აქსიოლოგიას ან ეთიკას უწოდებდნენ. თუ ადრეული ხანის ფილოსოფოსები ცდილობდნენ ამ მიდგომით კარგისა და ბოროტის გამიჯვნას, დღეს ღირებულების თეორია უფრო

¹ სენი ა., იდენტობა და ძალადობა, ბედისწერის ილუზია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, გვ. 70.

² **პარადიგმა** - იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა (უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში); აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შეგნითაც მეცნიერები ოპერირებენ; კულტურის, ცივილიზაციის, მეცნიერების განვითარების გარკვეული ეტაპისთვის დამახასიათებელი ძირითადი, კონცეპტუალური შეხედულებების სისტემა, - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5646>;

პარადიგმა გვევლინება როგორც წესი, კანონი, რომლის მიხედვითაც ეწყობა გარემო, რომლის მიხედვითაც ჩვენს გარემოში რაღაცა ხდება. ასეთი განმარტებით - პარადიგმები არიან სამყაროს კანონები, მითები, ყველაფერი ის, რაც შემთხვევის განხორციელების წესს განსაზღვრავს. პარადიგმა - პარა - გვერდით, დეიგმა - სანახაობა, ბაზრობა, არის ის, რაც სანახაობის, ხილულის გვერდით დგას და გვიხსნის მას. ანუ, აპირობებს მის ასეთად და არა სხვაგვარად აღქმას. ამ შემთხვევაში პარადიგმა მსოფლმხედველობრივი ფენომენია, ის, რაც არის მსოფლმხედველობის, ანუ, სამყაროში შემომხედვრების გარკვეული ინტერპრეტაციის საფუძველი, Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6412>;

პარადიგმა - მაგალითი, ნიმუში, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=29675>

ფართო სპექტრს მოიცავს და მეცნიერული კვლევებით ცდილობს, აღწეროს, ადამიანები რას და რატომ აფასებენ ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ეკონომიკური კონტექსტით. საკითხის დასმა ეკონომიკური აქსიოლოგიის¹ კუთხით სასარგებლოდ მიგვაჩნია საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის შეფასებისა და სამომავლო ღონისძიებების დასახვისათვის. რა თქმა უნდა, არ გვაქვს საკითხის ამოწურვის პრეტენზია. ზოგიერთი ეკონომიკური ღირებულებებისადმი ქართული საზოგადოების მიმართებით შემოვიფარგლებით. ამ უკანასკნელთა იდენტიფიცირებისათვის კვლევის ბაზად ძირითადად ავიღეთ მსოფლიო ღირებულებების კვლევები.²

სავარაუდოა, რომ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 83,4 % ქრისტიანული მრწამსისაა, მართლმადიდებლურ ღირებულებებს უდიდესი გავლენა უნდა ჰქონდეს ეკონომიკურ განვითარებზე. თუ ისტორიულ კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში დალექილი ეს ღირებულებები არის ის ფასეულობითი ფაქტორი, რომელიც მომავალშიც დიდ ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ღირებულებებზე. მოვიტანთ რამდენიმე ვრცელ ციტატას ეპისტოლეებიდან:

„შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრების წესი მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და იგი ვაქციოთ მისაბადად, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვანწილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამის დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიის და სხვათა მაგალითი. ვფიქრობთ, ჩვენთვის ბევრის სწავლა შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში მიღწია დიდი წინსვლისათვის და ამასთან აქვს შენახული ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო“;⁴

„უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენთაგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას. ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ. მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულა. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევდეს სოფელსა“ (ინ. 16,33) მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი. უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებ-

¹ აქსიოლოგია ([ბერძნ.](#) ἀξία, ახიამ - ღირებულება, λογία - მოძღვრება, სიტყვა) - ღირებულებათა ბუნების ფილოსოფიური გამოკვლევა. აღმოცენდა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში; ფილოსოფიური მოძღვრება ღირებულებებზე. ღირებულებებში იგულისხმება იდეები, იდეალები, შეხედულებები, პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანთა ცხოვრების წესს... ამრიგად, აქსიოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ მეცნიერებისათვის, რომლებიც ღირებულების ცალკეულ სახეს ბოლოს ეხება. ფილოსოფიური ლექსიკონი, ვ. კე-შელავას რედაქციით, თბ. 1987, გვ. 51; ასევე, იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 39, თბ., 1977.

² The World Values Survey (www.worldvaluessurvey.org) სოციალურ მეცნიერთა გლობალური ქსელია, რომელიც სწავლობს ღირებულებების ცვლილებას და მათ გავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

³ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 83,4 %-ს მართლმადიდებლები შეადგენენ, მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10,7%, ხოლო სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2,9%. (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 28.04.2016, სტატისტიკის ეროვნული სამსახური); 2002 წლის საყოველთაო აღწერით, პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური (აღმსარებლობითი) სტრუქტურა. აღწერის შედეგებით, ქვეყნის მოსახლეობის 88,6 % ქრისტიანული მრწამსისაა, მათ შორის, 3 666 233 კაცი, ანუ 83,9 %, მართლმადიდებელია. მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელია 433 784 კაცი, ანუ 9,9 %. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტომი I, გვ. 42, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტომი I სარედაქციო კოლეგია: თეიმურაზ ბერიძე (მთავარი რედაქტორი) იოსებ არჩვაძე ომარ შურღაია, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003).

⁴ ქრისტეს შობა, თბილისი, 2006 წელი, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2(355), 2006.

ბები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, - ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიდრე იხეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, - კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს“;¹

„თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს ...სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ საღიზმითა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „მოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან“. „სასუფეველი ცათა იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“, (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, - ცოდვათა დაძლევის მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას. ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავეით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები. მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ინ. 10,14). როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდეს თავისიანად!“;²

„განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე სულიერს? ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. თავისთავად მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა. ამიტომაც მეცნიერების მონაპოვარი დალოცვილია და უნდა გამოიყენებოდეს პიროვნების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის მხოლოდ და არა მის დასათრგუნად. თანამედროვე პირობებში, როცა ფერისცვალება ხდება სოციალურ-ეთიკურ სფეროში, როცა მიმდინარეობს დეველვაციის რთული პროცესი, როცა ტრადიციული ღირებულების ნაცვლად იბადება ახალი მეცნიერულ-ტექნიკური სიახლენი, მთავარი-ა, არ დაგვარგოთ თვითონ პიროვნება, არ დაუკარგოთ მას ის თვისებები, რაც გააჩნია ადამიანს, როგორც ღვთის ხატებას. არადა დღეს საზოგადოების პროგრესზე ხშირად მსჯელობენ თითოეული მოსახლის კეთილდღეობის მიხედვით; სულიერი და ზნეობრივი კულტურის გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები კი ხშირად მეორე პლანზე რჩება. თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას, ადამიანის „გაადამიანებას“, რომ იგი იყოს არა მარტო მატარებელი სიკეთისა და სილამაზისა, რომლითაც დაგვაჯილდოვა შემოქმედმა, არამედ ამ მარადიულ ღირებულებათა მთესველიც“;³

„არჩევანის თავისუფლებას და პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს. არჩევანის თავისუფლება უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერთი უმთავრესი მაღლია,

¹ საშობაო ეპისტოლე, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა, ქრისტეს შობა, 2007 წელი, თბილისი, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №1(401), 2007, <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2007.htm>

² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, აღდგომა ქრისტესი 2014, 20 აპრილი.

³ საახალწლო ეპისტოლე, 1988 წელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II; ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, ტომი I, თბ., 1997.

მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ფსევდო-ლიბერალების მიერ შემოთავაზებული „თავისუფლებას“ შორის ფუნდამენტური სხვაობაა. ფსევდო-ლიბერალური „არჩევანის თავისუფლება“ ასარჩევ მოცემულობათა თანაბარ ღირებულებებს გულისხმობს და ყველაფერს თანაბრად კარგად მიიჩნევს. ქრისტიანობა (ზოგადად, რელიგიური აზროვნება) კი გვასწავლის, რა არის კარგი და რა - მიუღებელი, რა არის ცოდვა და რა - მადლი, მაგრამ არჩევის უფლებას პიროვნებას უტოვებს. ქრისტიანული პრინციპია: მე პატივს ვცემ შენი არჩევანის უფლებას, მაგრამ არა შენს ნებისმიერ არჩევანს; ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო (I კორ. 10,23). ისედაც ხომ ცხადია, **არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის აკეთებ, თორემ თუ ყველაფერი სულ ერთია, არჩევანსაც აზრი ეკარგება**.¹

ეპისტოლეებიდან მოხმობილი რამდენიმე ციტატაც (რომელსაც აქსიოლოგიურ-თეოლოგიურ-ეკონომიკური ჭრილით კიდევ მრავალი შეიძლება მიემატოს) ცხადყოფს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნათლად მიანიშნებს ეკონომიკური ცხოვრების წესსა და ეკონომიკური წყობაში ფუნდამენტური მართლმადიდებლური ღირებულებების როლზე.

იმის გასარკვევად, თუ როგორია თავად ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ ეკონომიკური ღირებულებისადმი, მივმართოთ ზემოთ ხსენებულ მსოფლიო ღირებულებების კვლევის მონაცემთა ბაზას. შევნიშნავთ, რომ ბოლო გამოკვლევის შედეგებით (2010-2014, მე-6 ტალღის სახელწოდებით), რომლის მონაწილე საქართველოს 1202 მოქალაქეა, 93% თავს მართლმადიდებლურ დენომინაციას მიაკუთვნებს. კვლევის წინა ტალღები მოიცავს 1994-1998 წლებს (მე-4 ტალღა) და 2005-2009 წლებს (მე-5 ტალღა). მე-4 ტალღის კვლევის მიხედვით (2008 რესპონდენტი) 85%, მე-5 ტალღის მიხედვით კი (2998 რესპონდენტი) 92% მიიჩნევს თავს მართლმადიდებელ აღმსარებლად. მონაცემთა ბაზებმა, ზოგიერთ შემთხვევაში, არ მოგვცა შესაძლებლობა, სწორედ ამ ნაწილის დამოკიდებულებები შეგვესწავლა, მაგრამ, იმდენად დიდია ეს წილი, რომ აბსოლუტურ მაჩვენებელს უახლოვდება, ამიტომ მოგვაქვს მონაცემები მთლიანად გამოკითხული მასის მიმართ, რაც ვფიქრობთ, მაინც სწორია, მცირე ცდომილების გამო. ცხრილები კროსტაბულაციით შედგენილია ჩვენ მიერ აღნიშნულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.

მე-6 ტალღის კვლევის მიხედვით, კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია მათ ცხოვრებაში, გამოკითხულ მართლმადიდებელთა პასუხები ასე გადანაწილდა:

ცხრილი 1. რელიგიის მნიშვნელობა ცხოვრებაში საქართველოს მართლმადიდებლებისათვის

შეფასების კრიტერიუმი	კვლევის ტალღა, 2010-2014
ძალიან მნიშვნელოვანი	85,6%
მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი	12,0%
მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო	2,0%
სრულიად უმნიშვნელო	0,4%

როგორც ცხრილიდან 1 ჩანს, საქართველოს მართლმადიდებლები მიიჩნევენ, რომ რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია მათ ცხოვრებაში.

ცხრილი 2 საქართველოს გამოკითხული მოსახლეობისთვის შრომის მნიშვნელობას ასახავს. ცხრილიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა თითქმის სამი მეოთხედისთვის შრომა ძალიან მნიშვნელოვანია და ამასთან, ეს მაჩვენებელი საკამოდ გაზრდილია მეოცე საუკუნის დასასრულის მაჩვენებელთან შედარებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბოლო ტალღის მიხედვით გამოკითხულ მამაკაცთა თითქმის 80% ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს შრომას, ქალთაგან კი - 67,5%.

¹ საშობაო ეპისტოლე, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ქრისტეს შობა, 2013-2014.

ცხრილი 2. შრომის მნიშვნელობა ცხოვრებაში საქართველოს გამოკითხული მოსახლეობისთვის

შეფასების კრიტერიუმი	კვლევის ტალღები		
	1994-1998	2005-2009	2010-2014
ძალიან მნიშვნელოვანი	58%	71%	73%
მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი	22%	18%	16%
მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო	10%	8%	6%
სრულიად უმნიშვნელო	9%	3%	5%

ცხრილი 3 თავისუფალი დროის მნიშვნელობის შეფასებას ასახავს საქართველოს გამოკითხულ მოსახლეობაში. გარკვეულწილად ლოგიკურია თავისუფალი დროის მნიშვნელობის მე-3 ცხრილში მოცემული შეფასება შრომის მნიშვნელობის შეფასების გათვალისწინებით.

ცხრილი 3. თავისუფალი დროის მნიშვნელობა ცხოვრებაში საქართველოს გამოკითხული მოსახლეობისთვის

შეფასების კრიტერიუმი	კვლევის ტალღები		
	1994-1998	2005-2009	2010-2014
ძალიან მნიშვნელოვანი	36%	40%	32%
მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი	45%	43%	41%
მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო	14%	13%	19%
სრულიად უმნიშვნელო	4%	3%	7%

ცხრილში 4 საქართველოს გამოკითხული მოსახლეობის მიერ ბედნიერების შეფასების მაჩვენებლებია მოცემული. არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა თავს არ გრძნობს ბედნიერად. თუ მსოფლიო ბედნიერების კვლევის შედეგებსაც მოვიშველიებთ, რომლის მიხედვით საქართველო 126-ე ადგილზეა 2016 წლის მონაცემებით¹, იგივე დასკვნას გავაკეთებთ. მსოფლიო ბედნიერების კვლევის შედეგების მიხედვით, დანია, შვეიცარია, ისლანდია და ნორვეგია მსოფლიოს უბედნიერესი ქვეყნებია.

ცხრილი 4. საქართველოს გამოკითხული მოსახლეობის ბედნიერების გრძნობა

შეფასების კრიტერიუმი	კვლევის ტალღები		
	1994-1998	2005-2009	2010-2014
ძალიან ბედნიერი	12%	14%	21%
საკმაოდ ბედნიერი	54%	53%	48%
არც ისე ბედნიერი	29%	28%	25%
სრულიად არ ვარ ბედნიერი	5%	4%	5%

რა იწვევს ასეთ გრძნობას, ჩვენი აზრით, ცალკე კვლევის საკითხია. თუმცა, ყურადღებას იქცევს დამოკიდებულება ცვლილებებისადმი, რაც მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთდროულად ნამდვილად უხვად იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და ამასთან, მთლიანად, მსოფლიოში. ამ გრძნობ-

¹ WORLD HAPPINESS REPORT 2016 Edited by John Helliwell, Richard Layard and Jeffrey Sachs, Sustainable Development Solutions Network 314 Low Library 535 W 116th Street New York, NY 10027 USA. ეს კვლევა, რომელიც უკვე მეოთხედ ჩატარდა, ეყრდნობა სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვას მათ მიერ ბედნიერებისა და კეთილდღეობის სუბიექტური აღქმის შესახებ. წელს მკვლევრებმა გამოკითხვაში პირველად ჩართეს კითხვები საზოგადოებრივი უთანასწორობის შედეგების შესახებ. უბედნიერესი ქვეყნების ათეულში შედიან ფინეთი, კანადა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვედეთი. აშშ სიაში მე-13 ადგილს იკავებს.

ბას გარემოებრივი მდგომარეობა რომ არ იწვევს, ჩანს ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემით. მაგალითად, საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს კვლევისას გამოვლინდა, რომ ცვლილებებს ცხოვრების ნორმალურ რიტმად მიიჩნევს გამოკითხულთა 58,7% და 38,8% აღნიშნავს, რომ შეეგუება და ისარგებლებს ამით.¹ მსოფლიო ღირებულებების კვლევის აღნიშნული ბაზის მიხედვით, ასევე, უმრავლესობის დადებითი დამოკიდებულება გამოვლინდა ტექნიკური ცვლილებებისადმი.

ცხრილი 5. საქართველოს გამოკითხული მოსახლეობის დამოკიდებულება ტექნიკის განვითარებისადმი

შეფასების კრიტერიუმი	კვლევის ტალები		
	1994-1998	2005-2009	2010-2014
კარგი	78%	66%	69%
არ აქვს მნიშვნელობა	13%	21%	21%
ცუდი	4%	3%	8%
არ ვიცი	5%	9%	2%

მე-5 ცხრილიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა თითქმის 70% ტექნიკურ ცვლილებებს კარგ შეფასებას აძლევს. მართალია, ეს მაჩვენებელი 13%-ით შემცირებულია ბოლო 15-20 წლის განმავლობაში, მაგრამ სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო განხილავს ცვლილებებისადმი. მომავალი განვითარებისთვის ეს ერთ-ერთ პოზიტიურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ასევე, აღსანიშნავია (პროფ. ნ. სუმბაძის კვლევის მიხედვით), რომ ახალგაზრდა თაობა უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი.²

განვიხილოთ ზოგიერთი ფუნდამენტური ღირებულებისადმი დამოკიდებულება, რომელიც არსებითად ზემოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობასა და წეს-წყობილების ჩამოყალიბებაზე (ბოლო კვლევის ტალების მიხედვით):

კერძო საკუთრება და სახელმწიფო საკუთრება: 1-დან 10-მდე რანგირების საფუძველზე გამოკითხულთა 12% მიიჩნევს (უმაღლესი შეფასებით - 10), რომ უნდა გაიზარდოს კერძო საკუთრება, 6% კი სახელმწიფო საკუთრების ზრდას მიიჩნევს მიზანშეწონილად;

სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, თუ თავად ხალხმა, თავის უზრუნველყოფაზე: მაქსიმალური შეფასებით სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას რესპონდენტთა 38% და კატეგორიულად მხოლოდ 1% აცხადებს, რომ ადამიანებმა თავად უნდა უზრუნველყონ თავიანთი თავი;

კონკურენცია კარგია თუ საზიანო: 40% მიიჩნევს, რომ კონკურენცია კარგია, იგი სტიმულს აძლევს ადამიანებს უფრო ბევრად იმუშაონ და ახალი იდეები განავითარონ. მხოლოდ რესპონდენტთა 1,3% მიიჩნევს რომ კონკურენცია ნამდვილად საზიანოა და ის ხალხის უარყოფით მხარეებს ააშკარავებს.

დემოკრატიის მნიშვნელობა: აბსოლუტურად მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 54,1% და მხოლოდ 1,6%-ს მიაჩნია არც ისე მნიშვნელოვნად. ამასთან, მხოლოდ 1% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში აბსოლუტური დემოკრატიაა, 23% საშუალო მნიშვნელობას ანიჭებს.

მოცემული ნაშრომის შეზღუდული ფორმატი არ გვაძლევს შესაძლებლობას, სრულყოფილად წარმოვაჩინოთ კვლევის შედეგები, თუმცა, ვფიქრობთ, განხილული საკითხები მნიშვნელოვანია, შევაფასოთ, რა ღირებულებების მატარებელი ვართ, რა როლს ასრულებენ ისინი იმ მდგომარეობაში, რაშიც ვიმყოფებით და რა შეიძლება გაუმჯობესდეს. მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმების გამოკვეთა, თეოლოგიურ-აქსიოლოგიურ-ეკონომიკური ჭრილით, მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

¹ ჯამაგიძე ლ., პაპაიაშვილი ნ., შაბურიშვილი შ., სიხარულიძე დ. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში, თბ., 2011, გვ. 152.

² სუმბაძე ნ. თაობები და ღირებულებები, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბ., 2012, გვ. 59.

Orthodox-Economic Paradigms of Modern Georgia

Resume

The paper is devoted to the study of Orthodox-Economic paradigms in modern Georgia. The theoretical background is axiological approach. The author believes, that economic values are very important indicator to evaluate modern and future development state of the country, as 83,4% of country's population is orthodox. On the basis of WVS (sixth wave) some of the fundamental values of Georgian society, such as - private property and state property; government responsibility; competition; democratic values etc. - which influence the economic activity and economic performance, are identified.

საზოგადოება და ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობები მოსეს კანონმდებლობის მიხედვით

„ადამიანი ბუნებით სახელმწიფოებრივი არსებაა“ - არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამის მიხედვით. შესაბამისად, იდეა სახელმწიფოს შექმნისა, დევს თავად ადამიანის არსებაში. მიუხედავად ადამიანის ბუნებითი სიასლოვისა სახელმწიფოებრივი იდეისადმი, ფილოსოფოსებისა და მეცნიერებისათვის დღემდე მინც გადაუჭრელ საკითხად რჩება პირველი სახელმწიფოს დაფუძნების პირველმიზეზის დადგენა.

ჟან-ჟაკ რუსოს¹ შეხედულებით, სახელმწიფო თავის არსებობის საფუძველში ემყარება, ეგრეთწოდებულ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“, იმ ხელშეკრულებას რითაც მყარდება ურთიერთობა მმართველ პირსა და მართულ პიროვნებებს შორის, განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობები და მთელი წყობა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

სრულიად განსხვავებული საწყისი ძეგს „მოსეს სახელმწიფოს“ შექმნის საფუძველში. „რჩეული ერის“ განსაკუთრებულობის მიზეზი იმდაგვარი საწყისის არსებობაა, რომლითაც „ებრაელმა ერმა“ შესაბამისი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ისტორიაში.

ებრაელმა ხალხმა დაიწყო თავის ეროვნული ყოფიერება მოსეს გავლენით და ხელმძღვანელობით. ებრაელი ხალხი გარდაიქმნა მოხეტიალე ხალხისგან სახელმწიფოებრივ ერად, ამიტომ მათი სახელმწიფოს დასაწყისი შეიძლება ითქვას „მოსესმიერა“. ესაა უშუალოდ შემოქმედის დახმარებით შემდგარი რჩეული საზოგადოება, სადაც წარმოჩენილია მისადმი (უფლისადმი) მორჩილება.

ძველი აღთქმის პერიოდის მსოფლიოში, ებრაელი ერი ერთადერთია, რომელიც უფალმა გამოირჩია „რჩეულ ერად“, რათა მასში დავანებულიყო „ღვთის სიტყვა“ და შემდეგ გავრცელებულიყო მთელ კაცობრიობაზე.

ამ მიზნის შესასრულებლად, ებრაელ ხალხთან უფალმა გააფორმა შეთანხმება, იგივე „აღთქმა“, რის მიხედვითაც საზოგადოებას უმაღლესი სასულიერო თუ საერო ხელისუფლება მიეცემოდა უფლის მიერ, რის შემდეგაც „ხელისუფალი“ ერისა ხდებოდა ქვეყნის ხელმძღვანელი. როცა, ეგვიპტიდან დევნილი ებრაელები იმყოფებოდნენ მთის პირას (სინას მთა) დაილო შეთანხმება, რომლის შინაარსიც შესაბამისად აისახა ბიბლიაში. (გამ. 19: 3-6)².

უფალთან ამ კავშირის შენახვის შემდეგ, შესაბამისად ერს უნდა ჰქონოდა მოლოდინი განსაკუთრებული წყალობისა (თანადგომისა). ამ ხელშეკრულების, „საზეიმო შეთანხმების“, არსი წარმოადგენს „მოსეს სახელმწიფოს“ დაფუძნების საფუძველს. „აღთქმის“ არსი მდგომარეობდა შემდეგში: თუ ებრაელები ნებაყოფლობით აღიარებდნენ უფალს თავიანთ ღმერთად და მეუფედ, შეინახავდნენ მის აღთქმას და აღასრულებდნენ კანონებს, მიიღებდნენ უფალს როგორც ერთ ჭეშმარიტ ღმერთს და თავყანს სცემდნენ მას, სხვა ერების კერპსახურების საწინააღმდეგოდ, ასეთ შემთხვევაში შემოქმედი, მიიღებს ებრაელ ერს თავისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ, რადგან იგია მთელი ქვეყნის მფლობელი და მთელი ერების მეუფე.

შემოქმედისა და „რჩეული ერის“ ამდაგვარი ურთიერთობა არის „თეოკრატიული“³, რომელიც განსხვავებულ ფორმას წარმოადგენდა იმდროისათვის არსებულ სახელმწიფო წყობათა შორის.

¹ჟან-ჟაკ რუსო - დაიბადა 1712 წელს ჟენევაში, ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი, რომლის ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საფრანგეთის რევოლუციაში. გარდაიცვალა 1778 წელს პარიზში.

²„და ავიდა მოსე ღმერთთან, და მოუხმო მას უფალმა მთიდან: „ასე უთხარი იაკობის სახლს და აუწყე ისრაელის ძეთ: თქვენ დაინახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს, როცა ავწიეთ არწივების ფრთებზე და მოგიყვანეთ ჩემთან. და ახლა, თუ მოუსმენთ ჩემს ხმას და დაცავთ ჩემს აღთქმას, ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა“.

³„თეოკრატია“ იოსებ ფლავიუსის მიერ შექმნილი ტერმინია, ანუ „ღმრთის მმართველობა“ აღნიშნავს სახელმწიფო მმართველობის ისეთ ფორმას, რომელშიც საერო და რელიგიური ატრიბუტიკა ძალიან მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული.

უფალს მთელი ერის საზოგადო და კერძო ცხოვრებაში უნდა შეეღწია, როგორც მეფეს და კანონმდებელს, იმდენად რამდენადაც ხელშეკრულების მიხედვით ერს (ხალხს) უნდა მოესმინა უფლისათვის, როგორც მეფისთვის, კანონმდებლისთვის და ასევე დამორჩილებოდა (გამ. 33:22)¹. უფალს ებრაელი ერი უნდა დამორჩილებოდა ისე, როგორც ომში ემორჩილებიან მეომრები წინამძღოლს (რიცხ. 10:35)².

ამრიგად, შესაძლებელია თეოკრატია გავიგოთ არა როგორც სახელმწიფოებრივი ფორმა, არამედ იგი მოვიაზროთ როგორც პრინციპი, რომელიც იძლევა ქვეყნის სულიერი განვითარების საშუალებას, ნებისმიერ ისტორიულ დროში, სახელმწიფოებრივ ფორმაციასა თუ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის განვითარების მიზნით, განვიხილავთ „მოსეს სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების საწყის პრინციპებს და წარმოვაჩინოთ „თეოკრატული“ ურთიერთობათა მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეკონომიკურ-ფინანსურ ურთიერთობებში.

ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლად მოსემ თავის სახელმწიფოში დადო **მიწათმოქმედება**. ასეთი არჩევანი, როგორც ჩანს მოსეს შეხედულებიდან გამომდინარე, მართებული იყო, რადგან მოსეს წინასწარმეტყველის დროს ამდაგვარი საქმიანობა ებრაელებისათვის უცხო იყო და ცოტა რამ იცოდნენ მიწათმოქმედების შესახებ. თუმცადა მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებულნი პირველი ადამიანები: ადამი, კაენი და ნოე. მომდევნო პატრიარქალურ პერიოდში კი ებრაელთათვის უპირატეს საქმიანობად მესაქონლეობა (მეცხოველეობა) იყო მიჩნეული, რაც კიდევ ერთხელ სჩანს აბრაამის ისტორიიდანაც. ბიბლიის ტექსტის თანახმად ისააკი და იაკობი მისდევდნენ მიწათმოქმედებას, (შეს. 26:12)³, მაგრამ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა. ასე რომ ეგვიპტეში გადასახლების მიუხედავად, ისინი ინარჩუნებენ ძირითად საქმიანობასთან კავშირს. მესაქონლეობა რჩებოდა ძირითად საქმიანობად ეგვიპტეში, რაც ჩანს იქიდან, რომ ფარაონისაგან ითხოვენ დასახლებას ისეთ მიწიზე (გამ. 8:22)⁴, სადაც არსებობდა შესაბამისი პირობები მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ამრიგად, აზრი სახელმწიფოში მიწადმოქმედების განვითარებისა ეკუთვნის მოსეს. ამდაგვარი აზროვნების გაღვივებაზე იმოქმედა ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. პალესტინა ძველ დროში გამოირჩეოდა ნაყოფიერი მიწების სიმრავლით, ამიტომ მოსე იქ მცხოვრებლებს მოუწოდებდა მიწის გამოყენებას. მიწა ასევე საჭიროა მეცხოველეობის განვითარებისათვისაც, თუმცა მეცხოველეობისათვის აუცილებელია დიდი ტერიტორია მიწისა, პალესტინა კი, რომელიც განკუთვნილი იყო ებრაელი ხალხის საცხოვრებლად, ვერ უზრუნველყოფდა მეცხოველეობის განვითარებას. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით შეუძლებელი იქნებოდა არსებული ტერიტორიის რენტაბელური გამოყენება, ამიტომ აუცილებელი იყო მიწათმოქმედების განვითარება. მოსე წინასწარმეტყველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ სახელმწიფო აშენებულიყო და ეკონომიკურ თვალსაზრისით განვითარებულიყო მიწათმოქმედებაზე დაყრდნობით. ამიტომ, ებრაელ ხალხს თავიანთი ყოფითი ცხოვრება, რომელიც დამყარებული იყო მესაქონლეობაზე, უნდა შეეცვალა ახალი ცხოვრების წესით - მიწათმოქმედებითი ცხოვრებით, რომელიც უფრო მეტად განვითარებდა ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით.

თავად მიწადმოქმედება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ემსახუროს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, როცა იგი დაფუძნებულია ეკონომიკურ სამართლიანობაზე, როცა სახელმწიფოს თითოეულ წევრს გადაცემული აქვს მიწის საკუთრება და კერძო საკუთრების უფლება სრულადაა დაცული.

ძველმა სახელმწიფოებმა არ იცოდნენ ასეთი სამართლებრივი ნორმები: მიწებს ფლობდნენ მხოლოდ პრივილეგირებული კასტები, დანარჩენ ნაწილს არ ჰქონდა მიწა და ეკონომიკურად მონურ დამოკიდებულებაში შედიოდნენ პირველებთან, მათ მიწებს ამუშავებდნენ და იღებდნენ არასრულ ნაწილს გაწეული სამუშაოში, ხოლო ის, რასაც აძლევდნენ დაქირავებული კასტები, საკმარისი იყო მხოლოდ არსებობისათვის.

¹ „და, როცა ჩაივლის ჩემი დიდება, კლდის ნაპრაღში ჩაგაყენებ და დაგფარავ ჩემი ხელით, ვიდრე ჩავივლიდე“.

² „და როდესაც დაიძრებოდა კილობანი, ამბობდა მოსე: „აღდექ, უფალო, და განიბნენ შენი მტერი და გაიქცნენ შენი მოძულენი შენი პირისგან.“

³ „და დათესა ისააკამ ამ მიწაზე და ასმაგად მიიღო მოსავალი იმავე წელიწადს, რადგან აკურთხა იგი უფალმა“.

⁴ „და საკვირველ-ვყო ქვეყანა იგი გესემი მას დღეთა შინა, რომელსა-იგი ერი ჩემი დაშენებულ არს მუნ“.

აქედან გამომდინარეობდა მდიდრების და ღარიბების ფენის გაჩენა საზოგადოებაში. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, მიუხედავად მათი ეკონომიკური განვითარებისა, გვხვდება ორი პოლარიზირებული საზოგადოებრივი ფენა მდიდრებისა და ღარიბებისა. მოსეს მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში არ არის ასეთი მკვეთრი საზოგადოებრივი უთანასწორობა.

მოსე წინასწარმეტყველმა მიწათმოქმედებაზე სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების დაფუძნებით და შესაბამისი წესების დარეგულირებით, საზოგადოების ყველა წევრისათვის გათანაბრებული ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობა ჩამოაყალიბა. რადგან ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გაფორმდა უფალსა და ებრაელ ხალხს შორის, აღთქმული მიწა იქნებოდა საზოგადოების ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ახალ საზოგადოებაში არ იქნებოდა საზოგადოების წევრთაგან სახელმწიფოებრივი საკუთრების მითვისება ან უკანონო უპირატესობების მოპოვება და ძალდატანებითი მორჩილების ქვეშ ადამიანების ჩაყენება ექსპლუატაციის მიზნით. თეოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა გაანაწილა უფლება-მოვალეობები თანასწორად.

მიწის სამართლიანად გაყოფას წინ უსწრებდა საზოგადოების აღწერა, რის შედეგადაც არჩეულ იქნა კოლექტიური ერთეულები: გვარისა და ტომის მიხედვით (რიცხ. 26:53)¹. მაგრამ აღთქმული მიწის გაყოფა მიმდინარეობდა საგვარეულოს და ტომის სიდიდის მიხედვით, მრავალრიცხოვანი ტომი იღებდა მიწას მეტი რაოდენობით, ხოლო მცირერიცხოვანი ტომი შესაბამისად პატარა ტერიტორიას (რიცხ. 26:54)². ასე, რომ საბოლოოდ მიწა ნაწილდებოდა სამართლიანობის პრინციპით საზოგადოების თითოეული წევრისთვის. ამდაგვარი წესით თითოეული ებრაელი იყო მეპატრონე წინასწარ განსაზღვრული მიწის ნაკვეთისა და შესაბამისად მიიღებდა შემოსავალს გაწეული შრომის მიხედვით. აუცილებლად უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთის სამართლიანად განაწილება, ამიტომ თუ აღთქმულ მიწაზე შესვლამდე რომელიმე ტომის წევრს ჰქონდა ეკონომიკური კეთილდღეობა, რომელიც გამომდინარეობდა მის ხელთ არსებული მესაქონლეობის მეურნეობით, შესაბამისად მათ მიწის ნაკვეთები მიეცათ იორდანის მეორე მხარეს, რათა არ გაჩენილიყო საზოგადოებაში მდიდართა შეძლებული ფენა. მოსე როგორც კანონმდებელი, მიჯნავს ასეთ წევრებს ძირითადი ხალხისაგან, რათა სახელმწიფოში არ დარღვეულიყო თეოკრატიული პრინციპები.

მიწათმოქმედებისას მიღებული განსხვავებული შედეგების გამო, ზოგიერთს მიეცა საშუალება შეეძინა მიწის დამატებითი ნაწილი, რათა გაეფართოვებინა მიწადმოქმედება, ნაწილი კი ისე გაღარიბდა, რომ ვერ მოახერხა საკუთარი ნაკვეთის მოვლა და იძულებული იყვნენ გაეყიდათ საკუთარი მიწა. აქედან გამომდინარეობდა შემდეგ ის, რომ ერთნი ხდებოდნენ მსხვილი მიწათმოქმედები, ხოლო მეორენი მათზე ეკონომიკურად დამოკიდებული პირები. ასეთია ჩვეულებრივი პრინციპი ეკონომიკური და სოციალური ყოფიერების განვითარებისა.

მოსეს სახელმწიფოში საზოგადოებრივ ფენებში მკვეთრ უთანასწორობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი, თუ დაირღვეოდა ეს თანასწორობის პრინციპი, მაშინ დაირღვეოდა ხელშეკრულება, რომელშიც საზოგადოების თითოეული წევრი თანაბრად მონაწილეობდა. ამიტომ მოსე, როგორც კანონმდებელი, ისე ადგენდა კანონებს, რომ უთანასწორობის განვითარების პროცესი შეფერხებულიყო.

სამართლებრივი პროცესის განვითარება „რჩეულ ერში“ თავის ძალმოსილებას იძენდა, მაშინ თუ მიწა, რომელიც იყო წყარო საზოგადოებრივი განვითარებისა, იქნებოდა კერძო საკუთრებაში. შესაბამისად, მიწის კერძო საკუთრების უფლება ითვალისწინებდა მიწის გაყიდვასაც.

შემოქმედი იყო მესაკუთრე (მეპატრონე) მიწისა, ხოლო ებრაელი მხოლოდ დროებით ამ მიწაზე მცხოვრები (ლევ. 25:23)³. კანონის თანახმად ებრაელ ადამიანს შეეძლო გაეყიდა მიწის ნაკვეთი მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, სადღესასწაულო წელს (რომელიც დადგენილი იყო ყოველ 50-ე წლის შემდეგ), გაყიდული მიწა კვლავ დაუბრუნდებოდა თავდაპირველ მეპატრონეს და ამით აღსდგებოდა თანას-

¹ „მათ სამკვიდრებლად უნდა დანაწილდეს ეს ქვეყანა სახელთა რიცხვის მიხედვით“.

² „მრავალრიცხოვანთათვის გაზარდე მათი მიწის სამკვიდრებელი, ხოლო მცირერიცხოვანთათვის შეამცირე. თითოეულს თვისი აღრიცხვის მიხედვით მიეცემა თავისი სამკვიდრებელი“.

³ „მიწა არ გაიყიდება საშუალოდ, რადგან ჩემია მიწა. თქვენ ხომ ხიზნები ხართ ჩემთან“.

წორება მიწათმფლობელობაზე. ამდაგვარი წესრიგით გამორიცხული იქნებოდა გაჩენილიყო მკვეთრი საზოგადოებრივი-კლასობრივი სხვაობა ახალ სახელმწიფოში. იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო თანასწორი ეკონომიკური მდგომარეობა საზოგადოებაში, მოსეს მიერ მღებული იყო სხვადასხვა გადაწყვეტილება და წესი.

ამრიგად, თუ სახელმწიფოში განვითარდებოდა მიწათმოქმედება და კანონი დაარეგულირებდა მიწის კერძო საკუთრების თანასწორობას, მაშინ საზოგადოებაში ვერ განვითარდებოდა განსხვავებული კლასობრივი ფორმები. ამგვარი ურთიერთობებით ებრაელთა სახელმწიფო განსხვავებული იქნებოდა იმდროინდელი სახელმწიფოებისაგან.

ებრაელი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობაზე დაყრდნობით, იურიდიული თუ სამოქალაქო თანასწორობაც იქნდა დიდ მნიშვნელობას და სიმტკიცეს. ამიტომ მოსეს სახელმწიფოში გამოირიცხებოდა კასტებად დაყოფა იმ გაგებით, რაც იმ დროს არსებობდა სხვა სახელმწიფოებში.

მოსეს კანონმდებლობაში გვხვდება განსაკუთრებული გამონაკლისი, რომელიც ეხება მღვდელმსახურებს. ლევის ტომიდან იყვნენ მღვდელმსახურები, რომელთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა საზოგადოებაში განსაკუთრებული იყო. მოსეს სახელმწიფოში ლევიტელთა ტომის განსხვავებულება მომდინარეობდა უფლის დაშვებით და მხოლოდ რელიგიურ ნიშნით იყო გამორჩეული და არა სოციალურ თუ პოლიტიკურ ნიშნით.

ლევიტელთა ტომის გამოყოფა საზოგადოებიდან დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ამ ტომში მომხდარიყო აღზრდა ღვთისმსახურთა, ბავშობიდანვე მომხდარიყო ღვთისმსახურების წესების შესწავლა მომავალი თაობისთვის, რომელიც შესაბამისად არ შეწყვეტდა დადგენილ ღვთისმსახურების წესს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ერი იღებდა მონაწილეობას ღვთისმსახურებაში და ამ ნიშნით გამოარჩია უფალმა ებრაელი ერი (გამ. 19:6)¹, ლევის ტომის მღვდელმსახურნი სოციალურ თუ პოლიტიკურ ნაწილში საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად განსხვავებულად იღებენ მონაწილეობას. ეკონომიკური ურთიერთობების დროს ისინი ჩაყენებულნი იყვნენ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ გაუნაწილდათ მიწის ტერიტორია (რცხვ. 26: 62)², შესაბამისად მატერიალურად ისინი დამოკიდებულნი იყვნენ საზოგადოების დანარჩენ წევრებზე, რადგან ისინი ხალხისგან იღებდნენ დახმარებას.

ამრიგად, როგორც ჩანს ლევიანთა ტომი, რომლის უშუალო დანიშნულება იყო ღვთისმსახურება იდგა განყენებულ ერთობად, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ირღვეოდა საერთო სოციალურ-პოლიტიკური თანასწორობა საზოგადოებაში: ყველა წევრს ჰქონდა თანაბარი უფლებები სახელმწიფოში.

სახელმწიფოში არსებული საზოგადოების წევრთა უფლებების თანასწორობა საჭიროა დაუკავშიროთ საზოგადოების წევრთა მოვალეობების თანასწორობას. ებრაელთა სახელმწიფო ამ მხრივაც გვევლინება ძველი სახელმწიფოებისგან მკვეთრად განსხვავებულ სახელმწიფოდ, სადაც დარღვეული იყო პიროვნების უფლებების და მოვალეობების ურთიერთმიმართება. იმ დროს არსებულ სახელმწიფოებში საყოველთაო-სამოქალაქო მოვალეობების სირთულეები ნაწილდებოდა მხოლოდ უფლებო საზოგადოების წევრებზე. მოსეს მიერ დაარსებულ სახელმწიფოს თეოკრატიული პრინციპებისაგან განსხვავდებოდა ასეთი ურთიერთობები და შორს იყო სახელმწიფოებრივი სამართლიანობისგან. ახალ სახელმწიფოში ყალიბდებოდა უფლებები და მოვალეობები იმდენად, რამდენადაც უფლება ყველას თანაბარი ჰქონდა, ასევე თანასწორი უნდა ყოფილიყო მოვალეობებიც.

პირველი და უმთავრესი ვალდებულება, რაც სახელმწიფოს მიმართ არსებობდა, იყო სამხედრო საკვალდებულო სამსახური. მოსე წინასწარმეტყველის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო სამართლიანად განესაზღვრა ეს მოვალეობები ებრაელი ხალხისთვის იმის გამო, რომ მარტივად იყო განაწილებული სოციალური ურთიერთობები, ეს საკითხიც ღვთის დახმარებით იყო გადაჭრილი. თითოეული მოქალაქე ვალდებული იყო სახელმწიფოს წინაშე დაეცვა მისი ტერიტორიული მთლიანობა და გაფრთხილებოდა მას. აქე-

¹ „და თქვენ იყნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმინდა ერად. აჰა, სიტყვანი, რომელთაც ეტყვი ისრაელის ძეთ!“

² „და იყვნენ თავიანთი აღრიცხვით ოცდასამი ათასნი - ყოველი მამაკაცი, ერთი თვის ასაკიდან და უფროსი. მაგრამ ისინი არ აღრიცხულან ისრაელის ძეთა შორის, რადგან არ მიეცათ მათ სამკვიდრებელი მათ შორის“.

დან იყო პრინციპი საყოველთაო სამხედრო სამსახურისა: ყველა ებრაელი ვალდებული იყო 20 წლის ასაკის შემდეგ დაქვემდებარებულიყო ამ წესს (რიცხვ. 1: 3; 26: 2)¹.

საერთო-სახალ სამხედრო ვალდებულება, გარდა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგისა, იძენდა პოლიტიკურ მნიშვნელობასაც, რადგან სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელზეც განისაზღვრა ებრაელ ერის ცხოვრების უფლება, აუცილებელი იყო დაცული ყოფილიყო აგრესორი სახელმწიფოებისაგან. ასევე საჭირო იყო ებრაელ ხალხს შეეძინა თავდაცვის იარაღი, რადგან მიუხედავად დაკავებულ ტერიტორიაზე განსახლებისა და დაკავებისა ქვეყანას ესაჭიროებოდა თავდაცვა გარშემო მცხოვრები მტრებისაგან. საზოგადოება მუდამ უნდა ყოფილიყო მზად მოეგერიებინა თავდასხმა გარეშე მოულოდნელი მტრისა (გამ. 17:8)²

სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებულები იყვნენ ლევის ტომიდან, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში მათი განსაკუთრებული (სადეთისმსახური) საქმიანობით, ისე როგორც გათავისუფლებულები იყვნენ ისინი მიწის საკუთრებიდან. ამრიგად, ისინი არ აღირიცხებოდნენ ჯარის რიგებში (რიცხვ. 2:33)³.

სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან ასევე თავისუფლდებოდა ყველა ახალდაქორწინებული მამაკაცი (II რჯ. 24:5)⁴. ასევე, სამხედრო საყოველთაო საქმიანობიდან თავისუფლდებოდა ყველა ის, ვინც ამ საქმისთვის თვლიდა თავს უუნაროდ. საზოგადოების ის წევრი კანონით თავისუფლდებოდა სამხედრო მოვალეობისაგან, თუ მას არ ქონდათ მხნეობა და გამბედაობა ომში მონაწილეობაზე (II რჯ. 20:8)⁵.

ამრიგად, სამხედრო-სავალდებულო საქმე მოსეს სახელმწიფოში იყო ყველასათვის თანაბარი, ვალდებულება საზოგადოების ყველა წევრს ეკისრებოდა თანასწორად, თუმცა იყო გამოხატვისები, რაც გათვალისწინებული იყო თავად კანონმდებლის მიერ და რეგულირდებოდა კანონის მიერ. მოსეს სახელმწიფოში არსებული საყოველთაო ვალდებულებები აერთიანებდა თანასწორობის პრინციპს.

მოსეს სახელმწიფოში არც ერთი სახელმწიფოებრივი სავალდებულო გადასახადი არ იყო გადანაწილებული საზოგადოების ერთ რომელიმე ნაწილზე, არამედ ყველა ვალდებულებას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებული და ნაწილდებოდა ერთობლივად ყველა მოქალაქეზე.

თუმცადა, მოსეს დროს და არც მსაჯულთა დროს სახელმწიფოში არ არსებობდა საერო დაწესებულება, რომელსაც ესაჭიროებოდა დამატებითი შემოწირულობები საზოგადოებისაგან.

ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც ესაჭიროებოდა დახმარება (თანადგომა) და რომლისთვისაც განისაზღვრა სავალდებულო გადასახადი, იყო რელიგიური დაწესებულება (რომელიც შედგებოდა მღვდელთმსახურებისაგან), ამიტომ ეგრეთწოდებული სავალდებულო გადასახადი იძენდა წმინდა რელიგიურ ხასიათს. ამდგვარი სახის გადასახადს წარმოადგენდა ეგრეთწოდებული გამოსყიდვის გადასახადი **საკრებულოს კარვის** სამსახურისათვის, რომელსაც იხდიდა ყველა ვინც სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადასახადს ექვემდებარებოდა.

ეს გადასახადი (გამოს. 30:13-14)⁶ ითვალისწინებდა ნახევარ შეკელ ვერცხლს და გამოიყენებოდა „საკრებულო კარვისთვის“. არსებობდა ასევე „**მეათედის**“ გადასახადი, რომელიც განკუთვნილი იყო **ლეიტელებისათვის** (რიცხვ. 18:21)⁷

¹ „აღრიცხეთ ისრაელის ძეთა მთელი თემი მათი საგვარეულოების, მათი მამისსახლების, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამაკაცი მათი სულადობით“. „აღრიცხეთ ისრაელის ძეთა მთელი თემი ოცი წლის ასაკიდან და უფროსი, თავიანთი მამის სახლითურთ, ყოველი ლაშქრად გამსვლელი ისრაელში“.

² „და მოვიდა ამაღეკი და შეებრძოლა ისრაელს რეფიმიდში“.

³ „მაგრამ ლევიანები არ აღირიცხნენ ისრაელის ძეთა შორის, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს“.

⁴ „თუ კაცს ახლად შერთული ცოლი ჰყავს, ნუ გავა ლაშქარში და ნუ დაევალება მას ნურაფერი. ერთი წელი თავისუფალი იყოს თავის სახლში და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც შეერთო“.

⁵ „და კიდევ ელაპარაკონ ზედამდგომელები ხალხს და უთხრან: „ვინც მშიშარაა და გულდღაღლი, წავიდეს და დაუბრუნდეს თავის სახლს, რათა არ გაუდნოს თავის მოძმეებს გული თავისი გულივით“.

⁶ „ყველამ, ვინც გაივლის აღრიცხვას, გაიღოს ნახევარი შეკელი საწმიდარის შეკელისა, რომელიც იწონის ოც გერას: ნახევარშეკელი შესაწირავია უფლისა; ყველამ, ვინც გაივლის აღრიცხვას, ოცი წლიდან და ზემოთ, მისცეს შესაწირავი უფალს“.

⁷ „და ლევის ძეთა მე მივეცი ყოველი მეათედი ისრაელში სამკვიდრებლად, მათი მსახურების სანაცვლოდ, რასაც ასრულებენ საკრებულო კარვის მსახურებით“.

არსებობდა, ასევე, საერთო სახალხო **დღესასწაულისათვის** (II რჯ. 14:28-29)¹ „მეათედის“ გადასახადი. სხვთა შორის ამ საერთო სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული წევრები (II რჯ. 26:13;)². ყველა ეს რელიგიური სავალდებულო გადასახადი იყო თითოეულისათვის, კანონი არ ყოფდა საზოგადოებას ორ ნაწილად: მოწყალეების გამცემებად და მიმღებებად. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ „მეათედი“ განისაზღვრებოდა შემოსავლის შესაბამისად, არ იყო განსაზღვრული ოდენობა, არამედ იცვლებოდა (დგინდებოდა) ოჯახის შემოსავლების შესაბამისად, მხოლოდ „**გამოსყიდვის გადასახადი**“ გადაიხდებოდა თანაბრად საზოგადოების ყველა წევრისგან (გამოს. 20:15)³.

ნებისმიერი გადასახადის გადახდა უფლის უშუალო ნებართვით უნდა მომხდარიყო, მაგალითად, „**მეათედის**“ გადახდის ადგილს თავად უფალი განუხაზღვრავდა მორწმუნეებრავს: „აიღე მეათედი შენი ნათესის მთელი მოსავლიდან, რომელიც მოდის ყანაში ყოველწლიურად, და ჭამე უფლის, შენი ღმერთის, წინაშე იმ ადგილზე, რომელსაც ის ამოირჩევს თავისი სახელის იქ დასავანებლად“, (II რჯ. 14: 22-23) საინტერესოა ის ფაქტიც რომ მოსე როგორც კანონმდებელი უშვებს ფინანსური ღონისძიების გამოყენებით მოხდეს დადგენილი გადასახადის „**მეათედის**“ გადახდა (II რჯ. 14: 22-23;)⁴ საზოგადოების ნებისმიერი წევრისგან. ეს იყო საზოგადოებაში განსაკუთრებული დამოკიდებულება ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით და ახლებური ურთიერთობები საზოგადოების წევრებს შორის.

ამრიგად, როგორც ჩანს, თეოკრატიული პრინციპის გავლენით მოსეს კანონმდებლობის გამოყენებით „ახალ სახელმწიფოში“ განხორციელებული იყო უმაღლესი სოციალური სამართლიანობა. ამ სახელმწიფოში არსებული საზოგადოების ნებისმიერი წევრი ერთნაირად თანასწორი იყო სოციალური მდგომარეობით და ეკონომიკური შესაძლებლობით ასევე, თანასწორნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების თვალსაზრისით.

Nugzar Samkharadze

Society and economic and financial relation according to Moses laws

Resume

In modern times the study of relations between church and state has become an actual issue. Relations, which are reflected in the writings of Bible scholars provide good basis for researchers. In this regard, we believe it's significant to study public relations existing according to Moses law, which are described in the Old Testament and to show differences and similarities compared to the modern times.

During the Apostolic period, the Mosaic Law determined establishment of a number of provisions regarding financial, economic and managerial activities of churches and monasteries in the "laws of the Church". This made economic activities and financial accounting of the New Testament church easier.

The issue discussed by us refers to Mosaic laws. To some extent, these laws were reflected in the works of the "New Testament" period, in particular, in Canons of the Apostles as well as in the Councils' canons and local regulations. Accordingly, the interest in the topics discussed by us is doubled.

¹ „სამი წლის ბოლოს აიღე მეათედი იმ წლის მოსავლიდან და დააწყვე შეს კარიბჭეებში. და მოვიდეს ლევიანი, რადგან არ გააჩნია მას წილი და სამკვიდრო; ობოლი და ქვრივი, რომელნიც შეს კარიბჭეებში არიან, და ჭამონ და გაძინენ, რათა გაკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, შენი ხელის ყოველ ნაქმარში, რასაც გააკეთებ“.

² „და თქვი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე: „გავიტანე სახლიდან წმიდა წილი და კიდევ მივეცი იგი ლევიანსა და ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, ყოველივე იმ შენი ბრძანებებისამებრ, რომელიც მამცნე“.

³ „მდიდარმა არ გადაამეტოს და ღარიბმა არ დააკლოს ნახევარ შეკვლას: უნდა მისცეს შესაწირავი უფალს, თქვენს სულთა გამოსასყიდად“.

⁴ „გადაცვალე ის ვერცხლზე და აიღე ეს ვერცხლი ხელში და წადი იმ ადგილისკენ, რომელსაც ირჩევს უფალი, შენი ღმერთი. და მიეცი ფული ყველაფერში, რასაც შენი სული ისურვებს: მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ღვინო, მაგარი სასმელი, ყველაფერი, რასაც შენი სული მოგთხოვს. და ჭამე იქ უფლის, შენი ღმერთის, წინაშე, და გაიხარე შენ და შენმა სახლმა.“

„შეიცან თავი შენი“

„შეიცან თვი შენი!“¹, ანუ „შეიმეცნე არა ის, რაც შენ გეკუთვნის ან შენს გარშემოა, არამედ ჩაუღრმავდი საკუთარ თავს, ვინაიდან სხვა ვართ ჩვენ და სხვა არის ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის. სული და გონება - ეს ჩვენ ვართ, რადგან ხატად ღვთისად ვართ შექმნილნი, სხეული და ყოველივე ამის მიერ შეგრძნობილი - ჩვენია, ხოლო ჩვენი ქონება და რაც ჩვენს გარშემოა, ეს ჩვენ არ ვართ“². ბასილი დიდის ეს განუმეორებელი სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა და მიგვიბრუნებს ჩვენი სულის ცხონებაზე - „განაშვებე და განანათლე შენი სული ყოველი კეთილი საქმითა და მოქმედებით“. სწორედ კეთილი საქმის კეთება უკავშირდება ყველა მეცნიერებას და მათ შორის ეკონომიკას. ქრისტიანისთვის ეკონომიკა მთავარი მამოძრავებელია. უფალს არ უთქვამს მხოლოდ ილოცე და იუქმეო. უფალი მუდმივად მოგვიწოდებს ვილოცოთ და ვიშრომოთ, რადგან შრომა ქმნის დოვლათს, რომელიც ასევე საჭიროა ადამიანის ორგანიზაციის ბუნებიდან ერთ-ერთისთვის - ხორცისთვის. სულისთვის ღოცვა და ხორცისთვის შრომა, ეს ძირითადი პროცესებია, რომლის გარეშეც ადამიანს გაუჭირდება როგორც ამ ქვეყნად, ისე იმ ქვეყნად არსებობა. ამ შემთხვევაში აქ ის კი არ მოიაზრება, რომ ხორცზე ზრუნვამ სულზე ზრუნვა მეორეხარისხოვნად აქციოს, არამედ პირიქით, სხეული ფიზიკურად მზად რომ იყოს ღოცვისა და უფალთან დაახლოებისათვის. სწორედ უფალთან მიახლოება არის ის ყველაზე მთავარი ფასეულობა, რაც ქრისტიანს გამოარჩევს. ევროპელების თითქმის ორი მესამედი ქრისტიანულ ფასეულობებს კვლავინდებურად მნიშვნელოვნად მიიჩნევს და მხარს უჭერს ეკლესიის ძალისხმევას ამ ფასეულობათა პროპაგანდისთვის. იმის მიუხედავად, პრაქტიკულად წარმოადგენენ თუ არა ქრისტიანობას, ევროპელთა უმრავლესობა აღიარებს ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებულობას. ევროპელთა 61% მიიჩნევს, რომ ქრისტიანობის იდეები და ფასეულობები ჩვენს დროშიც აქტუალურია. 80% თანახმაა, რომ ეკლესიის ამოცანათა პრიორიტეტი XXI საუკუნეში უნდა გახდეს მშვიდობა მთელს მსოფლიოში და საკუთარ ქვეყნებში სიღარიბეზე გამარჯვება, სიღარიბის დაძლევა.³

პირველივე ფსალმუნში წმინდა დავით მეფე ადამიანს აღარებს წყლის ნაკადთან დანერგილ ხეს, „თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ დაჭკნება და ყოველივეში რასაც იქმს, წარმატებულია“ (ფს. 1, 2). დროულად ნაყოფის მოცემა და ამ ნაყოფით მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ეკონომიკის, როგორც დარგის წარმატებაა.

მართლმადიდებელი ეკლესია აწყდება ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს. ამ პრობლემათა სწორად დანახვასა და მათ ჯეროვნად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანთა, ისე მთელი თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრება. ცხოვრების როგორი დონე შეიძლება ჩაითვალოს ადამიანისთვის ღირსეულად? ეკონომიკა, როგორც მეცნიერება უნდა იყოს თუ არა ავტონომიური ეთიკის, მორალის და რელიგიისგან?

ძნელია იპოვო პასუხები ამ მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე ცხოვრებაში, არა მარტო ეკონომიკის თეორიაში, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ სწავლებაში. თანამედროვე ცხოვრება მიმართულია ეკონომიკური პოტენციალის და ფინანსური შესაძლებლობების განვითარებისაკენ. ხშირად ეკონომიკის შესწავლა გვაიძულებს დავშორდეთ რელიგიას და სულიერ ფასეულობებს. ხშირად მართლმადიდებლობის მკვლევარები და ღვთისმეტყველები, რომლებიც ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით არიან დაკავებული, ამბობენ, რომ ეხებიან წმინდა ეკონომიკურ, ემპირიულ და არაპრაგმატულ სფეროს ადამიანის საქმიანობაში, ასევე ავლენენ თავის არაკომპეტენტურობას. ხშირად მართლმადიდებელ საზოგადოებებს, რომლებიც ეკონომიკის საკითხებს განიხილავენ, მორალისტური, პროფესიონალური და კონსტრუქციული დისკუსია აქვთ ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე. პომპეზური ფორმულირებები მომხმარებელთა დაცვით და ცივილიზაციის განვითარებისათვის, ასევე კაპიტა-

¹ შენიშვნა: ეს წარწერა ჰქონდა ძველად აპოლონის ტაძრის შესასვლელს დელფოსში. ამ ფორმულის დედაზრი ელო საფუძვლად სოკრატეს (ძვ.რ. V ს.) ფილოსოფიურ მოძღვრებას.

² საპატრიარქოს უწყებანი 15 (543) – 29 აპრილი-5 მაისი, 2010, გვ.15.

³ საპატრიარქოს უწყებანი 15 (543) – 29 აპრილი-5 მაისი, 2010, გვ.17.

ლისტური მენტალიტეტი, მთლიანად ამ პრობლემის დაყენება განსაზღვრულ ხელწერას ქმნის ეკლესიასა და საზოგადოებას, ღვთისმეტყველთა და გამოჩენილ მეცნიერთა შორის.

რელიგიური ეთიკა არა მხოლოდ დაეხმარება ეკონომიკის განვითარებას, არამედ შეიტანს ეკონომიკაში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც ემყარება სამართლიანობას და სოლიდარობას. სულიერი ფასეულობები ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში სტაბილური საფუძვლების ფორმირებას და თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებას უწყობს ხელს. მთელი მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს ქრისტიანობის განსაზღვრულ გავლენას ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ საქმიანობაზე. თანამედროვე ეკონომიკის, ბიზნესის და წარმოების განვითარება უაზრობაა სოციალური სამართლიანობის და სოლიდარობის გარეშე. ეს ფუნდამენტური პრინციპები ღვეს მართლმადიდებლური ეთიკის საფუძვლებში. საერთო ქრისტიანული მსოფლმხედველობა იყოფა პლანეტის ქრისტიანთა უმრავლესობის მიერ ღვთისმეტყველებად და რელიგიურ მოაზროვნებად.

ღვთისმეტყველება არის ჰუმანიტარული ცოდნის დარგი და ის ეყრდნობა ყველაფერს: ადამიანს, საზოგადოებას, ბუნებას - ღვთის სიტყვით, რელიგიური ხედვით ფასეულობებით, ამიტომ არის მჭიდროდ დაკავშირებული ისტორიასთან, ლინგვისტიკასთან, ხელოვნების ცოდნასთან, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის საფუძველში ჩადებული ეთიკური ფასეულობები ეხმარება საზოგადოებას არ გადაუხვიოს ცივილიზაციის განვითარების გზიდან და ნამდვილი ჰუმანური პროცესისგან. იგულისხმება, რომ ღვთისმეტყველები და რელიგიურად მოაზროვნეები არ ერევიან საფონდო ბირჟის დეტალებში, ვალუტის კურსის ჩამოყალიბებაში, გაზის ფასების ფორმულირებაში და სხვა.

ეკონომიკის თეორიას სჭირდება დახელოვნება და აქტუალიზაცია. ეკლესიის სოციალური სწავლება, როგორც ეკლესიის და თანამედროვე საზოგადოების ინსტრუმენტი ემსახურება ქრისტიანობის და თანამედროვე მსოფლიოს ფუნდამენტურ, კონსტრუქციულ და ნაყოფიერ დიალოგს. ეკონომისტების, ბიზნესმენების, მწარმოებლების ნაყოფიერი კონტაქტები ღვთისმეტყველებთან მიმართულია ეკონომიკური განვითარების სტაბილურობასა და იმედზე, რომ ჩვენს დროში წარმოება და ფინანსური საქმიანობა მიმართულია ხალხის საკეთილდღეოდ. თანამედროვე ადამიანის ეკონომიკური ცხოვრება აუცილებლად რელიგიურ რწმენას უნდა ეყრდნობოდეს.

შემოქმედსა და მსოფლიოს, საზოგადოებას და ეკლესიას შორის არსებობს მჭიდრო ჰარმონიული კავშირი, ცოცხალი ურთიერთობა, მაღლიერება, რომელიც მშვიდობის ჩამოყალიბების მიზანს ემსახურება. ეკონომიკის, კულტურის და პოლიტიკის სფერო უნდა ემსახუროდეს სიკეთეს, თავისუფლებას, სიხარულს, ურთიერთობას, კომფორტს და ადამიანის კეთილდღეობას. ქრისტიანის აქტიური საქმიანობა ყოველთვის მისაღებია უფლისთვის, რადგან ის დამყარებულია ქრისტიანის ღვთისმეტყველებაზე, რასაც თანაუგრძნობს და ლოცავს უფალი¹.

ადამიანს ქრისტესგან მინიჭებული აქვს მაღლიერება და სიკეთე, რითაც იგი გარდაქმნის მსოფლიოს თავისი ძალით და ენერგიით. თუ ქრისტიანი მიეცემა სიზარმაცეს და სოციალურ პასიურობას უფლის სიყვარულის საქმეში, ის კლავს თავის თავში რწმენას. უფალი ჩამოვიდა დედამიწაზე იმისთვის, რომ დაამარცხოს ბოროტება, რომ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა გარდაქმნას ბოროტება სიკეთედ.

ეკლესია ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკა, ხელოვნება და პოლიტიკა პატივს უნდა სცემდეს სამყაროს, აქ სიყვარული უნდა განსაზღვრავდეს ურთიერთობებს. ეკლესიის ღვთისმეტყველება მიისწრაფვის შეიცნოს კაცობრიობის მსოფლმხედველობა. უფალი ყოველდღე გარდაქმნის ამ სამყაროს თავისი ლოცვით ადამიანისთვის იმიტომ, რომ ხელავს ადამიანის განვითარებაში თანამეინახეს, მეგობარს. ეკონომიკა უნდა ემსახუროდეს ადამიანს, და არ უნდა დაყოს კაცობრიობა „ოქროს მილიარდად“, „რჩეულ უმცირესობად“, „აუტსაიდერებად“ და დარჩენილ ღარიბ უმრავლესობად. თავისუფალი ვაჭრობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური ზრდა, სოციალური განვითარება, მოდერნიზაცია, მთელი საზოგადოებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსებისა და ეკონომიკური ელიტისათვის. „სიმდიდრის კონცენტრაცია უმცირესობის ხელში ართულებს სიღარიბეს უმრავლესობისთვის“. კიდევ

¹ Чорей Богдан . Осмысление Экономики в социальном учении Православной Церкви, 28 Марта, 2012.

მრავალი პრობლემის გახსენებაა შესაძლებელი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრებასთან – დაბადებიდან სიკვდილამდე. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეკლესია ხაზს უსვამს ადამიანის პიროვნებას, როგორც უფლის მსგავსს. ეკლესია მოუწოდებს ქრისტიანებს აქტიური საქმიანობისათვის. აქტიური პოზიცია ავითარებს ადამიანის პიროვნების შინაგან შემოქმედებით პოტენციალს. ბიბლია ადამიანებისან მოითხოვს გარდაქმნას თავისი თავი და აქედან გამომდინარე – გარშემო სამყარო. ადამიანის ყველა რეალობის გათვალისწინებით ეკლესია აკისრებს ყველა ადამიანს სულიერ და სოციალურ პასუხისმგებლობას, ასევე მოუწოდებს მათ წმინდა მისიისთვის. ამ მისიის მიზანია უშველოს მთელ სამყაროს.

მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური სწავლება ეს არ არის სოციალური და პოლიტიკური ესსეების ნაზავი, ასევე არაა სოციალური ფილოსოფიის აბსტრაქტული თეორია, არამედ დინამიკური სწავლება, რომელიც მიღებულია ურთიერთობების გზით შემოქმედთან, ეკლესიის ცხოვრებაში ადამიანური ყოფის რეალური ჩაწვდომის გზით. „სამყარო, ხომ არა უბრალოდ საჩუქარია მირთმეული ადამიანისთვის ღმერთის მიერ, არამედ დინამიკურად განვითარებადი პოლიფონიაა განსახიერებული შემოქმედის და მისი ქმნილების სიყვარულში“.

ეკონომიკური კანონები პირდაპირ კავშირშია ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროსა და სულიერ მოტივაციასთან, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია არა მხოლოდ ემპირიულ გამოცდილებაზე, არამედ კავშირშია ადამიანის აზროვნების და ყოფის რელიგიურ ძიებასთან. მნიშვნელოვანია ურთიერთკავშირი ადამიანის საქმიანობასა და რელიგიურ რწმენას შორის. ადამიანი - კაცობრიობის მოდელია. არ არის შემთხვევითი, როცა წმიდა მამები მუდმივად უსვამენ ხაზს, რომ ადამიანი - ეს არის მორწმუნეების და არამორწმუნეების შეხვედრის სფერო, მორწმუნეების და უღმერთობის, ეს არის შესაძლებლობა შეხვედრის და საერთო აზროვნების. ეკლესიის სოციალურ სწავლებაში, სოციოლოგების აზრისგან განსხვავებით, ადამიანი არის ერთიანი მთლიანობა პიროვნების ქრისტიანული სიყვარულისა, ღმერთის და სამყაროს შემოქმედის სულის შექმნა. თვითრეალიზაცია და სამეურნეო საქმიანობა ქმნის მთლიანი პიროვნების პორტრეტს თავისი სწავლების საშუალებით.

ქრისტეს ეკლესია ქმნის და უდგენს არა მხოლოდ ქრისტიანს, არამედ მთელ სამყაროს სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების ტრანსფორმირების შესაძლებლობებს, სხვა სიტყვებით, ეკონომიკური ანალიზი მართლმადიდებლობის სოციალური აზრის კონტექსტით მიმართულია რელიგიის და მეცნიერების, საზოგადოების, ეკლესიის, ადამიანის და მისი სამეურნეო საქმიანობის სულიერი და მატერიალური საწყისების აღწერაზე. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეკონომიკა მიმართულია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ამიტომ, დროთა განმავლობაში სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოთხოვნა იზრდება. პიროვნების სულიერი რეალიზაცია, ადამიანთა ურთიერთობა და კომუნიკაცია საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან არის თანამედროვე ეკონომიკის და ეკლესიის მისიის მთავარი ასპექტი.

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს პიროვნებას. მეცნიერება და ტექნიკა არსებობს ადამიანისთვის, ამიტომ ადამიანს აქვს ვერტიკალური დანიშნულება და არა მხოლოდ ჰორიზონტალური, რომ მისი შრომა მიმართოს როგორც ადამიანებთან კეთილგანწყობილ პროცესად, ასევე არ უნდა ივიწყებდეს მაღლა სულიერებას, უფლის საიდუმლოებებთან მიმართებით. ეს სიმბიოზი ადამიანს აქცევს უფლის და ხალხის მსახურებაში მოსულ სულიერ ქმნილებად რითაც მოიპოვებს გამარჯვებას მატერიალისტურ ძალაუფლებაზე¹.

ეკლესიის და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი განსაკუთრებით ითხოვს გამოიყოს გამოყენებითი ეკონომიკური დისციპლინები, ადამიანის რესურსების მართვა-მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიზნესის ფილოსოფია. ამ მიმართულებით ხაზი უნდა გაუვსვთ ეკლესიის მნიშვნელოვან როლს. ის ფორმირებას უკეთებს ეკონომიკური მიმართულებების სულიერებას. მართლმადიდებლობა აიძულებს იმას, რომ ეკონომიკა არ გამოვლინდეს ბუნების ანტისოციალურ სფეროდ. სოლიდარობა, ადამიანობა, ურთიერთპატივისცემა, წესიერება, პატიოსნება, ზნეობრივი პრინციპულობა თან უნდა ახლდეს ეკონომიკურ საქმიანობას მეწარმეობის მთავარი მამოძრავებელი უნდა იყოს ეკლესიის სწავლების

¹ Чорей Богдан-Осмысление Экономики в социальном учении Православной Церкви 28 марта, 2012.

საზოგადოებისთვის მისადაგება. „ქრისტიანებმა ყველა ეტაპზე თავისი მიზნების და სამიანობის რეალიზაცია უნდა მიმართონ ეკლესიის სწავლებაზე“. მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური სწავლების დოქტრინის თანახმად, საზოგადოების ცხოვრების საქმიანობას აქვს სულიერი საზომი.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა, რომელმაც თითქმის დაკარგა კავშირი ქრისტიანულ ტრადიციებთან, მოტივაციას უკეთებს ადამიანს მიაღწიოს მატერიალურ მოგებას, რასაც ადამიანი მიჰყავს ახალ მორიგ უფსკრულთან, გლობალურ კრიზისთან, რათა გული გაუტყდეს და დაკარგოს რწმენა. ერთი მხრივ, ეს ტენდენცია მიმდინარეობს, როგორც სტიქიური პროცესი. გაიაზრებს რა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს, გამოჩენილი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი დევიდ ქარტი წერს: „ბაზარი გადადის იდეოლოგიის საზღვრებს, ის გვიჩვენებს კომუნიკაციის პოსტქრისტიანულ კულტურას, კომერციის და თანამედროვე ფასეულობათა მითებს, ფორმირებულ ეკონომიკას, პოლიტიკას და თანამედროვეობის ხასიათს. ბაზარი არა იმდენად ვერტიკალურია, რამდენადაც ტოტალურად ჰორიზონტალური და ბრტყელი. ეს სურათი მსოფლიო ეკონომიკის და ბიზნესის ფილოსოფიის ნაკლია. მსოფლმხედველობის ასეთ შედეგებს მოაქვს ტანჯვა-წამება არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთელი სამყაროს საზოგადოებაზე. ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას არ უნდა მივყავდეთ ისეთი საზოგადოების ფორმირებასთან, რომლის გამოყენება და მატერიალური კეთილდღეობა გარდაიქმნება სოციუმის არსებობის დომინირებულ ან ერთადერთ მიზნად. ეკონომიკური და სოციალური უფლებების დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ აღიკვეთოს საზოგადოების კონფრონტაცია და ფენებად დაყოფა. ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება სიყვარულის ცნებებს. ის ქმნის საზოგადოების და პიროვნების ზნეობრივი დეგრადაციის პირობებს და განაგრძობს ადამიანების ერთმანეთთან გაუცხოვებას, არღვევს სამართლიანობის პრინციპს.

ეკლესია არ გამოდის საკუთრების, კომერციული ფსიქოლოგიის და ბაზრის კანონების წინააღმდეგ, მას არ შეუძლია მიიღოს კაცობრიობის ინდივიდუალური თვისებების დაკარგვა, ძალადობა პიროვნებასა და ადამიანის ქცევაზე. ფული მხოლოდ საშუალებაა მიზნის განსახორციელებლად და იგი მუდმივ მოძრაობაში უნდა იყოს. მისი უძრაობა შეუთავსებელია საბაზრო ეკონომიკის ბუნებასთან. საქმე, რომელიც მთლიანად გიპყრობს ეს მეწარმისთვის სიმდიდრეა. ფულის კულტის არარსებობა ათავისუფლებს ადამიანს და ქმნის მას შინაგანად თავისუფალს. თანამედროვე ცივილიზაციის მომავალი, ბევრ რამეში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ვითავისებს საზოგადოება იმას, რომ ეკონომიკა ზნეობრივი ნორმების გარეშე განწირულია დასაღუბად. ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს თავისით არ ძალუძთ მოხსნან ადამიანის სოციალური პრობლემები. ეკონომიკური უთანასწორობა, უშუშვერობა, ფინანსური კრიზისი, კორუფცია და პოლიტიკური ავტორიტარიზმი ყოველდღიურად ამცირებს კაცობრიობის ადამიანურ ღირსებებს, ამასთან ერთად ამწვავებს სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ კონფლიქტებს.

მართლმადიდებლური ეკლესიის ამოცანაა სიტყვით და საქმით, ლოცვით და ქადაგებით დაეხმაროს ხალხს ძნელ დროს. მათ გულებში დანერგოს იმედი და რწმენა. უფალი უშველის თითოეულ ადამიანს. მოუწოდებს ხალხს, მათ შორის ბიზნესს არ დარჩეს გულგრილი ბევრი თანამემამულის საჭიროებების მიმართ. შესაძლოა ბევრი ვილაპარაკოთ ეკონომიკური მექანიზმის არასრულყოფილებაზე, გავცეთ ფინანსური სისტემის გაჯანსაღების რეცეპტები, მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ეკონომიკა ეს ინსტრუმენტი ადამიანის ხელში და თვითონ ადამიანი გვევლინება ბოროტის და კეთილის ბრძოლის სფეროდ. დღეს არა მხოლოდ ქრისტიანებმა, არამედ მთელმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ სოციალური სამართლიანობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ქმნის საცხოვრებლად აუცილებელ პირობებს თანამედროვე ცივილიზაციისთვის. არა მხოლოდ წმინდანები ეკლესიური ცხოვრების აღწერისას, ასევე ყველა მაღალი რანგის ჩინოვნიკი და მთავრობა, მეწარმე, ბიზნესმენი და მმართველი უნდა ითვალისწინებდეს სულიერ ორიენტაციას და მიზნებს ადამიანის ცხოვრებაში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში. საბაზრო ეკონომიკას არ ძალუძს თავისით მოაგვაროს სოციალური სამართლიანობის ეს პრობლემები, ასევე საკითხები პიროვნების ჰარმონიული და ღირსეული განვითარებისთვის. აუცილებელია პასუხისმგებლიანი მიდგომა ბიზნესთან, მეწარმეობასთან და მასობრივი ზნეობრივი პასუხისმგებლობა მოქალაქეებთან და მათ ცხოვრებასთან¹.

¹ Чорей Богдан-Осмысление Экономики в социальном учении Православной Церкви 28 марта, 2012.

ეკლესია მსჯელობს მიუღწეველ „სამოთხე ღეღამიწაზე“. შეუძლებელია მისი შექმნა და ეს გამო-რიცხულია ადამიანის ძალისხმევის გარეშე. რამდენადაც ადამიანს არ შეუძლია გარდაქმნას თავისი გული და შეზღუდოს თავისი ძალებით, რომელიც მიმართულია თავისი კომფორტისა და კეთილდღეობისათვის, მაგრამ რა შეუძლია თითოეულ ჩვენგანს გააკეთოს, რომ დაუახლოვდეს მაინც მიუღწეველ იდეალს, რით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი? ამ კითხვაზე პასუხს თვითონ უფალი გვცემს, პასუხობს რა ეკონო-მიკის შეკითხვას. და ეს არის პირველივე მცნება 10 მცნებიდან, რომელიც თავისი არსით ყველაზე დი-დია. „შეიყვარე უფალი შენი მთელი გულით შენით და მთელი შეგნებით შენით“ მეორე მცნებაც არის მსგავსი: „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“. ამ ორი მცნებით არის განმტკიცებული კანონები და წინასწარმეტყველება. ასე, რომ ეკლესიის სოციალური სწავლების პრიზმიდან საზოგადოების ეკონო-მიკური ინტერესების საკითხების შესწავლის შემდეგ, აღვნიშნავთ, რომ:

1. ეკლესიური სწავლება ღრმა და ყოვლისმომცველია და წვდება ეკლესიის და საზოგადოების ურ-თიერთობების საკითხების არსს. მართლმადიდებლობა, ღვთისმეტყველება, ქრისტიანული სწავლება შრო-მაზე, ეკონომიკაზე, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაზე გვაიძულებს, რომ ქრისტიანს უნდა უყვარ-დეს თავისი პროფესიული საქმიანობა, ჩაღოს ენერჯია და შემოქმედებითი ძალისხმევა დასახული მიზნის მისაღწევად და თავისი ადამიანური მისიის ამქვეყნად განსახორციელებლად;

2. ეკლესიური სწავლების თანახმად, საბაზრო ეკონომიკა არ უნდა იქცეს ეკონომიკური და ფინან-სური ჰეგემონიის ინსტრუმენტად. აუცილებელია მატერიალური დოვლათის სწორი გამოყენება. ასევე, უნდა მიეცეს ზნეობრივი განზომილება ისეთ უფლებებს და თავისუფლებებს, როგორცაა: საკუთრების უფლება, შრომის უფლება, ზოგადად ყველა უფლების დაცვა, ადამიანის დამსაქმებლების თვითნებობისგან დაცვა, მეწარმეობის თავისუფლება, ცხოვრების ღირსეული დონის პირობებში არსებობის უფლება;

3. მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური სწავლების თანახმად, ეკონომიკა უნდა ვითარდებო-დეს არა მხოლოდ ეფექტიანობის, მომგებიანობის და მოდერნიზაციის პრინციპით, არამედ უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური სამართლიანობის, სოლიდარობის ფუნდამენტური საკითხები, სულიერი და მატერიალური ზრუნვა თითოეულ პიროვნებაზე.

Rusudan Sirbiladze

“Cognize yourself”

Resume

“Cognize yourself” or perceive not the things belonging to you, or around you, but the deep of yourself, because it’s quite different what we are and what we are surrounded with. Soul and mind (sense) – that’s what we are, because we are created in the image and likeness of the Lord, body and everything we can sense – is ours, but the property we own and all the surroundings, it is not we”. These unique words of Basil the Great are the wholly truth and they remind us that our soul is eternal, develop and enlighten your soul by doing kind deeds and actions. Doing kind things is connected to all sciences including Economics.

Economy is the main driving force for Christians. The Lord did not tell us only to pray and not to do anything else. The Lord permanently calls for praying and working as working creates income, which we need – the humans need to feed their body and praying is essential for the soul. These are the key factors for the humans to live in both worlds. In this case, we do not mean that we must care for our body more than for our soul; on the contrary, in order to prepare the body for praying and talking to God, we must feed our flash. Getting closer to our Lord is the most valuable for Christians. Approximately two thirds of the Europeans still considers that Christian values are significant and supports efforts of the Church to propagandize these values.

Europeans, regardless their religious identity, recognize the specificity of the Christian religion. 61% of the Europeans think the Christian ideas and values are actual in our times. 80%of them agree that the

priorities for 21st century church are peace all over the world and overcoming poverty in the countries. Christianity teaches us that economics must be subject to personality. Science and techniques exist for humans, that's why humans have vertical designation and not only horizontal one, their work must be directed for humans well-being and we the humans should not forget about the spiritual wholly mystery of Lord. This symbiosis makes humans the creatures serving people and the Lord and this will help them win over the materialist power.

**მართმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები
საქართველოს მაგალითზე**

უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანულ ტრადიციებს, მეტიც, ქართული კულტურა ქრისტიანული არსით არის გაჟღერებული. ეკლესია მუდამ ახდენდა გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე, როგორც ყოფითი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბებაზე, ასევე ლიტერატურაზე, განათლებაზე, ხელოვნებასა და ეკონომიკაზე.

არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეიძლება ქრისტიანული ეწოდოს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ახლოს დგას ღმერთის სიტყვასთან. ეკონომიკის დარგში ძირითადი ბიბლიური პრინციპებია: **საკუთრების უფლება, მეწარმეობა – კეთილი საქმე, შრომა და ქველმოქმედება.**

საკუთრების უფლება - წმინდა წერილი საკუთრების რომელიმე ფორმას უპირატესობას არ ანიჭებს. კერძო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო, მუნიციპალური, კორპორაციისა და საკუთრების სხვა ფორმები, არსებობის თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საკუთრების ყველა ფორმის დაცვა წარმოადგენს. საკუთრების თვითნებური გადაწაწილება ან გასხვისება დაუშვებელია, რადგან ამით ღმერთის ერთ-ერთი ფუძემდებლური მცნება ირღვევა: „არ იპარო“.

არის თუ არა საკუთრების უფლება დაცული საქართველოში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია? მსოფლიოს 129 ქვეყანაში საკუთრების უფლების დაცვის საკითხს სწავლობს ამერიკული ორგანიზაცია - „საკუთრების დაცვის ალიანსი“. ის პერიოდულად საკუთრების უფლების საერთაშორისო ინდექსს აქვეყნებს, სადაც სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით ფასდება, თუ როგორ არის ქვეყანაში დაცული საკუთრების უფლება. 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 129 ქვეყანას შორის 95-ე ადგილი დაიკავა. მაქსიმალური 10 ქულიდან საქართველოს 4.2 ქულა აქვს, ისევე როგორც ბოლივიას, მალის, კოტ-დივუარს, მოზამბიკს და ნეპალს.

აღნიშნული ინდექსი სამ ძირითად კატეგორიას მოიცავს: სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო, ფიზიკური საკუთრების უფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა. სამართლებრივი და პოლიტიკური გარემოს მხრივ საქართველო 59-ე, ფიზიკური საკუთრების დაცვით 68-ე, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების დაცვით 125-ე ადგილზეა¹.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანების საკუთრების უფლება დაცული იყოს? - პირველ რიგში აუცილებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც იმუშავებს საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე, საჭიროა იაქტიუროს მთავრობამ, ასევე წარმომადგენლობითმა ორგანომ – პარლამენტმა და საკანონმდებლო დონეზე მოხდეს საკუთრების კუთხით სამართლიანობის დამყარება და საკუთრების დაცვის მყარი გარანტიების შექმნა. ეს ეხება როგორც ჩამორთმეულ საკუთრებას, ასევე ვერდაკანონებულ ქონებას და სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული ქონების საკუთრებას.

საკუთრების უფლება ადამიანის არამარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის რა მხოლოდ მესაკუთრებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

მეწარმეობა - კეთილი საქმე - ევექტიანი ეკონომიკური სისტემის საფუძველია. წარმოების პროცესისათვის უმთავრესია ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები. ყოველივე ამას ადამიანს ღმერთი აძლევს (მიწა, მადნები, ხე-ტყე, ნავთობი, გაზი და ა.შ.), ანუ ადამიანის ამქვეყნად მოვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრებასაც. რაც უფრო წარმატებულია მეწარმე, მით მეტი რესურსის კონცენ-

¹ ლობჟანიძე გ., საკუთრების უფლების დაცვა, 12.02.2016, www.factcheck.ge.

ტრაცია ხდება მასთან. საბაზრო მექანიზმის მაღალი ეფექტიანობა აჯილდოებს მეწარმეს წარმატებული საქმიანობისათვის.

ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის გნხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ რამდენადაა შესაძლებელი საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში დაცული იქნას პატიოსნება და წესიერება, სათნოება და მოყვასის სიყვარული.

საკითხი შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: წარმოდგენის შექმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ და მართლმადიდებლური მოძღვრების დამოკიდებულება ჩრდილოვანი ოპერაციებისა და კორუფციისადმი. ქართველ მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო სახეების ერთობლიობას რისთვისაც დამახასიათებელია ფარული, საიდუმლო „მოღვაწეობა“, ხშირად კრიმინალური სახით, რომელიც არ არის რეგისტრირებული და არ აღირიცხება ოფიციალური ორგანოების მიერ“.

საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკა არალეგალურ ბიზნესზე გაცილებით მოკრძალებული წარმოდგენისაა. საგულისხმოა, რომ შემოსავლების დამალვის ტენდენცია წლიდან წლამდე იზრდება. თუ 1996 წელს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას 27%-ის ღონეზე აფასებდნენ, 2011 წელს ამ რიცხვმა 33%-ს მიაღწია. ასეთია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რითაც ასევე გამოვლინდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა ცალკეულ სფეროში. მაგალითად, სამრეწველო სექტორში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 40%-ს აღემატებოდა. ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მაღალი წილის მიზეზი იყო კორუფცია და მაღალი საგადასახადო განაკვეთები¹.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მაგრამ საჭიროებს მეტ აქტიურობას, კერძოდ საწარმოო ურთიერთობებში საკანონმდებლო რეგულირებას, სამართლებრივი ბაზისა და სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფას. ზოგადად, ქრისტიანული ეპოქა საზოგადოების ცხოვრებაში კანონიერების დამკვიდრების ეპოქაა, საქმიანობის სფეროს განურჩევლად.

შრომა - ადამიანის შექმნიდან ცხოვრების ბუნებრივ ელემენტს, ღმერთის თავდაპირველი ჩანაფიქრის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ცოდვით დაცემის შემდეგ შრომის შინაარსი და აზრი შეიცვალა. შრომის შემოქმედებითი ნაწილი დასუსტდა და საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, დღეს სწორედ შრომის წყალობით აქვს ადამიანს შემოქმედებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, რაც ღმერთთან მისი მსგავსების აუცილებელ დამოწმებას წარმოადგენს.

წმიდა წერილი ადამიანის რომელიმე კონკრეტულ საქმიანობას უპირატესობას არ ანიჭებს. ნებისმიერი საქმე, რომელიც ღვთიურ პრინციპებს შეესატყვისება, სასურველია ღმერთისთვის და კურთხეულია მისგან. საქმიანობა, რომელიც მიმართულია ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ცოდვისა და მანკიერების გავრცელებისაკენ, საზოგადოების გარყვნას ემსახურება და ღმერთისთვის მიუღებელია. მშრომელებს აქვთ უფლება ღირსეული საზღაური მიიღონ.

სოციალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა ადამიანის, მისი სქესის, ეროვნების ან სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, ერთნაირი შესაძლებლობები ჰქონდეს კანონის წინაშე და ყველა თანასწორი იყოს, მაგრამ ეს აუცილებლობა არ გულისხმობს კეთილდღეობის თანაბარ ღონეს, პირიქით, შრომისმოყვარეობა, გულმოდგინება, მუყაითობა და შემოქმედებითი მიდგომა ჯილდოს იმსახურებს შემოსავლების მაღალი ღონით.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება, სადაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა, გვიჩვენებს, რომ ჯანსაღი კონკურენცია ადამიანებს თანამშრომლობისაკენ უბიძგებს, ვინაიდან ეფექტიანი წარმოება მოითხოვს სპეციალიზაციას, რაც განაპირობებს შრომის მწარმოებლურობას და სამომხმარებლო საქონლის ღირებულების კლებას, რაც დაბალი შემოსავლების მქონე მომხმარებლისათვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის. კონკურენციას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ახასიათებს: იგი წარმოაჩენს ყოველი ადამიანის უნიკალურობასა და უნარიანობას.

¹ გაჩეჩილაძე ზ. საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები იზრდება, 18.09.2002, radiotavisupleba.ge

უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთულად მოგვარებადი პრობლემაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიხედვით კი 2014 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე (უმუშევრობის პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში) 12.4 % იყო.

საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს. სულ დასაქმებულია დაახლოებით 1.7 მლნ ადამიანი, აქედან დაახლოებით 1 მლნ თვითდასაქმებულია. სწორედ ამ ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად და სოციოლოგიურ გამოკითხვებში პასუხობს, რომ უმუშევარია. 692 ათასი ადამიანი არის დაქირავებით დასაქმებული და შესაბამისად, მათ არა აქვთ აღქმა, რომ უმუშევრები არიან. აქედან დაახლოებით 150 ათასი ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული¹.

უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება, მთავრობამ ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორცაა პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება.²

ქველმოქმედება ერთ-ერთი თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ ადამიანები ღმერთის საკუთრების განმკარგავნი არიან. წმინდა წერილი არაერთგზის მოგვიწოდებს ვიზრუნოთ იმ ადამიანთა საჭიროებებზე, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით საკუთარი თავის უზრუნველყოფა არ შეუძლიათ.

საერო ხელისუფლებამ, რომელიც იზიარებს და ეყრდნობა მართლმადიდებლურ პრინციპებს, შესაბამისი ნორმატიული ბაზით უნდა უზრუნველყოს ქველმოქმედების სტიმულირება. შესაძლებელია ასეთი ვარიანტების განხილვა: ა) დასაბეგრი მოგების შემცირება საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯებით (მთლიანად ან ნაწილობრივ); ბ) გარკვეული თანხის ქველმოქმედების გაწევისას, საწარმოს სიდიდის მიხედვით (მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები) შემცირებული საგადასახადო განაკვეთებით სარგებლობა (ზოგიერთ გადასახადზე); გ) „უზოვართა სახლებისათვის“ გარკვეული საბიუჯეტო ხარჯვითი ნორმატივის შემოღება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის, რომელიც შეიძლება დიფერენცირებულიც იყოს წლიური ბიუჯეტების მოცულობის მიხედვით.

შეესაბამება თუ არა საქართველოში ქველმოქმედება, სპონსორობა და ქცევის წესები, თუნდაც ბიზნესეთიკა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლსიკურ გაგებას? ბოლო წლებში ცნობილი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა გაიზარდა საქართველოში. კომპანიებმა ისწავლეს, ასე ვთქვათ, სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიულად განხორციელება და შესაბამისად, სულ უფრო ხშირად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მიუსაფარ ბავშვებს, მართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებასა და აქციებს, ერთვებიან ისეთ აქტივობებშიც, როგორც გარემოს დაცვაა. დიდ და განვითარებულ კომპანიებს უფრო დივერსიფიცირებული აქვთ ეს საკითხი და არა მარტო ქველმოქმედებით გამოხატავენ თავიანთ სოციალურ პასუხისმგებლობას, არამედ სხვადასხვა სფეროს მხარდაჭერით, სტანდარტების განვითარებით, თანამშრომლებზე ზრუნვით, გარემოზე ზრუნვით და სხვა აქტივობებით გამირჩევიან.

გარემოს დაცვაზე მზრუნველ კომპანიებს შორის უნდა აღინიშნოს კომპანია „ნატახტარი“, რომელმაც მსხვილი ინვესტიცია განახორციელა წყლის გამწმენდი ნაგებობის შესაძენად. ნაგებობა გამოყენებულ წყალს მანამ წმენდს, ვიდრე ჩამდინარე სისტემაში მოხვდება. რა თქმა უნდა, სამართლებრივად ეს კეთილი ნებაა, მაგრამ ეს არის მორალური ვალდებულება. როდესაც კომპანია მზრუნველია და აღელვებს საზოგადოება, არ არის გარიყული და განყენებული ასეთი კომპანიები უფრო სანდო და მისაღებია მომხმარებლისათვის.

ასევე აღსანიშნავია საქველმოქმედო ფონდები: „მომავლის გზა“, „იაენანა“, „კათარზისი“, „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“. გარდა ამისა, აქტიურად ფუნქციონირებს სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამა. საქართველოში შექმნილი რთული ეკონომიკური და სოციალური ვითარე-

¹ ნამჩავაძე ბ. უმუშევრობის პრობლემა, 18.11.2015, <http://forbes.ge>

² www.geostat.ge

ბიდან გამომდინარე კი, კარგი იქნება, თუ სოციალურ პასუხისმგებლობას, ქველმოქმედებას უფრო მეტი კომპანია გამოიჩინოს.

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების კვალდაკვალ სულ უფრო ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების სიდუხჭირის ფესვები არა მარტო ეკონომიკაშია, არამედ ზნეობრივ სფეროშიც, ადამიანის სულიერ ტრანსფორმაციაში. საჭიროა მტკიცედ დამკვიდრდეს მოხმარების ის ზომა, რომელიც აუცილებელია ადამიანის სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის

ქრისტიანულ რელიგიას ოდითგანვე მნიშვნელოვანი ფუნქცია და როლი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტით, რაც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და გვევლინება დემოკრატიის, პოლიტიკური განვითარების, ეკონომიკური სატაბილურობის, ქვეყნის ინტერესებისა და იდენტობის შენარჩუნების საფუძვლად.

Salome Sulaberidze

Economic parallels of Orthodoxy on the case of Georgia

Resume

For Economic development the production of goods and services is important to satisfy human requirements. Its goal is not only optimal using of raw materials, energy, capital, labor force and limited resources of new technologies, but the focus should be placed on how the agricultural entity conducts activities in accordance with the doctrine of Christian religion. The basic biblical principles in economics are: property rights, entrepreneurship, good business, labor, charity.

According to the Christian religion, the arbitrary distribution of property or alienation is prohibited, as one of the fundamental commandments of God "Do not steal" is violated.

Private property contributes to the existence of required living space of the individual and his Private life. It encourages people to implement agricultural works with great responsibility and their own interests. From ancient times until now the private property is considered to be the product of labor, its physical and spiritual activities.

The Christian religion calls for kind things to be done. In this case, the entrepreneur does kindness if through effective organization of business (e.g., low prices on high quality goods) meets the interests of consumers and provides paid jobs for people.

Any society is inconceivable without production of material goods. Material wealth is created just in the process of production and is the foundation for the society to exist. Under the current conditions the economic development is impossible without commerce, manufacturing, financial institutions and other industrial and social infrastructure. It became an integral part of modern human life.

According to Christian doctrine "work" is God's mercy that people should govern productively for their own and others' benefit. Human development does not mean only spiritual development, but physical and mental labor is necessary too.

For economic development the employment of citizens and growth of labor productivity is important. In this regard, the improvement of upbringing and education system, qualification, staff training and job creation should be considered. The employed society will promote improvement of economic and social environment.

The scripture repeatedly calls us for charity. We should take care for the needs of the people who for various reasons are not able to provide for themselves. Unfortunately charity is not often the case of the modern world.

ინტერნეტკომუნიკა და ქრისტიანობა

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერნეტს. ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. კაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ გავიხსენებთ ისეთ გამოგონებას, რომელიც ინტერნეტს შეედრება. ინტერნეტსა და ქსელურ სისტემებზე ხომ ადამიანების გარდა თვით სახელმწიფოებიც არიან დამოკიდებული. თანამედროვე საბანკო სისტემები, კომუნიკაცია, უსაფრთხოება, შეიარაღებული ძალები, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყება, დღეს სწორედ ინტერნეტზეა დაფუძნებული. ინტერნეტმა თავისი გლობალურობიდან გამომდინარე, ყველა სფერო მოიცვა - კომერციული თუ არაკომერციული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური და ეკონომიკური. ინტერნეტის განვითარებამ განაპირობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სწრაფი ზრდა. სწორედ ეკონომიკური ზრდის გამო არის ინტერნეტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო. ქვეყანა, რომელიც ეკონომიკაში, და არა მარტო ეკონომიკაში, უამრავი პრობლემის წინაშე დგას, აუცილებლად საჭიროებს ახალი გზების ძიებას ეკონომიკური ძლიერების და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

მოსახლეობის და რესურსების მობილიზაციის ზრდასთან ერთად ელექტრონული ეკონომიკა არ იზღუდება ელექტრონული საქონლისა და მომსახურების ბიზნესით, არამედ უფრო ფართოვდება და ეხება სხვადასხვა სფეროს, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება, ინერნეტ-ბანკინგი და ა.შ. საქართველოში ინტერნეტის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის განვითარებაში. ტურიზმის განვითარებისათვის ინტერნეტი აუცილებელი პირობაა. დღეისათვის ტურისტების უმრავლესობა გემავს და ახორციელებს თავის მოგზაურობას ინტერნეტის მეშვეობით. ყველა პროცესი - დაწყებული ტურის შერჩევიდან, ბილეთების და სასტუმროს დაჯავშნა და სხვადასხვა მომსახურების საფასურის გადახდა, მომსახურების შეფასება სწორედ ინტერნეტის საშუალებით ხდება. ქართული ტურისტული კომპანიები, მსხვილი სასტუმროები, ასევე ფიზიკური პირები აქტიურად სარგებლობენ ინტერნეტით, იყენებენ საერთაშორისო ვებგვერდებს მათი ბიზნესის განვითარების და ტურისტების მოზიდვისათვის. ონლაინ მოძიების და დაჯავშნის შესაძლებლობამ რადიკალურად შეცვალა ტურიზმის გლობალური ტენდენციები. იგი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მარტივად და სწრაფად მოიძიოს და დაჯავშნოს მისთვის სასურველი ტურისტული პროდუქტი თუ მომსახურება.

ინტერნეტი ასევე მნიშვნელოვანია საბანკო სისტემისათვის დღეს საბანკო სექტორის აბსოლუტური უმრავლესობა გადასულია ინტერნეტ-ბანკინგზე, რაც მომხმარებელს უიოლებს უნაღლო ანგარიშსწორების განხორციელებას და ამარტივებს ფულადი სახსრების განკარგვას მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომპანიებისათვის საერთაშორისო გადარიცხვები. შემოსავლების სამსახურს და სახელმწიფო უწყებებს (იუსტიციის სამინისტრო) ბიზნესის გამარტივების მიზნით შექმნილი აქვთ ონლაინ მომსახურება, რის მეშვეობითაც შესაძლებელია ბიზნესის დაწყება მარტივად, მოკლე დროში, მინიმალური დანახარჯებით, რაც კიდევ ერთი სტიმულია დამწყები მეწარმისათვის.

ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი პრობლემის გადაჭრა, როგორცაა უმუშევრობა. ქართულ ინტერნეტსივრცეში რამდენიმე წელია გამოჩნდა სპეციალური ვებგვერდები, სადაც სამუშაოს მაძიებელს შეუძლია განათავსოს საკუთარი აპლიკაცია და მოძებნოს სასურველი ვაკანსია.

ინტერნეტის საშუალებით ასევე ხდება განათლების დონის ამაღლება. განათლების დონე კი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარებასთან. ელექტრონული მასმედია საშუალებას იძლევა მივიღოთ ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხი, მოვიძიოთ სასურველი ლიტერატურა მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილი ბიბლიოთეკებიდან, გავუზიაროთ სხვას ჩვენი გამოცდილება.

ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან ერთად ინტერნეტი საშუალებას იძლევა ვიქადაგოთ ქრისტიანობაზე. ჩვეულებრივ, ჩვენ ინტერნეტში ვეძებთ სასურველ ინფორმაციას: ქრისტიანულ ფილმებს, ვიდეოებს და საინტერესო ქადაგებებს. სოციალური ქსელების საშუალებით ვეკონტაქტებით ქრისტიანებს. ინტერნეტი შეიძლება დროის გატარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყოს. ამასთან ის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ბიბლიის და სხვადასხვა ქრისტიანული ქადაგების გავრცელების ერთ-ერთი ყვე-

ლაზე ინოვაციური და კარგი მეთოდი, რადგან ინტერნეტს მოსახლეობის უმეტესობა აქტიურად გამოიყენებს. ადამიანებს სოციალური ქსელებში ჰყავს მეგობრების დიდი რაოდენობა, რომელთა უმრავლესობას რეალურად არ იცნობენ, მათთან ურთიერთობას კი იწყებენ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი ინტერესი შეიძლება იყოს ქრისტიანობა, რომელსაც შეუძლია ბევრი მორწმუნე დააკავშიროს ერთმანეთთან და სხვებსაც დაანახოს ჭეშმარიტი გზა.

ინტერნეტის გავლენაზე მსჯელობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია-II 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში: „ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ. ვფიქრობ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები...“¹.

ინტერნეტის მომხმარებლებისათვის კარგად არის ცნობილი უამრავია აპლიკაცია, რომელიც სმარტფონებში იწერება და მისი საშუალებით მომხმარებელს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია სასურველი აპლიკაციით სარგებლობა. არსებობს უამრავი გასართობი, შემეცნებითი და სამოგზაურო, საბანკო და ა.შ. აპლიკაციები, რომელიც ნებისმიერ მომხმარებელზე არის გათვლილი. მათ რიცხვს შეემატა რელიგიურ თემაზე შექმნილი აპლიკაციები. 2013 წელს ვატიკანში წარმოადგინეს პაპის აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს პაპი ფრანცისკის გამოსვლებს, ქადაგებებს, სხვადასხვა ვიზიტებს და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. ამავე აპლიკაციით შესაძლებელია წმინდა პეტრეს ტაძრის და ვატიკანის სხვა ადგილების ონლაინრეჟიმით დათვალიერება. აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია სასურველი ინფორმაციის შენახვა.

აპლიკაცია ხელმისაწვდომია იტალიურ, ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და პორტუგალიურ ენებზე. პროგრესულად მოაზროვნე რომის პაპი ლოიალურად არის განწყობილი ინტერნეტის მიმართ.

კათოლიკური სამყაროს გარდა, რელიგიური აპლიკაციების გამოყენება ქართულ მართლმადიდებლურ რეალობაშიც დაიწყო. ქართველი მომხმარებლებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი აპლიკაცია „ლოცვანი“. ბათუმისა და ლაზეთის და ჩრდილოეთ ამარიკისა და კანადის მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ლოს ანჯელესის წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობის ქართულ სამრევლოში დამზადდა რამდენიმე აპლიკაცია - ლოცვანი, ფსალმუნნი და სხვა. აპლიკაციას „ლოცვანი“ აქვს ძალზე მარტივი ინტერფეისი (ინტერფეისი (ინგლ. Interface) - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების, საოპერაციო პროგრამული რესურსების ლოგიკური ფორმატი, რომელიც განსაზღვრულია საერთო მახასიათებლით),² რომელიც მომხმარებელს უადვილებს სასურველი ინფორმაციის მიღებას. აპლიკაციაში წამოდგენილია სხვადასხვა ლოცვების ელექტრონული კრებული, ასევე ფსალმუნნი და დაუჯდომელნი. ის ხელმისაწვდომია ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით მოსახერხებელია მოგზაურობის დროს, რადგან არ საჭიროებს დამატებით ადგილს ჩვენს ჩანთაში.

ინტერნეტი საუკეთესო საშუალებაა ქრისტიანობის საქადაგებლად. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებამ ელექტრონული ფოსტა, ვებრესურსები, სოციალური ქსელები ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად აქცია. ინტერნეტმა შეძლო შორი მანძილის შემცირება. ინფორმაცია წამებში ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ამისათვის მხოლოდ ინტერნეტში ჩართული მოწყობილობა (კომპიუტერი, პლანშეტი, სმარტფონი) არის საჭირო. სწორედ ამგვარად უფლის სიტყვაც შესაძლებელია გავრცელდეს ყველგან, სადაც ინტერნეტი მთელს დედამიწაზე. მრავალი შემთხვევა არსებობს იმისა, რომ ათეისტები სწორედ ინტერნეტის საშუალებით გაეცნენ მართლმადიდებლურ რელიგიას და მიაკვლიეს ჭეშმარიტებას. ვატოპედის წმინდა და დიდი სავანის წინამძღვარი ბერი ეფრემ ვატოპედელი იხსენებს, რომ მათ სავანეში მივიდა ჰოლივუდის მსახიობი - ჯონათან ჯექსონი, რომელიც მართლმადიდებელი გახდა სწორედ ინტერნეტის მეშვეობით.³

¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია-II-ის 2012 წლის საშობაო ეპისტოლე <http://orthodox-geo.net/?cat=13>

² [https://en.wikipedia.org/wiki/Interface_\(computing\)](https://en.wikipedia.org/wiki/Interface_(computing))

³ <http://www.pemptousia.ge/2015/05/11>

დღეს, როდესაც ელექტრონული მედიის საშუალებით უამრავი ინფორმაციის მიღება შეიძლება, ძალზე რთულია გაარჩიო სასურველი და არასასურველი ინფორმაცია ერთმანეთისაგან. ამიტომაც არის თანამედროვე ადამიანების უმრავლესობა დეზორიენტირებული. ბერი ეფრემ ვატოპედელის აზრით, სწორედ ამიტომ ინტერნეტს მნიშვნელოვანი როლი აქვს, რათა გაავრცელოს უფლის სიტყვა ქსელში და გააძლიეროს მორწმუნენი. ის თვლის, რომ ინტერნეტის საშუალებით გადაცემულ უფლის სიტყვას შესაძლებელია გააჩნდეს მაკურნებელი ძალის ფუნქცია, რისთვისაც აუცილებელია ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა და სხვადასხვა აპლიკაციები, რომლებიც დაეხმარება მომხმარებელს საჭირო ინფორმაციის მოძიებაში, ქადაგებების და წმინდათა ცხოვრების გასაცნობად და ჭეშმარიტი გზის პოვნაში. ქრისტიანობა ყოველთვის იყო წიგნიერი რელიგია და საუკუნეებისა მანძილზე უამრავი ლიტერატურა იბეჭდებოდა ამ მიმართულებით.

დღეს კი, როდესაც მსოფლიო ინტერნეტ და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადავიდა, აუცილებელია ამ უნიკალური მეშვეობის ელექტრონულ ფორმატში გადატანა. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს ჩავწერთ სასულიერო პირების ქადაგებები შევინახოთ ან პირდაპირ ეთერში ვაჩვენოთ დაინტერესებულ ადამიანებს ეს ვიდეო. რამდენიმე ათეული წლის წინ მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო. ბერი ეფრემ კანუკანელი ამბობდა: „როგორი სამწუხაროა, რომ არ იყო საშუალება ჩაგვეწერა ბერი იოსებ ისიქასტის გამონათქვამები“.

ინტერნეტს შეუძლია არა მხოლოდ დაახლოოს ადამიანი ქრისტესთან, უამრავი ნეგატიური ინფორმაციის გავლენით, მას ასევე შეუძლია დაამოროს ადამიანი ღმერთს. კაცობრიობის მიერ შექმნილი სხვადასხვა საშუალების მსგავსად ინტერნეტსაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე. დანა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც იარაღი განრისხებული ადამიანის ხელში და ასევე საშუალება, რომლითაც ხდება საქმის გაიოლება (პროლუქტის მარტივად დანაწილება-დაჭრა). ინტერნეტს შეიძლება ნეგატიურად გამოიყენოს ადამიანმა. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მშობლების მხრიდან შვილების გარკვეულწილად კონტროლი, რათა დაიცვან მოზარდები ინტერნეტის მავნებლობისაგან, იმდენად, რამდენადაც ინტერნეტ-სივრცე თითქმის უკონტროლოა და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აითვისოს ესა თუ ის ინფორმაცია, სახელმწიფოს კი არ აქვს საკმარისი რესურსი მისი სრულად კონტროლისათვის.

ფაქტია, რომ ინტერნეტის შესაძლებლობები ჯერ კიდევ ამოუწურავია და კაცობრიობას წინ კიდევ ბევრი სიახლე ელის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებით. ინტერნეტი სიკეთესთან ერთად მრავალი დაბრკოლების მომტანიც არის და მას მეტი კონტროლი სჭირდება. ყოველ გამოწვევას და ინოვაციას უნდა შევხედოთ დადებითად და მისგან ვეცადოთ მაქსიმალური სარგებლის მიღებას. ინტერნეტეკონომიკის განვითარება აუცილებელია ქვეყნისათვის, რადგან ის ტრადიციული ეკონომიკის ნაწილი ხდება და მის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ინტერნეტეკონომიკის განვითარებით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევა, განათლების დონის ამაღლება, უმუშევრობის დაძლევა და ა.შ. შეჯამებისათვის ჩამოვთვალოთ თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ინტერნეტ-ეკონომიკას ქრისტიანობისათვის:

1. ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარებით წესრიგდება ინტერნეტ-გარემო, ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ინტერნეტის კონტროლი და მორწმუნეებს საშუალება ეძლევა მათთვის სასურველი ნებისმიერი რელიგიური ინფორმაცია დაუბრკოლებლად მიიღონ ნებისმიერ დროს და ადგილას;

2. ინტერნეტ-ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარეა მისი როლი ტურიზმის განვითარებაში. როგორც აღვნიშნეთ, დღეს ნებისმიერი ტურის დაგეგმვა და განხორციელება მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ხდება. ძალზე აქტუალურია რელიგიური ტურები, რომლებიც მომლოცველ პილიგრიმებს საშუალებას აძლევს ინტერნეტის საშუალებით დაგეგმონ სხვადასხვა მოგზაურობა და ნახონ მათთვის სასურველი სიწმინდეები და წმინდა ადგილები. ამის ნათელი მაგალითია „მომლოცველი პილიგრიმი“ - ქართული ჯგუფი აცებოკ-ზე, რომელიც რამდენიმე ასეულ მორწმუნეს აერთიანებს. ჯგუფში ხშირად თავსდება ინფორმაცია დაგეგმილ მომლოცველობით ტურებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წმინდა ადგილებში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩაერთოს სასურველ ტურში.

3. ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარებით მორწმუნეებს საშუალება ეძლევა დაზოგონ ფულადი სახსრები სხვადასხვა ლიტერატურის მოსაძიებლად და შესაძენად, რადგან ინტერნეტში ხდება ელექტრონული ბიბლიოთეკის განახლება და მსოფლიო მემკვიდრეობის ციფრულ ფორმატში მოქცევა.

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ინტერნეტი არის თანამედროვე საშუალება, რომელიც აჩქარებს გლობალიზაციას. ეს საუკეთესო საშუალებაა იმათთვის, რომელთაც სურთ თავიანთი იდეები გაატარონ გლობალური ისტორიის, ეკონომიკის, განათლების განვითარებისათვის, რადგან სწორედ აქ ხდება ყველაზე სწრაფად ინფორმაციის გავრცელება და რაც მთავარია - მინიმალური დანახარჯებით. ინტერნეტი ეხმარება დღეს არა მხოლოდ ადამიანებს კომუნიკაციისათვის და ინფორმაციის მიღებისათვის, ის აუცილებელი პირობაა ფირმების წარმატებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური ზრდისათვის. თუ ინტერნეტს შეუძლია ასეთი გლობალური სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრა, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის ქრისტიანობის საქადაგებლად და მის გასავრცელებლად. რა თქმა უნდა შეუძლებელია გარკვეული სულიერების მიღწევა მხოლოდ ინტერნეტით. მართლმადიდებლობაში მთავარი და ცენტრალური ფიგურა ადამიანია.

ინტერნეტი არის ჩვენი იდეების განხორციელების მთავარი ბაზარი. ყველა ინფორმაცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ხდება, ინტერნეტში თავსდება, სწორედ ამიტომ სულ უფრო რთული ხდება ქრისტიანობის მტრების მიერ სახარების და ქრისტიანობის გავრცელების შეზღუდვა. იესო ქრისტემ მოგვცა ჩვენ მისია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები გვექცია მის მოწაფეებად, რაც ხშირად ძალზე რთული იყო. სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი იყო ქრისტეს რჯულზე ქადაგება. დღეისათვის ინტერნეტის მეშვეობით ეს შეზღუდვა თითქმის არ არსებობს. ამიტომაც, ინტერნეტს უნდა მივუდგეთ როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ღმერთმა მოგვცა საკუთარი სიტყვის გასავრცელებლად. მოდი გამოვიყენოთ ის ამ მიზნისთვისაც!

Zeinab Surmanidze

Internet Economics and Christianity

Resume

Internet is not only the means of communication and access to information for people, it is also a necessary condition for the success of firms, development of a country's economic situation and economic growth. If Internet can solve global problems why not to use it for preaching and spreading Christianity? Jesus gave us the mission, to turn the representatives of different countries of the world into his disciples, and it was very difficult. It was almost impossible to bear witness to Christ in different countries. In these days, there is almost no restriction in this regard through internet. That's why we need to approach to the Internet as to a tool that God gave us for spreading his word. Let's use it for this purpose! Through development of internet economics and tourism and by reduction of costs it becomes possible to improve economic conditions of a country, as well as of Orthodox Christianity.

**რელიგიურობა - ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი
(დასავლეთ საქართველოს ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

„...რელიგიამ სახელმწიფოსა და საზოგადოების, თვით ადამიანის ცხოვრების ისეთ ძირეულ საწყის-ში შეაღწია, როგორც არის ეკონომიკა; თავის მხრივ, ეკონომიკამ, როგორც ადამიანთა ცხოვრებისა და არსებობის ამ რთულმა და ძალზე სასიცოცხლო არეალმა, თავისდა უნებურად, ნებისთ თუ უნებლიედ, გაითავისა რელიგიის ძირეული პოსტულატების შინაარსი და მოთხოვნები. რელიგიამ შესაბამისი არეალით და დატვირთვით, თვით სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკაც მოიცვა და ადეკვატური სოციალურ-ზნეობრივი „ანაბეჭდით“ წარმოჩინდა. ...რელიგია თავისთავად ადამიანის ქმედების აქტივიზაციის მოცემულობა და ზნეობრიობის რეალიზაციის ნოციერი ნიადაგა“¹ (ზ. ჯორბენაძე).

თეზისი: ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა არა ქართველთა სამეურნეო ტრადიციული ცოდნა-მეთოდების, არამედ ადამიანის აწინდელ სამეურნეო საქმიანობასა და სულიერებას შორის კავშირის შესაბამისია. წარსულში სამეურნეო წარმატებას ქართველთა რწმენაც განაპირობებდა². რომ შედეგად დაგვრჩეს საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური ყოფა, მეურნისგან გეოგრაფიის ცნობა-ფლობასთან, მის საქმიანობაში რწმენის და მოვალეობის თანხვედრის შენარჩუნებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსგან მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ზრუნვა, ქართველი მეურნის ცოდნის, რელიგიის მასტიმულირებელი ისტორიულ-ტრადიციული როლის გათვალისწინება.

ფასეულობათა სისტემიდან უმთავრესად, რელიგია პასუხობს ადამიანთა ობიექტურ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ მოთხოვნებს. რწმენა-წარმოდგენების უადრეს საფეხურზე გაჩენილად აღიარებული, სამეურნეო კეთილდღეობის და უზემოსავლიანობის უზრუნველყოფელი აგრარული წეს-ჩვეულებანი საწარმოო პროცესში ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანის სამეურნეო და სულიერი სამყაროს განვითარების თანაფარდობის უზრუნველყოფელია (თ. ლუღუშაური)³.

კვლევა საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ რამდენიმე საკითხი: **1.** ქართველთა ტრადიციული სამეურნეო ცოდნა-მეთოდები; **2.** რელიგიის და რწმენა-წარმოდგენების, როგორც ფასეულობათა სისტემის გამორჩეული როლი საწარმოო პროცესში, ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში; **3.** ქრისტიანობით და მასთან შერწყმული წინარექრისტიანული რწმენებით განპირობებული ქართველთა ყოფითი ცხოვრება - სინკრეტიზმი; **4.** განაყოფიერების უზრუნველყოფელი და ამინდის გამომწვევ ძალთა საამებელი რიტუალები; **5.** მსხვილფეხა პირუტყვის საკრალური როლი მიწათმოქმედებაში.

ცნობილია, რომ წარსულში ქართველები იყენებდნენ სამეურნეო საქმიანობაში დღეს ნაკლებად ყურადღებაშიქცეულ თავის დროზე უხვი მოსავლის გარანტ სისტემის, გზებისა და საშუალებების (თონა-მარგვლა, ნიადაგის განოციერება, მანებელთაგან დაცვა, მიწის გადაბრუნება-დასვენება, ყოველწლიურად ან ორწელგამოშვებით სათეს მიწაზე სხვა მარცვლეულის თესვა, შერეული თესვა, შემოდგომაზე დახვნა. მცენარეთა გადარჩენის წესები [„ცეცხლის ნთება ისე, რომ ბოლი მთელ ბაღს მოჰფენოდა; მორწყვით ხელოვნურად მიწის ტემპერატურის დაცემა; გასხვლა“] „ყვავილობაში მოსწრებული ყინვისგან“) შესახებ ცოდნას. ჰქონდა რა ქართველ კაცს ტრადიციული მეურნეობის მართვის ცოდნა, ცნობდა ბუნებას, მისდევდა გარემო პირობების შესაბამისი დარგების განვითარებას, მოჰყავდათ მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურები იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭაში, აჭარასა და ხევსურეთში ჩაწერილი მასალები ადასტურებენ ტრადიციის შესრულების „აუცილებლობა-სიკეთის, რწმენით გაჯერებული ერთობის შრომის შეძლებაზე,

¹ <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Economy/JorbenadzeZurab.pdf>

² შდრ.: „ქართველმა ხალხმა თავისი ცხოვრების წესის ძირითადი საფუძვლები ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შეიმუშავა, საუკუნეების მანძილზე მიზანმიმართულად დახვეწა და სრულყოფილი გახდა, აქედან გამომდინარე, ქართული ცხოვრების წესი ქართველთა სარწმუნოებით და იმ აგრარული კალენდრითა განპირობებული, რომელიც მოცემულ ბუნებრივ გარემოში მეურნეობის, საერთოდ, შრომა-საქმიანობის სისტემას აყალიბებს და წარმართავს. კულტურის ეს უდიდესი მონაპოვარი ქრისტიანობამ მოლიანად შეითვისა და შეისისხლხორცა, ამიტომ გახდა იგი ქართველთა სარწმუნოება (ლ. ფრუიძე, <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=45&id=816>).

³ Гуревич П.С. Философия культуры. Учебник для высшей школы. 2001.

რწმენის ძლიერებით მიღწეული წარმატებული ცხოვრების უზრუნველყოფის, ანუ უფლისგან წყალობის შესახებ“. სამუშაო და უქმე დღეების, მარხვა-ხსნილის, საწესო კვების (მაგალითად ოკრიბაში იტყვიან „ღვინობისას თეთრეულის [მაგალითად ყველი - დ. შავიანიძე] ჭამა არ შეიძლება“) დაცვის წესის შესახებ¹.

შეიძლება ვთქვათ, რომ რელიგიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, საუკუნეების განმავლობაში შრომითი საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბებულ აგრარულ წეს-ჩვეულებათა სისტემაში, სამეურნეო ცოდნა-მეთოდებში აისახა მოსახლეობის მსოფლალქმა და წარმოდგენა გარე სამყაროზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართულტრადიციული ყოფის ელემენტები ან ნაწილობრივ, ან აღარ, ან გაუცნობიერებელ დონეზე არსებობს, ანდაც მხოლოდ ტრადიციას და რიტუალის შინაარსი დაკარგული აქვს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყოფითი ცხოვრება ქრისტიანობით და მასთან შერწყმული წინარექრისტიანული რწმენებით იყო და არის განპირობებული. სინკრეტიზმი სახეზეა. **ეთნოგრაფიული მასალები:** მაგიის დაცვითი ფორმისა და შინაარსის რიტუალია „ლამპრობა“/ლიჩედურალ (გაქცევა, განდევნა), რომელიც მოძრაია და სვანეთში ტარდება აღდგომამდე ათი კვირით ადრე. ერთი, პირველი ლამპარი მზადდება მოსავლიანობის მფარველი ღვთაების წმინდა მარამის სახელზე, მეორე წმინდა გიორგის სახელზე კაცური ძალის დასაცავად და მესამე ცის ძალთა საამებლად, რომ წელი მშვიდობიანად და უხვად დასრულებულიყო. ლამპრობის დღესასწაულისთვის აცხობდნენ სალოცავ კვერებს „ლემზირებს“/ლიმზირ²; მსგავსი შინაარსისა იყო შუაზე ხის ძელდატნეული და წვერში ჯვარდასმული³ **თოვლის კოშკის** აგების ტრადიცია. „ლენტეხლები ეჯიბრებოდნენ ლაშხეთის თემის მკვიდრებს. გუნდებად დაყოფილი დღესასწაულში მონაწილენი ცდილობდნენ კოშკის თავის მხარეზე წაქცევას. ვინც თავის მხარეს წააქცევდა, მათ იმ წელს მეტი მოსავალი მოუვიდოდა“⁴; ქართველთა რწმენების კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა მთიან აჭარაში გავრცელებული დღესასწაული „შუამთობა“. „შუამთობის დღესასწაული არის იაილებზე ყოფნის შუა პერიოდი. ამ დღეს ვმადლობთ ღმერთს, რომ ჩვენი იაილებზე ცხოვრება ნაყოფიერია, ბუნებისგან ხელშეწყობილი ვართ და პროდუქტიც უხვად გვაქვს. ვილოცებით, რომ დარჩენილი პერიოდიც იაილებზე ყოფნისა ასევე ხვავრიელი იყოს“⁵. „ძველი კაცი ახალი მოსავალ-მონაგრის (ფრინველი, საქონელი, მარცვლეული) გემოს არ იხილავდა, რომ მისთვის ცალკე ტაბაკი არ დაედგა, არ დაელოცა. ღვთის სახელზე დადგმული სუფრა უხვი მოსავლისა და მისი ბედნიერი მოხმარების საწინდარი იყო“⁶; მიწის ხელოვნურად განოყიერების დროს ილოცებოდნენ და ამბობდნენ: „ბევრი პარკი მოიბას, ჯვარი ამ ყანასო“. „ასრლებდნენ დაცვითი ფორმის რიტუალებას და სწამდათ, რომ იქნებოდა ღვთის წყალობა, ხვავიანი მოსავალი“⁷.

ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით დასტურება მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მდგრადობით გამორჩეული ცხოვრების წესი და მენტალობა კულტურის მუდმივად ცვლადი ელემენტებია. მთავარი ღირებულება დღესაც ქართველთა უდიდესი ნაწილისათვისაც კვლავ რელიგიურობაა (რ. გუჯეჯიანი).

რელიგიურობის, როგორც მეურნის მენტალობის მთავარი ნიშნის დასტურია ამინდის გამოსაწვევი წეს-რიტუალები და მსხვილფეხა საქონლის საკრალური როლის გაზრდის ამსახველი მასალები. სასურველი ამინდის გამოწვევის ტრადიციის თანამდევნი მაგიური ქმედებების სირთულეზე მსჯელობისას მეცნიერები გამოყოფენ ღვთაებათა სამ (სოციალური მნიშვნელობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურისთვის

¹ შდრ.: ცნობილია, რომ ეკლესია აღასრულებს ექპარისტას, როგორც „მადლობისა და ქების მიძღვნას მამა ღმერთისადმი, როგორც ქრისტეს მსხვერპლშეწირვისა და მისი სხეულის სახსოვარს, როგორც ქრისტეს თანასწორებას მისი სიტყვისა და სულის ძლიერების ძალით“ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1021>)

მთხრობელები: ცისანა ხორგუნი, ბეჩო, 2015; გურამ უბირია, მარტვილი, ნოლა, 2014; თ. მამრიკიშვილი, ოკრიბა, კოკა, 2004; თ. ივანეიშვილი-გოგოლაშვილი, ოკრიბა, კურსევი, 1995. ლ. ბოჭორიშვილი, ოკრიბა, ორპირი, 2013; ბ. არაბული, ბარისახო, 2001.

² ლობჯანიძე თ, ჟახუნდერი, 2013; ტ. კვიციანი, ბეჩო, დოლასვიფი, სპ. გვარამიანი 2015.

³ რიტუალის ატრიბუტია ზოგადად მატერიალურ სამყაროზე უფრო მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი ქრისტიანული რწმენების შინაარსის შემთავსებელი, მზის, დედამიწისა და საცხოვრისის აღმნიშვნელი (http://www-dzeglebi.ge/statiebi/sxva/gansakutrebuli_nishani.html).

⁴ მთხრობელი დავით ონიანი, სასაში, 2013.

⁵ მთხრობელი როსტომ წულუკიძე, დიდაჭარა, 2008.

⁶ მთხრობელი ო. კაცია, ახუთი, 2014.

⁷ მთხრობელი ლ. ბოჭორიშვილი, ოკრიბა, ორპირი, 2014.

შესაბამისობა; ბუნების ძალების განმგებლობის სახით გამოხატული ღვთაების ფიზიკური ძალა და მისი სამხედრო ძლიერება, ადამიანთა გამრავლება, მატერიალური უზრუნველყოფა და მისი ქონების დაცვა – ხაზი ჩვენია) ფუნქციას და მონაწილე კომპონენტთა ისტორიულ წარმომავლობას, შესრულების კოლექტიურ (მაგალითად ოკრიბაში ხატის გაბანის წესი – ხაზი ჩვენია), თუ ინდივიდუალურ (მაგალითად, მეგრელები „ძიძავას ენგურში გადაუშვებდნენ და კიოდნენ, სწამდათ, რომ „ზღვაში კაცი დაიხრჩო და ვიდრე არ გამორიყავს, მანამ იწვიმებსო“, ან „ბაყაყს მოკლავდნენ და მუცელზე გადააბრუნებდნენ. ამით ცას განარისხებდნენ და წვიმას იწვევდნენ“¹) წესს, პირობითად გაერთიანებულ მაგიურ ქმედებათა ჯგუფებს, ვინაიდან ისინი არ გამოხატავენ ვედრებას რომელიმე ღვთაებრივი ძალისადმი²; „მსხვილფეხა საქონლის საკრალური როლის გაზრდა კი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწისმოქმედების განვითარებასთან, რაც აისახა გვიანდელ წარმოდგენებში, სადაც ირემს, ჯიხვს და ა.შ. ცვლის სალოცავში მოსული ხარი... გარეულ ნადირსა და თხას ცვლის სამსხვერპლო ცხვარი, ხარი, რომლებიც ოპტიმალურად წარმოსახავენ მიწისმოქმედების ინტერესს. შეიწირება არა მუშა ცხოველი, არამედ მწარმოებელი ხარი, ან მოზვერი, რომელსაც უღელი არასოდეს დგმია. აქ აშკარად ჩანს ტენდენცია, რომლის თანახმად სამსხვერპლო, ანუ წმინდა ცხოველი, არის გარეული, ან ისეთი შინაური, რომელსაც ბუნებრივი თვისებები არ დაუკარგავს. იგი აღმოცენებულია და ჩამოყალიბებულია ვრცელ კულტურულ წრეში, ნაყოფიერების კულტის ხანგრძლივი განვითარების მხარდამხარ. ამ დიდ პოლიეთნიკურ გარემოში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა წინაპრებიც, რომელთა კულტურულმა მონაპოვარმა ამა თუ იმ ფრომით დღემდე შემოინახა თავი“³. **ეთნოგრაფიული მასალა:** ჭირნახულის აღება-დაბინავების შემდეგ სამეგრელოში სრულდება „შქეთული. დაკლავენ გოჭს, ბატკანს, ხბოს, მამალს, იხვს, თევზს. აცხობენ პურის, ფეტვისა და სიმინდის კვერებს. ოჯახის უფროსი შქეთულის ქვევრთან დადგამს საკლავის შიგანით და თავებით გაწყობილ ხონჩას, ქვევრის თავზე მიკრულ სანთლებს აანთებს და დაილოცებოდა. ღვთაებას სავსე მოსავლისთვის მადლობას სწირავს და ოჯახის სავსეობას, კეთილდღეობას სთხოვს“; მთიან სამეგრელოში ადგილის ღმერთის სახელზე ოქტომბერში ჩატარებული ღოცვა გიმათუა და ზემო რაჭული კოლოკრობა ერთი შინაარსისაა. ეთნოგრაფიული მასალით: „ოქტომბერი მოსავლის მოწვევის თვეა. რომ ზვავიანი ოქტომბერი გეჭონდეს, აღვნიშნავთ „გიმათუას“⁴.

სამეურნეო საქმიანობასა და ტრადიციულ და სულიერ კულტურას შორის კავშირის მადასტურებელია მატება-სიცოცხლესთან დაკავშირებული რელიგიური კალენდარული დღესასწაულები. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ **ბარბარობა/ბარბალობა**⁵. მეცნიერები მამალს მზის ღვთაება ბარბარესთან აკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ იგი განაყოფიერების ძალის მქონე ფრინველია და მიწათმოქმედების კულტის განუყოფელი ნაწილია. ქვეყნისათვის ახალი ენერჯის მინიჭებას და განაყოფიერებას უზრუნველყოფდა ცხვრის შეწირვაც. ეთნოგრაფიული მასალებით, „დღესასწაულზე რიტუალის მთავარი ატრიბუტი იყო ღვინო და მამალი. შეიძლებოდა ცხვარი. შესაწირით ნაყოფიერების და ამინდის ღმერთის გულს იგებდნენ“; „ღვინო ქრისტეს სისხლია და ამიტომ იგი ქართველებს სიცოცხლისა და ბედნიერების ნიშნად და გარანტიად მიანდდათ. მამალი კი მზეს უკავშირდებოდა ამბობენ. ქრისტეს შექმნილი ადამიანი კი მზის გარეშე ვერ იარსებებს“⁶.

ნინო წერედიანი მიიჩნევს, რომ რიტუალური ფაქტი არაფრის და არავის სახიერ კულტს (მოქმედ პირებს ქალსა და კაცს) არ ემსახურება, დღეობები არ არის კულტმსახურების წესრიგი. ამ საკრალურ დროში მონაწილე ყველა, სულიერიც და უსულოც, მხოლოდ იღეის მსახურია. მხოლოდ ამ იღეისთვის იქმნება საკრალური ქმედების (რიტუალის!) მთელი ინსტიტუტი, დღეობის მფარველნი, მათი რწმენა და მსახურება, მათდამი ღოცვითი მიმართვები. ეს გახლდათ უპირობო პირობა იმისათვის, რომ ადამიანის არსებობის კიდევ

¹ მთხრობელი ლ. ბოჭორიშვილი, ოკრიბა, ორპირი, 2014; იზო უბილავა, წალენჯიხა, ჭალე, 2012.

² სურგულაძე ირ. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, 2003, გვ. 226, 246.

³ სურგულაძე ირ. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, 2003, გვ. 167-168.

⁴ ტერმინთა მსგავს განმარტებასთან დაკავშირებით იხილეთ ო. ქაჯაია - მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, 2002.

⁵ დღეობა ბარბალობა უძველეს ქართველთა უძველესი ახალი წელი (ვ.ბარდაველიძე, 1941) ანუ, იმაზე უფრო ადრინდელი, ვიდრე ახალ წლად იანვრის თვე (13 რიცხვი) აირჩეოდა. დროთა განმავლობაში ცხოველის (ხარის) სახის ღვთაება ბოსელის კულტი უნდა შერწყმოდა მზის კულტს და ამ შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა „ფუსნა-ბუასდის“ კულტი – უზენაესი ანთროპომორფული ღვთაება, ანუ ღმერთი (ბარდაველიძე ვ. ქართული (სვანური) საწესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, 118; წერედიანი ნ. <http://saunje.ge/index.php?id=827&lang=en>)

⁶ მთხრობელები, ფ. ჯიქია, ოზურგეთი, 2003; ო. კაცია, ჩხოროწყუ, ახუთი, 2014.

ერთი ციკლი (ერთი წელი, დროის ერთი მონაკვეთი!) მშვიდობიანად, ხვავიან-ბარაქიანად გატარებულიყო¹. ეთნოგრაფიული მასალით, წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე იხდიდნენ სამადლობელო დღესასწაულებს²; „შესაწირი სამადლობელია, რომელიც დათქმულ დროს შეიწირება. მართალია არაქრისტიანულია სისხლიანი მსხვერპლი, მაგრამ შეწირული პირუტყვი კანონიერია და დაკვლა შიძლება. ხევესურეთში ხატის მსახური, შესაწირის დამკანონებლად მქცეველი, დამკვლელი საერო პირია. მგონი ბარშიც ხდება მსგავსი რაღაც“³. **შდრ.:** დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მკვიდრი გვარსახელების კვლევის დროს დასტურდება შემთხვევები, როცა საკულტო სალოცავზე ლოცვის ძირითადად აღავლენს არა სასულიერო პირი, არამედ გვარის უხუცესი, საერო, რაც ჩვენი აზრით გამოწვეული იყო იმითაც, რომ საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდები, როცა ღმერთსა და აკონტროლებდა და სასულიერო პირის როლშიც შესაბამისად კულტის მსახური გამოდიოდა. სვანი კაცის წარმოდგენით „ღმერთის დახმარება შენ უნდა დაიმსახურო. რწმენა წინააღმდეგობისთვის თავის გათმევის ძალას გაძლევს. სვანეთში მლოცველი გვყავს. ის თანასოფელია, უღალატოა, მრწმენია და მისი ლოცვა და თანასოფელთა ხმამაღალი თანხმობა განგაწყობს კეთილად, გგონიათ მისი ლოცვა გიწვევს“⁴.

ჩვენი, ეთნოლოგის შენიშვნა და დასკვნა: ქართველისთვის მთავარ, „დასაფიც ცხოვრების ძალად და გზის მაჩვენებლად“ რწმენა და ქრისტიანობა უნდა დარჩეს. „სხვათა გავლენის“ და შეცვლილი სოციალურ-კულტურული ცხოვრების გამო არ უნდა დავუშვათ ჩვეულებითი სამართალით რეგულირებული რწმენის შენარჩუნებელი წეს-ადათების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების მივიწყება: „ყველამ იცის, რომ გამგებელი კაცის და ქვეყნის გამჩენელი ღმერთია, მაგრამ დღეს აღარანაირ რიტუალს აღარ ვატარებთ. არადა გვინდა, რომ ღმერთმა მოგვმადლოს“.

ქართველთა სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგების გარემოებებზე მიგვაჩნია: 1. ზრუნვა ტრადიციული დარგების აღდგენაზე; 2. მეურნის მოწესრიგებული სამეურნეო ცოდნა რელიგიური ტრადიციულობის გამოხატველი იყო „წმინდა ძალებთან დამაკავშირებელი, მათი გულის მომგები და შენდამი კეთილად განმწყობი რიტუალი“⁵; „ქართველ მეურნეს მიაჩნდა, რომ სამყაროს შემქმნელ, გარემო პირობებსა და ზებუნებრივ ძალებზე დამოკიდებულება-მიმართების გამოხატველი რწმენა განაპირობებდა „წელმაგრობას, მსუყედ ცხოვრებას. ბედისწერის შეცვლის სურვილი, ღვთის წინაშე პირნათელი ვალმონხილობა ადამიანის წარმატების საფუძვლად ღვთის წყალობად მიჩნეოდა“⁶. აღნიშნულიდან გამომდინარე, რიტუალს უნდა დაუბრუნდეს ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი რელიგიურობა, რიტუალს უნდა ჰქონდეს შინაარსი (მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რიტუალი არ გულისხმობს რელიგიურ აზრს, მაგრამ იძენს რელიგიურ მნიშვნელობას – ხაზი ჩვენია) და არ უნდა დაგვრჩეს მხოლოდ ტრადიციულად. აღნიშნული ჯერ კიდევ მიღწევადია, თუ სახელისუფლო ვექტორები მიმართული იქნება სოფლის არდაცვლაზე; 3. ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების განმაპირობებელი, სამეურნეო ცოდნის რაციონალური გამოყენების⁷ საფუძვლის ეთნოფსიქოლოგის შენარჩუნება; 4. მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებაში, გეოგრაფიასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რწმენის და მოვალეობის („მეურნეობის მართვის

¹ წერეთელი ნ. <http://saunje.ge/index.php?id=827&lang=en>

² მთხრობელი სტეფანე ნიორაძე, წითელხევი, 2007. მთხრობელი დავით ერაძე, ძმუისი, 1994.

³ ლიქოკელი დ. ლიქოკი, 2001.

⁴ მთხრობელი შ. კვიციანი, ბეჩო, უშხვანარი, 2015.

⁵ მთხრობელი ნ. ქავთარაძე, საჩხერე, სვანე, 2009წ.

⁶ მთხრობელი ა. როსვაძე, ვანი, ძულუხი, 2011.

⁷ „ზამთრის თვეებშიც თუ არ იშრომე, მოუარე, იზრუნე, ვერაფრს მიიღებ. ბუნებისგან ბოძებულისთვის ზრუნვა უფლის პატივისცემამაგალითად იანვრის თვეში, მის პირველ ნახევარში შეგიძლია მოამზადო ვაზის ნამყენი, ოღონდ ერთწლიანი მანძიკ ვაზიდან. ზამთრის თვეებში უნდა იზრუნო ხეხილზე, მოაშროო უნდა ბაღს დაავადებული და გამხმარი ხეები, ხეები გაასუფთაო ხავისიგან, გამხმრი ტოტებისგან. შეწამვლაც მოუხდება კირიანი ხსნარით. ბოსტანიც შეგიძლია ავარგო ზამთარში, თუ მეურნე ხარ. თუ გინდა შექმნი ადგილს, სადაც ზამთარში გექნება თხუთმეტ გრადუსამდე ტემპერატურა და არ იქნები ბაზარზე დამოკიდებული. ზამთრის პირზე მიწა უნდა დახნა. ადრე ასე აკეთებდა ჩვენი წინაპარი. ის გაიყინება, ჩამუშავდება და მოსავალიც გექნება. ეს ტექნოლოგიები ვიცოდით, რწმენაც გექონდა და ვასრულებდით. როგორც ადამიანს უხარია პატივისცემა, ისე ღმერთსაც უნდა მსახურება. ღმერთი დიდი და მოწყალეა, ჩვენგან გახალხურებულ წესებს არ გვიწყენდა“ (მთხრობელები ვარლამ ხუჯაძე, სოფელი ნაბოსლევი, 1994 წ; ელისაბედ ჩიტიძე, ორპირი, 1993).

წესი განპირობებული იყო შინაგანი, ფსიქოლოგიური მონაცემებით, რწმენით, ცხოვრების უკეთესისკენ შეცვლის სურვილით. შესაბამისად, ღვთის წინაშე პირნათლად ვალმოხდელი ადამიანის წარმატება მის წყალობად მიიჩნეოდა. კაცი მაღლიერი იყო, რომ რწმენით და უფლისმოშიშობით შეძლებული დარჩა¹⁾ თანხვედარა, თუმცა საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობა დადგება სახელმწიფოს მიერ წარმოებული ეროვნული პოლიტიკის შედეგად. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს რელიგიის მასტიმულირებელი ისტორიულ-ტრადიციული როლი და აწარმოოს ტრადიციული რელიგიურ-ზნეობრიობრიობით გაჯერებული ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აგროეკოლოგიური წარმოების ტრადიციული წესების აღმდგენი საოჯახო მეურნეობების, სპეციფიური მიმართულების მეურნეობათმოდელების შექმნა და მათში საქონელმწარმოებელთა ნებით გაერთიანება, სოციალური პრობლემების სამართლებრივი კუთხით მოწესრიგება.

ილია წერდა: „მართო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ – ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს ღედამიწის გულში ჩახელებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით – უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოვიღებო. მაგისტანა ღვთისნიერ წინამდღოლს ცოდნა ჰქვია“.

Davit Shavianidze

Devoutness – a Predominant Feature of Georgian Economic Managers (according to new ethnographic materials of West Georgia)

Resume

In all times and countries, including Georgia, more or less regulated economic situation, along with other numerous circumstances (self-consciousness and consciousness, goals and interests, ethnic and corresponding individual differences between people and their sentiments), is identical to ethno-psychology manifested in ties between the people's economic activities and spiritual culture. Ethnographic materials prove the facts as follows: use of the systems, ways and means guaranteeing the plenteous harvest by Georgians in their economic activities in the past, to which little attention is paid currently; “the down country” and “drive” cattle farming that was adequate to the country's social and economic development that is proved by remained agricultural and livestock breeding complexes; rites helping in cattle breeding; folkways for the beginning and ending of season, providing “harvest suitability” and harvesting-storage, form and content of protection with magic (for example, for providing protection of seeds, good yield of crops and for making people free to live), associated with “respect for earth” and for “winning the favor of the god of weather”.

The studies confirm popularity of holidays scheduled by calendar.

Georgian traditional holidays, rites in different historical-ethnographic parts of Georgia, especially in mountainous regions, were adequate to the degree of spread of Christianity. Currently, conservation and observation of the traditions and folkways of Georgians have been survived just partially, especially among the elderly and middle aged persons.

Since the combination of pre-Christian religious beliefs with Christian elements was conditioned by spread of Christianity (Bardavelidze), it is important for the State to use a stimulating historical-traditional role of religion and pursue the economic policy saturated with traditional religious morality, in order to provide sustainable economic development of society. We believe that the priority for each of us, and for the State, of course, should be as follows: 1. Recovery of traditional sectors; 2. Creation of the economic models of family farms with specific directions aiming at recovery of traditional rules, and voluntary association of

¹ მოხრობელი, ნ. დოგრაშვილი, ზეგანი, 1995.

commodity producers in them; 3. Providing legal solutions for social problems; 4. Having internal, psychological data and the rule for purposeful pursuit of traditional economic activities, and rational use of economic knowledge all year round; 5. According to scientific views, rite does not imply religious idea, but it bears religious importance. That is why the economic knowledge acquired by business manager has been always accompanied by rite “connecting with spiritual powers and aiming at winning of their favor”. Compare: “Georgian farmer has always believed that belief expressing the attitude-relationships toward ambient conditions and supernatural forces creating the universe, had conditioned “stability, respectable life. A desire to become anything else, and being used of God were considered as a basis of human success and the grace by God”. Based on this, it is necessary to give back to ritual the predominant feature of Georgian economic manager – devoutness. Ritual should have its content, and it must not remain to us only as a tradition.

Along with geography, the most significant factor contributing to the development of traditional economic sectors is a coincidence of belief and obligations. Of course, the decisive factor is a national policy pursued by the State.

ბიბლიური სწავლება ქვეყნიერების შემოქმედისა და მმართველის – ღმერთის შესახებ

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში, თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი ქვეყნიერების შემოქმედი და მმართველი – უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო დღევანდელი ეკონომიკის საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნების (ჰედონიზმი), ბედნიერების (ეგდემონიზმი), მატერიალური დოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანთა საბოლოო წარწყმედას განაპირობებს.

საზოგადოების ნაწილის, მათ შორის ეკონომისტების მორწმუნეობა განაპირობებს ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიური (ქრისტიანული) გააზრების მოთხოვნილებას და სათანადო თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დამუშავება-განხორციელების შესაძლებლობას. **დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივადდგენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.**

ეკონომიკისა და მართვის უღმერთობა (ათეისტური გააზრება) დღეისათვის თითქმის მთელი კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ, აუცილებელია ასეთი სიტუაციის ღვთივსულიერი მეცნიერული ანალიზი და ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული გზების ძიება როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით.

სოციალიზმის პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოების საყოველთაო დევნა-დამცირების ეპოქამ ადამიანებს საღვთო ჭეშმარიტების გააზრების სურვილი, უნარი და საშუალება დააკარგვინა. საბჭოთა საქართველოს ეკონომისტები უღვთო კატეგორიებით აზროვნებას და მხოლოდ ამქვეყნიურზე ფიქრს მიაჩვიეს. შესაბამისად ფუნქციონირებდა ეკონომიკაც.

დღეისათვის, დემოკრატიზაციის პირობებში, უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ტრადიციული, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება, ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღდგენა-განვითარება.

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეაღმატებული ადგილი უკავია ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის (მათ შორის, ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, საზოგადოებრივი განვითარების, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობისა და ყოველი ინდივიდის არსებობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

წმ. იოანე ოქროპირი ბიბლიის შესახებ ამბობს: „სადმართო წერილის სულ მოკლე გამონათქვამებშიც კი შეგვიძლია უდიდესი ძალა მოვიძიოთ და აზრთა გამოუთქმელი სიმდიდრეც“¹.

წმინდა წერილის სიბრძნე „ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრეებს, თვალნათლივ გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს, – განგვიმარტავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მოგვიწოდებს ყველას: „თქვენი ყოველდღიური თანამგზავრი უნდა გახდეს წიგნი და მათ შორის უპირველესი წიგნი – ბიბლია“².

¹ ციტირებულია წიგნიდან: ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები, შემდგენელი გ. კალანდაძე, თბ., 2007, გვ. 79-80,

² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი, თბ., „გეოკერია“, 2004, გვ. 13.

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დადგენილ-მოწოდებულია თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მისგან გამომდინარე თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სისტემა ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპებისა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. “ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1, 1);
2. “უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი“ (ფს. 23, 1-2);
3. “შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და ღირება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება“ (1 ნეშტ. 29, 11-12);
4. “გახარებთ, რათა ...ცრუ ღვთაებებიდან ცოცხალი ღმერთის მიმართ მიიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა, მიწა, ზღვა და ყოველივე ის, რაც მათშია, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, თავიანთი გზით ევლოთ“ (საქმე 14, 15-16);
5. ღმერთი, სამყაროსა და ყოველივე სამყაროულის შემოქმედი, ცისა და მიწის უფალი, ხელთქმნილ ტაძრებში როდი მკვიდრობს. და არ მოითხოვს მსახურებას კაცთა ხელით, თითქოს რაიმე სჭირდებოდეს, არამედ ყველას თვითონ ანიჭებს სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს. ერთი სისხლისაგან შექმნა მან კაცთა მთელი მოდგმა, რათა დამკვიდრებულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, და დააწესა მათი დამკვიდრების ჟამნი და ზღვარნი. რათა ეძიათ ღმერთი, იქნებ როგორმე შევიგრძნოთ ან მივაკვლიოთ, თუმცა შორს როდია თვითეული ჩვენგანისაგან. ვინაიდან მასში ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ“ (საქმე 17, 24-28);
6. „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);
7. „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12);
8. „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა“ (ეკლ. 5, 18);
9. “აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან“ (ფსალმ. 103, 14);
10. “გამაგრდი, მთელი ქვეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2, 4,8);
11. “იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ (იოან. 6, 27);
12. „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2, 6);
13. „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12).

ბიბლიური სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით, კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელი ნაწილებია. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს, დედამიწის, გლობალური და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, ყოველი ცალკეული სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შემოქმედი, განმგებელი და მმართველი არის უფალი ღმერთი.

ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთი:¹

- არის სული (დაბ. 1, 2; ფს. 138, 7; იოან. 4, 24);
- არის უხილავი (გამ. 33, 20; იოხ. 9, 11; 23, 8-9; იოან. 1, 18);

¹ იხ.: ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედ. ზ. სარჯველაძე, ტ. II, 2000, გვ. 290-292.

- არის განუსაზღვრელი და მიუწვდომელი (3 მეფ. 3, 27; ნემტ. 2, 6; იობ. 5, 9; 9, 10);
- არის მუდმივი (გამ. 3, 15; იობ 23, 13; ლუკ. 21, 33);
- არის დაუსრულებელი, საუკუნეთა (დაბ. 21, 33; 2 სჯ. 6, 4; 33, 27; 1 ტიმ. 1, 17);
- არის განუსაზღვრელი და ყველგან მყოფი (3 მეფ. 8, 27; 2 ნემტ. 2, 6; საქმე 17, 27);
- ყველაფრის მცოდნეა (გამ. 3, 19; 2 სჯ. 31, 16; მათ. 6, 4);
- არის ყოვლად ბრძენი (1 მეფ. 2, 3; ფს. 103, 24; 1 ტიმ. 1, 17);
- ყოვლისშემძლებელია (დაბ. 17, 1; 35, 11; მათ. 19, 26; მარკ. 10, 27);
- წმინდაა (გამ. 15, 11; იოან. 17, 11; გამოცხ. 15, 4);
- აღსავსეა სიყვარულით (იერ. 31, 3; იოან. 3, 16; რომ. 5, 8);
- ჭეშმარიტია (2 სჯ. 32, 4; იოან. 7, 8; გამოცხ. 6, 10);
- მართალი და სამართლიანია (2 სჯ. 32, 4; ფს. 24, 8; 91, 16);
- მაღალი, ანუ უზენაესია (რიცხ. 24, 16; იობ. 33, 13; ლუკ. 6, 35);
- აღსავსეა ძლიერებით (2 სჯ. 33, 26-27; 1 ნემტ. 29, 11; ებრ. 1, 3);
- ავსებს ცათა და ქვეყანას (3 მეფ. 8, 26; იერ. 23, 24);
- უკვდავია (ფს. 101, 26-27; 1 ტიმ. 1, 17);
- სიყვარულია (იოან. 4, 8-16).

განგება ღმრთისა არის უფლის განუწყვეტელი ზრუნვა ყველა თავის საქმეზე (ფს. 32, 12-15; 36, 4-18; 103, 10-30; 135, 25; ეს. 46, 4; ლუკ. 12, 22-31).

განგება ღმრთისა მოქმედებს სხვადასხვა საშუალებებით (3 მეფ. 21, 19; ლუკ. 2, 1-4).

განგება ღმრთისა ხელს უწყობს მორწმუნეებს (2 სჯ. 31, 6-8; 2 კორ. 1, 6).

განგება ღმრთისა ყოველთვის განაგებს, მართავს ღმრთის დიდებისათვის (გამ. 9, 16; ფს. 89, 16; იოან. 11, 4) და მორწმუნეთა სიკეთითათვის (2 სჯ. 23, 5; ეს. 26, 12).

განგება ღმრთისა ცხადად ჩანს:

- მთელი ქვეყნიერების დაცვასა და ბუნების მარადიულ მდინარებაში (დაბ. 8, 20-21; იობ. 38, 8-12; კოლას. 1, 17);
- ბუნების ძალებისა და სტიქიონების მართვაში (2 სჯ. 11, 14; 28, 12; იობ. 5, 10; 37, 6-16; იოკელ. 2, 23);
- უფლება-განმგებლობაში მეფეებსა და ხალხებს (4 მეფ. 19, 28; დან. 2, 21; 4, 25-35; რომ. 13, 1);
- თითოეულის სიცოცხლის განგებაში (2 სჯ. 32, 39; დან. 5, 23);
- ცუდი გეგმების ჩაშლაში (გამ. 15, 9-10; იობ. 5, 12);
- ბოროტების სიკეთედ გარდაქმნაში (დაბ. 45, 5-7; 50, 20; ფილიპ. 1, 12-14);
- თავის გეგმათა შესრულებაში (იობ. 23, 13; ეფეს. 1, 11);
- მორწმუნეთა მიმართ მათ მართვაში (დაბ. 24, 48; იგავ. 3, 6; რომ. 8, 14).

ბიბლიაში გადმოცემულია ღვთაებრივი მმართველობის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც უმთავრესი თეოლოგიური სამეურნეო-მმართველობითი პრინციპი არის ის, რომ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს (გლობალურ, რეგიონულ, მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე) მართავს უზენაესი განმგებელი, უფალი-ყოვლისამბყრობელი.

ღმერთი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს მართავს ისეთი მეთოდებით, როგორცაა¹:

- **ბიბლიური კანონი**, ანუ ადამიანების ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობით ქმედებათა ღვთივგამოცხადებული წესების სავალდებულო კრებული;
- **ლოცვა-კურთხევა**, – ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული განსაკუთრებული უნარი და შესაძლებლობები, რაც აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი მიზნების მისაღწევად;
- **დახმარება**, – შეგონების, სწავლების, ხელმძღვანელობის მეშვეობით;

¹ Кандалинцев В. Политическая экономия Библии. М., «Инком Полиграф», 1999, ст. 7.

- **იმპერატიული ზემოქმედება**, – ადამიანში მიზნის მიღწევისა და სათანადო ქმედებისადმი მისწრაფების წარმოქმნის სახით;
- **შეკავება**, – შიგა და გარე რესურსების მოკლება-ჩამორთმევის საფუძველზე.

ბიბლიაში სიღრმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, წარმოების და მართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება და სხვა.), მოგება, გადასახადები, ფული და სარგებელი, სიმდიდრე, მართვა, დაგეგმვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, ეკონომიკურ-მმართველობითი ურთიერთობები ოჯახში, ეკონომიკა და ეკლესია, წარმოება და ბუნებრივი გარემო, ეკონომიკა და ომები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.

აღნიშნული თემატიკა გადმოცემულია სამეცნიერო კვლევისათვის მიღებული და აუცილებელი ისეთი ფორმებით, როგორცაა:

- დოგმატურ-საღვთისმეტყველო დებულებები და საღმრთო განჩინებები;
- საღვთო და საერო აზროვნება-მოქმედებათა სინერგია;
- ზოგადიურიდიული და სამეურნეო სამართლის ნორმები;
- მეცნიერული კვლევა და მსჯელობა;
- სოციალურ-ეკონომიკური აზრის და სამეურნეო ცხოვრების ისტორია;
- ცალკეული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მოვლენები;
- სამეურნეო-პრაქტიკული და მმართველობითი საქმიანობის მეთოდები.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვასწავლის: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“¹.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძველები – ეკონომიკა, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები. ევროპის უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოღვაწეების საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალულ-შთაგონებული.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალნათლივ გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მოჩვენებითობას და მცდარობას. მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები ამის შესახებ.

ალბერტ აინშტაინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივიღვართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით“².

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწამს ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს“³.

ალფ ბიერკე, ნორვეგიის ბიერკეს საღვთაების კორპორაციის პრეზიდენტი: „თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამს ღმერთი, იესო ქრისტე, მე მწამს ბიბლია“⁴.

ჯორჯ ვაშინგტონი, ამერიკის პირველი პრეზიდენტი: „შეუძლებელია მართო ქვეყანა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე“⁵. **ამ აზრს ავითარებს უილიამ მაკინლი, ამერიკის 25-ე პრეზიდენტი:**

¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი, „გეოგრა“, 2004, გვ. 4.

² Мы верим. Говорят современные учёные о вере в Бога. 1988, ст. 41.

³ იქვე, გვ. 35.

⁴ იქვე, გვ. 14.

⁵ Библия опережает науку на тысячи лет. Ред. В. Губанов. М., 1996, ст. 130.

„ჩვენ ვაღიარებთ ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში“¹. **ხოლო თეოდორ რუზველტი ამბობდა:** „თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედეგი მოჰქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა“².

როგორი საზომებითაც არ უნდა მივუდგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელი წიგნებიც კი თითქმის ორი ათასი წლისაა. **მიუხედავად ასეთი სიძველისა, ბიბლია დღესაც უაღრესად აქტუალურია. ასეულობით მლნ ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს დეტალებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა.**

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ფასეულობას და მისი მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-მენეჯმენტის პროფილის მკვლევართათვის.

**Giorgi Shikhashvili
Nikoloz Bakashvili
Tengiz Taktakishvili**

Biblical Teaching regarding God - the Creator and Ruler of the World

Resume

According to the biblical socio-economic doctrine, humanity and the enabling environment, including economic potential, are elements of the universe created by the God.

All public processes, including economic and managerial activities are underway according to the divine will and care.

God is the governor of the global and regional socio-economic processes, of each state, organization, company and of all individuals.

Modern economists need to properly study the Bible.

¹ იქვე, გვ 131.

² Библия и наука. Ред. П. Харчлаа. Ашфорд. США, ст. 97.

**კაპიტალიზმის ფულადი სისტემის ეკოლუცია მართლმადიდებლური
სწავლების ასპექტით**

ეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოების მიხედვით, ფულის ძირითადი ფუნქცია საქონლის საყოველთაო ეკვივალენტის, გაცვლისა და გადახდის საშუალებების ფუნქციაა. მაგრამ, კაპიტალიზმის დროს ფული გადახდისა და გაცვლის ინსტრუმენტი, ვაჭრობასა და წარმოებაში ერთგვარი წუთიერი „შუამავალი“, მისი „უანგარო მსახური“ როდია. ასე იყო კაპიტალიზმამდე, ანუ, მარტივი სასაქონლო წარმოების დროს.

კაპიტალიზმის დროს ფული, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციისა და მართვის ინსტრუმენტი. მართვას კი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი, რაც დამოკიდებულია ფულის მეპატრონის ზნეობრივ, გონებრივ და სულიერ ხარისხზე. მათ, რომელთა მიზანი სხვა ადამიანების მართვა, დაქვემდებარება და ექსპლუატაციაა, სულ უფრო მეტი ფულის ფლობა სურთ. სწორედ ეს წარმოადგენს „ფულადი“ ცივილიზაციის „უმადლეს“ მიზანს, ხოლო ფულის დაგროვება მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამგვარად, „ფულადი“ ცივილიზაციის პირობებში ფულის უმაღლესი ფუნქცია *ძალაუფლების ძოკვების* ფუნქციაა.

„კაპიტალი“ სასაქონლო და საწარმოო ფორმით სრული ძალაუფლების მიზნის სარეალიზაციოდ არც ისე გამოსადგეია. ამისათვის საჭიროა კაპიტალი ფულადი ფორმით. „კაპიტალი, როგორც მარქსიზმის კლასიკოსი აცხადებს, *თვითკვლავწარმოებადი* ღირებულებაა“. მაგრამ სასაქონლო და საწარმოო „კაპიტალს“ თვითკვლავწარმოება არ შეუძლია დამატებითი გონებრივი და ფიზიკური შრომის გამოყენების გარეშე. ეს შეუძლია მხოლოდ ფულად კაპიტალს!

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ფული გადაიქცეს კაპიტალად? როგორ უნდა ვაიძულოთ დაგროვებული ფული მოახდინოს „თვითკვლავწარმოება“? ძალიან მარტივად: ფულმა მის მფლობელს უნდა მოუტანოს დამატებითი ფული (პროცენტები) ამ ფულის გასესხებით. კაპიტალზე საკუთრების უფლება გასესხებულ ფულზე კრედიტორს რჩება. ფული გაიცემა გარკვეული დროით, პროცენტებით და საგირაო უზრუნველყოფით.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ევროპაში არსებობდა მკაცრი შეზღუდვები და აკრძალვები მევანშეობაზე. მათ, რომლებსაც ჩაფიქრებული ჰქონდათ კაპიტალის დაგროვება ფულადი ფორმით და ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის მიღწევა, ეს შეზღუდვები და აკრძალვები უნდა გაეუქმებინათ. სწორედ ამ შეზღუდვების გაუქმებიდან დაიწყო კაპიტალიზმის თავბრუდამხვევი განვითარება, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი ბურჟუაზიული რევოლუცია, განხორციელებული მევანშეების მიერ, რომლებიც მანამდე იმყოფებოდნენ არალეგალურ ან ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში. ყველა სხვა მოვლენა, რომელთა შესახებ გვაუწყებს კაპიტალიზმის ეკონომიკური ისტორიის სახელმძღვანელოები (კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ფორმები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ამერიკიდან ევროპაში ოქროს შემოდინება, მონარქიათა დამხობა, სამრეწველო რევოლუცია ინგლისში და ა.შ.), მეორადაა მევანშეების ამ მთავარი „რევოლუციის“, ანუ „ფულადი“ რევოლუციის მიმართ. „ფულად“ რევოლუციაზე სამწუხაროდ ჩვენს სახელმძღვანელოებში ძალიან იშვითად და მწირად წერენ, ზოგჯერ ერთი აბზაციითაც კი.

ფულის ფუნქციების ჩამონათვალში არსებობს განძის შექმნის ფუნქცია (თეზავრაცია). კაპიტალიზმის გამარჯვებამდე „განძი“ მის მფლობელებთან პრაქტიკულად უქმად იმყოფებოდა, გარდა მევანშეებისა, რომელთა ხელში განძი განიცდიდა „თვითკვლავწარმოებას“ პროცენტების დარიცხვით. ეს კი უკვე არა უბრალოდ განძი, არამედ კაპიტალია. ამგვარად, „ფულადი რევოლუციით“ განძის შექმნის ფუნქცია გარდაიქმნა კაპიტალის შექმნის ფუნქციად.

„ისტორიულად საზოგადოებაში ფულის ადგილი და როლი ცვლილებას განიცდიდა. „ტრადიციულ“ საზოგადოებაში (მარტივ სასაქონლო წარმოებაში) ფულის როლი შეიძლება შედგეი მარტივი ფორმულებით გამოვსახოთ:

ს – ფ – ს,

როგორც ვხედავთ, მიმოქცევის პროცესი იწყება საქონლით და მთავრდება საქონლით. მოცემულ შემთხვევაში მიზანია არა უბრალოდ საქონლის ღირებულების (ფასის) ზრდა, არამედ მათი საზმარი ღი-

რებულების შეცვლა, ე. ი. ერთი სახმარი ღირებულების მქონე საქონლის გაცვლა სხვა სახმარი ღირებულების მქონე საქონელზე. ფული აქ მხოლოდ საქონლის მიმოქცევას უზრუნველყოფს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფულის როლი განსხვავებულია:

ფ - ს - ფ.

ანუ, კაპიტალის წრებრუნვის პროცესი იწყება და მთავრდება ფულით, თანაც, წრებრუნვის მთელი აზრი ისაა, რომ საბოლოოდ ფულის რაოდენობა იყოს მეტი. ამიტომ, სწორი იქნება, თუ ფორმულას წარმოვადგენთ შემდეგნაირად:

ფ - ს - ფ', სადაც **ფ'** - ფულის სიდიდეა, რომელიც აღემატება **ფ**-ს.

ნებისმიერი კაპიტალისტი ისწრაფის გაზარდოს **ფ**-ს რაოდენობა, მაგრამ პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მის შემცირებას ან სრულ დაკარგვასაც კი. წარმოება და ვაჭრობა ფულადი კაპიტალის მხოლოდ წრებრუნვის საშუალებად გვევლინება.

თანამედროვე ეპოქაში კაპიტალიზმი სამრეწველოდან ე.წ. „ფინანსურ“ კაპიტალიზმად გადაქცეული. ასეთი კაპიტალიზმის დროს ფულის მოძრაობა კიდევ უფრო მარტივდება და ის გვერდს უვლის სასაქონლო კაპიტალის შუამავლობას:

ფ - ფ'

ფინანსური კაპიტალიზმი, თავისი არსით, ფულით თამაშობს, რომელიც მსგავსია იმისა, რაც ხდება კაზინოში, თანაც, მოთამაშეები იყოფიან შუღერებად, რომლებიც სარგებლობენ დანიშნული ბანკოთი და გულუბრყვილობად, რომლებსაც შუღერები ატყუებენ და ძარცვავენ¹.

ყველა მომდევნო ასწლეულების განმავლობაში მევახშეები ფიქრობდნენ მხოლოდ ერთზე: როგორ მოეხდინათ ფულის „თვითზრდადობის“ პროცესის, კაპიტალისტური დაგროვების სრულყოფა. მევახშეობის აკრძალვის გაუქმება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო. კიდევ საჭირო იყო მთელი საზოგადოება აეძლებინათ, ჰქონოდათ ფულის მიმართ არა როგორც „საშუალების“, არამედ როგორც „მიზნის“ მიმართ დამოკიდებულება. და მათ ეს შეძლეს. „ფულადი რევოლუციის“ შემდეგ, საზოგადოების დამოკიდებულება ფულის მიმართ ნელა, მაგრამ განუხრელად შეიცვალა.

მიზანშეწონილია გავიხსენოთ გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ზიმელის სიტყვები (1858-1918) - ფული წარმოადგენს „საშუალების მიზნად გადაქცევას“² ყველაზე ნათელ მაგალითს. მას ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი სახელწოდებით „ფულის ფილოსოფია“ (1900 წ.).³ თუ მარქსი „კაპიტალში“ ფულს ძირითადად ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილავდა (კერძოდ, მან დაწვრილებით აღწერა ფულის ხუთი ეკონომიკური ფუნქცია), ზიმელი შეეცადა ჩაწვდომოდა ფულს, როგორც კულტურულ-სულიერ კატეგორიას. მან ყურადღება გაამახვილა იმ დესტრუქციულ როლზე, რომლის შესრულებაც დაიწყო ფულმა კაპიტალიზმის პირობებში. მისი აზრით, ფულმა დაიწყო ადამიანის გონების დეფორმაცია, ადამიანების ერთმანეთისგან გაუცხოება, კულტურის გაუფასურება. მან დელიკატურად შენიშნა, რომ ადამიანმა დაიწყო კონცენტრირება ფიზიკურ სამყაროზე: სული, ადამიანის შეგნება თითქოსდა დაყვანილ იქნა საგნებამდე, რომლის შედეგად ადამიანი სულიერად დაცარიელდა.

ზიმელს დაკვირვებათა მიუხედავად, მას მაინც ახასიათებს გარკვეული ფეტიშიზმი: ფული ფლობს ერთვარ მაგიურ ძალას, რომელიც იწვევს ადამიანის გარდაუვალ დამონებას. სინამდვილეში, ფულის მონად ადამიანი იქცევა ნებაყოფლობით. ადამიანის აღნიშნული დატყვევება ხდებოდა შეუმჩნეველად და თანდათანობით, ის გაწეილი იყო ღროში საუკუნეების მანძილზე და ღრმად გრძელდება.

ფულადი მონობის საფრთხეზე მკაცრად გვაფრთხილებდნენ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, ხოლო შემდეგ თვით მაცხოვარიც გვაფრთხილებს: „არცერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიძულებს და მეორეს შეიყვარებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც“ (ლუკა 16, 13).

¹ Катасонов В. О проценте: ссудном, подсудном, безрассудном. Хрестоматия современных проблем «денежной цивилизации», Книга 1, М. 2011, ст.21.

² Воронов Ю.П. Страницы истории денег. Новосибирск, 1986. ст. 73.

³ Зиммель Г. Избранные работы. М.: Ника-центр, 2006.

სამწუხაროდ, ადამიანებმა სულ უფრო დაივიწყეს ეს გაფრთხილება და უარი თქვეს ღვთის მსახურებაზე. ეს იყო მათი ნებაყოფლობითი არჩევანი. ადამიანი იქცა არა ღრმთის მონად, არამედ იმისა, რომელიც ეწინააღმდეგება და მტრობს ღმერთს. ღმერთი – ესაა ყველაფრის შემოქმედი, ხილულის და არახილულის, ასევე წყარო ცხოვრების, მიწიერის და მარადიულის. ხოლო ღმერთს ეწინააღმდეგება ის, რომელიც წყაროა სიკვდილის და არარაობის. წარმართებში ამას ეწოდება „მამონა“ (სიმდიდრის სირიული ღმერთი), ხოლო ქრისტიანული გაგებით მას კონკრეტული სახელი აქვს – ეშმაკი.

“თანამედროვე საზოგადოებას (განსაკუთრებით დასავლურს) ზოგჯერ უწოდებენ ათეისტურს. ეს არამართებულა. ეს საზოგადოება უაღრესად „რელიგიურია“, მასში ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ეთაყვანება მამონას, ე.ი. ეშმაკს (სააქაოს ბატონს). ფულის ამ რელიგიაში არსებობს ყველაფერი აუცილებელი მამონის თაყვანისმცემელთა „სულიერი ცხოვრებისათვის“:

საკუთარი ტაძრები – ბანკები,

საკუთარი ქურუმები – ბანკირები,

საკუთარი მწიგნობარნი და ანალიტიკოსები - „პროფესიონალი ეკონომისტები“,

საკუთარი ხატები – მწვანე ქალაქის ნაჭრები ოკულტურ-მასონური სიმბოლოებით,

საკუთარი კატეხიზმო - “Economics”-ის სახელმძღვანელოების სახით,

საკუთარი „გმირები“ და „წმინდანები“ - „ყველაზე წარმატებული“ მევახშეების სახით,

საკუთარი მსხვერპლშეწირვა – ადამიანის სულისა და სიცოცხლის სახით.

განა ცხადი არ არის, რომ ომები წარმოებს მამონას სახელით და ამ ღვთაების საკურთხეველზე იდება მილიონობითადამიანის სიცოცხლე? ჭეშმარიტი ქრისტიანებისათვის ცხადია, რომ ასეთი საზოგადოება განწირულია დასაღუპად ისევე, როგორც იყო განწირული დასაღუპად სოდომი და გომორი ან ნოეს დროინდელი კაცობრიობა. სამწუხაროდ, ამის დანახვა არ ძალუძთ „პროფესიონალ“ ეკონომისტებსა და ფილოსოფოსებს¹.

ფულის ისტორია მოწმობს, რომ მევახშეები (რომლებიც ღღეს საკუთარ თავს „ბანკირებს“ უწოდებენ) ძალზე კრეატიულები იყვნენ ფულადი კაპიტალის გამრავლების ეშმაკური სქემებისა და მექანიზმების აგებაში. ყველაზე მთავარი ინსტრუმენტი – სასესხო პროცენტი გაჩნდა ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში. ამ ინსტრუმენტის გამოგონებლის სახელი უცნობია. მაგრამ გამოგონებელს, რა თქმა უნდა, უკარნახა მან, რომელმაც ოდესღაც დაარწმუნა ადამი და ევა გაესინჯათ აკრძალული ხილი სამოთხეში. ღვთის მიერ სამოთხის მკვიდრთა მიმართ აკრძალვის დარღვევის კატასტროფული შედეგი კარგადაა ცნობილი. სასესხო პროცენტის პრაქტიკული გამოყენების შედეგები ძველ ბაბილონში თითქმის არ იყო გაცნობიერებული. ავადმყოფობა ძალზე შეუმჩნეველად ვითარდებოდა. სამაგიეროდ ღღეს, XXI საუკუნეში, შედეგებს კატასტროფის მასშტაბები აქვს შეძენილი, რომელსაც მასმედია „მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს“ უწოდებს.

მევახშეობის „ვირუსის“ არსებობა საზოგადოებაში თითქმის იმდენი ხნისაა, რამდენი ხნისაც კაცობრიობა. უბრალოდ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ცალკე აღებული ადამიანისა და მთლიანად, სოციუმის „იმუნური სისტემა“ საკმაოდ ძლიერი იყო და ის ამ საშიშ „ვირუსს“ გავრცელების შესაძლებლობას არ აძლევდა. ამ „ვირუსის“ არსებობასა და მისგან გამომდინარე საფრთხეებზე, სულიერ-ზნეობრივი „ჰიგიენის“ გარკვეული წესების დაცვის აუცილებლობაზე მრავალგზის გაფრთხილებდნენ ჯერ კიდევ ძველი დროის მოაზროვნეები, როგორც იყო არისტოტელე (384-322 წწ ჩვენს ერამდე). მკაცრ გაფრთხილებებს შეიცავს ძველი და ახალი აღთქმა. ის მეორდება ყურანშიც. „ვირუსის“ მატარებელია არა თვით ფული (როგორც ამას ამტკიცებენ ზოგიერთი პოეტები და ფილოსოფოსები ემოციურად), არამედ ადამიანთა გულები.

საზოგადოებამ მევახშური პროცენტების ლეგალიზაციის გზაზე გაიარა რამდენიმე ეტაპი:

¹ Катасонов В. О проценте: ссудном, подсудном, безрассудном. Хрестоматия современных проблем «денежной цивилизации», Книга 1, Москва 2011, ст. 22-23.

ა) საზოგადოების მიერ პროცენტების გადახდევინების პრაქტიკის სრული მიუღებლობა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა როგორც რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების, ასევე იურიდიულ ნორმებში; მთავარი ისაა, რომ ამ ეტაპზე განხორციელდა მეტ-ნაკლებად ეფექტიანი კონტროლი ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მხრიდან ამ ნორმების დასაცავად; მევახშეობა ამ დროსაც არსებობდა, მაგრამ მხოლოდ „არალეგალურად“, „იატაკქემა“ მდგომარეობაში;

ბ) ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მხრიდან პროცენტების გადახდევინების პრაქტიკის მიმართ წაყრუება, აკრძალვების ფორმალურად შენარჩუნების პირობებში; ამ დროს მევახშეობა „ნახევრად-ლეგალურ“ საქმიანობას წარმოადგენდა;

გ) პროცენტების გადახდევინებაზე აკრძალვების თანდათანობით შერბილება და გაუქმება, ხშირ შემთხვევაში პროცენტების მაქსიმალურ სიდიდეებზე შეზღუდვების დაწესება; ამ დროს მევახშეობა „ლეგალური“ გახდა.

პირველი ეტაპი ყველაზე ხანგრძლივი იყო, რომელიც რამდენიმე ათასი წელი გაგრძელდა და შუასაუკუნეებამდე გასტანა. ქრისტიანობის წარმოშობამდე მევახშეობაზე აკრძალვები დასაბუთებული იყო ძველ აღთქმაში, ასევე არისტოტელესა და ძველი საბერძნეთისა და რომის სხვა მოაზროვნეებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა შრომებში.

ძველ აღთქმაში პროცენტების გადახდევინებაზე აკრძალვები აბსოლუტური არ ყოფილა. ის ვრცელდებოდა მხოლოდ „თავისიანების“, ანუ იუდეველების ურთიერთობებზე.

ამავე დროს, პროცენტების გადახდევინება „უცხოთა“ მხრიდან იუდეველებისადმი არათუ იკრძალებოდა, არამედ წახალისებულიც კი იყო: „არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს. უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ ვიკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ“ (მეორე რჯული, 23:19-20).

ძველ აღთქმაში, როგორც ცნობილია, იუდეველთა ცნობიერება „დაპროგრამებული“ იყო მსოფლიო ბატონობაზე და ეს სტრატეგიული მიზანი დაუკავშირდა მევახშეობას, როგორც ამ მიზნის მიღწევის საშუალებას: „რადგან ვაკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის: ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისესხებ; ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი არავინ იბატონებს“ (მეორე რჯული, 15:6).

ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი (1853-1900 წწ.), რომელიც საკმაოდ ლოიალური იყო ებრაელების მიმართ, წერდა, რომ „ებრაელები ფულთან არა მისი მატერიალური სარგებლის გამო არიან მიბმულნი, არამედ იმიტომ, რომ ისინი ახლა მასში ხედავენ ისრაელის გამარჯვებისა და ღიდების მთავარ იარაღს“¹.

თანამედროვე მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ებრაელები თავიანთი ისტორიის გარიჟრაჟზე უკიდურესად იშვიათად იყვნენ დაკავებულნი მევახშეობით. მევახშეობისადმი „გემოვნება“ მათ ჩამოუყალიბდათ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა განადგურდა იერუსალიმის პირველი ტაძარი და იუდეის მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსი მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ იქნა წაყვანილი. „აღმოჩნდნენ რა ბაბილონში – ქვეყანაში, სადაც მევახშეობის განვითარებული სისტემა არსებობდა, ყოფილ შეძლებულ ებრაელ მიწათმოქმედებს, რომლებიც არ ფლობდნენ რაიმე სახის ხელოსნობის უნარ-ჩვევებს, სინამდვილეში არაფერი ღარჩათ, გარდა იმისა, რომ დაკავებულიყვნენ ვაჭრობითა და მევახშეობით, რომლის დროსაც შეისწავლეს ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან ამ საქმიანობის სიბრძნე, მით უფრო, რომ თორა (მოსეს ხუთწიგნეული) არ კრძალავდა სესხის პროცენტებით გაცემას არაებრაელების მიმართ“².

ჩვენი წელთაღიგნებით 70 წელს, რომაელების მიერ იერუსალიმის განადგურების შემდეგ იუდეველები მიმოიფანტნენ მთელ მსოფლიოში, აქტიურად დაკავდნენ მევახშეობით და მოგვიანებით „ფულადი რეკოლუციის“ მთავარ ორგანიზატორებად მოგვევლინნენ. შუასაუკუნეების დასასრულს, ცნობილი გერმა-

¹Соловьев В.С. Еврейство и христианский вопрос // Статьи о еврействе. Иерусалим, 1979. ст. 9.

² Люкисон. П. Бизнес по-еврейски: евреи и деньги. Ростов н/Д: Феникс, 2007. ст. 268.

ნელი სოციოლოგის, ეკონომისტიისა და ფილოსოფოსის ვ. ზომბარტის (1863-1941 წწ.) აზრით, უცხოელებისგან სესხის სანაცვლოდ პროცენტების ამოღების ნებართვა გადადის მის ვალდებულებაში.

მევახშეობა, როგორც საერთოდ საყოველთაოდ აღიარებული მორალური ნორმების დარღვევა საკუთარი სარგებლისათვის, განეკუთვნება გავრცელებული ზოგადსაკაცობრიო ცოდვების რიცხვს. მევახშეობით, ამბობს ზომბარტი, დაკავებულნი იყვნენ საბერძნეთში დელფოს ტაძრის ქურუმებიც და შუასაუკუნეების მონასტრებიც. ზომბარტს მოჰყავს თანამედროვეთა მრავალი მტკიცებულება ქრისტიანი ვაჭრების უღირს საქციელზე... ამას ზომბარტი ხსნის იმით, რომ მათთვის საუბარი საერთოდ არ მიმდინარეობდა საქმიანი მორალის ნორმების დარღვევაზე. მათი თვალსაზრისით, ეს იყო „გონივრული“, „საქმიანი“ მორალი, „ნამდვილი უფლება“, რომელიც სამეურნეო საქმიანობას უქვემდებარებდა „საქმის“, შემოსავლის პრიმატს.

რაც შეეხება არისტოტელეს, ის იქცა მთავარ იდეოლოგიად მევახშეობის წინააღმდეგ, რომელიც მწვავედ გრძნობდა ამ საქმიანობის დამლუპველობას. ქრისტიანობამდელ ეპოქაში ფული ერთგვარ საზოგადოებრივ საკუთრებად იყო აღიარებული, რომელიც არ უნდა ქცეულიყო სიმდიდრის დაგროვების საშუალებად, არამედ მას უნდა შეესრულებინა „სისხლის“ როლი, რომლის ცირკულაცია ეკონომიკაში უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. თუ დავუშვებთ მევახშეობას, მაშინ მევახშეები შეძლებენ „სისხლის“ მოძრაობის საკუთარი ინტერესებისამებრ მართვას. ამიტომ, არავინ არ უნდა იყოს ფულის მესაკუთრე, რომელიც ახდენს მისი ცირკულაციის გადაკეტვას და მისი გახსნისათვის სარგებლის მიღებას მსგავსად ყაჩაღისა, რომელიც დგას ხიდზე და გამვლელისგან იღებს გადასახდელს. ფული, როგორც მიწა, არ უნდა გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი და არ უნდა მოხდეს მისი თავმოყრა მცირედთა ხელში. არისტოტელე ძალიან შიშობდა, რომ მევახშეები შეძლებდნენ საზოგადოების არტერიის ხელყოფას და მისგან პროცენტების ამოღებას. გადახდის შემთხვევაში მევახშე ოდნავ შვებას მისცემს არტერიას გაატაროს სისხლი, გადაუხდელობის შემთხვევაში - არტერიას გადაკეტავს.

არისტოტელეს აზრიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ფულს ანიჭებდა მხოლოდ მიმოქცევის საშუალების ფუნქციას და თვლიდა, რომ ფული არის არა საქონელი, არამედ ერთგვარი „ნიშნები“. თანამედროვე ფულის თეორიის ენით რომ ვთქვათ, არისტოტელე იღგა „ნომინალიზმის“ პოზიციებზე (თეორია, რომლის თანახმადაც ფული არ უნდა ფლობდეს „შინაგან“ ღირებულებას, ე.ი., არ უნდა იყოს სრულფასოვანი სასაქონლო ფული, ის განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა იყოს რეალური საქონლის გაცვლის საშუალება ფულადი ნიშნის ნომინალის გათვალისწინებით).

ქრისტიანობის დროსაც მევახშეობის წინააღმდეგ მებრძოლი განმანათლებლები საკმაოდ ხშირად იხსენებდნენ არისტოტელეს. განსაკუთრებით, მის შემდეგ სიტყვებს: „სრული საფუძვლიანობით იწვევს ზიზღს მევახშეობა, რადგანაც ის თვით ფულად ნიშნებს აქცევს საკუთრების საგნად, რომელიც ამგვარად კარგავს თავის დანიშნულებას, რის გამოც იქნა ის შექმნილი: აკი ის წარმოიქმნა ვაჭრობისთვის, პროცენტების გადახდევინება კი იწვევს სწორედ ფულის ზრდას... როგორც შეილება გვანან თავიანთ მშობლებს, ისევე პროცენტები წარმოადგენს ფულად ნიშნებს, რომლებიც მომდინარეობს ფულადი ნიშნებისგან. სარგებლის მიღების ამგვარი სახეობა, პირველ რიგში, ბუნების საწინააღმდეგოა“¹. მსოფლიოში ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად, პროცენტებზე აკრძალვები ემყარებოდა ქრისტიანული ეკლესიის დოგმატებს, ისინი კი, თავის მხრივ – წმინდა წერილს, მათ შორის, ახალ აღთქმას.

კერძოდ, ლუკას სახარებაში ნათქვამია: „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ; და დიდი იქნება თქვენი საზღაური, და იქნებით უზენაესის ძენი; რადგან ის კეთილმოწყალეა თვით უმადურთა და უკეთურთა მიმართ“ (ლუკა 6:35).

ფაქტობრივად მოხდა ძველი აღთქმის ნორმების განმეორება, მაგრამ ერთის გამოკლებით: ისინი იყო აბსოლუტური, არ შეიცავდა ორმაგ მორალს (თავისიანები – უცხონი). აკრძალვები დაფიქსირებულ იქნა მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებებში. ადრეული ქრისტიანობის წმინდა მამები საკმაოდ ხშირად გამოდიოდნენ მევახშეობის, როგორც ვერცხლისმოყვარეობის ყველაზე ოდიოზური ფორმის მხილებით, ხოლო ვერცხლისმოყვარეობა განეკუთვნებოდა ყველაზე მძიმე ცოდვათა რიგს.

¹ Аристотель. Политика. Соч. В 4 т. Т. 4. М.: Мысль, 1983. ст. 395.

თანმიმდევრული ქრისტიანები თავიანთ ბრძოლაში მეგანშეობის წინააღმდეგ ყოველთვის განმსჭვალულნი იყვნენ მაცხოვრის საქმის სულისკვეთებით, რომელიც მან განახორციელა ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე. საუბარია ახალ აღთქმაში ერთადერთ შემთხვევაზე, როცა ქრისტემ გამოავლინა ძალადობა: მან ააყირავა ვაჭრების მაგიდები და გააძევა ისინი იერუსალიმის ტაძრიდან. ხოლო ვაჭრები, რომლებიც იმყოფებოდნენ ტაძარში, ფაქტობრივად იყვნენ სპეკულანტები (ახორციელებდნენ ერთი მონეტის მეორეზე გაცვლას სათავისოდ დიდი მოგებით)¹ და მეგანშეები (ფულს იძლეოდნენ პროცენტებში).

მეგანშეობის შემთხვევა (ჩვეულებისამებრ, ფარული ფორმით) არსებობდა ქრისტიანობის აყვავების დროს. მაძხილებელთა შორის იყვნენ იოანე ოქროპირი (347-407 წწ.), ბასილი დიდი (დაახლოებით 330-394 წწ.), კლიმენტი ალექსანდრიელი (დაახლოებით 150-220 წწ.) და მრავალი სხვა წმინდა მამა.

დასავლეთის ეკლესიებში (მსოფლიო ეკლესიისგან მისი გამოყოფის შემდეგ) აკრძალვები საკმაოდ სერუპულოზურად იყო დასაბუთებული ღვთისმეტყველთა მიერ. ისინი ეყრდნობოდნენ არა მარტო წმინდა წერილს, არამედ ანტიკური ფილოსოფოსების შრომებსაც, განსაკუთრებით არისტოტელეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არისტოტელეს დებულებას იმის შესახებ, რომ ფული – ეს არა სიმდიდრე, არამედ მხოლოდ სიმდიდრის ნიშანია; შესაბამისად, ის არ შეიძლება შენახვის საშუალებად გამოიყენებოდეს და მით უფრო, სიმდიდრის გასაზრდელად პროცენტების სახით.

ეკლესიის ისტორიისა და ღვთისმეტყველების მრავალ ნაშრომში სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ევროპაში მთავარი იდეურ-სულიერი დაპირისპირება ქრისტეს დაბადებიდან პირველ საუკუნეში იყო ქრისტიანობასა და იუდაიზმს შორის დაპირისპირება. პრაქტიკულ-საყოფაცხოვრებო დონეზე ამ დაპირისპირების ძირითადი საკითხები იყო საკითხი მეგანშეობაზე. კერძოდ, ბიზანტიაში, კონსტანტინე დიდის შემდეგ მეგანშეურ საქმიანობაზე დაწესდა სერიოზული შეზღუდვები და აკრძალვები.

ჩვენს დროის ავტორთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ თანამედროვე ლიტერატურაში საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მეგანშეობის ისტორიასთან, ძალიან ხშირად „გაბუნდოვნებულია“. პროცენტების გადახდევინებაზე აკრძალვები ძველად უკიდურესად მკაცრი და სასტიკი იყო. მეგანშეობისათვის დასჯა თითქმის არ განსხვავდებოდა მკვლელობაზე სასჯელისგან. პროცენტების გადახდევინებაზე აკრძალვების არსებობის დროის ასეთი „შერბილებული“, „გაკეთილშობილებული“ სურათი, მრავალი ავტორის აზრით, მოწოდებულია, რათა „გაანელოს“ თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება მეგანშეობის თანამედროვე პრაქტიკის მიმართ, დახმარება გაუწიოს ამგვარი პრაქტიკის „ბუნებრიობის“ დასაბუთებას.

მოვიყვანოთ ისტორიული შეფასების მაგალითი იმისა, თუ რას წერენ თანამედროვე სახელმძღვანელოებში² მეგანშეურ საქმიანობაზე აკრძალვების ეპოქის შესახებ: „XVII საუკუნის დაწყებამდე სასესხო პროცენტი უმკაცრესად აკრძალული იყო დასავლეთ ევროპაში, რუსეთში, არაბული აღმოსავლეთის ქვეყ-

¹ იუდეველებს, რომლებიც მიდიოდნენ იერუსალიმის ტაძარში, შეეძლოთ განეხორციელებინათ ფულადი შემოწირულობები და თითოეული იუდეველისათვის სავალდებულო იყო გადახდის წარმოება სპეციალური მონეტებით, რომლებიც გამოჭედილი იყო თვით იუდეველების მიერ და არ შეიცავდა წარმართულ სიმბოლოებს. ეს მონეტები იმყოფებოდა მეკერძების ხელში, რომლებიც ამით საკუთარ ბიზნესს აწარმოებდნენ. აი რას წერს მღვდელი ვიოჩესლავ სინელნიკოვი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იერუსალიმის ტაძარში: „აღმოსავლეთის უზის ჭიშკრის ორივე მხრიდან სოლომონის ვერანდამდე, იდგა ვაჭრების დახლები და მეკერძეთა მაგიდები. პასექის დღესასწაულამდე ოცი დღით ადრე მღვდლები იწყებდნენ ძველი შეკვლების შეგროვებას, რომელიც ყოველწლიურად გადაიხდებოდა ყოველი იუდეველის მიერ (20-დან 50 წლამდე), როგორც ფულადი გამოსასყიდი „სულისათვის“ დახმარებოდა ტაძრის ყოველდღიური მსახურების ხარჯების ანაზღაურებას (იხ. გამოსვლა 30, 11-16). ამ გადასახადის გადახდა „წაბილწული“ მონეტით დაუშვებელი იყო და ასეთი ვითარების შემთხვევაში მეკერძები იღებდნენ უზარმაზარ მოგებას. დააკვირდი! ძველი აღთქმის ტაძრის გაღერისა და „წარმართთა კარიბჭის“ უზარმაზარი სივრცე გადატვირთული იყო მტრეებით მოვაჭრეების დახლებით, მეკერძეთა მაგიდებით, რომლებიც ანგარებით (თანხის ხუთი პროცენტი) ცვლიდნენ ფულს. ჩვენს წინაშე იშლება ბოროტი ბაზარი, რომელმაც ქრისტეს სიტყვებით, სალოცავი სახლი გადააქცია ავაზაკთა ბუნაგად (იხ. მათე 21, 12; მარკოზი 11, 17)... მღვდელმობღვარნი და საღუკეველნი ამას მშვენიერად ხელავენ, მაგრამ არაფერს კრძალავენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავად აწარმოებდნენ ამ სამარცხინო ვაჭრობას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იღებდნენ უკანონო შემოსავალს სამარცხინო უმსგავსეობაზე „თვალის დახუჭვის“ გამო (Свящ. Вячеслав Синельников. Христос и образ первого века. М.: Сретенский монастырь, 2003. ст. 73-74).

² მსჯელობა ეხება ეკონომიკური თეორიის, მსოფლიო ისტორიის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური ისტორიის, ფულადი მიმოქცევის, საბანკო საქმიანობისა და სხვა სახელმძღვანელოებს.

ნებში, ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა რეგიონებში. ამ აკრძალვის დარღვევა თითქმის ყველგან ერთი იყო – სიკვდილით დასჯა. ასეთი აკრძალვა არსებობდა დაახლოებით XII საუკუნიდან. ე.ი., მსოფლიო ეკონომიკა თითქმის 500 წელი ვითარდებოდა სასესხო პროცენტის გამოყენების გარეშე. თუ გსურთ გაიგოთ, როგორ ცხოვრობდა მსოფლიო სასესხო პროცენტის გარეშე, გაკვირვებული აღმოაჩნთ, რომ ამის შესახებ უკიდურესად მცირე ინფორმაციაა შემორჩენილი. ხოლო ის, თუ რა დარჩა, დიდწილად „მოწმობს“ იმას, რომ სასესხო პროცენტი, ასე თუ ისე, თითქოს არსებობდა ისტორიის ამ პერიოდში, მაგრამ უბრალოდ „დევნას განიცდიდა“ და რომ მის გამო ყოველთვის არ სჯიდნენ, არამედ უბრალოდ ხდებოდა ეკლესიიდან განკვეთა და ა.შ.. სინამდვილეში, აკრძალვა ძალიან მკაცრი იყო და სასჯელიც ძალიან სასტიკი. ფაქტი იმისა, რომ თითქმის 500 წლის განმავლობაში სასესხო პროცენტის გამოყენებისათვის სჯიდნენ ნებისმიერს, წოდების, მდგომარეობის, გვარიშვილობის მიუხედავად, დღემდე გაუხმაურებელია... ფორმალურად ამას არავინ ძალავს, მაგრამ ეს თემა საერთოდ არასოდეს განიხილება მასშტაბით. და მაინც, რამ აიძულა იმ დროინდელი მთელი მსოფლიო, ყველა რელიგია – ქრისტიანობა, ისლამი, ინდუიზმი, ბუდიზმი (უფრო სწორედ, არა ყველა არამედ თითქმის ყველა რელიგია) მხარი დაეჭირათ მათი დასჯისათვის, ვინც შეეცდებოდა სასესხო პროცენტის გამოყენებას? არ უნდა უარყოთ ის, რომ სასესხო პროცენტი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მის მიმართ ხელისუფალთა და საზოგადოებათა დამოკიდებულება ზემოთაღნიშნულ პერიოდებში (პირობითად - „თითქმის 500 წელი“) სინამდვილეში ყველაზე მკაცრი იყო, უფრო მკაცრი, ვიდრე ამ პერიოდის დაწყებამდე და ამ პერიოდის შემდეგ. მაინც რა პერიოდი იყო ეს პერიოდი? სულ მცირე, ევროპაში ეს პერიოდი იყო ქრისტიანული ცივილიზაციის საოცარი აყვავების პერიოდი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებდა ცხოვრებაში წმინდა წერილითა და განსაკუთრებით, ახალი აღთქმით განსაზღვრულ ნორმებს. პროცენტების გადახდევინება იმ დროში კვალიფიცირდებოდა როგორც დანაშაული, რომელიც თითქმის არ ჩამოუვარდებოდა მცნებას - „არა კაც კლა“.

Malkhaz Chikobava

The Evolution of the Monetary System of Capitalism by Aspects of Orthodox Teaching

Resume

In this work is analyzed the monetary evolution of capitalism. It is noted that the core of a society built on the ideology of capitalism, is the specific monetary system. Usually in economics textbooks write that the basic functions of money are universal equivalent functions (meter) value of all goods, means of exchange and payment. However, such provisions, as well as Marx's theory are half-truths. Money under capitalism - not only payments and sharing tool, a momentary "intermediary" in trade and production, money - it is primarily a tool of organization and management. A control can have different goals, depending on the moral, mental and spiritual qualities of the money owner.

The history of money and monetary circulation indicates that the moneylenders (who themselves have now become known as "bankers") have been very creative in designing ingenious schemes and augmentation of money capital mechanisms. The most important tool - lending rate appeared in ancient Babylon. The name of the inventor of this instrument is unknown. But the inventor certainly did hint he who at one time persuaded Adam and Eve ate the forbidden fruit in the garden. The catastrophic consequences of a breach of the ban, this God of Paradise, are well known. The consequences of the practical application of loan interest in ancient Babylon is hardly aware of it. The disease develops very quickly. But today, in the 21st century, the consequences of acquired magnitude of the disaster that the media called the "global economic crisis".

**„კეისარს კეისრისა და ღმერთს - ღმერთისა“:
თეოლოგიურ-ეკონომიკური გააზრებისათვის**

ოც საუკუნეზე მეტია, რაც ახალ აღთქმაში გადმოცემული უამრავი ბრძნული ფრაზა და გამოთქმა, შეგონება დამკვიდრდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. ასეთია შინაარსობრივად მრავალმხრივ დატვირთული უფლისძიერი შეგონება: „კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა“. მეტად საინტერესოა მისი ბიბლიური (ღვთისმეტყველური) და ეკონომიკური კონტექსტის გააზრება.

ახალი წალთალრიცხვის დასაწყისში იუდეა შევიდა რომის შემადგენლობაში და ვალდებული იყო ხარკი გადაეხადა რომისთვის. თუმცა, რომი თავიდანვე წააწყდა იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ პრობლემას - ისრაელი არ აღიარებდა მრავალღმერთიანობას და ერთ ღმერთს - ჭეშმარიტ ღმერთს განადიდებდა. მასვე უხდოდა მოსავლისა და ნახირის მეათედს და ასევე ვერცხლის ფულს. სხვა ღმერთისათვის გადახდა დანაშაულად ითვლებოდა ღვთის წინაშე. რომაელებიც იმპერატორის კულტის განდიდებას აღარ აძალბებდნენ ამ უცნაურ პროვინციას და მხოლოდ გადასახადს კრეფდნენ¹.

როგორც ცნობილი ღვთისმეტყველი ა. ლოპუხინი განმარტავს, იუდეაში სახალხო მღელვარებას ხშირად ქონდა ადგილი საგადასახადო ტვირთის (ძირითადად ეს იყო ქონების გადასახადი) გაუსაძლისი სიმძიმის გამო (გავიხსენოთ, თუნდაც თევდა და იუდა გალილეელი, რომელსაც გაჰყვა დიდძალი ხალხი, მაგრამ ისინი დაიღუპნენ და დაიფანტნენ (საქმ. 5, 36-37)².

ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების იყვნენ იროდიანელები და ფარისეელები. იროდიანელები ამტკიცებდნენ, რომ უნდა გადაეხადათ კეისრისათვის განკუთვნილი და ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეთ თვლიდნენ მეამბოხეებად. ამის საპირისპიროდ, ფარისეელებს მიაჩნდათ, რომ იუდეელებს, როგორც ღვთის ხალხს, წარმართებისაგან განსხვავებით, ევალებოდათ მხოლოდ ღვთისათვის გადახდა - მისი ტაძრისათვის გაღება, ხოლო რომის კეისრისათვის, როგორც კერპთაყვანისმცემლისთვის, ხარკის მიცემა ნიშნავდა ღმერთის შეურაცხყოფას. როგორ მოხდა, რომ ეს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების ხალხი ახლა გაერთიანდა, რათა ერთი საქმე ეკეთებინა? მათ დროებით მოირიდეს თავიანთი მტრობა, რათა საერთო ძალებით შეებოდნენ ორივე მხარისათვის საძულველ მასწავლებელს ჭეშმარიტებისა.

იროდიანელებმა (ჰეროდელებმა) და ფარისეელებმა უფლის სიტყვაზე დაჭერა გადაწყვიტეს და პირდაპირ დაუსვეს კითხვა: „მოდგარო, ვიცით რომ ჭეშმარიტი ხარ, ჭეშმარიტებით ასწავლი ღვთის გზას და არავის ერიდები, რადგან არ უყურებ კაცთა გარეგნობას. ჰოდა, გვითხარი ჩვენ: როგორ ფიქრობ, უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა?“ (მათ. 22, 15-16).

ეს ეპიზოდი ყველაზე მკაფიოდ გვიჩვენებს მწიგნობრებისა და ფარისეელების მხრიდან მაცხოვრის წინააღმდეგ ბრძოლას. ერთი შეხედვით, ეს არის ერთ უბრალო კითხვაზე პასუხი. თუმცა, კითხვა - მახეა, პასუხი კი სიბრძნე. შეიძლება ითქვას, რომ ამ კითხვაზე პასუხის საპირწონედ მაცხოვრის სიცოცხლე დაიდო.

წმინდა მამათა სწავლებაზე დაყრდნობით მეტად საინტერესოდ განმარტავს ამ ნაწილს მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოშვილი): „აი, მათი ანგარიში: თუ იგი იტყოდა, დასაშვებია ხარკის მიცემა რომის კეისრისათვის, მაშინ ფარისეელები ხმამაღლა განაცხადებდნენ, რომ მან უღალატა ღვთის ხალხს და თავად ღმერთს, და ამ გზით უარყოფდნენ მასში ღვთისაგან მოვლინებულის ღირსებასა და მის მიმართ ხალხის რწმენას. ხოლო თუ იტყოდა, რომ არ არის დასაშვები კეისრისათვის ხარკის მიცემა, მაშინ იროდიანები აცნობებდნენ ამის შესახებ რომაელთა მმართველს, როგორც მეამბოხეზე და სიკვდილს მიუხედავად მას. ხედავ ბადა როგორ მტკიცედაა შეკრული და მოხერხებულად დაგებული, რათა იგი სიტყვებში გამოეჭირათ“. „იროდიანები გამოსადეგნი შეიქნენ ფარისეველთათვის იმიტომაც, - ამბობს მთავარეპისკოპოსი ინოკენტი, - რომ თავად ფარისეველთაგან იესო ქრისტესათვის ბრალის დადება რომაელთა ხელისუფლე-

¹ Маханьков Р. Динарий кесарев. Журн. “Фома”, № 2(19) 2004. <http://foma.ru/dinarij-kesarev.html>

² Толковая Библия или комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета А.П. Лопухина - <http://www.bible.in.ua/underl/Lop/>

ბის წინაშე ნიშნავდა ხალხის სიძულვილის თავს დატეხას, რასაც ფარისევლები ყოველმხრივ გაურბოდნენ, რადგან უფროთხილდებოდნენ ხალხის მათდამი კეთილგანწყობას; იროდიანებს კი შეეძლოთ ამის გაკეთება; აქედან გამომდინარე არასასურველი შედეგების გაუთვალისწინებლად¹.

უფალი, ბუნებრივია, მიუხვდა მზაკვრობას თვალთმაქცებს და უთხრა: „მიჩვენეთ ფული, რომლითაც იხდით ხარკს. და მთაროვეს მას დინარი. და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და ეს წარწერა? მიუგეს: კეისრისა. მაშინ უთხრა მათ: მთავრად კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს - ღმერთისა“ (მათ. 22, 19-20).

უფლის მიმართ შეკითხვაშიც იმალებოდა მზაკვრობა. ისრაელიანები ხომ ფაქტობრივად უკვე ემორჩილებოდნენ რომის კანონებს და აღიარებდნენ მის ფულს. ისინი სავაჭრო ოპერაციებს თავისუფლად ახორციელებდნენ რომაული დინარებით ტაძრებს გარეთ. მხოლოდ ტაძრისათვის იხდიდნენ სხვა მონეტებს, რომელიც იუდეაში იჭრებოდა და მათზე გამოსახულება არ იყო დატანილი. მაცხოვარი ითხოვს არა ნებისმიერ მონეტას, არამედ იმას, რომლითაც ხარკს იხდიდნენ.

სანამ პასუხს გასცემს, მაცხოვარი თვითონვე სვამს შეკითხვას, თუ ვისია ფულზე გამოსახული გამოსახულება და წარწერა. ამ ფულზე გამოსახული იყო იმპერატორი ტიბერიუსი წარწერით “ონტიფებს Maximus”. რომაული მონეტებით სარგებლობა თავისთავად მიმანიშნებელი იყო იუდეის კეისარზე დამოკიდებულებისა.

პასუხი გამოაგნებელია მახის დამგებთათვის: „მაშინ უთხრა მათ: მთავრად კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს - ღმერთისა“ (მათ. 22, 21).

ცნობილი თეოლოგი ჯოვანი პაპინი აღნიშნავს, რომ იესოს წმინდა ხელები, რომლებიც კურთხევისა და კურნებისათვის აღიმართებოდნენ, არც ერთ ლითონის დისკს, რომლებზეც ამა სოფლის მეფეთა გამოსახულებებია, არ შეხებია, იესომ თავის იგავებში ბევრი მონეტა დაასახელა, მაგრამ ხელში არ სჭერია. სიტყვა „მიეცი“/“მთავრად“ საგულისხმოდ არის გამოყენებული ამ მონაკვეთში. იგი ნიშნავს იმის მიცემას, რაც ჩვენი არ არის და ამა ქვეყნის ძლიერებმა შექმნეს ძალაუფლების საჭიროებისათვის. ფული მეფეთა, სამეფოთა, მთავრობათა საკუთრებაა და არა ჩვენი სასუფეველისა. იესო არ ასახელებს იმპერატორის სახელს, რომელიც ამა სოფლის მბრძანებელია, იესო კი ამ სოფლის საწინააღმდეგოდ დაარსებული სასუფეველის მეფეა, სამეფოსი, რომელშიც მეფობა უკვე აღარ იქნება. კეისარი წარსულის მეფეა, არმითა მეთაურია, ოქროსა და ვერცხლის მჭედელია, უსამართლობით განთქმული ცოდვილი ადმინისტრატორია. ამ ორ მბრძანებელს არაფერი აქვთ საერთო².

ამ პასუხით მაცხოვარმა ალაგმა კაცთაგან მისთვის დაგებული მორიგი მახე. ადამიანთა მოღვაძე ძალზე მარტივი იყო და მესამე პასუხს გამორიცხავდა მაშინ, როცა არსებობდა (მათი აზრით) მხოლოდ ორი შესაძლო პასუხი და ორივე მაცხოვრის წინააღმდეგ მიმართული. თუ გადახდას დაეთანხმებოდა - ღმერთის მტრად შერაცხავდნენ, თუ შეეწინააღმდეგებოდა - კეისრის მტრად აქცევდნენ. ვერარა გააწყვეს მაცხოვრის სიბრძნის მიმართ, გაოგნებულებმა მიატოვეს ის და წავიდნენ (მათ. 22, 22).

რამდენიმე დღეში პილატეს სამსჯავროზე წარმდგარი მაცხოვარი განაცხადებს კიდევ, რომ მისი მეუფება არ არის ამქვეყნიური: „უკეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაი ჩემი, მსახურნიცა ჩემნი ილუწიდეს ჩემთვის, რაითა არამცა მივეცი ჰურიათა, ხოლო აწ მეუფებაი ჩემი არა არს ამიერ სოფლით“ (ინ. 18, 36).

სამართლიანად აღნიშნავს XX საუკუნის უდიდესი რელიგიური ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი, რომ მიწიერი სამეფოს ხიბლი კაცობრიობის ისტორიის უდიდესი საცდურია. მასში დაფარულია ყველაზე დიდი დამმონებელი ძალა. სამეფოს ხიბლი ისტორიის მანძილზე სრულიად განსხვავებულ ფორმებს იღებს, განიცდის ტრანსფორმაციას და დაბნეულობაში შეჰყავს ადამიანები. ქრისტემ უარჰყო ეს საცდური და უარჰყო სამუდამოდ მსოფლიოს ყველა სხვა სამეფოებისთვისაც. ქრისტიანებმა არ მიჰბადეს ქრისტეს და დაემონნენ მიწიერ სამეფოებს. იმავდროულად ქრისტეს სამეფო მკრეხელურად შეურიეს და შეუერთეს მი-


¹ „უფლისა არს ყოველივე“, მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი: წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), მიეცი კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/22_15-22.htm

² პაპინი ჯ. იესო ქრისტეს ცხოვრება (ქართული თარგმანი ეკუთვნის ბერ ერმოლაოსს (ჭეჭია). თბ., 2014, გვ. 195.

წიერ სამეფოს. ქრისტე მოუწოდებდა, უპირველეს ყოვლისა, ეძებნათ ღვთის სასუფეველი და სიმართლე მისი. ქრისტიანები კი ამ ძიებაში საშინლად შეშინდნენ, როცა იგრძნეს, რომ ცათა სასუფეველის ძიება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნენილიყო მათი მიწიერი სამეფოსათვის¹.



ტიბერიუსის მონეტა



ტიციანი. კეისრის დინარი. XVI ს.

უფალმა ადამიანი მის მსგავსად და ხატად შექმნა. მიანიჭა მას თავისუფლება არჩევანისა, გადაწყვეტილების მიღებისა. ამით სურდა სრულყოფილად ექცია იგი და არ დაეკნინებინა, რობოტად არ ექცია პიროვნება. ქრისტეს პასუხიდანაც იკვეთება ადამის მოდგმის მიმართ თავისუფლების პატივისცემა. უფლის პასუხი სულ სხვა განზომილებიდანაა, კაცთა მარტივად შეუცნობელი: მიწიერი მეუფება უმთავრესია და ადამიანი უნდა დაემორჩილოს მიწიერ მეუფებას, მაგრამ ისწრაფვოდეს ცათა სასუფეველისაკენ იმდენად, რამდენადაც ეს შეუძლია უფლის სამსახურში.

ყველა ხელმწიფება ღვთისაგანაა და ამიტომ, ყველა მას უნდა დაემორჩილოს. მიწიერი მეუფებისადმი მორჩილება წარმოუდგენელია კანონმდებლობის, ანუ სავალდებულო „თამაშის წესების“ დაცვის გარეშე. ამ საქმეში მორჩილებას ადასტურებს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში: „დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, რადგანაც არ არსებობს ხელმწიფება თუ არა ღვთისაგან; ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ დადგენილია. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღვთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდეგომნი თავიანთ თავზე თვითონვე მოიწვევენ სასჯელს. ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედათვის კი არა, ბოროტმოქმედათვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი აკეთე და ნაქები იქნები მისგან. რადგანაც ის ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ. ამიტომაც გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიღისითაც. სწორედ იმიტომ იხდით ხარკს, რომ ღვთის მსახურნი არიან ამ საქმეზე გადაგებულნი. ამრიგად, ყველას მიაგეთ მისი კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, საშიშარს - შიში, პატივსაცემს - პატივისცემა“ (რომ. 13, 1-7). მოციქულებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამგვარი ელემენტარული წესრიგის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა.

პავლე მოციქულის მიხედვით, ქრისტიანი ცხოვრობს სახელმწიფოს მიერ მართულ საზოგადოებაში. ამ ეპოქის წარმართული საზოგადოება არცთუ მისაღები გარემოა ქრისტიანისათვის, თუმცა აქედან ერთბაშად გამოსვლაც შეუძლებელია: „აკი მოგწერეთ წერილში: არ შეერიოთ-მეთქი მემრუშეთ, და არა მარტო ამ წუთისოფლის მემრუშეთ, ანდა ანგართ, მტაცებელთა თუ კერპთმსახურთ, თორემ ამ ქვეყნით გასვლა მოგიწევთ-მეთქი“ (1 კორ. 5, 9-10). ქრისტიანებს არა მარტო არ შეეძლოთ გარემომცველი საზოგადოებიდან გამოსვლა, არამედ უფლებაც არ ქონდათ გამოსვლისა, რამეთუ მათი ამოცანა იყო საზო-

¹ ბერდიაევი ნ. მიწიერი სამეფოს ხიბლი. სახელმწიფოს ორმაგი სახე. რუსულიდან თარგმნა ლეკანოზმა თამაზ ლომიძემ. <http://www.orthodoxtheology.ge/dualface/>

გაღობაში წმინდა სახარების შეტანა. ამ მხრივ, პავლე მოციქული ეკლესიას საზოგადოებაში ინტეგრაციის ამოცანასაც აკისრებს¹.

ჩვენ მიერ აღწერილ ეპიზოდში გამოსჭვივის უფლის მიერ გადახდის, ანუ მიწიერი წესებისადმი, კანონებისადმი მორჩილება. აღსანიშნავია, რომ მაცხოვარი მოციქულს ავალებს უფლის მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას. უთუოდ ხაზგასასმელია ერთი საკითხი, რომელიც გადახდის პროცესს და მის მორალურ მხარეს უკავშირდება: უფალი პეტრეს ავალებს: „წადი ზღვაზე, ისროლე ანკესი და პირველი თევზი, რომელიც მოხვდეს, ამოიყვანე, გაუღე პირი და შიგ იპოვი სტატირს. წამოიღე იგი, მიეცი შენთვის და ჩემთვის“ (მათ. 17, 27). ყურადსაღებია, რომ გადასახდელის მოპოვებას მაცხოვარი მხოლოდ შრომის ხარჯზე მიიჩნევს გამართლებულად და პეტრეს თევზის დასაჭერად უშვებს – ბუნებრივია, უფალს ჩვენსას არ გაუჭირდებოდა სტატირის „გაურჯელადაც“ მოპოვება ვალდებულების შესასრულებლად, როცა ხუთი პურით და ორი თევზით ხუთი ათასი კაცი დააპურა².

ღინარის გადახდის ვალდებულება სახელმწიფო წესრიგისაკენ ერთგვარი მოწოდებაცაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, განსაკუთრებით აფექტაციის და გადანაწილების ფუნქციებს. ვერ განხორციელდება გზების გაყვანა, სარწყავი სისტემების აგება, კომუნიკაციების მოწყობა, უპოვართა და გაჭირვებულთა დახმარება, რაც, საბოლოო ანგარიშით, ადამიანებს მიწიერ ყოფას უმსუბუქებს.

ყველა მომავალ ეკონომისტს და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტს ასწავლიან ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს - ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან: „იმის მისაღებად, რაც მოგვწონს, როგორც წესი, უნდა დავთმოთ სხვა რამ, რაც აგრეთვე მოგვწონს. გადაწყვეტილების მიღება ერთი მიზნის მეორესთან დაპირისპირებას მოითხოვს... იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან, თავისთავად ვერ გავცემს პასუხს, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ადამიანებმა და რომელს მიიღებენ“³.

უფალი ბრძანებს: „ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (ლუკ. 12, 31). ამდენად, სასუფეველის ძიება ინდივიდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, მაგრამ ადამიანს ამქვეყნიური, მიწიერი გზაც აქვს გასავლელი და მიწიერისათვის ზრუნვა და გარჯაც არ არის დასაძრახი, თუკი ეს ქმედება სულის გადარჩენისკენაა მიმართული. ამიტომ არის, რომ მოციქულებმა სასუფეველის ძიება, ღმერთთან თანაზიარება მარადიული ქება-დიდება უფლისა არჩიეს მეთევზეობას, ანუ მიწიერ საზრუნავებს. მათ არაფერი გააჩნდათ, მაგრამ ყველაფერი ჰქონდათ (პავლე მოციქული) და უბრალო მებაღურები ადამიანთა სულების მებაღურებად იქცნენ.

უფლისათვის მთავარია ღვთივსათნო საქმეების კეთება და არა მხოლოდ „უქმი ბაასი“ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი). სახარებისეული თეზა „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“ (მათ. 10, 10) კიდევ ერთხელ ადასტურებს უფლის სამართლიანობას. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც ღვთივსათნო საქმეების ღირსეული საზღაური, ანუ სულიერი საზრდოს, სასუფეველის, როგორც მისი მაქსიმალური გამოვლინების ღირსი. უფალი ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს სასყიდლის (შეიძლება ითქვას, როგორც მატერიალურის, ისე სულიერის) გასაცემად მათთვის, ვინც ღირსია. როცა ინდივიდის ძალისხმევა „ზეციური მარგალიტების შეგროვებისკენ“ არის მიმართული, როგორც იაკობ მოციქული წერს, „საქმეთაგან განმართლდების კაცი და არ სარწმუნოებისაგან ხოლო“. ღვთის მაღლი არ არის მარტოოდენ საღვთო ნათლის განჭვრეტის უნარი. იგი ამავე დროს მოქმედებაში, შენებაში, სწორ ორგანიზაციაში, უანგარო ქველმოქმედებაში, განათლების სისტემის მართლმადიდებლურ საწყისებზე ფორმირებაში, მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს. ამასთან, „მაღლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა; ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მაღლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს“⁴.

¹ Архимандрит Ианнуарий (Ивлиев) «Дайте кесарево кесарю, а Богу Богово» http://azbyka.ru/ivliev/kesariu_kesarevo-all.shtml

² ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ. 95.

³ მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ. „ლიოგენე“, 2008. გვ 4-5.


⁴ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2012 წლის საშობაო ეპისტოლე.

ნიშანდობლივია, რომ 2002 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს პრეზიდენტმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ეს დოკუმენტი, კონსტიტუციის მე-6 მუხლით ქვეყნის უმაღლესი რანგის ნორმატიული აქტია თავად კონსტიტუციის შემდეგ. ეს შეთანხმება მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რაც ევალებათ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოსა და ეკლესიას. იგი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამას, რომელზედაც უნდა დაეფუძნოს მათი საქმიანობა. „დღეს ჩვენ ყველამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ ღმრთის, ერთმანეთის, საზოგადოების წინაშე და ეს ჩვენ ბევრს გვავალებს.“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში წარმოთქმული სიტყვიდან).

სახელმწიფო აღიარებს, რომ ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად¹.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ვასრულებთ უფლის მცნებებს, რა ძალისხმევას მივმართავთ მისკენ - სულიერებით აღვსებულს, თუ გარეგნულს. მართლმადიდებელთა, მათ შორის მაზიარებელ მართლმადიდებელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისია უფლის მცნებების შესრულება განსაკუთრებით საზოგადოებისათვის შესამჩნევად. ასეთი ადამიანი, რომელიც მოკლებულია სიმართლეს, ფარისევლის მსგავსია: „უკუეთუ არ აღმატოს სიმართლე თქუენი უფროის მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 5,20), ასეთი ქრისტიანი ფარისევლის მსგავსად კიდევ უფრო შორდება უფალს².

„კეისარს კეისრისა, ღმერთს - ღმრთისა“ შეგონების ეკონომიკური გააზრებისათვის გამოვიყენოთ შეზღუდულობის ამსახველი მრუდი. რამდენადაც ჩვენი ამქვეყნად ყოფნა, ჩვენი მდგმურობის ხანა (დაბ. 47, 8) მცირეა, ასევე, შეუძლებელია გადავუხადოთ უფალს იმისათვის, რაც მოგვიზღო (ფს. 115, 3), გვრჩება ის, რომ მარადის ვესწრაფოდეთ ღმერთთან მიახლოებას და ზეციური მარგალიტების მიწაზევე შეგროვებას. ამ შეგონებით მაცხოვარი ადამიანს საკუთარი თავის წინაშე ტოვებს, რათა მან თვითონ გადაწყვიტოს, ვის მიაგებს მეტს. ნახაზზე არსებული A წერტილი გვიჩვენებს უფლისაკენ მეტი სულიერი რესურსის მიმართვას (გამოყენებას), ხოლო B - მიწიერისადმი, ყოფიერისადმი მეტ და მოკიდებულებას. პირველი (შიდა) მრუდით შემოსაზღვრული არე ინდივიდის შესაძლებლობებს და მზაობას ასახავს. როდესაც სულიერი სიმაღლე და სწრაფვა ღმერთისაკენ ინდივიდისა იზრდება, მრუდი მარჯვნივ (ზემოთ) გადაადგილდება.



ნახაზი. „კეისარს კეისრისა, ღმერთს - ღმრთისა“ - ეკონომიკური გააზრება

¹ ჩიკვაიძე დ. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კომენტარები).

<http://www.orthodoxy.ge/samartali/komentarebi/sarchevi.htm>

² ჩიხლაძე ნ. მებაჟის კონცეპტი წმინდა წერილში. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2011.

დაბოლოს, რა უნდა ვიგულისხმოდ შეგონებაში - „მიეცით კეისარს კეისრისა“? ამაზე წმინდა ოქრობირი ყველაზე ტევად პასუხს გვაძლევს: „ამაში იგულისხმე მხოლოდ ის, რაც ოღნავადაც არ ენებს ღვთისმოსაობას, რადგან ყველაფერი ღვთისმოსაობის საწინააღმდეგო არის არა ხარკი კეისრისა, არამედ ხარკი ეშმაკისა“.

Nikoloz Chikhladze

“Render unto Caesar the Things that are Caesar’s and unto God the Things that are God’s”: for Theological and Economic Understanding

Resume

The paper refers to the discussion of the meaning of a phrase attributed to Christ: “Render unto Caesar the things that are Caesar’s, and unto God the things that are God’s”. Based on the instructions of the holy fathers and the Orthodox sources, we suggest the understanding of the theological and economic context.

The question addressed to God keeps hidden malicious intent. In fact, the Israelis had already been subject to Roman laws and recognized its currency. Before answering, our Savior asks about whose image and legend are on the currency. The image of the emperor Tiberius was featured on the currency. The use of Roman coins by itself pointed to the dependence on the Caesar of Judea.

In case he said that it is acceptable to pay tribute to Roman Caesar, then the Pharisees would answer loudly that he betrayed the God’s people and the God himself and in this way they would reject the merit given to him by God and the people’s faith in him. But if he said that paying tribute to Caesar is unacceptable, then the Herodian would tell the Roman ruler that he was a mutineer and he would get death sentence. With his wise answer our Savior prevented another attempt to lay the trap for him.

The obligation of paying in dinars is also a kind of call for a state order. Otherwise, the state would fail to carry out its duties, especially the affectation and redistribution functions. The state won’t be able to develop infrastructure, such as roads, irrigation systems, communication facilities or support the poor people and people in need that eventually makes life easier.

God created man in his image and likeness. He awarded him freedom of choice, making decision. By doing so, he wanted to make him perfect and not turn him into a robot. The Christ’s answer also shows respect for freedom regarding descendants of Adam. The God’s answer is coming from absolutely new dimensions: the kingdom of the Earth is the most prominent, and man has to obey the kingdom of the Earth, but simultaneously he has to endeavor to reach the kingdom of Heavens as much as he can in the service of God.

ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უნილავი ხელი

ქრისტიანობა - ეს თავისუფლების რელიგიაა. ახალ აღთქმაში დაჟინებით მეორდება აზრი პირადი თავისუფლებისაკენ მისწრაფების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ არ შეიძლება დარჩე მონად, როცა შეგიძლია იყო თავისუფალი: „**თუ ძალგის გათავისუფლება, უმჯობესია ისარგებლო**“ (I კორ. 7:21). ამას მოსდევს მოწოდება შინაგანი და გარეგანი თავისუფლებისაკენ: „**ფასით ხართ ნაყიდნი, ნუ განდებით ადამიანთა მონები**“ (I კორ. 7:23). ან კიდევ: „**თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ, მაშ, იდექით და ნულარ შეუდგებით მონობის უღელს**“ (გალ. 5.1).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებს ორგვარ თავისუფლებას: **Libertas Minor** და **Libertas Major**¹. მცირე თავისუფლებაში იგულისხმება არჩევანის თავისუფლება სიკეთესა და ბოროტებას შორის, ხოლო მეორეში კი - თავისუფლება სიკეთეში, თავისუფლება ჭეშმარიტებაში.

ორივე თავისუფლება შეიძლება გადავიდეს თავის საწინააღმდეგოში. პირველი, საწყისი, ირაციონალური და უსაზღვრო თავისუფლება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანი ივლის სიკეთის გზით და მივა ღმერთამდე, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს მის ცხოვრებაში, რომ უმაღლესი თავისუფლება იხილებს სამყაროში. უსაზღვრო პოტენცია ხსნის მარავალგვარი და ურთიერთსაწინააღმდეგო აქტივობის შესაძლებლობებს. პირველი თავისუფლება შეიძლება წარიმართოს დაცემისა და ბოროტების გზით, ანუ შობოს ბოროტი თავისუფლება, რაც, თავის მხრივ, შობს აუცილებლობასა და მონობას.

მეორე თავისუფლებასაც, ცალკე აღებულს თავისი საბედისწერო დიალექტიკა აქვს. ისიც მოიცავს საფრთხეს გადავიდეს მის საწინააღმდეგოში, აუცილებლობასა და მონობაში. მეორე თავისუფლება, პირველი თავისუფლების გარეშე, გადადის ჭეშმარიტებისა და სიკეთის იძულებასა და ძალადობაში, იძულებით კეთილშობილებაში, ე.ი. სულის თავისუფლების უარყოფაში, ადამიანური ცხოვრების ტირანულ ორგანიზებაში. თუ პირველი თავისუფლება ანარქიას შობს, რომელშიც თავად იღუპება, მეორე თავისუფლება შობს ცხოვრების ავტორიტარულ რეჟიმს, არა აქვს მნიშვნელობა, თეოკრატიული იქნება იგი თუ სოციალური.

როგორც ვხედავთ, პირველ თავისუფლებას მივყავართ განხეთქილებასა და დაცემაზე. მეორე თავისუფლებას კი სურს ეს განხეთქილება და დაცემა დაუმორჩილოს ორგანიზებულ ჭეშმარიტებასა და სიკეთეს და ამ გზით მიიყვანოს სამყარო წესრიგამდე, ანუ შექმნას აუცილებელი თავისუფლება, თავისუფლება აუცილებლობაში და აუცილებლობით.

თუ ორივეგვარი თავისუფლება წინააღმდეგობაში ვარდება, სად არის გამოსავალი?

როგორ ჩამოვაშოროთ თავისუფლებას მის მიერ შობილი ბოროტების შხამი ისე, რომ არ გავანადგუროთ თავად თავისუფლება? ეს მსოფლიო თემაა, რომელიც გადაჭრას ქრისტეში პოულობს. ქრისტე აღმოაჩენს მესამე თავისუფლებას, რომელიც თავისთავში მოიცავს ორივე პირველს².

ქრისტეს მადლით აღმოიფხვრება ბოროტი თავისუფლება და კეთილი აუცილებლობა. ქრისტიანობის საიდუმლო, როგორც ღმერთკაცობის რელიგიისა, ეს უპირველესად თავისუფლების საიდუმლოა.

ნ. ბერდიაევი მეორეგვარ თავისუფლებას ღვთაებრივს უწოდებს, სულის თავისუფლება არა მარტო ღმერთის, არამედ ადამიანის თავისუფლებაა, რაც გულისხმობს თავისუფლებას ღმერთისადმი დამოკიდებულებაშიც.

თ. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი ქრისტეს ეუბნება: „**შენ ადამიანებს დააკისრე თავისუფალი სიყვარული, რათა ისინი მოგყვებოდნენ თავისუფლად, მონიბლულები და დატყვევებულები**“. ეს არის თავისუფალი ნებისადმი არა დიფერენციალური, არამედ ინტეგრალური მიდგომა.

წმიდა ბასილი დიდი წერს: „**ღმერთმა ადამიანი შექმნა არსებად, რომელსაც ნაბრძანები აქვს, განდეს ღმერთი**“. ადამიანი მხოლოდ ღვთის ნებით შეიქმნა, მაგრამ ამ ერთი ნებით მისი განღმრთობა არ

¹ მცირე თავისუფლება და დიდი თავისუფლება (ლათ.).

² ცეცხლაძე მ. თავისუფლების მართლმადიდებლური გაგება და ეკონომიკა, „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული თბ., 2015, გვ. 157-163.

ზდება. ამისთვის საჭიროა ადამიანის ნებაც. ანუ ერთი ნებით ზდება ღვთის „ხატის“ შექმნა, ხოლო ორი ნებაა საჭირო იმისათვის, რომ ღვთის „ხატი“ ღვთის „მსგავსად“ იქცეს.

ადამიანის მიმართ ღვთის სიყვარული იმდენად დიდია, რომ რაიმე იძულება და ძალდატანება ადამიანურ ნებაზე გამოიცილებულია, რადგან სიყვარული პატივისცემის გარეშე არ არსებობს. ღვთიური ნება მუდამ „ნებადგება“, უთმობს ადამიანური ნების გადახრებს, დაბნეულობას, თვით ამბოხსაც კი, რათა იგი თავისუფალ თანხმობამდე მიიყვანოს. ადამიანის ცხონება და განღმერთობა სინერგიზმით, ანუ ადამიანურ და ღვთაებრივ ნებათა თანხმობით და თანამოქმედებით მიიღწევა, რადგან ღმერთს ყველა ადამიანის ცხონება ნებაგვს. გადამწყვეტი სიტყვა ამ დროს ადამიანს, როგორც თავისუფალი ნების მქონე არსებას ეკუთვნის.

მეტაფიზიკური სისტემები უძლურია დაასაბუთოს და გაამართლოს ორი ბუნებისა - ადამიანურისა და ღვთაებრივი ბუნების თავისუფლება, მას არ შეუძლია ორი თავისუფლების თანხვედრის გაგება. მხოლოდ ქრისტიანული საიდუმლო შეარიგებს ღვთაებრივ თავისუფლებას ადამიანურ თავისუფლებასთან, მხოლოდ ღმერთკაცისა და ღმერთკაცობის რელიგია აერთიანებს ერთმანეთთან ღვთაებრივ თავისუფლებას ადამიანურ თავისუფლებასთან.

მონანიებაა ადამიანური თავისუფლებისაგან მისი გამანადგურებელი ბოროტების ჩამოშორების გზა არა აუცილებლობისა და ძალადობის გზით, არამედ მაღლის გზით.

მაღლია ის ძალა, რომელიც მოქმედებს შიგნიდან და არა გარედან, მოქმედებს შიგნით თვით ადამიანურ თავისუფლებაში. ამიტომაც ქრისტიანობის სწავლება მაღლისა და თავისუფლების შესახებ არის ჭეშმარიტი სწავლება თავისუფლების შესახებ.

ადამიანის თავისუფლების წყარო ღმერთშია, უწინარესად, ძე-ღმერთში. ღმერთკაცი ქრისტე - არა მარტო ღმერთი, არამედ აბსოლუტური ადამიანიცაა, და ამიტომ მასში მოქმედებს არა მარტო ღვთაებრივი, არამედ ადამიანური ბუნების თავისუფლებაც. ფაქტობრივად, სრულყოფილ ქრისტე-ღმერთკაცში მოქმედებს არა მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება, არამედ ადამიანური ბუნებაც, ზეციური ადამის, ადამ კადმონის¹ ბუნებაც. სამყაროს ხსნა არის აქტი აღსრულებული არა მხოლოდ ღმერთის, არამედ ადამიანის მიერ ადამიანური თავისუფლებით, ქრისტეს - აბსოლუტური ადამიანის თავისუფლებით, რომელშიც იგულისხმება მთელი ადამიანური მოდგმა.

ადამიანური თავისუფლების საიდუმლოს მიღწევა ნიშნავს, როგორც მონიზმის, ისე დუალიზმის აღმოფხვრას, ნიშნავს ორი ბუნების შეერთების საიდუმლოს ზიარებას, რაც ქრისტიანობის საიდუმლოცაა.

ღმერთიც მხოლოდ თავისუფალ სიყვარულს მოითხოვს. ძეში, ქრისტე-ღმერთკაცში, არა მხოლოდ აღდგენილია მოშლილი და დაკარგული თავისუფლება ძველი ადამისა, არამედ გამოვლენილია ახალი სულიერი ადამის უზენაესი თავისუფლებაც. სულიერი ადამის თავისუფლება უკვე სხვა თავისუფლებაა, თავისუფლება შეერთებული სიყვარულთან, შიგნიდან გასწავლულ სიყვარულთან და ამიტომ იგი გამარჯვებულია თავისუფლების შხამზე, ირაციონალური წყვდიადისაგან ჩანერგილ შხამზე. სულიერი ადამის, ახალი სულიერი ადამის თავისუფლება - ეს კეთილისმყოფელი თავისუფლებაა.

მამასადაძე, ქრისტიანული გაგებით თავისუფლებამ უნდა მიგვიყვანოს სიყვარულამდე და სიყვარულმა უნდა გაგვხადოს თავისუფალი. შევეცადოთ ამ ფორმულით ავხნათ ა. სმითის ე. წ. „უხილავი ხელის“ თეორია.

ა.სმითის აზრით, ქვეყნის სიმდიდრისა და განვითარების მთავარ პირობას „აისეზ-ფაირე“ პრინციპი წარმოადგენს, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას გულისხმობს, რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ ცხოვრებაში, მით უფრო უკეთესი პირობები იქმნება მისი განვითარებისათვის. სახელმწიფოს ჩარევის საჭიროება მაშინ დგება, როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება.

„უხილავი ხელი“, ა. სმითის ცნობილი მეტაფორა, რომელზეც XX საუკუნის 50-იან წლებამდე ყურადღება არავის მიუქცევია, გულისხმობს, რომ თითოეული ეკონომიკური ადამიანი მოქმედებს, რო-

¹ ადამ კადმონი (ებრ. „პირვანდელი ადამიანი“) - იუდეურ მისტიკაში არსებული ჯერ კიდევ პირველი სულიერი ადამიანის ერის დაწყებამდე ადამიანური არსის აბსოლუტური გამომხატველი.

გორც რაციონალური ეგოისტი, მხოლოდ პირადი ინტერესებით, პირადი კეთილდღეობისათვის, რომელიც „უხილავ ხელს“ ამ ქმედებით მიჰყავს ისეთი შედეგებისაკენ, რაც საერთოდ არ შედიოდა მის განზრახვაში და შესაბამისად, მისდაუნებურად განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას.

ამ მეტაფორას ა. სმითამდე ბევრი მოაზროვნე იყენებდა, ეს მეტაფორა გვხვდება ჯერ კიდევ ჰომეროსის ილიადაში, იგი გამოყენებული აქვს ჰორაციოსს, ოვიდიუსს, ნაზონს და სხვა ცნობილ პოეტებს¹.

“უხილავი ხელი“ ხშირად განიხილება ღმერთის აღსანიშნად, ნეტარი ავეუსტინე თავის ნაწარმოებში „მზის ქალაქი“ საუბრობს ღვთის უხილავ ხელზე, რომელიც კურნავს და ქმნის ყველაფერს: **„ღვთის ხელი მისი ძალაა, რომელიც ხილულს ქმნის უხილავად“** (წიგნი 12, თავი 23). პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ წერს: **„ხოლო საუკუნეთა მეუფეს, უზრწნელს, უხილავსა და ერთადერთ ღმერთს – პატივი და ღიღება უკუნითი უკუნისამდე“** (1 ტიმოთეს მიმართ 1:17). კოლასელთა მიმართ ეპოსტოლეში აღნიშნავს: **„ვინ არის ხატი უხილავი ღვთისა..“** (კოლასელთა მიმართ 1:15-16).

XVII საუკუნიდან იწყება ფრაზის „უხილავი ხელის“ უფრო ხშირი გამოყენება. იგი სხვადასხვა კონტექსტით ჩნდება ქადაგებებში, რელიგიურ ნაწერებში, ბიბლიის კომენტარებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ამრიგად, ადამ სმითამდე არსებული ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ ფრაზაში - „უხილავი ხელი“ უფრო ხშირად იგულისხმება ღმერთი, რომელიც ყველასგან ფარულად აკონტროლებს სამყაროს, იგი უბიძგებს ადამიანებს ბრძნული გადაწყვეტილებების მიღებისაკენ. ღმერთის ყოვლისმცნობელობისა და ყველგანყოფილების კონცეფცია ყველაზე მეტად გამოიყენებოდა XVII-XVIII საუკუნეებში, და აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოადგენდა ადამ სმითის მიზნების გამოხატულების ყველაზე შესაბამის ფონს².

მიუხედავად იმისა, რომ ა. სმითმა მეტაფორა „უხილავი ხელი“ თავის ნაშრომებში მხოლოდ სამჯერ გამოიყენა და სამივე შემთხვევაში გაკვრით, მთელი მისი შემოქმედება ამ იდეით არის განმსჭვალული. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ა. სმითს საერთოდ არ ჰქონდა „უხილავი ხელის“ თეორია, მათი მტკიცებით, ა. სმითს კონკურენტული ბაზრის თეორიაში არანაირი როლი არ მიუნიჭებია უხილავი ხელისათვის და მხოლოდ 1950 წლებში გახადეს იგი ეკონომისტებმა ა. სმითის მოძღვრების მთავარ მეტაფორად³. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ მეტაფორას არც თავად ა. სმითი ანიჭებდა დიდი მნიშვნელობას⁴.

ა.სმითი „უხილავი ხელის“ მეტაფორას პირველად მოიხსენიებს თავის ნაშრომში - „ასტრონომიის ისტორია“, რომელიც 1751-1758 წლებში დაიწერა (გამოქვეყნდა 1795 წელს). ნაშრომში ადამ სმითს მოჰყავს რომაელთა ღვთაების იუპიტერის „უხილავი ხელი“⁵, რომელიც წარმართავდა და წესრიგს ინარჩუნებდა სამყაროში, ერთმანეთს უხამებდა კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

მეორე ნაშრომი, სადაც ა. სმითი მოიხსენიებს ტერმინს „უხილავი ხელი“ არის „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“ (1759 წ.). საგულისხმოა, რომ სწორედ ზნეობრივ-ფილოსოფიურ ნაშრომში ვხვდებით საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეთიკური პრინციპების ფორმალურად უარყოფის საფუძვლებს. ა. სმითი გვიჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანების სიმდიდრისადმი სწრაფვა შრომის პროდუქტიულობის ამაღლებას: საერთო მასიდან მხოლოდ მდიდრები ირჩევენ იმას, რაც ყველაზე ძვირფასი და იშვიათია. ფაქტობრივად, ისინი იმაზე მეტს არ მოიხმარენ, რასაც ღარიბები. მიუხედავად თავიანთი გაუმაძღრობისა და ეგოიზმისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ პირად სარგებელს ესწრაფვიან, მიუ-

¹ ვერულავა თ. „უხილავი ხელის“ მეტაფორა და ადამ სმითი, <https://semioticsjournal.wordpress.com/2014/11/02/>

² Harrison, P. (2011) *The Invisible Hand and the Order of Nature*. Harris Manchester College, Oxford. *Journal of the History of Ideas*.

³ Kennedy, 2008. Adam Smith and the Invisible Hand: From Metaphor to Myth. The Journal of the History of Economic Thought, 40th Anniversary Conference, University of Edinburgh.

⁴ Tobin, J. 1992. The Invisible Hand in Modern Macroeconomics. In *Adam Smith's Legacy: his place in the development of Modern Economics*, ed. Fry, M. London: Routledge, pp.117-129.

⁵ Smith, A. The Principles Which Lead and Direct Philosophical Enquiries; Illustrated by the History of Astronomy. In *Essays on Philosophical Subjects*, edited by W. P. D. Wightman and J. C. Bryce. Indianapolis: Liberty Classics. 1982. pp. 49-50.

ხედავად იმისა, რომ ცდილობენ დაიკმაყოფილონ მხოლოდ საკუთარი, ცარიელი და გაუმაძღარი სურვილები, რისთვისაც იყენებენ ათასობით ადამიანთა შრომას, მაგრამ ისინი უკანასკნელ ღარიბთან ერთად იზიარებენ მათი ბრძანებით წარმოებული სამუშაოების შედეგებს. როგორც ჩანს, რაღაც უხილავი ხელი აიძულებს მათ მონაწილეობა მიიღონ სიცოცხლისათვის აუცილებელი საგნების გადანაწილებაში. განვებად გადაანაწილა რა მიწა რამდენიმე მესაკუთრეს შორის, არ დავიწყებია ისინიც, რომლებსაც არ გააჩნიათ მემკვიდრეობა. ასე, რომ ისინიც იღებენ თავიანთ წილს იმისგან, რასაც აწარმოებს მიწა¹.

ა. სმითის უმთავრეს ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, ფრაზა „უხილავი ხელი“ გვხვდება მეოთხე ნაწილის ერთ-ერთ თავში „ცალკეული საქონლის იმპორტის შეზღუდვები“, სადაც წერს: „ყოველი ინდივიდი ცდილობს ისეთნაირად ამოქმედოს საკუთარი კაპიტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს. ჩვეულებრივ მას განზრახვა არ აქვს შემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არ იცის რამდენად შემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მიისწრაფვის მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და სარგებლობისაკენ, და მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს შეგავლენა მოახდინოს იმაზე, რაც მის განზრახვაში არ შედიოდა. საკუთარი ინტერესების დაცვით იგი ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად უწყობს ხელს საზოგადოების აყვავებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი ამას შეგნებულად შეეცდებოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სქელტანიან ნაშრომში ფრაზა „უხილავი ხელი“ ერთხელ გვხვდება, კონტექსტში მისი არსებობა პირველი გვერდებიდანვე იგრძნობა. მოვიყვანოთ ფართოდ გავრცელებული ციტატა: „ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანს მუდამჭამს ესაჭიროება მრავალი ადამიანის დახმარება და თანამშრომლობა და იგი ამოდ იქნებოდა ამის მომლოდინე მარტო მათი კეთილგანწყობისაგან. იგი უფრო მალე მიადგვის თავის მიზანს, თუ მოახერხებს მათი ეგოიზმი დაინტერესოს თავის სასარგებლოდ და დაანახოს მათ, რომ მათთვისვე სასარგებლოა გააკეთონ მისთვის ის, რასაც იგი მათგან მოითხოვს მომეცი, რაც მესაჭიროება, და შენ მიიღებ იმას, რაც გესაჭიროება, - ასეთია ყოველი ამგვარი შეთავაზების აზრი არა ყასბის, ლუდის მხდელის ან მეპურის კეთილგანწყობისაგან მოველით ჩვენ ჩვენს სადილს, არამედ მათ მიერ მათი საკუთარი ინტერესების დაცვისაგან. ჩვენ მივმართავთ არა მათ ჰუმანურობას, არამედ მათ ეგოიზმს, და მათ არასოდეს არ ველაპარაკებით ჩვენს საჭიროებაზე, არამედ მათს სარგებლიანობაზე“².

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ა. სმითმა „უხილავი ხელის“ კონცეფცია განავითარა ჰოლანდიელი ფსიქიატრისა და პუბლიცისტის ბერნარ მანდვეილის სკანდალური ნაშრომის - „იგავი ფუტკრებზე“ გავლენით. ნაწარმოების პირველ ვერსიაში მანდვეილი მოგვითხრობს ამბავს ფუტკრის მზარდ სკაზე, რომელმაც ერთ დღეს განიზრახა ზნეობრივ საზოგადოებად გადაქცევა, რის შედეგადაც გაღარიბდა და განადგურდა. მეორე გამოცემაში მანდვეილმა აღწერა აყვავებული თანამეგობრობა, რომელშიც ყველა მოქალაქემ გადაწყვიტა, უარი ეთქვა ისეთ ჩვევებზე, რაც მოითხოვდა მაღალ ხარჯებს. შედეგად, მათ განუვითარდა ღებრესია, ჩავარდა ვაჭრობა. ამით, მანდვეილი ასკენის, რომ პირადი ინტერესი, მანკიერებანი, გაუმაძღრობა, ფუფუნებისადმი სწრაფვა, სიხარბე ხელს უწყობს საზოგადოებრივ სიკეთეს, ზრდის სოციალურ სარგებელს. როდესაც ბოროტება ქრება, საზოგადოება დევრადირდება და შესაძლოა განადგურდეს კიდევ³.

საგულისხმოა, რომ „ზნეობრივ გრძნობათა თეორიაში“ ა. სმითი არ ეთანხმება მანდვეილს, წიგნს უწოდებდა „სრულიად დამღუპველს“ და „მცდარს“. ა, სმითი უარყოფდა მანდვეილის იდეას, რომ ეკონომიკური პროგრესი მიიღწევა გაუმაძღრობით, ამოუბითა და საკუთარ თავზე გადაჭარბებული სიყვარულით. თუმცა თავისი შემოქმედების მთავარ თემას წარმოადგენდა იდეა, რომ ინდივიდუალურ ქმედებებს შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებისათვის სასიკეთო შედეგი. მისი აზრით, ეგოიზმი და გაუმაძღრობა არ არის ერთმანეთის მსგავსი, იგივეობრივი მცნებები. ა. სმითის მიხედვით, მანდვეილი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს მანკიერებას და სათნობას⁴.

¹ Smith, A. The Theory of Moral Sentiments. New York: Liberty Classics, 1759, pp. 184-185.

² სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1. თბ., 1938, გვ.13.

³ Mandeville, B. The Fable of the Bees: or, Private Vices, Public Ben-efits. Oxford: Oxford University Press, 1924.

⁴ Smith, A. 1982. “The Principles Which Lead and Direct Philosophical Enquiries; Illustrated by the History of Astronomy”. In *Essays on Philosophical Subjects*, edited by W. P. D. Wightman and J. C. Bryce. Indianapolis: Liberty Classics. 1714. pp. 308-10).

ა.სმითის აზრით, ეგოიზმი, პირადი ინტერესებისადმი სწრაფვა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მას მხოლოდ პირადი, ანგარებითი ინტერესები ამოძრავებს. ადამიანის მიერ პირადი ინტერესებით მოქმედებას აქვს დადებითი მხარე. იგი გამოსახავს ადამიანის ზრუნვას როგორც მატერიალური კეთილდღეობისადმი, ასევე სწრაფვას საკუთარი ღირსების ამაღლებისადმი. როგორც ნიუტონის ფიზიკაში მიზიდულობა იყო მოძრაობის მიზეზი, ასევე პირადი ინტერესი წარმოადგენს საზოგადოების ფუნქციონირების მამოძრავებელ ძალას. ვინც ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა დააღვინოს საზოგადოების ცხოვრების მარეგულირებელი ნებისმიერი კანონი, ა. სმითის აზრით, არ ესმის ადამიანის ბუნება.

ეკონომიკური თვალსაზრისით ადამიანი მოქმედებს რაციონალურად, მას ამოძრავებს პირადი ინტერესები, გაზარდოს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობა. სწორედ პირადი ინტერესები განაპირობებს ადამიანთა ყველა ქმედებას და როგორც ამ ქმედებათა შედეგი, აყალიბებენ სამართლიან და რაციონალურ საზოგადოებას, სადაც კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის სრული ჰარმონიაა. ამრიგად, საზოგადოებრივი ინტერესები, ისევე როგორც პირადი, გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან. ამასთან, ა. სმითი აღნიშნავს, რომ ადამიანის პირადი ინტერესები მხოლოდ მაშინ განაპირობებს საზოგადოებრივ სიკეთეს, როდესაც იგი ვლინდება კონკურენტულ ბაზარზე.

“უხილავ ხელს“ ფასის მექანიზმის მეშვეობით ბაზრები მოჰყავს საერთო წონასწორობაში, ხოლო ეკონომიკას წარმართავს ისე, რომ ზრდის ხალხთა სიმდიდრეს¹. მყიდველები და გამყიდველები, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის, ბაზარზე ახდენენ გაცვლა-გამოცვლას იმ პირობით, რომ ორივე მხარე კმაყოფილი იყოს. შედეგად მყარდება წონასწორობა. ამისათვის კი საჭიროა, რომ მყიდველსა და გამყიდველს შორის გაცვლა ხდებოდეს კონკურენტულ ბაზარზე.

“უხილავი ხელი“ ადამიანის გაუთვალისწინებელი, განუზრახველი ქმედებების შედეგად წარმოშობს სოციალურ წესრიგს. „უხილავი ხელი“ არ არის იძულება, იგი არავის არაფერს არ აიძულებს, არ ავალებს. ეკონომიკური სუბიექტები საერთოდ ვერ ამჩნევენ მისი რაიმე სახის გავლენას.

რადგან ადამიანები სხვადასხვა შესაძლო ქმედებას ახორციელებენ თავიანთი მოტივაციებისა და პირადი ინტერესების საპასუხოდ, ჩვენთვის უცნობია რა შედეგები შეიძლება მოჰყვას მათ. შედეგები შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ა. სმითს თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ მოჰყავს პირადი ინტერესებით ქმედების უარყოფითი შედეგების 60-ზე მეტი შემთხვევა ანუ არასოდეს თვლიდა, რომ არსებობს ბაზრის უნივერსალური კეთილი წესრიგი².

კონკურენცია დადებით შედეგებს განაპირობებს, რადგან იგი აიძულებს ადამიანებს გონივრულად გამოიყენონ თავიანთი რესურსები, შემოსავალი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას, თუმცა, უხილავ ხელს არ შეუძლია ყველაფრის უზრუნველყოფა.

სისტემაში, სადაც ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტებს აქვთ მაქსიმალური თავისუფლება, ხოლო ადამიანებს ამოძრავებთ მრავალფეროვანი მოტივაციები, - არსებობს წესრიგი. ყოველი გონივრული ინდივიდუალური არჩევანის უკან დგას ლოგიკა, სისტემა, წესრიგი. ქაოტური ბაზრის უკან დგას მისი შემქმნელი ეკონომიკური სუბიექტების რაციონალური გაანგარიშება. ინდივიდუალური არჩევანის რაციონალიზმი, თუნდაც მრავალფეროვანი საქმიანობის მიზნების პირობებში, აწესრიგებს ეკონომიკური ქცევის ფორმებს, პროგნოზირებად, ზოგადად აღიარებულ პრაქტიკას. ცხადია, საბაზრო წესრიგი შორსაა სრულყოფილებისაგან, მაგრამ ეკონომიკური ორგანიზაციის სხვა სისტემებთან შედარებით ასეთი წესრიგი ყველაზე მეტად ინარჩუნებს მრავალფეროვნებას, რადგან ეფუძნება ინდივიდების თავისუფალ არჩევანს, მათი საქმიანობის ნებაყოფილებით ხასიათს.

¹Grampp, William D. “Adam Smith and the Economic Man” *P.E.* 56 (August 1948): 315–36. p. 334; Gordon, H. Scott. “Laissez-Faire”. In *International Encyclopedia of the Social Sciences*, 8, edited by David L. Sills. New York: Macmillan. 1968, p. 548; Hahn, F. Reflections on the invisible hand. *Lloyds Bank Review* 144, April, 1982, p. 1-21; Coase, Ronald H. “The Wealth of Nations”. In *Essays on Economics and Economists*. Chicago: Univ. Chicago Press, 1994, pp. 82-83.

² Kennedy, 2008. Adam Smith and the Invisible Hand: From Metaphor to Myth. *The Journal of the History of Economic Thought*, 40th Anniversary Conference, University of Edinburgh; Fleischacker, S. *On Adam Smith's Wealth of Nations: a philosophical companion*. Princeton: Princeton University Press. p.139).

უამრავი, ერთმანეთთან შეუთავსებელი ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით შექმნილი წესრიგი უფრო რაციონალურია, ვიდრე ცენტრალიზებული დაგეგმვით ადამიანებზე თავსმოხვეული წესრიგი. „უხილავი ხელი“ ნიშნავს, რომ ბაზრის კეთილგონიერება მდგომარეობს არა მის მბრძანებლურ ხასიათში, არამედ ნებაყოფილობითობასა და სპონტანურობაში¹.

თავისუფალ ბაზარზე, სადაც მოქმედებს „უხილავი ხელი“, არც ერთ ადამიანს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზრის სტრუქტურაზე. სწორედ ასეთ გზას შეუძლია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა. დეცენტრალიზებული ეკონომიკა, ა. სმითის მიხედვით, უზრუნველყოფს „საჭიროებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას“. იგი წერდა: „სრულყოფილი სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორობის დამყარება არის ყველა ფენისათვის კეთილდღეობის ყველაზე ეფექტური უზრუნველყოფის ყველაზე მარტივი საიდუმლო“. ეკონომიკური თავისუფლება მან ძალიან მოკლედ და გასაგებად ჩამოაყალიბა: „იმისათვის, რომ სახელმწიფო თავისი განვითარების დაბალი, ბარბაროსული საფეხურიდან ამაღლდეს კეთილდღეობის უმაღლეს დონემდე, საჭიროა მხოლოდ მშვიდობა, მარტივი გადასახადები და ტოლერანტული მართვა, დანარჩენს უზრუნველყოფს საგნების „ბუნებრივი წესრიგი“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფრაზაში - „უხილავი ხელი“, შეიძლება ვიგულისხმოთ ღმერთი, რომელიც ყველასგან ფარულად აწესრიგებს სამყაროს. იგი არ გამოორიციხვას არც მცირე და არც დიად თავისუფლებას. პირიქით, გულისხმობს ორივეს. იგი სრულებით გამოორიციხავს ეკონომიკური სუბიექტის სუვერენიტეტის, მისი პირადი ინტერესების რაიმე ფორმით შეზღუდვას. არ აქვს მნიშვნელობა, რა შედეგი მოჰყვება მას, დადებითი თუ უარყოფითი, რა გზით წარიმართება იგი - სიკეთისა თუ ბოროტების გზით. თუ ბოროტებისა და დაცემის გზით წარიმართება, იგი ამით შორდება ღვთაებრივ ჩანაფიქრს და წარმატებას ვერ აღწევს. ამ დროს გვაქვს, ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი „საბაზრო ჩავარდნა“. თუ წარიმართება სიკეთის გზით, აღწევს წარმატებას, ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, მივა ღმერთამდე და უმაღლესი თავისუფლება იზეიმებს სამყაროში.

ასე, რომ ადამიანი, რომელიც მოქმედებს პირადი ინტერესებით, იმდენად იქნება წარმატებული ეკონომიკურ საქმიანობაში, რამდენად მეტადაც გაითვალისწინებს საზოგადოების საჭიროებას, მოთხოვნებს, რამდენად მეტადაც დააკმაყოფილებს მის დაკვეთას, ანუ რამდენად მეტადაც იზრუნებს მათზე - „მოყვასებზე“ და თანაც ეს უნდა გააკეთოს არა გარეგანი ან თუ გნებავთ შინაგანი იძულებით, არამედ სრული თავისუფლებით, შიგნიდან გასხვივონებული სულიერი თავისუფლებით, სხვა ადამიანებსა და ღვთის ნებასთან სრული ჰარმონიულობის მიღწევით.

Murman Tsetskhladze

Christian Freedom and Invisible Hand of Market

Resume

The paper discusses how much Christian freedom is compatible with the idea of “invisible hand” of the market.

Christianity is the religion of freedom. Saint Augustine distinguishes between two kinds of freedom: *libertas minor* and *libertas major*. **Little freedom** means freedom of choice between good and evil, the second freedom means freedom in good, **freedom in truth**. The second freedom, without the first one, becomes compulsion and coercion of good, compulsive nobleness, i.e. neglect of freedom of soul.

This problem finds its resolution in Christ. Not only divine, but also human nature as well as the nature of celestial Adam, Adam Cadmonacts in a perfect human. Salvation of the world is the act fulfilled not only by

¹ Novak, M. 1982. [The Spirit of Democratic Capitalism](#). [Simon and Schuster](#)

the God, but by a human being as well with its human freedom, by the freedom of Christ – the absolute human, which assumes in it the whole mankind.

In the phrase “invisible hand” we can assume the God which regulates the world invisibly. It does not exclude either little or great freedom. On the contrary, it assumes both. It totally excludes limiting the sovereignty of economic actors, his or her private interest in any form. No matter what the result it gives - positive or negative. If he/she goes towards evil and decay, as a result he/she parts from divine intention and does not succeed. In such cases “market failure” occurs, which is well known for economists. If he/she goes in the direction of good – he/she succeeds, the truth wins and ultimate freedom wins. But what should lead to the ultimate freedom? The answer is the way of Christ, the way of good and love. By the power of grace spiritual freedom is joined with love illuminated from within. Thus, human being acting according to private interests will be the more successful in economic activities, the more he/she takes into account the needs and requirements of the society and the more he/she satisfies them cares for them – for “neighbors”. In addition, this should be done not with external or internal compulsion, but with complete freedom, with spiritual freedom illuminated from within, through reaching the complete harmony with the God and other people’s will.

**მევახშეობა - უმეველესი დროიდან დღემდე, მისი ტრანსფორმაცია
და გავლენა საზოგადოებაზე**

*„ისე არავენ აზიანებს საზოგადოებას, როგორც მევახშეები.
მათ მიერ საზოგადოება უფრო მეტად კენესის,
ოხრავს და უძღურდება,
ვიდრე - უცხოტომელი მტრებისაგან“.*
წმ. ტიხონ ზადონელი

მევახშეობა უმეველესი დროიდან ტვირთად აწევს საზოგადოებას და განვითარების საშუალებას არ აძლევს მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს. ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილებაში არსებობდა ე.წ. „მარტივი კრედიტი“, ამ პერიოდში სავაჭრო კაპიტალით სარგებლობდა როგორც არისტოკრატია, მემაძღვრეები, ისე წვრილი მწარმოებლები, ხელოსნები, გლეხები. „ორსავე ფორმაში მევახშეობა, ანადგურებს რა თავის მსხვერპლს, იწვევს მევახშეთა ხელში დიდი ფულადი კაპიტალის გაჩენას და კონცენტრაციას“.¹

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ვახში“ - ვალის სარგებლის სარგებელი, უწესო². ვიდრე არ არსებობდა კაპიტალისტური კრედიტი, არ არსებობდა სესხი, კაპიტალიზმის წარმოშობამდე საზოგადოების უმეტესი ნაწილი მთლიანად ჩართული იყო სესხება-გასესხებაში, არა მარტო გლეხები და ფეოდალები, არამედ ფეოდალური ეკლესიაც იძლეოდა ვაჭმს. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ „როგორც ჩანს, ბერები და ხუცეები უპირველესი მევახშეები ყოფილან - ეკლესია თვითონ ეწეოდა და ამასთანვე ებრძოდა მევახშეობას, ეკლესია აჯარიმებდა მევახშეებს და და ამითაც ზრდიდა თავის შემოსავალს“³. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობა კრძალავს ფულის სესხად ვაჭმით გაცემას, განსაკუთრებით გაჭირვებულ ადამიანებზე, ეს დიდ ცოდვად ითვლება და ამგვარი გზით გამდიდრებაც ცოდვადაა მიჩნეული. „შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ სხვათა სიღარიბე და თავიანთი ვერცხლისმოყვარეობის მოხერხებული დაფარვით მტაცებლობის ერთგვარ კეთილსახოვან ფორმას ამკვიდრებენ ფულის გაპროცენტებაზე“⁴.

XIX საუკუნემდეც და მერეც მიდიოდა ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, არსებობს იურიდიული ძეგლები, როგორცაა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ (1318-1346წწ), ბექას (1361-1394 წწ.) და ალბუღას (1444-1451წწ) სამართალი, ვახტანგ VI (1709 წ) წერს, „რომ ფული საქართველოში სესხად გაიცემოდა 120, 96, 72, 60, 48, 30, 24, 18, 12 პროცენტის სარგებლით, ვახტანგ VI მას მეტად არასამართლიან და ღვთის საწინააღმდეგო საქმედ აცხადებს და თავის სამართლის წიგნში იძლევა ფულის, ხორბლისა და ღვინის გასესხებისათვის ნორმალური სარგებლის განსაზღვრას“⁵.

1805-1815 წლებში სარგებელი განსაზღვრული და ოფიციალურად დაკანონებული იყო 12%-იანი განაკვეთით (ვახტანგ VI-ის დებულებებიდან) და 6%-იანი განაკვეთი (რუსული კანონი), ხოლო მაქსიმალური სარგებელი განსაზღვრული იყო კანონით - 24%⁶.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულება და ფულის სესხებაც სხვადასხვა გზით შეიძლებოდა. მაგალითად, არსებობდა ე.წ. „დუქანი“, სადაც ვაჭრობასთან ერთად ხდებოდა ფულის გაპროცენტება.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გავრცელებული საკრედიტო ოპერაციები იყო მომავალი წლის მოსავლის ან სანადლეუ მიწის დაგირავება მაღალი პროცენტით. ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებ-

¹ გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეში. თბზ., ტ. II, თბ., 1956. გვ. 114.
² სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991. გვ. 259.
³ გუგუშვილი პ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.
⁴ <http://reportiori.ge/old/gff.ge?menuid=74&id=42867&lang=1>
⁵ გუგუშვილი პ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 167.
⁶ იქვე, გვ. 190.

და გლეხის შრომის შედეგზე, ვინაიდან მას აღარ ქონდა მოსავლის ალებისა და შრომის სტიმული. მოსავალი დამოკიდებული იყო ბუნებრივ პირობებზე და მოსავლის განადგურების შემთხვევაში გლეხს ახალი ხელშეკრულების დადება უხდებოდა. მძიმე სოციალური პირობებისა და წარმოუდგენლად დიდი პროცენტების გამო გლეხების ქონება გადადიოდა მევახშის ხელში, მდიდრდებოდა მევახშე და ლატაკდებოდა გლეხი, ზოგჯერ არისტოკრატი მემამულეც. კრედიტის ერთ-ერთი სახეობა იყო „კრედიტი ამქართა შორის“, რაც გულისხმობდა იმას, რომ ხელოსანთა ამქარი ისევე ამქარისაგან სესხულობდა მასალას თავისი საქმისათვის. ამდენად, ვახშის ტვირთი, მოყოლებული უძველესი დროიდან, საზოგადოების გალატაკების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

კაპიტალიზმის წარმოშობიდანვე დაიწყო ბრძოლა მევახშეების წინააღმდეგ, „ეს გააფთრებული ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, ეს მოთხოვნა, რომ სარგებლის მიძღები კაპიტალი დაექვემდებაროს სამრეწველო კაპიტალს, წინამორბედა იმ ორგანულ მოქმედებათა, რომელთაც კაპიტალისტური წარმოების ეს პირობები განაზორციელებს საბანკო წყობილების სახით“¹. საკრედიტო დაწესებულებებისა და საბანკო საქმის განვითარებამ მევახშეებს წაართვა მონოპოლიური მდგომარეობა, თუმცა ისინი ფორმაშეცვლილი სახით თანამედროვე პირობებშიც აგრძელებენ აქტიურ და მზარდ საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში.

XXI საუკუნის საქართველოში მრავლადაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები. მათი უძველესი სახელწოდება „დუქანი“ ან „მევახშე“ ახლა შეცვალა ლომბარდმა და „მისო“-მ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია). თუკი ადრე არსებობდა „მარტივი კრედიტი“ ან „კრედიტი ამქართა შორის“, დღეს არსებობს სამომხმარებლო, იპოთეკური ან სწრაფი სესხი. შეიცვალა მხოლოდ დასახელება, ხოლო მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მათი მავნე გავლენა საზოგადოებაზე იგივე დარჩა. სალომბარდე საქმიანობა, მიუხედავად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა, ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. უამრავი ადამიანი სარგებლობს ლომბარდების მომსახურებით, ამის მიზეზი განსხვავებულია და მოიცავს, სახლის გარემონტებას, ჯანმრთელობის პრობლემის გადაჭრას, შვილების სწავლის გადასახადს და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის მოგვარებას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები თავიანთი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილში გვანან ერთმანეთს - ორივე მევახშეობას, ანუ საპროცენტო გასესხებას ეწევა, მაგრამ ისინი საქმიანობის მიზნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გარკვეული ეკონომიკური დანიშნულებით იქმნება, ხოლო ლომბარდების დანიშნულება მხოლოდ მოგების მიღებაა, რასაც მაღალი საპროცენტო განაკვეთების წყალობით კარგადაც ახერხებენ. „მისო“-ს სტატუსის მქონე საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული 80-მდე (300-მდე ფილიალით) ინსტიტუტიდან უმრავლესობა თავისი შინაარსით სამომხმარებლო ფინანსების კომპანიას წარმოადგენს. მათი საქმიანობა აბსოლუტურად ლეგიტიმურია, მაგრამ გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის ფინანსური შესაძლებლობების ანალიზს, არამედ მის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების (ძვირფასეულობა, ავტომობილი ან უძრავი ქონება) შეფასებას, ხოლო სახსრები მიემართება არა ბიზნესის დასაფინანსებლად, არამედ ნემისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისათვის. გასესხების აღნიშნულ მოდელში იგნორირებულია მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, რაც შესაძლოა, დიდი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი გახდეს. მისო-ები ფიგურირებს კერძო სექტორში და მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, მათი საიმედო და ეფექტიანი ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურობას. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყვნენ სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი. მისო კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს. ისინი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის გარეშე და დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები, რომლებსაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არა აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე, ასევე მოსახლეობის ისეთი კატეგორია, ვისაც გაფუჭებული აქვთ ბანკთან ურთიერთობა და საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად მისოს მიმართავს. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების წყაროა

¹ მარქსი კ., კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 134.

კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც მომზადდა ეროვნული ბანკის ინიციატივით და 2006 წლის 18 ივლისს იქნა მიღებული.

აღნიშნული კანონის მიღებამდე, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის მიკროსაფინანსო ცენტრის მიერ 2004 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სეგმენტად შეფასდა, თუმცა 2006 წლამდე არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რაც მიკროსაფინანსო ბაზრის შემდგომ პროგრესს აფერხებდა, მიღებული კანონის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ზედამხედველობის განხორციელება ევალება საქართველოს ეროვნულ ბანკს. „ეროვნული ბანკის შესახებ“¹ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის თანახმად ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების და კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, ის უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები არიან ღარიბი და დაბალი შემოსავლების მქონე პირები და სოციალური მდგომარეობა მათ არ აძლევს შესაძლებლობას, იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი, ამიტომ კანონი მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სესხის გაცემის პირობებს და მსესხებლის და გამსესხებლის უფლება მოვალეებს. კერძოდ, მე-9 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობებს „მიკროსესხის“ გაცემის თაობაზე: მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, მიკროსესხის გაცემის წესებს და პირობებს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს კონტროლი მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზეც, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი არ შეასრულებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა“². აღნიშნული კანონი ზოგადად არეგულირებს ურთიერთობებს გამსესხებლებსა და მსესხებლებს შორის, ზოგადად იცავს მსესხებლებს, მაგრამ გასესხების საფუძვლები, ანუ ფაქტორი რასაც ეფუძნება გადაწყვეტილება კრედიტის გაცემის შესახებ, არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მსესხებელი საბოლოოდ არ დარჩება საარსებო რესურსების გარეშე.

ლომბარდების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებობს ასეთი მუხლი, რაც სალომბარდე საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო რეგულაციაა:

მუხლი 260. ლომბარდში ნივთების დაგირავების წესი. ამ მუხლის თანახმად ლომბარდში ნივთების დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გზით. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებას. აგრეთვე გვხვდება ასეთი ჩანაწერიც:

მუხლი 260-1. დაგირავებული ნივთის გადასვლა კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში - კი გულისხმობს დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში ამ კა-

¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, თავი VIII, მუხლი 48, პუნქტი 1, 24 სექტემბერი 2009.

² საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, მუხლი 9, 18 ივლისი, 2006 წ.

ნონით გათვალისწინებულ საფუძველზე მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 თავი მთლიანად ეძღვნება გირავნობის რეგულაციებს, მაგრამ რამდენად სრულდება კანონით დადგენილი მუხლები და რამდენადაა ამ შემთხვევაშიც დაცული მსესხებელი გალარიებისგან ეს საკითხი სერიოზულ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს ფაქტია, რომ ლომბარდების შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად საგრძნობლად მომრავლებული ლომბარდები თავისი ფილიალებით არ შეიძლება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მარტივად ჩაითვალოს. მონაცემები ცხადყოფს, რომ საპროცენტო განაკვეთები ცალკეული პროდუქტების მიხედვით 18-დან 72%-მდე მერყეობს. რაც საკმაოდ მაღალია. მსგავსი პირობების შედეგი ხშირ შემთხვევაში არის მსესხებლის მიერ უძრავი ქონების დაკარგვა. პრობლემაურია, რომ დღესდღეობით რეგულირების მიღმა დარჩენილი მრავალი ფინანსური კომპანია, ლომბარდი, ინტერნეტგამსესხებელი თუ კერძო პირი. გარდა იმისა, რომ უდიდესი ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის და ალატაკებს მას, სესხის მარტივად გამცემი მოწადინებულია, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი აცდუნოს, ააღებინოს ვალი, რადგან „ადამიანში ყველაზე ძლიერია წინააღმდეგობის გრძობა. ზოგჯერ კაცი თავისი სურვილით რაღაც ძნელს ეჭიდება, ამ დროს შენ უფრო იოლ გზას უთითებ². ამისათვის უამრავ რამეს მიმართავენ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მოკლე ტექსტური შეტყობინება „თქვენ დაგიმტკიცდათ კრედიტი“, თუმცა პიროვნებას შეიძლება არც კი უფიქრია კრედიტის აღება, მაგრამ საცდური ძლიერია და ებმევა მახეში, ასევე დაუკითხავად ხდება საკრედიტო ლიმიტების გაზრდა, რასაც უმრავლეს შემთხვევაში იყენებს მომხმარებელი, ყველაზე მეტად უარყოფითი, რაც შეიძლება ქონდეს ე.წ. გამსესხებლებს, ისაა, რომ სესხი მტკიცდება შემოსავლების ქონის დადასტურების ყოველგვარი საბუთის გარეშე ძალიან მარტივად და უკვე ინტერნეტით. ფაქტობრივად არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რათა დაცულ იქნას გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელი. მეგახშეობის ქსელი მჭიდროდაა გაბმული ისეთ საზოგადოებაში სადაც უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ბიბლია გვასწავლის რომ „რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე მიიქცევი და შენს ვერცხლს ვახშით ნუ გასცემ“ ეკლესია კრძალავს გაჭირვებულ, ღატაკ ადამიანებზე სესხის პროცენტით მიცემას. ამის საწინააღმდეგოდ კი არათუ იძლევიან მარტივ სესხებს მაღალი პროცენტით, არამედ ყოველგვარი ხრიკებით ცდუნებაში შეყავთ ადამიანები. ამის შედეგად კი საზოგადოება „კენესის, ოხრავს და უძღურდება“. ვახშის გამცემი ადამიანები ერთი ცოდვიდან მეორე ცოდვაში იგდებენ თავს, ისინი ხდებიან სულ უფრო მეტად ვერცხლისმოყვარე. „ვერცხლისმოყვარეს არაფრის გაგონება არ სურს, არც ლაპარაკი რაიმეზე, ისე, როგორც ვერცხლზე, ასევე - სარგებელზე და სარგებელიდან სარგებელზე“³. გამუდმებით ფულზე და გამდიდრებაზე ფიქრით დაკავებული ადამიანი კი სულ უფრო მეტ ხაფანგს ივონებს, თავისი ვერცხლისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. „როგორც ზღვა ვერ ივსება მდინარის წყლით, ისევე ვერცხლისმოყვარე ვერ ძლება ვერანაირი მომხვეჭელობით“⁴.

ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია - ღირებულებათა (მათ შორის - ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება⁵, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მეგახშეობის წინააღმდეგ დღემდე უშედეგოა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროის რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები კრძალავდნენ ან იძლეოდნენ რეგულაციებს პროცენტების აკრძალვას ან შემცირებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ მიკროსაფინანსო ბაზარი წარუმატებელია მოსახლეობისთვის, ხოლო ლომბარდები, ინტერნეტ-გამსესხებლები კი საზოგადოების გაღატაკების იარაღადაა ქცეული.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თავი VI, გირავნობა, მუხლი 260, 26 ივნისი, 1997.

² <http://sibrdzne.ge/20302>

³ საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრი, სულიერი მღვლო, თბ., გვ. 750.

⁴ იქვე გვ. 751.

⁵ შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ. სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა დიდი სჯულის კანონის მიხედვით, „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ბათუმი, 2015, გვ. 124-127.

Usury - from Ancient times to the present day, transformation and impact on society

Resume

The article discusses one of the Christian sins – usury (lending of money to receive interest) history from the ancient times until present day and its crucial impact on society. In the 21st century there are lots of micro-finance organizations and pawnshops in Georgia. Regardless high interest rates, pawn activity is increasing. Lots of people use pawnshop services, which has various causes including repairing the house, health problems, payment for children’s education and other reasons. The microfinance organisations and pawnshops are similar – they both do usury – lend money with interest, but they differ by the purposes of the activity. Microfinance organizations are founded for certain economic reasons, and pawnshops work only for profit, which is successfully achieved through high interest rate. The data shows that interest rates vary between 18 to 72% according to products. In most cases such conditions cause loss of property by the borrower. It is also a problematic issue that nowadays many financial companies, be it a pawnshop, internet money lender or individuals, aren’t regulated.

მართლმადიდებლობა, როგორც ბუნებრივი კატასტროფების რისკების შერბილების ფუნდამენტური მიმართულება

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი და მათგან გამოწვეული ადამიანური და მატერიალური დანაკარგები. სტატიაში გამოკვლეულია ბუნებრივი კატაკლიზმების შესაძლო კავშირები კაცობრიობის ზნეობრივ ქცევებთან. ამ მიზნით განხილულია თვით ღმერთის ბიბლიური გაფრთხილებები, რაც დასაბამიდან მისცა მან ადამიანებს და რომელთა კვინტენსენცია არის ათი მცნება. გადმოცემულია, რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ზნეობრივი არსი მას.

გლობალიზაციის პირობებში შექმნილია საერთაშორისო სამართალი, რომელსაც გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არეგულირებენ მსოფლიო მასშტაბით. შედეგად ქვეყნების ზნეობრივი და სამართლებრივი ცხოვრების წესები ერთმანეთს უახლოვდება. შესაბამისად, გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები მთელ მსოფლიოში ერთგვაროვანი ხდება.

თანამედროვე მსოფლიოში, როცა ადამიანის გონება ისე გათავხედდა, რომ ნორმალურ მოვლენად მიაჩნია ცოლად კაცს, ქალს თუ ცხოველს შეერთავს და ამის შესახებ მთელ რიგ ქვეყნებში უკვე კანონებია მიღებული, ვთვლით რომ ზნეობრივი საფრთხე საერთაშორისო პრობლემად იქცა. კაცობრიობის უწმინდური ქცევები განარისხებს სამყაროს შემოქმედს, რომლის არსი უმაღლესი წესრიგი, სიწმინდე და სიყვარულია. პარალელურად, გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები და მისგან მოსალოდნელი რისკები.

მეცნიერები დღეს ბუნებრივ კატასტროფებს მიაკუთვნებენ ფუნდამენტურ რისკებს. ისეთ რისკს, რომლის წარმოშობა და დადგომა არ არის დაკავშირებული ადამიანის ძალისხმევასთან, ხოლო მისი შედეგები გაკლენას ახდენს ერთდროულად ადამიანთა დიდ რაოდენობასა და დიდ ტერიტორიაზე, ეწოდება ფუნდამენტური რისკი.

ბუნებრივ კატასტროფაში მოიაზრება ყველა იმ ტიპის ბუნებრივი მოვლენა, რომლის შედეგები უარყოფითად აისახება ადამიანთა ცხოვრების პირობებზე და საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე, იწვევს ადამიანთა მსხვერპლს ან/და მატერიალურ ზარალს.

ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე მსოფლიოში, ბოლო 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ძირითადად კლიმატის ცვლილებებითაა გამოწვეული. გაეროს მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად 600-მდე სტიქიური უბედურება ხდება, 200 მლნ ადამიანზე მეტი ზარალდება, ეკონომიკური დანაკარგები 100 მლრდ დოლარს აღწევს. სტიქიური მოვლენების შედეგად ადგილნაცვალი პირების, ანუ ეკომიგრანტთა რაოდენობა უკვე 25 მლნ-ია, რომელიც 2050 წლისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების პოვნოზით 200 მლნ-მდე გაიზრდება.

ცნობილია, რომ დღე-ღამის - 24 საათიანი ხანგრძლივობა საგრძნობლად შემცირდა. ხოლო თავად დედამიწა ღერძიდან 8 სმ-ით გადაიხარა, რაც დედამიწაზე სერიოზულ კლიმატურ ცვლილებებს იწვევს. მეცნიერების დასკვნით, ჩილეში 8,8 - ბალიანი მიწისძვრის შედეგად დედამიწა უფრო სწრაფად ბრუნავს. სპეციალისტების ფიქრობენ, რომ ყოველგვარი ბუნებრივი კატაკლიზმი - ვულკანის ამოფრქვევა, ძლიერი მიწისძვრები, ცუნამები, ტორნადოები და სხვა მსგავსი მოვლენები, ხშირად თვით ადამიანის მიერ ბუნების გაუფრთხილებლობის შედეგაცაა. ყველა ეს მოვლენა უარყოფით ზეგავლენას ახდენს კაცობრიობის ყოველდღიურ ყოფაზე. სწორედ ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ბუნებას მშობლიურ პლანეტაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ 500 მლნ ლარზე მეტი იზარალა. მეცნიერთა დასკვნებით, საქართველო საშუალო სეისმურობით ხასიათდება, სადაც ძლიერი მიწისძვრები 100 წელწადში 3-4-ჯერ ხდება. ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოში ერთ-ერთი ძლიერ მიწისძვრა მომხდარა 1088 წელს სამცხე-ჯავახეთში, ალდგომას. მაღალი მთები მტვრად იქცნენო, სოფლები მიწამ შთანთქა, მრავალი ადამიანი დაიღუპა, ბიძგები ერთ წელიწადს გრძელდებოდა. იგი დღეს 9-10 ბალით შეფასდა. ასევე დიდი მიწისძვრები მომხდარა 1283 წელს სამცხეში, 1350 წელს - ლეჩხუმ-სვანეთში, 1742 წელს კახეთში (ალავერდის მიწისძვრა). XX საუკუნეში მი-

წისძვრები მოხდა 1920 წელს გორთან (8-9 ბალი), 1963 წელს სოფელ ჩხალთასთან (8 ბალი), რაჭაში 1988 წელს (7 ბალი) და 1991 წელს (9 ბალი), 1992 წელს სოფელ ბარისახოსთან (8 ბალი) 2002 წელს თბილისში, 2009 წელს ონში (7 ბალი), 2012 წელს ანაკლიასთან (8 ბალი), 2015 წელს მიწისძვრა ექვს ადგილზე მოხდა: ქ. დმანისთან, საგარეჯოში, სიღნაღში და სხვ.

ამრიგად, ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან მოსალოდელი რისკები მნიშვნელოვნად მაღალია როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში. დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით უკვე შემუშავებულია ბუნებრივი კატასტროფების ნეგატიური შედეგების შემცირების რამდენიმე პროგრამა. ჯერ კიდევ 1987 წელს გაეროს 42-ე ასამბლეაზე 1990-2000 წლები ბუნებრივი კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დეკლარაცია გამოცხადდა (IDNDR). მთავარი ამოცანა გახდა ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მსხვერპლის, მატერიალური ზარალის და ეკონომიკური დეგრადაციის მინიმუმამდე დაყვანა. 1995 წელს იაპონიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა „ბუნებრივი კატასტროფების მართვის საერთაშორისო სტრატეგია“ (ISDR). 2005 წელს ასევე იაპონიაში მიღებულ იქნა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო პროგრამა 2005-2015 წლებისთვის (HFA). ამ პროგრამული დოკუმენტების მიზანია ბუნებრივი კატასტროფებისადმი ქვეყნებისა და თემების გამძლეობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა ბუნებრივი რისკების პრევენციისა და მზადყოფნის რეჟიმზე გადასვლით. 2015 წელს ასევე ჩატარდა პარიზის კლიმატის სამიტი, რომელზეც მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრამული ღონისძიებების გეგმა გლობალური დათბობის ზეგავლენის ხარისხის შემცირებისათვის.

ამრიგად, კაცობრიობა ცდილობს, შეარბილოს ბუნებრივი კატასტროფებისაგან მოსალოდნელი რისკები თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების გზებით, რაც რასაკვირველია, ერთ-ერთ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად დავიწყებულია კაცობრიობის ზნეობრივი ცხოვრების კავშირი ბუნებასთან. ბუნებრივი კატაკლიზმების მიზეზებად მიჩნეულია მხოლოდ ბუნებაში მიმდინარე პროცესები, ადამიანების უდიერი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, გლობალური დათბობა, დედამიწაზე ტექნიკური პროგრესით გამოწვეული მაღალი სითბური გამონაბოლქვები და ა.შ.

გამომდინარე იმ მარტივი ჭეშმარიტებიდან, რომ ადამიანი არის იმ სამყაროს ნაწილი, რომელშიც უმაღლესი წესრიგი და სიწმიდე, ანუ ღმერთი (აბსოლუტური გონი) სუფევს, გამორიცხულია ადამიანის ზნეობა იყოს სრულიად ავტონომიური, იზოლირებული და ადამიანის ნებაზე დამოკიდებული. ბიბლიიდან მრავალი ფაქტია ცნობილი, როცა უფალმა ადამიანების ზნეობრივი დაცემის გამო, ბუნებრივი კატასტროფები მოუვლინა.

“თავდაპირველად იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე. 1.1.). თქვა ღმერთმა და შეიქმნა ცა და დედამიწა. მიწისაგან გამოსახა ადამი ღმერთმა, სული შთაბერა მას „ხატად თვისად“ შექმნა იგი. ადამის ნეკნისაგან კი შექმნა ევა. ედემის ბაღში დაასახლა ისინი, აკურთხა და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაუფლეთ მას. თან გააფრთხილა, არ ეჭამათ ბოროტისა და კეთილის ხის ნაყოფი. მაგრამ, ადამმა და ევამ, როგორც ცნობილია, დაარღვიეს ეს გაფრთხილება. ღმერთი განრისხდა და ისინი ედემიდან განდევნა (დაბ. 1, 3).

დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურობამ ამ ქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა. ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამ ქვეყნად, შეწუხდა. თქვა უფალმა: მიწის პირისგან აღვკვი ადამიანს, რომელიც შევქმენი, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე. რადგან აივსო ქვეყანა უსამართლობით. ყოველ ხორციელს გაერყვნა ზნე ამ ქვეყანაზე. „არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. იყოს მისი ხანი ასოცი წელი“ (დაბ. 6; 1,5,12).

მაშასადამე, პირველი „ბუნებრივი“ სასჯელი, რომელიც მოუვლინა ღმერთმა ადამიანებს, იყო მისი სიცოცხლის ხნგრძლივობის შემცირება.

ცნობილია, რომ ადამის შვილები იყვნენ კაინი, აბელი და შეთი. შეთის შთამომავალი იყო ნოე, რომელიც აბელის ნაცვლად (რომელიც მისმა ძმამ კაინმა მოჰკლა) ადამს არგუნა ღმერთმა. 90 წლის იყო ნოე, როცა შეეძენია სემი, ქამი და იაფუტი. ნოემ 900 წელი იცოცხლა.

გავიდა ხანი და მხოლოდ ნოეს ეპოვა მაღლი უფლის თვალში. იგი მართალი კაცი იყო. ღმერთმა უთხრა ნოეს: აჰა, მოვავლენ წარღვნას მთელ დედამიწაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი ხორციე-

ლი. რასაც კი სიცოცხლის სული უდგას უნდა განადგურდეს. ნოეს უთხრა კიდობანი აეშენებინა და შესულიყო თავისი ცოლით, შვილებით და მათი ცოლებით. აგრეთვე ყოველი გვარის ფრინველი და ცხოველი დედალ-მამალი, რათა გადარჩენილიყვნენ. ორმოცი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა. ექვსასი წლის იყო ნოე, როცა წარღვნა მოხდა. ყველა სულიერი გაწყდა დედამიწაზე. როცა წარღვნა დამთავრდა, ნოე გადმოვიდა კიდობნიდან, და პირველ რიგში შესაწირი შესწირა უფალს და ადიდა იგი. გამოეცხადა უფალი ნოეს და უთხრა მას და მის შვილებს: „აჰა, ვიდებთ ალექმას თქვენ და თქვენს შთამომავლობას სამარადისოდ, რომ აღარ მოვაკლენ წარღვნას ქვეყნის დასაღუპად (დაბ. 9; 10-11).

მამასაღამე, მეორე სასჯელი რომელიც უფალმა მოუვლინა ადამის მოდგმას, იყო წარღვნა. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივი კატასტროფა იყო, მაგრამ მიზეზი კაცობრიობის ზნეობრივი დეგრადაცია იყო. დედამიწაზე ზნეობის კატასტროფას ბუნებრივი კატასტროფა მოჰყვა.

ასევე გარყვნილების მიზეზით დაანგარია უფალმა სოდომი და გომორი. „რამეთუ დედათა მათთა და ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი. განხურდეს გულის თქმითა მათითა ურთიერთას. დედანი დედათა თანა და მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს“ (რომ. 1; 26-28).

ამდენად, კაცობრიობის ისტორიაში მრავალი მაგალითია, როცა ადამიანთა მცდარ ქმედებებს გარკვეული ბუნებრივი მოვლენა მოჰყვა ხოლმე. ასევე ცნობილი, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, სრულიად ჩამობნელდა: „და ვითარცა იყო ჟამი მეექვსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“ (მარკ. 15; 33).

მსგავსი მაგალითები არსებობს საქართველოშიც. ერთხელ, წმიდა ნინო ქართლში კერპთმსახურებას ესწრებოდა. თან ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რათა ამ ხალხისთვის ეჩვენებინა სასწაული და ისინი კერპთთაყვანისმცემლობისგან ეხსნა. უეცრად ამოვარდა ქარი და ცაზე ავის მომასწავებელი შავი ღრუბლები გაჩნდა და მხოლოდ იმ ადგილას, სადაც კერპები იდგნენ, მოვიდა უმსხვილესი სეტყვა, რამაც კერპები დაამსხვრია და ქარმა ნამსხვრევები კლდე-ღრეში ჩაყარა. ერთხელ, როცა მეფე მირიანი სანადიროდ იყო მთაში, კასპთან ახლოს, მოილაპარაკეს რომ წმიდა ნინო და დედოფალი ნანა მათი რწმენისთვის დაესაჯათ. უეცრად ისე ჩამობნელდა, რომ გზა ვეღარ გაიკვლიეს და მთელი მისი თანმხლები ამაღლა კლდეზე გადაიჩენა. თავად მირიანიც ვერაფერს ხედავდა და გზას ვერ პოულობდა. მაშინ ნინო გაახსენდა და წამოიძახა: „ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი, უკეთუ ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, და აღვიარო შენ“¹. თქვა თუ არა ეს, განათდა მთელი ქვეყანა. ხმამაღლა გასძახოდა: „დიდ არს ღმერთი ნინოსი“. მან მიიღო ქრისტიანობა და მალე საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რამაც ქართველთა მთელი მომავალი ბედისწერა წმიდა სამებას დაუკავშირა. ეს არის ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც განგებამ ქართველ ხალხს აჩუქა.

თვით უფალი როცა იშვა, აღმოსავლეთით ცაზე ერთი ვარსკვლავი სასწულებრივად გაბრწყინდა, რომელიც ვარსკვლავთმრიცხველებმა იცნეს, წავიდნენ ახალშობილთან და თაყვანი სცეს მას და ა.შ.

ამრიგად, კაცობრიობის წარსული ადასტურებს რომ ბუნებრივი კატაკლიზმები ამა თუ იმ პირის ან საზოგადოების მიერ საყოველთაოდ მცდარი ზნეობრივი მოქმედებების შედეგი იყო, რაც მოსაწონი არ იყო უფლის თვალში. ღმერთი ბუნებრივი კატაკლიზმების მეშვეობითაც ელაპარაკება ადამის მოდგმას. მიანიშნებს რა უნდა აკეთონ და როგორ.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების ცოდვები ძალიან გამრავლდა დედამიწაზე, ღმერთმა ალექმის შესაბამისად, წარღვნა აღარ მოახდინა, თავად განკაცდა რომ ეხსნა კაცობრიობა, მისი ცოდვები თავად იტვირთა.

გამომდინარე იქედან, რომ ღმერთი აღმატებულია ყოველივეზე და აღემატება ადამიანის გონს, მისი წარმოსახვის უნარს, შემეცნების პორიზონტსა და შემოქმედებით დიაპაზონს, ღმერთის შემეცნება შეუძლებელია მისი გამოცხადების მიღმა, ამ სამყაროში შემოსვლის გარეშე. ღმერთის გამოცხადება აუცილებელი წინაპირობა და ამოსავალი წერტილია. გამოცხადების შინაარსი არ მომდინარეობს ადამიანის გონებიდან, არამედ ადამიანებს ეძლევა დასაფიქრებლად².

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 86.

² ვარდიძე ვ. ფუნდამენტური თეოლოგია, ნაწილი 2, თბ., 2014, გვ. 21.

ჩვენი აზრით, დედამიწაზე დადგა დრო, როცა აუცილებელია გონიერ ადამიანთა შორის მოხდეს შეთანხმება ჭეშმარიტების შესახებ. დღეს ღმერთის რწმენა არა ფანატიკურ, არამედ აზროვნების დონეზე უნდა იქნეს გაცნობიერებული საერთაშორისო მასშტაბით, რათა უფლის მეორედ მოსვლის ჟამს, როცა ის უკვე განკითხვისათვის მოვა, რაც შეიძლება მეტი ადამიანის სული გადაარჩეს.

ღმერთის თვითგამოცხადება აგრეთვე წარმოადგენს თეოლოგიის, როგორც რწმენის მეცნიერების გამტკიცებას, მის კრიტერიუმს. გამოცხადებაში ღმერთი გამოვლინდება როგორც შემოქმედი, წინამძღოლი, მსაჯული და მხსნელი ძალა. წმინდა წერილში ღმერთის გამოცხადება და სიწმინდის სულიერი მანიფესტაცია, როგორც შინაარსობრივად, ასევე განხორციელების ფორმით, იდენტურია. ზნეობრივი გაფრთხილების გარეშე, ღმერთის გამოცხადება საერთოდაც არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამიტომ, რწმენა გააზრებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ მოძღვრების სახით, არამედ როგორც ადამიანის ყოფიერების განხორციელების ფორმა. ღმერთის გამოცხადების (შობის) მთავრი მიზანი ადამიანში სწორედ ზნეობის გადარჩენა იყო. ეს იმავდროულად გლობალურ მიზანს წარმოადგენდა.

გლობალიზაცია დღეს არ წარმოადგენს უპირატესად ეკონომიკურ მოვლენას, არამედ ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარეზე ვრცელდება: პოლიტიკურზე, საზოგადოებრივზე, მეცნიერულზე, სარწმუნოებრივზე, სულიერზე, ზნეობრივზე. მაგრამ, გლობალიზაცია შესაბამისი სულიერი და კულტურული მოღვაწეობითაა განპირობებული.

გლობალიზაცია იჭრება ყოველი ადამიანის შიგნით, მისი ოჯახური ყოფიერების ყოველ გამოვლინებაში. დღეს მსოფლიოში ყველაფერი ფინანსებით იზომება, თავისუფლებაც კი. მაგალითად, რა ფინანსური შედეგები მოაქვს თავისუფლების გაფართოებას. ამდენად, თავისუფლების ჭეშმარიტი არსი, ჩვენი აზრით, კაცობრიობამ დაკარგა. დღეს თითქმის არავის სურს გაიხსენოს უფლის შეგონებები: „თქვენ თავისუფლებისთვის ხართ გაჩენილნი, მაგრამ ეცადეთ თავისუფლება არ გამოიყენოთ ხორცის საამებლად. იცხოვრეთ როგორც თავისუფლებმა, ოღონდ ბოროტების საფარად თავისუფლებას ნუ გამოიყენებთ. არამედ, იცხოვრეთ როგორც ღვთის მონებმა“ (I პეტრე 2; 16). „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმინდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენ თავს არ ეკუთვნით?“ (I კორ. 6; 19).

დღეს იმდენად ზღვარგადასულია თავისუფლების გაგება მსოფლიოში, რომ რამდენიმე ქვეყანაში ერთსქესიანთა დაქორწინების შესახებ კანონებიც კი მიიღეს მაშინ, როდესაც, კაცობრიობამ იცის, რომ ასეთი ცოდვების გამო დაანგარია უფალმა სოლომი და გომორი. ასევე ყოველწლიურად ცხადად ხედავს აღდგომის წინა შაბათ დღეს ქრისტეს საფლავიდან ამომავალ ღვთიურ ცეცხლს. ასეთ სიბრძნევს და ზნეობრივ დაცემას ღმერთი არ პატიებს კაცობრიობას, რასაც დედამიწაზე ბუნებრივი კატასტროფების გახშირებით პასუხობს. დედამიწა ძალიან საშიში საფრთხის წინაშე დგას. „რაც უფრო ყოველდღიური მიზანმიმართულებით ვრცელდება გლობალიზაცია, მით უფრო დროულია არსებითის გაგება ქრისტეს პიროვნებაში – მისი მსოფლიოობა (გლობალურობა). და, ეს არსებითი თვისება ძალიან შესამჩნევი იმიტომ კი არაა, რომ მას რაიმე კავშირი აქვს ჩვენი დღეების გლობალიზაციასთან, არამედ იმ სასოწარკვეთის გამოც, რომელშიც აგდებს კაცს თანამედროვე გლობალიზაცია და ამით ქრისტეს ჭეშმარიტი მსოფლიოობა უფრო სასურველი ხდება“¹.

ამრიგად, კაცობრიობამ იცის რატომ მოხდა წარღვნა დედამიწაზე, რისთვის განკაცდა, ჯვარს ეცვა და აღსდგა ძე ღვთისა, უფალი იესო ქრისტე, რატომ დაანგარია უფალმა სოლომი და გომორი და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უფსკრულისკენ, სულიერ ჯოჯოხეთში მიექანება. დღეს საერთაშორისო სამართალი უპირისპირდება ღვთიურ ფასეულობებს და ზნეობა საფრთხის წინაშე დადგა. შესაბამისად, საფრთხის წინაშე დგება კაცობრიობის არსებობაც.

ბუნებაში თავისუფლება კი არაა, აუცილებლობა ბატონობს². ღმერთი დღესაც ბუნებრივი კატაკლიზმებით მიანიშნებს კაცობრიობას, რომ გონიერება არ დაკარგოს და მისი რჩევები დაიცვას. მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად ხდება მიწისძვრები, წყალდიდობები, ტორნადოები და ა.შ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 2050 წლისათვის ევროპა წყლის ქვეშ აღმოჩნდება.

¹ იქვე, გვ. 23.

² ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თარგმანი გერმანულიდან, თბ., 1989, გვ. 30.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი წერს: „ღმერთი ანუ გონი მოვლენათა ქედს გადაღმა მიმალური არსება კი არაა, რომელსაც საქმე მხოლოდ თავისთავთან აქვს, არამეს ჭეშმარიტად ნამდვილია მხოლოდ იმ განსაზღვრული ფორმების გზით, რომლებშიც მისი აუცილებელი თვითგაცხადება ხდება¹. გონი თავის-თავის მცოდნე ნამდვილი იდეაა. „ქრისტიანულ თეოლოგიას ღმერთი ანუ ჭეშმარიტება ესმის როგორც გონი და მას განიხილავს არა როგორც უძრავს არამედ მუდმივ მოძრაობაში მყოფს. აბსოლუტურმა გონმა ანუ ღმერთმა ქრისტეში თავისთავი გაანამდვილა და თავისთავის საპირისპიროდ დადგა. მამა ღმერთი (ეს მარტივად ზოგადი თავისთავში მყოფი), თმობს რა მარტობას, ქმნის ბუნებას (თავისთავისთვის გარეგანს, თავის გარეთ მყოფს), წარმოშობს ძეს (თავის სხვა მე-ს), მაგრამ ამ სხვაში, თავისი უსასრულო სიყვარულის ძალით, იგი თავის თავს ჭვრეტს, მასში თავის მსგავსებას სცნობს და მასში თავისთავთან ერთიანობას უბრუნდება. ეს ერთიანობა აბსტრაქტული კი აღარაა, არამედ კონკრეტული, განსვავებული-ბით გაშუალებული ერთიანობაა - მამისა და ძისაგან გამომავალი სული წმიდაა, რომლისგანაც შემეცნებულ უნდა იქნეს ღმერთი, თუ გვინდა მას მივწოდეთ მის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში, როგორც თავის-თავად-და-თავისთვისმყოფ ნამდვილ იდეას, რომ მისი ცნება და მისი სინამდვილე სრულ ურთიერთშესაბამისობაში აღმოჩნდეს“².

ამრიგად, ღმერთმა დიდი სიყვარულით შექმნა მოწესრიგებული და სრულყოფილი სამყარო, რომლის საყრდენია უმაღლესი ზნეობა, მოწონს თუ არა ეს ადამიანს. მისი შეცვლა ადამიანებს არ შეუძლიათ. მთელ ხილულ სამყაროში ღმერთი ანუ აბსოლუტური გონი სულდგმულებს, რომელსაც უსაზღვრო ძალა გააჩნია და თუკი ადამიანი მას თავის კერძო გონით დაუპირისპირდება, დაილუბება და ყველაფერი რაც კი დღემდე შეუქმნია, წაშლება გაცამტვერდება. მაგრამ, სული არ ქრება. ცოდვილი ადამიანის სული მუდმივ სატანჯველში ვარდება. „იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ, მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც კვერს უკრავენ“ (რომ. 1; 32). „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? (I კორ. 6; 19).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, არანაკლებ საინტერესო და იმედის მომცემია ახალი აღმოჩენები, რომელიც ოთხი წლის წინ მოხდა მაღალი ენერჯიების ფიზიკაში. ეს აღმოჩენები სწორედ ქრისტიანული კონცეფციის ჭეშმარიტებას ცდებით ადასტურებს. სული, რომელსაც აზროვნება და განუზომელი ძალა გააჩნია, არაფრისაგან ქმნის მატერიას. მას პირობითად „ღვთიური ნაწილაკი“ უწოდეს, ხოლო დნმ არ არის ამქვენიური წარმონაქმნი³. მჯერა, რომ მალე მეცნიერები ცდებში ნახავენ, რა სურს აბსოლუტურ გონს ანუ სამყაროს შემოქმედს. დადასტურდება სწორედ ის, რომ ღმერთი კაცობრიობისაგან მაღალზნეობრივი ფასეულობების დაცვას მოითხოვს. მაშინ, აღიარებს კაცობრიობა უზენაესის ნებას და მსოფლიო შეთანხმდება ჭეშმარიტებაზე, რაც მისი გადარჩენისა და ხსნის გარანტია იქნება.

ამრიგად, ბუნებრივი კატაკლიზმები არის ღვთის რეაგირება კაცობრიობის ცოდვებზე; ბუნებრივი კატასტროფები კი უწმინდურ ადამიანთა სასჯელია. დღეს პიროვნული თავისუფლების შინაარსი აღიქმება მცდარად და პირდაპირ უპირისპირდება ღვთიურ შეგონებებს ბოლო 50 წლის მანძილზე, დედამიწაზე განშირებული ბუნებრივი კატასტროფები კაცობრიობის ზნეობრივი დეგრადაციის შედეგია. რამეთუ, გლობალიზაციის არსებითი თანმდევი ღვთისმგმობელობა გახდა.

ვფიქრობთ, ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების ფუნდამენტური კურსი დედამიწაზე ზნეობრივი წესრიგის აღდგენაა. კაცობრიობა უნდა შეთანხმდეს ღვთიურ ჭეშმარიტებაზე და საერთაშორისო სამართალი „ათი მცნების“ ფასეულობებს სრულად უნდა შეესაბამებოდეს.

¹ იქვე, გვ. 17.

² იქვე, გვ. 28.

³ ღვთიური ნაწილაკი, Google

Orthodoxy as a Fundamental Direction for Mitigating the Risk of Natural Disasters

Resume

The number of natural disasters and both human and material loss caused by these disasters is permanently increasing in the modern world. The paper studies the possible connections between natural disasters and moral behavior of human beings. For this purpose, the paper studies biblical warnings of the God, which were given to the mankind from the very beginning and the most essential of which are presented as the Ten Commandments.

In the current era of globalization, there is international law regulated by the United Nations and other international organizations. As a result, moral and legal rules of life are converging. Therefore, positive and negative influence of globalization is becoming homogenous in the whole world.

Humanity knows why the Deluge took place and why the Son of God, the Lord Jesus Christ came as a human being, was crucified and raised from the dead. It's well-known why the God destroyed Sodom and Gomorrah. However, the current international law refers to only one from the Ten Commandments, that is "You shall not commit adultery". So, international law confronts divine commandments and moral is in danger. Consequently, the existence of humanity is in danger as it is a mistake, which is equal to death. Blasphemy has become the concept of globalization. This has resulted in an increasing number of natural disasters.

Consequently, in our opinion, a fundamental way of avoiding natural disasters is to change international law and to make it fully consistent with Ten Commandments. For this purpose, laws on same-sex marriage should be abolished in all the countries.

თანამედროვე მენეჯმენტის მართლმადიდებლური ასპექტები

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მენეჯმენტში დაქვემდებარებულთა მართვის ძირითადი პრინციპი - შიში და მისგან წარმოქმნილი პატივისცემა იყო. დიდი რუსთაველი აღნიშნავს: „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“¹. გარკვეული თვალსაზრისით, ეს დღესაც მართებულია - შიში დაფასების უმაღლესი ფორმაა. მაგრამ, თუ მხოლოდ შიშსა და მისგან წარმოქმნილ პატივისცემაზეა მსჯელობა, ყველა ნორმალურ ადამიანს ყველაზე დიდი შიში პირველყოვლისა, უფლის მიმართ უნდა ჰქონდეს. უფალი არის ჩვენი მსაჯული და სწორედ მისი მართლმსაჯულების უნდა გვეშინოდეს, რადგან მის წინაშე ყველა ცოდვილები ვართ. მაგრამ უფალი არა მხოლოდ მართლმსაჯულია, არამედ მოსიყვარულე მამაცაა. შესაბამისად, უფლის მიმართ შიშმა მისდამი სიყვარული არ უნდა გადაფაროს. ანუ, უფლისადმი შიშთან ერთად, რაც უფრო ავმადლდებით მისდამი სიყვარულში, მით უფრო იქნება ჩვენში მისდამი რწმენა და ნდობა.

ფაქტობრივად, რწმენა, ნდობა და სიყვარულია როგორც თანამედროვე ადამიანთა მართვის, ასევე ყველა ნორმალური ოჯახური ურთიერთობის საფუძველი. მშობლები შვილებს ენდობიან, რომ არ ჩაიდნენ ისეთ საქციელს, რაც მათ ოჯახს შეარცხვენს და პირიქით - არც მშობლები გააკეთებენ იმას, რაც შვილებისათვის საზიანო იქნება. „რომელი მამა იქნება თქვენში, რომ შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და თევზის წილ გველი მისცეს? ანდა, კვერცხი რომ სთხოვოს, მორიელი მისცეს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლკ. 11:11-13).

კითხვაზე, თუ რით განსხვავდებიან მართლმადიდებლები სხვებისგან, პასუხი ძალზე მარტივია - უმთავრესად ადამიანთა ურთიერთნდობითა და სიყვარულით, იმიტომ რომ უფალია თავად სიყვარული. ქრისტიანები კი ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც მასთან ახლო ურთიერთობები აქვთ. სწორედ, ნდობა და სიყვარული ამდიდრებდა და ალაამაზებდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას. „ნუ იქნები შურისმაძიებელი და ბოლმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ; გიყვარდეს შენი ახლობელი, როგორც თავი შენი“ (ლევ. 19:18).

როგორც წესი, ყველა ნორმალური ადამიანი ცდილობს მოიპოვოს გარკვეული ბედნიერება. თუმცა, უბედურება ისაა, რომ ბევრი მათგანი ბედნიერებას მხოლოდ მატერიალურ ღირებულებებთან აიგივებს, ანუ ფუფუნებისა და სიმდიდრის ძებნას ბედის ძიებას უწოდებს, მაშინ როდესაც არსებობს ბედნიერების ბევრი სხვა გზა, როგორცაა სიყვარული და კმაყოფილების მიღება სხვაზე ზრუნვით. გავიხსენოთ იესოს დარიგება იმის შესახებ, რომ გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება. მართლაც, ხშირად, სხვაზე ზრუნვა უფრო მეტი ბედნიერებაა საკუთარი თავისთვისაც კი. მთავარია შეძლო მისი დანახვა. აი რას ამბობს წმინდა ილია მართალი: „ზოგი საგანი ისეთია, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ და თუ არ დაინახე ვერ ირწმუნებო“². მართლაც, ზოგი რამ უნდა ვიგრძნოთ და ვირწმუნოთ, რომ მისი დანახვა შევძლოთ.

სიყვარულის, ნდობის, ურთიერთდამარების, ადამიანთა შორის პატივისცემის პრინციპების წინ წამოწევა თანამედროვე მენეჯმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ისინი, ხომ თანამედროვე ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივატორებია, რითაც მართვაში სრულ ერთსულოვნებას აღწევენ. მათ ოდითგანვე მოგვიწოდებს ჩვენი უფალი. „სიყვარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისა, და მშვიდობა იგი ღმრთისა განმტკიცებინ გულთა შინა თქუნთა“³.

შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ მომავლის მენეჯმენტი - ეს იქნება ადამიანთა თანამედროვე მოტივატორებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების ზემოაღნიშნული პრინციპი-

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1045.

² წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), ამონარიდები. <http://geolit.ge/ilia/amonaridebi.htm>

³ ცოდვები და სათნოებები, წმიდა წერილი - სიყვარულის შესახებ. კოლასელთა მიმართ 3, 14-15.

http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/sikvaruli

ბის სინთეზი, ანუ სამომავლოდ, ერთი მხრივ, ადამიანთა ურთიერთპატივისცემა, ნდობა და სიყვარული და მეორე მხრივ, წარმატებული მენეჯმენტი განუყოფელია ერთმანეთისგან. საქმე ისაა, რომ მკაცრი ადმინისტრირება, ანუ შიშზე დაფუძნებული მენეჯმენტი ზღუდავს ინიციატივას და აღვივებს უნდობლობას, რაც მართვაში ხელს უშლის შემოქმედებითობის განვითარებას და ხელქვეითთა მიერ დამოუკიდებელი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებას.

აი, რას ამბობს ნდობასა და ურთიერთპატივისცემასთან დაკავშირებით მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარი ჰენრი მინცბერგი: „საჭიროა მოვამზადოთ შესაბამისი ნიადაგი: შევქმნათ ნდობის ატმოსფერო, ავამაღლოთ კორპორატიული კულტურა და ამასთან გავხსოვდეს, რომ ყველაზე კარგად ორგანიზაცია მუშაობს მაშინ, როდესაც მასში თავმოყრილია საქმის ერთგული ადამიანები და მათ შორის არსებული დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს ურთიერთპატივისცემა“¹. ბუნებრივია, ნდობა პროცესია, რომელიც ღრობში ვითარდება. როგორც წესი, ურთიერთობის პროცესის ინტენსივობა და მისი ხანგრძლივობა ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანთან და მისდამი ნდობას. გავიხსენოთ ქართული ანდაზაც - „ადამიანი რომ გაიცნო, მასთან ერთად მისი წონა მარილი უნდა ჭამო“. და მაინც, ნდობა ყოველთვის გულისხმობს რისკს. საქმე იმაშია, რომ როცა ჩვენ ადამიანთან შევდივართ ნდობაში, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი, თუ როგორ გამოიყენებს მეორე მხარე ჩვენს ნდობას. ანუ, გარდა „დროისა“, საჭიროა ამ ადამიანის გარკვეული შესწავლა. თანამედროვე გამოკვლევები მიუთითებენ ხუთ ძირითად მახასიათებელზე, რომლის გარეშე შეუძლებელია მეორე ადამიანის ნდობა². უნდა ითქვას, რომ ეს მახასიათებლები, ფაქტობრივად, მართლმადიდებელი მოძღვრებიდან გამომდინარეობს. ესენია:

- **წესიერება.** მასში იგულისხმება: პატიოსნება, სამართლიანობა და სხვა მორალური თვისებები. უნდა ითქვას, რომ თუ ადამიანს ეს თვისებები არ გააჩნია, მაშინ სხვა მახასიათებლებით მისი თუნდაც პოზიტიური შეფასება, აზრს კარგავს;
- **კომპეტენტურობა.** ეს არის ადამიანის შესაძლებლობა, რომელიც არსებობს მასში. ანუ, კომპეტენციისათვის მნიშვნელოვანია არა თავისთავად ცოდნა, არამედ ცოდნის გამოყენება. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ჩვენ არ გვსურს ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლის კომპეტენტურობაში ეჭვი გვეპარება;
- **თანმიმდევრულობა.** ამ ცნებაში იგულისხმება ის, რომ ნდობისათვის აუცილებელია ადამიანის მოქმედება იყოს პროგნოზირებადი, ანუ როდესაც ჩვენ ვენდობით ადამიანს, ვიცით როგორ მოიქცევა ის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში;
- **ლოიალობა.** სხვა ადამიანის ინტერესების დაცვის მზაობა. როგორც წესი, ადამიანთა შორის ნდობა ემყარება იმას, რომ არც ერთი მათგანი არ იმოქმედებს მერკანტილური და კონიუნქტურული ინტერესებიდან გამომდინარე.
- **გულახდილობა.** ამ ცნებაში იგულისხმება დადებითი პასუხი კითხვაზე: შეიძლება თუ არა ადამიანს დაეყრდნოთ იმაში, რომ ის გეტყვის „სრულ სიმართლეს“.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მენეჯმენტში ნდობა და სიყვარული წარმოადგენს წარმატების მთავარ ატრიბუტს, ანუ როცა თანამშრომლები ენდობიან თავის ხელმძღვანელს, ისინიც მზად არიან შეასრულონ ყველა მისი მითითება, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ის ბოროტად არ ისარგებლებს მათი უფლებებითა და ინტერესებით. მეორე მხრივ, თანამშრომლები არ დაემორჩილებიან იმ მენეჯერს, რომლის პატიოსნებაში მათ ეჭვი ეპარებათ და რომელიც მათ უფლებებს საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებს.

¹ http://en.wikipedia.org/wiki/Henry_Mintzberg

² მარკოზაშვილი ნ. ნდობა. ჟურნ. „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, 2007. www.sapientisat.ge

Emzar Julakidze
Shalva Julakidze

Orthodoxy Aspects of Modern Management

Resume

The main principle of managing the subordinates is fairness and respect. They are the same in religious and in economic life. But, the more we love our God, the more we get belief and faith. We think that the most important features of modern management are love, faith, support and respect. These are the teachings of our God. So, we can conclude that the future management will be the synthesis of modern human motivators and Orthodox religion principles. And the management which is set only on the fairness limits the initiative and amplifies distrust in management.

ქრისტიანობა და ეკონომიკური განვითარება

რელიგია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საერთო რწმენისა და რიტუალების სისტემა, რომელიც ღვთაებრივ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ეთიკური სისტემები კი ასახავს იმ მორალურ ნორმებსა და ფასეულობებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანის ქცევის პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში. ქვეყნების უმეტესობის ეთიკური სისტემები რელიგიის პროდუქტია. შეიძლება ვიმსჯელოთ ქრისტიანულ ეთიკაზე, მაგრამ ზოგჯერ ეთიკური პრინციპები არაა წარმოშობილი რელიგიიდან. ასე, მაგალითად, კონფუციანიზმი და კონფუციური ეთიკა აზიის დიდ ნაწილში კულტურის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს, მაგრამ არასწორი იქნება კონფუციანიზმი დავახასიათოთ როგორც რელიგია.

რელიგიებს, ეთიკასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის თემა ფაქიზი და კომპლექსურია. ათასობით რელიგიას შორის, რომლებიც მსოფლიოში არსებობს, მიმდევართა რაოდენობის მიხედვით დომინირებს ოთხი: ქრისტიანობა - 1.7 მლრდ, ისლამი - 1 მლრდ, ინდუიზმი - 750 მლნ და ბუდიზმი - 350 მლნ მიმდევრით, თუმცა ბევრ სხვა რელიგიასაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა თანამედროვე მსოფლიოს გარკვეულ ნაწილზე (მაგ., იუდაიზმი, რომელსაც 18 მლნ მიმდევარი ჰყავს), მათი გავლენა მცირეა დომინანტურ რელიგიებთან შედარებით (მაგრამ როგორც ქრისტიანობის და ისლამის წინამორბედს, იუდაიზმს არაპირდაპირი გავლენა აქვს სხვა რელიგიებზე).

ქრისტიანობა ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიაა მსოფლიოში. მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 20% თავს ქრისტიანად ცნობს. ქრისტიანების უმრავლესობა ევროპასა და ამერიკაში ცხოვრობს, თუმცა, მათი რიცხვი სწრაფად იზრდება აფრიკაშიც. ქრისტიანობა იუდაიზმისაგან წარმოიშვა. იუდაიზმის მსგავსად ქრისტიანობა მონოთეისტური რელიგიაა (მონოთეისტური ნიშნავს მხოლოდ ერთი ღმერთის რწმენას). XI საუკუნეში მომხდარმა რელიგიურმა დანაწილებამ ორი მთავარი ქრისტიანული მიმართულების - რომანული (კათოლიკური) და ორთოდოქსული (მართლმადიდებლური) ეკლესიის დაფუძვნება გამოიწვია. ქრისტიანების 16,9% რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიმდევარია, მათი უმეტესობა ევროპასა და ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს, პროტესტანტები შეადგენენ 16%-ს, უფრო ნაკლებად გავლენიანია ორთოდოქსული (მართლმადიდებელი) ეკლესია - 3,8%. საეკლესიო ცხოვრებაში XVI საუკუნის დასაწყისში მომხდარმა რეფორმამ ხელი შეუწყო ეკლესიის რელიგიური ნაწილის რომთან დაშორებას, რისი შედეგიც იყო რელიგიური პროტესტი და პროტესტანტული ეკლესიის წარმოქმნა.

რელიგიის ზნობრივ, ანუ ეთიკურ სისტემებსა და ეკონომიკას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მსოფლიოში ეს კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ერები ქრისტიანულ, მუსულიმურ, ბუდისტურ უმრავლესობასთან ერთად იღწვიან თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისათვის. ასეთი რელიგიური ერთობა გლობალიზაციის ეპოქაში მეტად მნიშვნელოვანია.

ცნობილი ეკონომისტების რობერტ ბაროსა და რიჩელ მაკლეარის ბოლო კვლევა გვიჩვენებს, რომ ძლიერ რელიგიურ რწმენას პოზიტიური ზეგავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. ბარო და მაკლეარი XX საუკუნის ბოლო მეოთხედში აკვირდებოდნენ რელიგიური რწმენისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს მსოფლიოს 59 ქვეყანაში. მათი დასკვნის მიხედვით, ღრმა რელიგიური რწმენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას აძლევს სტიმულს.¹ არა მარტო ეკონომისტებს, სოციოლოგებსაც მიაჩნიათ, რომ ქრისტიანობის მთავარ განშტოებებს: კათოლიკურ, ორთოდოქსულ და პროტესტანტულ რელიგიებს აქვთ ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები. მაქს ვებერმა თავის წიგნში² ერთმანეთთან დააკავშირა პროტესტანტული ეთიკა და „კაპიტალიზმის სული“. ვებერის მიხედვით, პროტესტანტიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებას შორის მჭიდრო კავშირია. იგი ამტკიცებდა, რომ პროტესტანტული ეთიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მძიმე შრომას, მდიდრულ ნა-

¹ R.Barro and R.McCleary, Religion an Economic Growth. National Bureau of Economic Reserch, working peperno.9682, May 2003

² M. Veber, The Protestant Ethic and The Spirit of Capitalizm. New York : Charles Scriber's sons 1958, original 1904-1905

